

ახალი საუნჯე

ტექსტების და
კონტექსტების
ქურნალი

№8 (50)

აგვისტო, 2017 წელი

ფასი
2 ლარი

Ryan Van Winkle

ნომრის ავტორები

მეზო ქვევინიშვილი & რაინან ვან უინკლი

პოეზია

დავით ჩიხლაძე

დემურ ქარაძე

პროზა

ფურაძე გივი

ნინო მურგულიანი

ესეისტიკა, კრიტიკა

დავით თინიკაშვილი

მეზო თოფჩუაძე

ფესტივალი

ლევან კვამლაშვილი

ახალი თარგმანები

ერნესტ იუნგერი

კლავდიუს რატი მინერაშვილი

ჯეი კეინი მუხრანბერი

არტი

ამირ კახაბაძე



№8 (50) აგვისტო, 2017 წელი

ახალი საუნჯე

ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

პროექტის ავტორი: ვაჟა წონკოლაური
მთავარი რედაქტორი: შოთა იათაშვილი
რედაქტორი-სტილისტი: ლელა კოდალაშვილი
დიზაინი და დაკაბადონება: ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია: დავით ანდრიაძე, გია ეძგვერაძე,
დათო ტურაშვილი, ეკა ქევანიშვილი, ზაზა შათირიშვილი,
დავით ჩიხლაძე, გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ: ეკა ქევანიშვილი, ნენე გიორგაძე,
ზაზა კოშკაძე, დავით ჩიხლაძე, დათო ქარდავა, ზურაბ
გოგიძე, ცირა ყურაშვილი, დავით თინიკაშვილი, თეა
თოფურია, ლელა კოდალაშვილი, დათო ბარბაქაძე, მანანა
მათიაშვილი, პაატა შამუგია, ნინო ისელიძე

გამომცემლობა «საუნჯე»

მის.: ალ. ყაზბეგის 32/34

ტელ.: 2141214, 2395587, 2397188

Skype: saunje-saunje

ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com;

www.saungeo.ge

1. ნომრის ავტორები

ეკა ქევანიშვილი

ეკა ქევანიშვილი „ქევანების ქვეყანაში“



როგორც ავტორს, ეკა ქევანიშვილს, ყველაზე მეტი უშრომია «ახალი საუნჯისთვის». საიუბილეო 50-ე ნომერია ახლა თქვენ წინაშე, და წინა 49 ნომრიდან უმრავლესობაში, თუ რამდენიმე გამონაკლისს არ ჩავთვლით, სწორედ იგი აკეთებდა ქართველი ავტორების პროფაილებს. და რაკი თვითონ აკეთებდა, ამიტომ ისე გამოდიოდა, რომ მასზე ვერ მზადდებოდა. ჯერ ვიფიქრე, როგორც რედაქტორს,

თავად მომემზადებინა მასზე პროფაილი, მაგრამ მერე უკეთესი იდეა მომივიდა თავში: მეთხოვა «ახალი საუნჯის» ყველა მისი «ნომრის ავტორისთვის», რომ თითო კითხვა დაესვათ ეკასთვის და მერე ამ კითხვებით აგვენყო მისი ცხოვრების თუ ფიქრების «ლეგო». კაი ხანი ტრიალებდა ეს აზრი, თავიდან იუარა კიდევ ეკამ, მაგრამ მერე დავაჯერე, საინტერესო გამოვა-მეთქი და საიუბილეო «ნომრის ავტორს» როცა ვარჩევდით, მივხვდი, რომ სწორედ ახლა დადგა ამ პროექტის განხორციელების მომენტი: თან წინა «ნომრის ავტორების» ხმაც გაიჟღერებდა და მკითხველი თვალს გადაავლებდა ამ რუბრიკის ისტორიას, და თან, ბოლოს და ბოლოს, ის მწერალიც გახდებოდა «ნომრის ავტორი», რომელმაც ამდენი «ნომრის ავტორის» პორტრეტი შექმნა. ჰოდა, გავანდე ეს აზრი «ახალი საუნჯის» რჩეულებს და წამოვიდა შეკითხვებიც. როგორც

ყოველთვის ხდება, 100%-იანი გამოხმაურება არ ყოფილა, მწერლები ისედაც არ გამოირჩევიან განსაკუთრებული შედეგიანობით, თანაც ბაფხულია ახლა, ზოგი წყლის პირას აგდია, ზოგი უჭაერობით იტანჯება და ორივე შემთხვევაში კონცენტრაცია მოდუნებული აქვთ. მაგრამ რაც მოვიდა, ძალიან განსხვავებული შეკითხვები იყო და ვფიქრობ, ამ განსხვავებულმა შეკითხვებმა ეკას ხასიათი ძალიან კარგად წარმოაჩინა. ჰო, მეც დავუსვი ერთი შეკითხვა, როგორც ჟურნალის რედაქტორმა, ეს უფლება გამოვიყენე. მოკლედ, თქვენ წინაშეა ეკა ქევანიშვილი, რომელსაც მისი კოლეგები სხვადასხვა მხრიდან «ესხმიან» თავს და ისიც ცდილობს, არ დაიბნეს, ყველას შესატყვისი პასუხი გასცეს.

რედაქტორისაგან

დავით ჩიხლაძე: როგორ გგონია, იყო თუ არა პოეზია დინობავრების დროს?

რომ ყოფილიყო, ალბათ, დინობავრებიც გადარჩებოდნენ.

თუმცა, ვიცი, ეს არ არის პოეტური პასუხი. პოეტური იქნებოდა, მეთქვა, და ფანტაზიაც მომეშველიებინა, რომ დინობავრებსაც სჭირდებოდათ რაღაც არაპროზაული დედამინაზე ყოფნისთვის. და იმ დროის ხეებს და წყლებს და მიწას. იქნებ იმ დროს პოეზია მხოლოდ მარცვლები იყო, რომლებიც საუკუნეების მერე სიტყვებად შეიკრა? შეიძლება, დიდი თევზების ლაყურების ხმა იყო ოკეანეებში, ან უზარმაზარი ფრინველების ფრთების ტყლაშუნი. შეიძლება, სხვა სახე ჰქონდა პოეზიას – არა ხმოვანი და რითმიანი, არამედ, უბრალოდ, რაიმე სიამეს ერქვა, მაშინდელ დაუნდობელ ბუნებრივ კატაკლიზმებში რაც გამობრწყინდებოდა ხოლმე? შეიძლება, ახალი, პატარა დინობავრის გაჩენა იყო პოეზია?



ლია ლიქოკელი: ქევანების ქვეყანა რომ არსებობდეს, ბევრი ქევანათი დასახლებული, როგორი იქნებოდა ის ქვეყანა?

ალბათ, დიდი ალიაქოთი და ხანდახან ომიც. მიუხედავად იმისა, რომ ბუნებით პაციფისტი ვარ, ყველანაირი ომი და დაპირისპირება მძულს და ერთმა უკუღმართად ნათქვამმა სიტყვამ შეიძლება ვაბაში ორი კვირის ნადები ვაშლივით დამაჭკნოს, სიმშვიდე ქევანების ქვეყანაში, ალბათ, მაინც ვერ იქნებოდა. ქევანები

ყველაფერს გააპროტესტებდნენ, რაც მათ თავისუფლებას შეზღუდავდა, რაც ყალბი მოეჩვენებოდათ. წესით, ქევანები უსამართლობას ვერ აიტანდნენ და თუ რომელიმე ამ წესს დაარღვევდა, ერთმანეთს დაერეოდნენ. მაგრამ მშვიდობიანობის დროს, ქევანების ქვეყანაში ქვაბების და კოვზების დიდი რაზარუხი ატყდებოდა – ფერადი სუფრები გაიშლებოდა ნაირნაირი პუდინგებით და ცხარე- მჟავე კერძებით, ებოებში პამიდვრების სუნი დადგებოდა, დიდი ხეები იქნებოდა ამ ქვეყანაში, რომელთა მოჭრა დანაშაულად ჩაითვლებოდა და პატარა სახლები, რომ ადამიანები მიწასთან უფრო ახლოს ყოფილიყვნენ და ცასთან შორს – რომ რამე საოცნებო დარჩენოდათ ცაში. ბუნებრივი ქვეყანა იქნებოდა ქევანების ქვეყანა.

ალეკო შულღაძე: დიდბიუჯეტიანი მხატვრული ფილმის ან სერიალის რეჟისორობა რომ შემოგთავაზონ, სცენარიც შენი იყოს, რა თემას მოჰკიდებ ხელს, რომელ მსახიობებს

აიყვან და შენ თვითონ როგორი პერსონაჟის როლს შეასრულებ?

თუ არჩევანი მექნებოდა, ალბათ, მაინც დოკუმენტურ ფილმს ან სერიალს გადავიღებდი, რომელშიც ჩემი პერსონაჟობა მხოლოდ ამბის თხრობაში აისახებოდა – ალბათ, ყველა ჩაძირული გემის და ჩამოვარდნილი თვითმფრინავის ამბავზე იქნებოდა ეს ფილმი. არ ვიცი, რისი ბრალია, მაგრამ ბავშვობიდან აკვიატებული მაქვს ეს თემა – როგორც კი მარტო დავრჩები ხოლმე და თვალს მოვეფარები, ინტერნეტში მაშინვე ასეთი ამბების ძებნას ვიწყებ. ჩემი ფილმიც ამაზე იქნებოდა – წყალში ჩაძირულ და ციდან მოწყვეტილ ამბებზე. იმ პირობით, რომ ყველა ადგილს მეც მოვინახულებდი. ამ ფილმის გმირებიც გამოგონილი კი არა, ნამდვილი, ამბის შემსწრე ან ამბის მცოდნე ხალხი იქნებოდა.

შოთა იათაშვილი: ლიტერატურული ჟურნალის მთავარი რედაქტორი რომ იყო, როგორ ჟურნალს გააკეთებდი? ჩათვალე, რომ ფინანსები გაქვს.

არცერთი ნომრის გამოსვლა ჩუმად რომ არ ჩაივლიდა – ასეთი ჟურნალის რედაქტორობა მენდომებოდა. მწერლები ინტერესით და დაძაბულობითაც დაელოდებოდნენ ყოველ ახალ ნომერს იმიტომ, რომ მასში მოხვედრა რაღაცის ნიშანი იქნებოდა – რაღაცის კი არა, ხარისხის. დღეს ცნობილ, თანამედროვე უცხოელ ავტორებთან ცოცხალი ინტერვიუები ჩაინერებოდა – სკაიპით კი არა, პირისპირ, მათი წიგნების და კაბინეტების გარემოცვაში, ცოცხალი ნობელიანტების და სხვა პრესტიჟული ლიტერატურული პრემიების მფლობელი ავტორების რუბრიკა მექნებოდა. ბესტსელერებზე ცალკე ვილაპარაკებდით ყველა ნომერში. ლიტერატურის მხეც კრიტიკოსებს დავიქირავებდი. კიდევ,

ყველა ნომერში თითო ქართველი ავტორის რამდენიმე ლექსის ან ტექსტის ნაწილის უცხოურ თარგმანს დავბეჭდავდი და ასე დავაგროვებდი ერთგვარ «თარგმანების ბანკს», პირიქით – უცხოელების თარგმანებიც იქნებოდა, აუცილებლად. ყველა ნომერში ახალი წიგნების მოკლე მიმოხილვა მექნებოდა. მწერლებს ერთმანეთის წიგნებზე ვალაპარაკებდი, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთს წაიკითხავდნენ. ლიტერატურული ფესტივალების და რეზიდენციების შესახებ მუდმივად დავბეჭდავდი ინფორმაციას... ავტორებს წესიერად გადავუხდიდი. ვოცნებობ ხო?

გიორგი ლობჯანიძე: რას შეცვლიდი დაუნანებლად შენს ცხოვრებაში?

ხან რა ამოვავდე ჩემი ცხოვრებიდან და ხან რა ამ კითხვის პასუხზე ფიქრისას და რატომღაც, ვერაფერს დავემშვიდობე უპირობოდ და დაუნანებლად. ალბათ, ყველაფერი იმიტომ მოხდა, როგორც მოხდა, რომ დღეს აქ და ასე ვმჯდარიყავი და ეს ტექსტი მეწერა – თბილისის გარეუბნის ერთი კორპუსის მეშვიდე სართულზე, სიცხეში, უკონდიციონერო სამზარეულოში. ვითომ, არ დავბადებულებიყავი იმ ოჯახში, სადაც დავიბადე? მაშინ როგორ მივხვდებოდი, რისი შეცვლა მსურდა? არ გავყოლოდი კაცს, რომელსაც გავყევი? მაშინ როგორ მივხვდებოდი, რომ თავისუფლება ერთი ხელის გაშვებას და მეორის ჩაკიდებას არ ნიშნავს? ის არ შემყვარებოდა, ვინც შემყვარდა? მაშინ სად ჯანდაბიდან მოვიდოდა ამდენი ლექსი, რაც დამინერია? როგორ გამეცნო ადამიანები, წიგნებიდან? არ ამერჩია ეს პროფესია? მაშინ როგორ უნდა მესმინა პულსისთვის მუდმივად? მე კი გათიშვა სამყაროსგან არ შემიძლია, უფრო ვიღლები. შვილი არ გამეჩინა? მაშინ დედაჩემის დარდს როგორ

მივმხვდარიყავი? სადღაც რაღაც არ მეთქვა, რაც ვთქვი? ეგ შეიძლება. ენაზე კბილის დაჭერა ხანდახან გმირობაა. უფრო მეტი რომ მესწავლა და სადმე ჰარვარდებში რომ ჩამებარებინა და არ ვიცი, კიდევ რა? განსაკუთრებული სურვილი რომ მექონოდა და შესაძლებლობაც, ალბათ, ვიზამდი.



თამთა მელაშვილთან ერთად

ცირა ყურაშვილი: შენი თავდაპირველი შეკითხვა ჩემდამი, როცა ნომრის ავტორი მე ვიყავი, ბავშვობის გარემოს ეხებოდა. მეც სწორედ ეს მაინტერესებს შენგან – იმ შთაბეჭდილებათა კიდევ ერთხელ დასაზუსტებლად, რაც გაფანტულად შენს ლექსებში, მცირე ჩანაწერებსა თუ პირად საუბრებში ჩანს – რაჭა, ამბროლაური, ყოველდღიური შრომის ფერხულში ჩაბმული განათლებული და კულტურული მშობლები, ახლობლები. ბავშვობის გარემო – ის ხომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში გვასაზრდოებს.

მე პატარა ქალაქში ვიზრდებოდი – დიდი ოცნებებით. შეიძლება იმ მთებისხელა ოცნებებით, რამხელა მთებიც ამ ქალაქს გარს ერტყა. ამ ქალაქში ყველაფერი ცოტა იყო, რაც მე მიყვარდა და მაინტერესებდა. ერთი ცალი მაგნიტოფონი, ისიც მეზობლის. მუსიკის მოსასმენად იქ გადავდიოდი ხოლმე. მე გვიან მიყიდეს, მგონი, უკვე სკოლას ვამთავრებდი. ერთი ცალი ველოსიპედი და ერთი

ცალი სკეიდბორდი – ჩემი კლასელების – ნათხოვარი სიყვარულები, რამდენიმე ბავშვი რომ ვინაწილებდით. ცოტა იყო განსხვავებული ტანსაცმელი – ზოგს, გამორჩეულად ვისაც გვათამამებდნენ, ონში მცხოვრებ «ებრაელ სპეკულანტებთან» გვიყიდიდნენ ხოლმე – მახსოვს, ერთი ასეთი ღია ვარდისფერი ბოტასი როგორ ჩავიცვი ერთ პირველ სექტემბერს. ერთნაირობის შიში და ზიზღი სულ მექონდა. პატარა ქალებში კი ეს ყოველთვის ძალიან შესამჩნევია ხოლმე. ამიტომ, მე სულ რაღაცას განსხვავებულს ვეძებდი – მატრაკვეცულად. წიგნები ბევრი იყო – ან, მაშინ მეგონა, რომ ბევრი იყო. ამიტომ ყველაზე საინტერესო ამბები ამ წიგნებში ხდებოდა და მეც, ჩემი მეგობრების მსგავსად, მოვათრევედი ხოლმე ქალაქის ბიბლიოთეკიდან, როცა ჩემი სახლის ბიბლიოთეკა ამოვწურე. მამაჩემი ამბობდა, რომ შენკენ თითი არავინ არასოდეს უნდა გამოიშვიროსო – სულ რაღაც თანამდებობაზე იყო, თავისი პროფესიით (ინჟინერია), მაგრამ ბევრი ფული არასოდეს გვქონია. არადა, კომუნისტების დრო იყო, ყველა რაღაცას ახერხებდა. ამიტომ ჩვენ – ვშრომობდით. ჩამწკრივებულები მივდიოდით ხოლმე ყანა-ვენახში და მაშინ ძალიანაც მძულდა ეს მარში. მე კინოში წასვლა მინდოდა, «ბირჟაზე» გავარდნა, იქ ერთი-ორი ბიჭი მეგულებოდა, ვის დასანახადაც ჩემი ახალი კედები უნდა ჩამეცვა... ხანდახან ვერ გამოდიოდა ეს გავარდნა. საქმე ბევრი იყო. მაგრამ სამაგიეროდ, არასოდეს მოგვშიებია. ჩემს ოჯახში ყოველთვის სტუმრის და საჭმლის კულტი იყო. დღემდე ასეა. რაც ცოტა ნერვებს კი მიშლის, მაგრამ, ახლა ვერაფერს შევცვლი. გადასარჩენად პანტა მსხალი და ტყემალიც ხშირად გვიგროვებია, არაყი რომ გამოგვეხადა და რამეში გაგვეცვალა. ნატურალური მეურნეობა. მერე მაგაზე ლექსიც დავწერე. მაგრამ იყო კარგი პერიოდებიც –

ეგეთი თავისუფლება, რაც იმ პატარა ქალაქში ცხოვრებისას მეონდა, მერე აღარც მიგრძვნია.

ელა გოჩიაშვილი: ჩანაცვლებდი თუ არა იურიდიულ კანონებს ზნეობრივი კანონით სამართლიანობის სასარგებლოდ და კანონმორჩილების საზიანოდ. თუ – მათ შორის ხარ, ვინც მიიჩნევს, რომ კანონს უეჭველად უნდა დაემორჩილო და თუკი არ მოგწონს, შემდგომში იზრუნო მის შესაცვლელად.

არადა, ორივე ხომ ადამიანის მოგონილია. ზნეობრივიც და იურიდიულიც. მე, მაინც მეორისკენ გადავიხრებოდი, ელა, რადგან ზნეობის კატეგორიები მაინც უფრო აბსტრაქტული მგონია და მეშინია ასეთი სამართლის. ეგრეც ვერ მჯერა ბოლომდე ადამიანების, რომ სამართლიანობის მიღწევისთვის მხოლოდ ზნეობრივი კანონის იმედზე ვიყო. მაინც ვფიქრობ, რომ იურიდიული კანონები მეტად ცივი გონებითაა ნაფიქრი – მე ახლა დღეს არსებულ ასე თუ ისე საუკეთესო სისტემების კანონებს ვგულისხმობ ცხადია და არა ტოტალიტარულ სისტემებში არსებულ სამართალს. კი, ვფიქრობ, იურიდიული კანონის შეცვლა და შემობრუნება სასიკეთოდ მეტს შედეგს მოიტანს, ვიდრე მისი ჩანაცვლება.

თეონა დოლენჯაშვილი: მინდა შენ მიერ დასმული კითხვა შემოგიბრუნო და გკითხო: რამდენად მნიშვნელოვანია ის თემები, რაზეც წერ? შეგიძლია, უბრალოდ ყველაფერზე წერო თუ მნიშვნელოვანია, შენი სათქმელი იყოს საზოგადოებისთვის აქტუალური და სოციალურად მძაფრი? საერთოდ, როგორ ფიქრობ, უნდა იყოს თანამედროვე პოეტი სოციალურად დრამატულიც თუ პოეტის (მწერლის) «საკვლევი მასალა» მხოლოდ ადამიანის სულია და არა ის, რაც ვთქვამთ, დღეს ჟურნალ-გაზეთების ჰედლაინებად

იქცევა? ამ მოვლენათა ასახვა შემოქმედებაში და ამ ავანგარდში ყოფნა პოეტის ნაკლია თუ ღირსება? თუ საერთოდ არ აქვს მნიშვნელობა, რა არის ხოლმე ლექსის «იდეა» და მთავარი მაინც გამოხატვის ოსტატობა და ფორმის სრულყოფაა?

ასე გიპასუხებ: მგონი, მაინც სუბიექტურია ეს ამბავი – მეეჭვება ერთი, ურყევი ჭეშმარიტება არსებობდეს – ასე ან ისე. ვის მხოლოდ სიამოვნების მიღება და გაცემა სურს ლიტერატურისგან და ლიტერატურით, ვის კი შეუძლია ის ბასრ იარაღად აქციოს. მე ყოველთვის ვწერდი და ვწერ იმაზე, რაც მანუხებს და მალელვებს. არასოდეს დამინერია დაგეგმილად, არასოდეს მიფიქრია, რომ ეს «მომგებიანი» თემაა, არასოდეს დამიყვია ჩემი მკითხველი «სამიზნე ჯგუფებად» და არასოდეს მიფიქრია ამა თუ იმ ნაწილის მოხიბლვაზე. პოეზიას, და ზოგადად, ლიტერატურას, ეგ მაშინვე ეტყობა, მაშინვე დაჰკრავს ხოლმე სიყალბის ელფერი და რაც ყველაზე მთავარია, კომპრომისები არ უყვარს. რაც ჩემთვის არის მნიშვნელოვანი – იმ სათქმელს ვირჩევ და თუ ვინმეს შეუძლია განსაჯოს, რამდენად მალელვებდა სინამდვილეში «დამარცხებული მუშა» ან შევწუხდი უსამართლობით, ან დედაჩემის სიბერე სინამდვილეში ფეხებზე მეკიდა ან სოხუმის ერთი ქუჩა, განსაჯოს – მისი უფლებაა. დიდად არ მალელვებს. უფრო დათქმები მალიზიანებს ხოლმე, რომ მხოლოდ ასეთი შეიძლება იყოს პოეზია, რომ პოეზიის დანიშნულება «ესა და ესაა». ჩემი უფლება – თავისუფლებაა და ვერავინ დედამინის ზურგზე ვერ დამინესებს, როგორი უნდა იყოს ჩემი ლიტერატურა. და კიდევ, მე გემოვნების მჯერა. გემოვნებიანად წერა კი ყველაფერზე შეიძლება. ასანთის კოლოფზეც კი.



გიორგი არაბული: რატომ ეშინიათ სისტემებს ლიტერატურის, რატომ უფრო ხიან მხატვრულ ტექსტებს, 21-ე საუკუნეში ქვეყნიდან გაძევებული და გაქცეული მწერლები რატომ არიან? და რამდენად შეუძლია ლიტერატურას მოძალადე სისტემების ნგრევა.

მე მგონი, შენს კითხვაში ვაპასუხებ – სისტემები. სიტყვაც

ისეთია – სისტემა, რაღაც მწყობრად აწყობილი და რაღაც ნიშნით დალაგებული – ცხადია, როცა ვინმე ამ ვილაცის მიერ დალაგებულის არევას ცდილობს, როცა ამ სისტემაში ვერ ჯდება და მეტიც, ამ სისტემას დასცინის, ის მომენტალურად ხდება მიუღებელი. და სისტემებსაც ხომ გააჩნია, რაც უფრო სასტიკია სისტემა და რაც მეტი აქვს დასამალი და მისაჩქმალი, მით მეტი ძალით იფეთქებს ხოლმე ასეთ სისტემაში მცხოვრები ერთი ან ორი ან მეტი გაბედული ავტორის ხელიდან პროტესტი. ასეთ სისტემასაც მეტად ეშინია სიტყვის და მისი ერთადერთი თავდაცვა – ცენზურა და გაძევება. შეცვლა კი არა – აკრძალვა. ასეთი სისტემები კი, დავხედოთ დედამიწას, ჯერ კიდევ ძალიან ბევრია. და დიახ, ყველა აკრძალვა ასეთ დროს ნგრევის შიშითაა გამოწვეული.

პაატა შამუგია: ბარტმა თქვა, რომ ავტორი მოკვდა. ადორნომ თქვა, რომ აუშვიცის შემდეგ ლექსის წერა სირცხვილია. რა უნდა ვქნათ ჩვენ – უსირცხვილო მკვდრებმა?

უსირცხვილო მკვდრებმა წერა უნდა გავაგრძელოთ, რომ ბარტის და ადორნოს ნათქვამები კიდევ დიდხანს შემორჩეს მეხსიერებას და ისტორიას. უსირცხვილოდ უნდა დავწეროთ, რომ მათ ამ აზრის გამოთქმის აბსოლუტური უფლება ჰქონდათ – ჩვენ კი გვაქვს აბსოლუტური უფლება ამ აზრებს არ დავეთანხმოთ, ან პირიქით. ვისაც როგორ სურს. ლიტერატურა უფრო გამძლეა, ვიდრე თუნდაც რომელიმე გენიოსის ერთი ჭკვიანური ფრაზა. ყველაფერს მოინელებს.

თეა თოფურია: ბავშვობაში რამეზე დაკვრას გასწავლიდნენ? რამე ინსტრუმენტზე უკრავ?

20 წელია, ჩემი მეგობარი ხარ და, მგონი, არც სალამური დაგინახავს ჩემს ხელში აკვნესებული და არც პიანინოსთან თავჩახრილს წამწყდომიხარ სადმე. რა უცნაური კითხვა დამისვი – თუ მუსიკა არის ჩემში რაიმე დოზით, მხოლოდ იმ ლექსების რიტმში, რასაც ვწერ. თუმცა იყო კი, ერთი მტანჯველი შვიდწლიანი პერიოდი, საბჭოთა ბავშვების საერთო უბედურება – სავალდებულო სიარული მუსიკალურ სკოლაში და «ნეაპოლიტანური სიმღერის» რამდენიმე ტაქტი, რომელიც გონებაში შემომრჩა, მაგრამ დაკვრით ვეღარ დავუკრავ. ზოგადად, მაშინდელი დაძალებული აქტივობებიდან არაფრის სიყვარული აღარ გამომყვა სტუდენტობამდე (ლექსის გამოთქმით თხრობიდან ქართული ხალხური ცეკვებით დამთავრებული). მუსიკალური სკოლიდან გამოსული ხმები დღემდე უსიამოვნო განცდას მიტოვებს. იქნებ ამიტომაც, არასოდეს არანაირ ინსტრუმენტზე დაკვრის სწავლის სურვილი არ გამჩენია. ის კი არა, რომელიმე შეკრებაზე რომ გიტარას გადმოიღებდნენ ხოლმე ან პიანინოსთან შეგროვდებოდნენ რაღაცა თვითშემოქმედებით, მე იქიდან მივდიოდი.



დათო ქარდავა: ეკა, ვიცი, როგორ იმოქმედა შენზე ისეთმა ბუნებრივმა მოვლენამ, როგორიც მიწისძვრაა, ვგულისხმობ, გასული საუკუნის 90-იან წლებში, დასავლეთ საქართველოში, იმერეთსა და რაჭაში მომხდარ ძლიერ დამანგრეველ მიწისძვრას. ასევე საყოველთაოდ ცნობილია მონტესკიეს გეოგრაფიზმი – თეორია,

რომლის მიხედვითაც, კლიმატი გავლენას ახდენს ადამიანის ხასიათზე, ზნეობაზე და ა.შ. მაინტერესებს, რა გავლენას ახდენს შენზე, შენს ტექსტებზე ბუნება, ბუნებრივი მოვლენები – ქარი, წვიმა, თოვა, მწველი სიცხეები. რომელი მათგანი გამხნეებს, გმუხტავს ენერგიით, რომელი პირიქით – გაცლის ენერგიას. მათ შორის, შემოქმედებით ენერგიას. ერთი სიტყვით, მაინტერესებს, როგორია ეკა ქევანიშვილის სამყაროს მეტეოროლოგია.

მე თოვლი ვარ. იანვარში დავიბადე და თურმე, მაგრად ბარდნიდა. ჩემს ლექსებშიც, თუკი რამის გახსენება მინდა წარსულიდან, თოვლი ისევე უხვად მოდის, როგორც ჩემს ბავშვობაში. მსგავსი თოვლი იშვიათად მინახავს მერე. ისეთი ხმაც – ფეხსაცმელების ჭრაჭუნის, იშვიათია დედაქალაქში. ახლაც, თუ ხანდახან თბილისში მოთოვს, თუ არავინ მიყურებს, მაშინ განსაკუთრებით, ჩემი საძინებლის ფანჯარასთან ვდგები ხოლმე და თვალებს ვხუჭავ. თოვლს ძველებურად მოაქვს სისუფთავის შეგრძნება და ამ დროს დიდი ქალაქის ცხოვრებაც

ნელდება. პატარავდება. ყველას ნაფეხური მოჩანს და ყველა ჭუჭყი ზედაპირზეა. შესაძლოა იმიტომ, რომ მეტეოროლოგიას ჩემს ტექსტებში, როგორც წესი, არა ბუნების აღსაწერად და ტექსტის მხატვრულად გასამდიდრებლად, არამედ ამბის ნაწილად, რაღაც მოგონების გასაცოცხლებლად ვიყენებ, თოვლს ყველაზე ხშირად შეხვდებით. იქნებ იმიტომაც, რომ ის უკვე ჩემს დღევანდელ ცხოვრებაში იშვიათია. მიწისძვრა რომ ახსენე, იმ შიშს უკვალოდ არ ჩაუვლია – ნგრევა ყველაზე დიდი შიშია ჩემს ცხოვრებაში და ალბათ, ყველაზე მეტად რაზეც მიფიქრია სიკვდილთან მიმართებით, ის არის, როგორ უნდა გამოვასწრო სახლიდან, რომელიც ინგრევა. მაშინ, იმ დიდი და ხანგრძლივი მიწისძვრის დროს, პირველი, რაც დავინახე, შავი ქარბუქი იყო. მას მერე ქარი მძულს და ვერანაირად შემოვირიგე. წვიმაც სოფელში მიყვარს – მწვანეს რომ ჯადოსნურ მწვანედ გადააქცევს და სახურავზე აშხაპუნებს. მიყვარს, ჯერ ნელა რომ იწყება და მერე ეხეთქება. ამ დროს ზედა სართულის რომელიმე ოთახში უნდა იწვე და ხის კოჭებს უყურო. თბილისში წვიმაც რაღაცნაირია – ტალახიანი, ასფალტის მეგობარი. მზე ბოლოსთვის მოვიტოვე – განსაკუთრებულ სიყვარულად. ახლა გამახსენდა, დამინერია, როგორ გიზგიზებდა ერთი ქერა ბიჭის თავი მზესავით, რომელიც მიყვარდა, ან რაიმე სხვა კონტექსტში. ალბათ, ისევ იმიტომ, რომ ზამთარში დავიბადე, საპირისპირო სეზონის, ზაფხულის და მწველი მზის მიმართ განსაკუთრებული ვნება მაკავშირებს. მიყვარს და სულ მეშინია, რომ მალე მორჩება. მიყვარს, იმიტომ რომ, ხომ ვთქვი, მე თოვლი ვარ. და მზე ერთადერთია, რაც მერევა. ძლიერი მტერი ყოველთვის მიყვარდა.

თემურ ჩხეტიანი: ვინ წარმოუდგენია, ანუ, ვის ისურვებდა ეკა ქევანიშვილი «ახალი საუნჯის» მე-100 ნომრის ავტორად? დაგვისახელე ორი ადამიანი, ერთი, ვისაც უკვე ეკუთვნის, მაგრამ ჯერ არ ყოფილა ნომრის ავტორი და მეორე, სრულიად ახალგაზრდა, რომელიც შენი აზრით, უახლოეს 4 წელიწადში დაიმსახურებს ამას.

თავიდან, როცა პროფაილების წერა დავინწყე, ალბათ, 2004 ან 2005 წელი იყო, არასოდეს დამიყენებია ასე საკითხი – ამას ეკუთვნის და იმას არა. ლიტერატურულ პრემიაზეც რომ იტყვიან ხოლმე, ამას ეკუთვნის, დროაო, ეგეც არ მესმის. მერე და მერე, როცა ავტორები გამრავლდნენ და იმ სიასაც გასცდნენ, ვისზეც მე მხოლოდ ჩემი ინტერესით და სურვილით დავწერდი, ეგ «ეკუთვნისაც» გაჩნდა რაღაც დობით და თავდაპირველი კონცეფციაც შედარებით დაიკარგა. თუმცა, აღარ იყო ისეთი სუბიექტური, როგორც თავიდან, როცა მხოლოდ მე ვირჩევდი სასურველ ავტორს. ამიტომ, ასე ვერ გიპასუხებ – ვის ეკუთვნის და ვის არა. თანაც, მე ვინ ვარ, ბოლოს და ბოლოს, მაგას განვსაზღვრავდე. თუ ქართველ ავტორებზე მეკითხები, ვინც დღეს ვრცელი ინტერვიუს მოცემაზე უარბეა და თან მასზე არასოდეს დამინწერია, მასზე დავწერდი – აკა მორჩილაძეს ვგულისხმობ. კიდევ, ვისი ჩაწერაც რაღაც მიზეზებით უბრალოდ ვერ მოვასწარი, ახლა კი, არ ვიცი, დავითანხმებ თუ არა, ასეთი, ბესიკია, ხარანაული. კიდევ ერთი ავტორი მაინტერესებს თავისი ტექსტებით და თავგადასავლით, გივი მარგველაშვილი.

ოთხ წელში ვინ გაიბრწყინებს, არ ვიცი. რაც დღეს იბეჭდება და რასაც მე თვალს ვადევნებ, ასე თამამად გამიჭირდება რომელიმე სახელის გამოყოფა. მხოლოდ ცალკეული ლექსებით ვერ ვიმსჯელებ, გამიჭირდება. ცოტას დაველოდები და მერე გიპასუხებ.

ბესო ხვედელიძე: დამისახელე ერთი ქართული ლექსი, რომელსაც დაწერდი აუცილებლად, ოდესღაც მის ავტორს რომ არ დაეწერა. ზუსტად იგივეს თუ არა, ემოციურად მსგავსს.

ალენ გინსბერგის «ამერიკას». თუმცა ზაზა კოშკაძემ დამასწრო და დაწერა «საქართველო».

დიმიტრი წიკლაური: ეკა, როცა მარკესი გახმაურდა, თქვა, მე ვინა ვარ, ბორხესი მოიკითხეთო, როცა კორტასარით აღფრთოვანდნენ, კარპენტიერის წაკითხვა ურჩია მკითხველს, ერთმანეთს ქაჩავდნენ, იგივე ფუნტესი და სხვები. პაბლო ნერუდა მსოფლიოს ნომერ პირველი პოეტიაო, უოლტ უიტმენს ჯიბეში ისვამსო და აგორდა სამხრეთ ამერიკული ლიტერატურული ბუმი. როგორ ფიქრობ, რამდენად ინტერესდებიან საქართველოში შექმნილი ლიტერატურული ტექსტებით და ევროპა-აზიის საზღვარზე მცხოვრები მწერლების ხედვით, რა პერსპექტივა ისახება ამ მიმართულებით, თუ სიტყვებთან ბრძოლა ადგილობრივი მნიშვნელობის ჭაპანწყვეტად დარჩება დიდხანს და დიდხანს?

პირველი, რაც უცებ გამახსენდა, ის არის, რომ საზღვრები «ვეფხისტყაოსანმაც» კი ვერ გაანგრია. ვერ, არ გამოდის. დიდი ენის მატარებელი პატარა ხალხის ბედია, ალბათ. რაც უნდა დაწერო, როგორც არ უნდა გადარიო შენი ქვეყნის მკითხველები, რა ტირაჟებიც არ უნდა მოხსნა და რამდენი რეცენზიაც არ უნდა დაიმსახურო შინ, როგორი ცნობილიც არ უნდა გახდე აქ, გარეთ მაშინვე წერტილისოდენა ხდები. ვერც გალაკტიონი მივიდა სხვა ენაზე მკითხველამდე. ვერც ვაჟა. ამიტომ, სკეპტიკურად ვარ მეც განწყობილი და შეგუებულის, აქა-იქ, უცხოურ ლიტერატურულ პრესაში გაელვებულ წერილებს,

რამდენიმე თარგმანს სხვადასხვა ენაზე, ცალკეული ავტორების აღიარებას რაღაც მასშტაბით. თუ ერთ დღეს რომელიმე ქართველი ავტორის წიგნის ტირაჟი მილიონობით გაიყიდება, უკანა ყდაზე კი რომელიმე ცოცხალი გენიალური მწერლის ორ სიტყვას წავიკითხავ ამ წიგნის შესახებ, მხოლოდ გამიხარდება.



ირმა
ტავე
ლიძე
:
არის
თუ
არა
წერა
შენს
სასიც
ოცხ
ლო
მოთხ
ოვნი

ლებათა შორის? რა ადგილი აქვს შენს ცხოვრებაში იმას, რასაც წერ? ერთ დღეს პოეტები რომ გააძევონ სახელმწიფოდან, გაძევებული პოეტის ტკბილმწარე ხვედრით მოიხიბლები თუ მებრძოლ ჟურნალისტად დარჩები და მათ უპირობო დაბრუნებას მოითხოვ?

არის, იმიტომ, რომ სხვა თითქმის არაფრის კეთება ვიცი, რაც ასეთ სიამოვნებას მომანიჭებს, და რითიც ვიცხოვრებ – პირდაპირი, მატერიალური თვალსაზრისით. თუმცა ხანდახან თვეები ისე გადის, არ ვწერ და არ ვკვდები. ეგეთ დროს ვფიქრობ, ესე იგი, რაღაც სხვა, უფრო ძლიერი არსებობს, რაც მას ანაცვლებს და სჯობნის. რა,

კონკრეტულად – არ ვიცი. მაგრამ ზუსტად ვიცი, რომელ მხარეს დავდგები, პოეტები რომ ქვეყნიდან გააძევონ. სადაც დღეს ვდგავარ, ჟურნალისტად. ეს იარაღი უფრო ბასრია. ომში კი ის იმარჯვებს, ვისაც უკეთესი იარაღი აქვს. თან, რა იარაღის ხმარებაც იცი, სჯობს ის იარაღი გამოიყენო.

ზაზა კოშკაძე: მე მაქვს ეგეთი შეკითხვა: რა ვუყო ჯვარს ჩემი კორპუსის კარებიდან?

არაფერი. დაწერე მასზე. ისე და იმდენჯერ, როგორც მოგიწოდება. მე თუ მკითხავ, მან უკვე გახადა შენი კორპუსი გამორჩეული. იმ შენი ებოს საფლავებივით, რომლის სიახლოვესაც ბავშვობაში თამაშობდი.

ლელა სამნიაშვილი: ეკა, წერის უნარს რაში გაცვლიდი რომ შეგეძლოს? თუ არის რამე, რისი კეთებაც ძალიან გინდა, მაგრამ ისე აეწყო, რომ არ ან ვერ აკეთებ?

მეეჭვება, მხატვრობა მდომებოდა. ან მუსიკით მომენუსხა ვინმე – სურვილადაც არ გამივლია თავში არასოდეს. არც მსახიობური ნიჭი მდომებია. ასე შემიძლია, უსასრულოდ ჩამოვთვალო, რა არ მდომებია და ვერაფრით მოვიგონო ისეთი რამ, რაშიც წერის უნარს გავცვლიდი. შეიძლება იმიტომ, რომ სიტყვის ყველაზე მეტად მჯერა. სიტყვა მგონია მთავარი გადამრჩენიც და მთავარი მკვლელიც.

ვასო გულეური: ერთ შეხვედრაზე ერთმა ქართველმა მწერალმა თქვა – ბავშვებს სევდიანი წიგნები არ უნდა წავუკითხოთო. შენ როგორ ფიქრობ? ბავშვობაში როგორი წიგნების კითხვა გიყვარდა და რომელმა წიგნმა ან წიგნებმა მოახდინა ყველაზე დიდი შთაბეჭდილება შენზე? შეგიძლია, გაიხსენო შენი ბავშვობის ყველაზე მხიარული და ყველაზე სევდიანი ამბავი?

მაგ თვალსაზრისით, მე «დაუნდობელი» დედა ვარ. მე ვფიქრობ, ბავშვობაში, სევდიანი ამბის წაკითხვით თუ მოყოლით მიღებული განცდა მომავალ, ნამდვილ ცხოვრებაში ბარიერებს გიხსნის. ჩემს შვილს, ნიცას, ბავშვობაში არ უყვარდა ასეთი წიგნების კითხვა. სევდიანია? მკითხავდა ხოლმე. და თუ ჩემგან დასტურს მიიღებდა, გვერდზე გადადებდა გადაუშლელად. სევდიანია «ძმები ლომგულები», თან ძალიან, მაგრამ როდის გაუგებ მათ უკეთ, როცა 30 წლის, მილიონი შენი პრობლემით გაქვს თავი გამოტენილი თუ 12-13 წლისა, ან უფრო პატარა, როცა ყველაზე კარგად შეგიძლია უსამართლობის გაპროტესტება? ან სხვისი დარდით დარდი? ამიტომ, მერე მე ვეუბნებოდი, რომ ასეთ წიგნებს და მათ გმირებს სჭირდებოდა თავისი მკითხველი. რომ ისინი სპეციალურად დაინერა საბავშვო ლიტერატურად. იქნებ ვცდები, იქნებ უნდა ავარიდოთ დამატებით თავისტკივილებს ბავშვები? იქნებ უნდა ვუთხრათ, რომ ის სამყარო არ არსებობს და თუ არსებობს, მას არ შეეხება? არ ვიცი. ამ პოზიციის დამცავებს თავისი მყარი არგუმენტები აქვთ და მათთან კამათს არ ვაპირებ. მე ვაფრთხილებ, მაგრამ სიმართლეს ვეუბნები ხოლმე. ასე მირჩევნია.

სოსო მეშველიანი: ამ ბოლო დროს ხშირად მეფიქრება ამაზე, რაღაც ბავშვივით ჩავიხვიე და მინდა ყველა მწერალს თუ პოეტს ვკითხო ხოლმე. განსაკუთრებით, მათი აზრი მაინტერესებს, ვინც ჩემსავით სოფლიდან მოდის. მოკლედ, როცა შენმა ოჯახის წევრებმა, თუნდაც ახლო ნათესავებმა, პირველად გაიგეს, რომ ლექსებს წერდი, რომ გადაწყვიტე პოეტი გამხდარიყავი, რა რეაქცია ჰქონდათ, როგორ შეხვდნენ ამ ამბავს? იყო ეს მოულოდნელი მათთვის? იყო მათი მხრიდან ხელის შეშლა თუ პირიქით?

მე მგონი, მეტ-ნაკლები დობით, საქართველოში ყველა მშობელს, მამიდას, დეიდას და სხვა ახლო ნათესავს აქვთ ხოლმე ხბოს აღტაცება, თუ მათ შვილებში თუ დისშვილებში და ა.შ. ვინმე ისეთი გამოერევა, ვინც «წერს». განსაკუთრებით მაშინ, თუ თავად არასოდეს უწერიათ, წიგნი და ლიტერატურა კი ძალიან უყვართ. და უფრო კი, განსაკუთრებით მაშინ, თუ მწერლები უსულო და უხორცო არსებებად წარმოუდგენიათ. მიუწვდომელ არსებებად. ჩემთანაც, რაღაც ხანი ასე იყო, რაც მაშინაც და ახლაც ცოტა კომიკურ ამბად დარჩა. თუმცა მერე და მერე ეს ტალღა მინელდა. ვფიქრობ, ჩემები დიდად სერიოზულად არასოდეს აღიქვამდნენ ჩემს «პოეტობას». არც ჩემს ტექსტებს ჩაღრმავებიან, ერთი-ორი იშვიათი გამონაკლისის გარდა. რაღაც უფრო აბსტრაქტული სიხარული ჰქონდათ, ასე მგონია, რომ ერთ წიგნს მეორე მოჰყვა, მეორეს – მესამე, მათგან კიდევ ერთს რაღაც მცირე აღიარება... შესაძლოა, მათი მხრიდან ნაკლებად დაინტერესების გამო იყო, რომ წერისას მუდამ თავისუფალი ვიყავი. არ მიფიქრია, ზედმეტად გახსნილი ტექსტები რომ მეწერა, ისინი რას იფიქრებდნენ. მე, ზოგადად მგონია, რომ ლიტერატურას კომპრომისები არ უყვარს და ისეთ თემაზე, რომელსაც კომპრომისი და სიტყვების შერჩევა სჭირდება, მირჩევნია სულ არ დავწერო, ვიდრე შესაღამაზებლად პუდრა მოვაფრქვიო, რომ არავინ გამინაწყენდეს. ეგეთი პუდრმისაყრელი ჩემი სახეც მეყოფა.

მარიამ წიკლაური: ამდენი პროფაილის ავტორს, ალბათ, შეუძლია თქვას, რა საერთო თვისება აქვთ «ქართველ ავტორებს»? და მეორე, როგორ ფიქრობ, შეიძლება დღეს, ამ ტექნოლოგიურად ძალიან გახსნილ დროში ლიტერატურული პროცესის მიღმა დარჩეს ვიღაც ან რაღაც

ძალიან მნიშვნელოვანი, ლიტერატურას წლების მერე რომ ექნება მოსაძიებელი?

ისინი, ჩემი ჩათვლით, ძალიან ბევრს ლაპარაკობენ თავიანთ თავზე. ეს კი, დროთა განმავლობაში, მოსაწყენი ხდება. შეიძლება ესეცაა ერთ-ერთი მიზეზი, რატომ ვერ იწერება გამორჩეული წიგნები და რატომ ვართ ნაკლებად საინტერესონი წიგნის მსოფლიო ბაზრებისთვის.

ვერასოდეს გამოვრიცხავ, რომ სადღაც იჯდეს ვინმე გენიოსი და ჩუმად წერდეს. თითქოს, ასეთ გამოჩენებს თუ აღმოჩენებს მოველი კიდეც.

ლუკა ბაქანიძე: რასისტული გამოთქმა იყო – კარგი ინდიელი მკვდარი ინდიელიაო. ეგ პოეტებზეც რა მაგრად ჯდება არა ქართულ რეალობაში? და რო ჯდება, რატო ჯდება შენი აზრით? რას მათებს ამისთანას სიკვდილი ხელოვანს, რო ბევრი ტუპოი ტიპს ძეგლს უდგამენ და ვარსკვლავს უხსნიან სიკვდილის მერე და კაი, ცოცხალ და ქორფა მწერლებს კიდე კონკურსი «საბა» გვემარიაჟება აგერ?

სიკვდილი, უბრალოდ ადვილი გამოსავალია – სიკვდილის მერე ყველაფერი მოსულა. ცუდი პოეტის ამაღლებაც და კარგი პოეტის დამდაბლებაც. სიმართლე რომ გითხრა, მე არავითარი ძეგლების, ვარსკვლავების და პანთეონების არსი არ მესმის, მიწისთვის ჯაჯგური ვერ გამიგია, როცა ზუსტად ვიცი, რომ იმ მიწის ქვეშ ყველას ჭიები გვჭამენ. სად შემჭამს ეგ ჭია, მთანმინდაზე თუ ახალსოფლის სასაფლაოზე, სულ ცალ ფეხზე მკიდია და რატომღაც მგონია, მართლა მაგარ მწერლებს კიდე უფრო მეტად უნდა ეკიდოთ. იმ კითხვასაც არ შევუწუხებოვარ, ისევ და ისევ დროებითობიდან გამომდინარე, ვილაც რატომ ააღზევეს, როცა მოკვდა და ცოცხლებს რატო არ გვაგოგმანებენ.

რატომღაც, ჩემი ღელვის სფეროში ეგ ამბები არასოდეს მოხვედრილა, ლუკრეციო, და საერთოდ, მომხრე ვარ, დაგვწვან!

ნინო თარხნიშვილი: რომელ წიგნში შეცხოვრდებოდი და დარჩებოდი საცხოვრებლად?

წიგნების თაროსთან რომ დავმდგარიყავი ახლა, გონება დამეძაბა და ყველა ჩემი საყვარელი წიგნის შინაარსი და პერსონაჟი გამეხსენებინა, ალბათ, კარგად მოფიქრებულ და არგუმენტირებულ პასუხს გაგცემდი. რომელიმე თავზეხელაღებულ გმირს ავარჩევდი. ყველაზე ჯადოსნურ თავგადასავალში გადავცხოვრდებოდი. მაგრამ თუ უცებ დავწერ ახლავე და გულწრფელად, სად მომინდებოდა ყოფნა, ეს «ტომ სოიერის თავგადასავალია», სადაც ყველაფერი ნამდვილია.

ყველა გაჩუქებული ძაღლი სახლში ბრუნდება

კრემისფერი მონადირე, სახელად წარბა, ჩალისფერი ლაქებით,

დაბადებიდან ცხოვრობდა ჩვენთან.

ფრჩხილებს ვაჭრიდით, ვბანდიით, ფანჯრიდან ძვლებს ვუყრიდით.

ხტოდა, გვართობდა.

ხანდახან პურსაც იპარავდა, დედაჩემი მისდევდა ცოცხით.

კვირაობით, გამთენიას,

ჩამოყრილი ყურებით და მოცანცარე კუდით

მამაჩემის ირგვლივ დარბოდა. ერთი გზა ჰქონდათ

გასავლელი.

ყურები დიდი და ჩამოყრილი უნდა გქონდესო,

კუდი არ უნდა მოგერკალოსო, მამაჩემი ეუბნებოდა.

წარბას უყვარდა თავის პატრონი.

ხუთ-ექვს ლეკვს დაყრიდა ხოლმე, ენით ლოკავდა.

მერე ნაწილი უკვდებოდა. ცოტა ხანს დარდობდა.

ახალს აჩენდა.

ცხოვრობდა ჩვენთან კრემისფერი წარბა ბედნიერად,

სანამ ხუთი სოფლის მოშორებით და ხუთი მთის გადაღმა,

აღმართების ავლით და ტყეების გადასერვით

არ გააჩუქეს.

ახალი პატრონი ცნობილი მონადირე იყო – იცოდა წარბას ფასი.

მამაჩემმა გააჩუქა თავისი კრემისფერი მეძებარი,

ჩალისფერი ლაქებით,

მისი შვილით ჩაანაცვლა და იმასაც წარბა დაარქვა.

გაჩუქებული დედამისი კი ყოველ გაზაფხულზე სახლში ბრუნდებოდა.

თოვლი დადნებოდა თუ არა, მაშინვე.

გზა გამოჩნდებოდა თუ არა, ქოშინით აღებდა ჭიშკარს –
ბრუნდებოდა.

წებოვანი ენით გვლოკავდა.

მაგრამ მაინც უკან მიჰყავდათ.

სატვირთოს ძარაზე აგდებული. საბარგულში შეტენილი.

ერთ გაბაფხულზე წარბა ისევ დაბრუნდა.

ჭიშკართან დანვა და მოკვდა.

ემიგრანტი მოლარე სამშობლოში მიდის

ზის უცხო ქვეყნის აეროპორტში,
ფუთებთან ახლოს, გაუნძრევლად.
მოაქვს სამშობლოში დანაზოგით ნაყიდი ხარახურა.
დაღლილ ფეხებს ასვენებს – ფეხსაცმელებიდან ამოუყრია
უხეში ქუსლები.

გვერდით ჩამომჯდარ უცხოს უყვება თავგადასავალს:
მან 20 წელი იმუშავა სამშობლოში მოლარედ, ოხრავს.
რკინიგზა იყო მისი სახლი, ორმოც კაცში –
ერთადერთ ქალს ანებივრებდნენ.
და საჩუქრებიც, სუნამოები, ყვავილები – მასთან
მიჰქონდათ.

ერთ კაცს გამორჩეულად ჰყვარობდა.
გამორჩეულად ელოდებოდა მისი ფეხის ხმას.
რა დრო იყო! სევდით იხსენებს.
რა კარგი იყო მოლარეობა!
რა კარგი იყო ბილეთების ვიწრო სარკმელში გამოცურება.
ზედმეტი ხურდა კაბის ჯიბეში მისრიალებდა, ვინ
დაგითვლიდა.

მოპარული დანაზოგით კი ოდეკოლონს ყიდულობდა თავის
კაცისთვის.

ის კაცი ღამით მოდიოდა. მხოლოდ მალულად.
და მოლარის ახალგაზრდობაც, ნაჩუქარი ოდეკოლონიც
თან მიჰქონდა.

რა კარგი იყო მატარებლების შეკივლების ხმა,
ერთი პატარა დაბის სადგურში! წარსული. რა კარგი იყო!
სამსახურამდე მისვლას ტრანსპორტიც არ სჭირდებოდა.
დღეს კი არ ჰყოფნის ორი ტრამვაიც,
მთელი ქალაქი რომ გადასეროს
და დიდი სახლის კარი შეაღოს, სადაც მუშაობს.

სადაც უკვე ხუთი წელია ელოდება უცხო მოხუცი დილის
ექვსიდან.

მოხუცს – უვლის. პირს ბანს, აჭმევს,

სუნთქვაშკრულს გააქვს მისი ღამის ქოთანნი.

არაუშავს, კარგად უხდიან. გულისრევას მოითმენს, უღირს.

თან, პატრონებმა ერთხელ ქალაქიც შემოატარეს,

რალაც ტაძარი, ბოდბის იხდის, აღარ ახსოვს, ადგილს რა

ერქვა,

მოალოცინეს.

თუმცა კი, ახსოვს, მოოქროვილი ხატები და

საკურთხეველიც.

პატრონებმა აჩუქეს ერთხელ ტანსაცმელიც,

გამონაცვალნი, ევროპული. არაერთხელ

მისცეს უფლება მაცივრიდან აეღო და თან წაეღო

რაც მის გულს სურდა.

სხვა არაფერი.

მხოლოდ დღეის და ხვალის საჭმელი. სხვა არაფერი.

ყოველთვე კარგად ნასწავლი გზით ფოსტაში მისვლა,

ფულის გადათვლა და სამშობლოს მომლოდინე ხახაში

ჩაყრა.

სულ ესაა.

ეს ხდებოდა მთელი ამ წლების განმავლობაში.

დღეს კი, მოლარე, როგორც იქნა, ბრუნდება სახლში.

თავის წარსულში, რომელიც ახსოვს.

ყოფილი პარლამენტარი - ისევ პოლიტიკაში

დასვენება საკმარისია.

და პენსიაც პარლამენტარის,

ამ ბოლო დროს დაცოტავდა, მალე ორთქლდება.

ხოლო ქამრის შემოჭერა, ცოტა მომბებრდა.

მომენატრნენ აბეზარი ჟურნალისტებიც –
ფერად-ფერადი მიკროფონი-მამალოების
პირში ჩაჩრაც მესიზმრა ნუხელ:

რაც უნდა მკითხონ, საბოლოოდ მაინც ტკბილია

ტელევიზორში თავის დანახვა.

თუ არავინ გიყურებს – მაშინ განსაკუთრებით.

სასიამოვნო ჟრუანტელი რომ დაგივლის,

თუ წარმოიდგენ, ახლა შენ გისმენს მთელი ქვეყანა.

საკმარისია ჩირგვში ჯდომა და ლოდინი –

რომელიმე ყვითელ გაბეთს შემთხვევით თუ გაახსენდები.

გკითხავს რამე უინტერესოს,

სახლზე თუ ბაღზე თუ მანქანაზე, რომელიც,

კარგად გამახსენდა, უკვე მოძველდა.

დროა, ახალში გადავინაცვლო.

საკუთარი ფულის ხარჯვაც მოსაწყენია სამოგზაურო

ბილეთებში,

ტელეფონში, სანვავში, მძლოლის გამოძახებაც, ვალიაროთ,

იყო უფრო კომფორტული და მოხერხებული.

საკმარისია, ვიყო ყოფილი პარლამენტარი.

გავაპრიალებ წვეტიან შავ ფეხსაცმელებს,

გახამებული პერანგების ჯარსაც დავრაზმავ.

მძაფრი სუნამოც – ხალხში შესვლისას მხოლოდ მისი სუნი

რომ ვიგრძნო,

საჭიროა მოვიმარაგო.

რამე სლოგანიც მოვიფიქროთ – საყველასო,

მაგალითად, ყველზე და პურზე –
ყველას რაც უყვარს და რაზეც ყველა წამოეგება,
როგორც მატლიან კაუჭზე თევზი.
ვახსენოთ ღმერთი. და სამშობლოც, კარგი იქნება,
ჩავაკვებოთ.
გამოვჩნდეთ ხალხში რომელიმე დიდ ეკლესიაში,
აჯობებს – დიდ დღესასწაულზე.
ღიმილიანი საარჩევნო პლაკატებით მოვედოთ ქუჩებს,
სოფლებს, ქალაქებს.
წინ რომელიმე პარტიისკენ, სულერთია!
ოღონდ დავბრუნდეთ, სჯობს, რომელიც გაიმარჯვებს,
იქ ჩავდგათ ფეხი თუ ჩაგვეტევა,
მერე უფრო ადვილია სადმე გადასვლა.
დროა, დავბრუნდე პოლიტიკაში!
დროა, მეტროში დღეს ჩავიდე და კორპუსთან
შეკრებილების
სულელური დარდი ვისმინო –
დღეს მათთან ასე მიახლოება
ნიშნავს ხვალ მათგან შორს ყოფნას და დასვენებას,
პოლიტიკოსის მოუცლელობას.
დასვენება საკმარისია.
დროა, ჩრდილიდან ნელა-ნელა გამოვიძურწო.

საყვარელი სახლში მირბის

ის გამოცდილია დამალვაში. დაბანაში.

ჩვენი სუნის განიავებაში, ჩვენი კვალის ნაშლაში.

ამიტომ მიდის თავისუფლად. არასოდეს მიიძურნება.

მიდის მხრებგაშლილი, სუფთა. დაცლილ-დაოკებული – გამარჯვებული.

ის წასვლის წინ გვკოცნის კიდეც: შუბლზე, ლოყაზე.

ვნებიანი ნაწილი დასრულებულია, საყვარელი დაოკებული,

ამიტომ ტუჩები – შემდეგ შეხვედრაზე,

მუხლების ლოკვაც მომდევნო კვირაში,

ფეხებშუა ხელის შეხებაც.

ის აღარაფერს ითხოვს და აღარაფერს გვპირდება, როცა მიდის.

დღევანდელი ყველაფერი საკმარისი იყო – მხოლოდ ეჩქარება:

დედინაცვალი დრო ეძახის.

ჩვენ კი გვრჩება დღესასწაული, რომელიც ააფეთქეს –

გარშემო დაყრილი ტანსაცმელი, ტორტის ნარჩენი, ბოთლი ღვინო –

არც გაგიხსნიათ.

ჩვენ შეგვიძლია, წარმოვიდგინოთ მისი მაღაზიაში შევლა – ოჯახის შეკვეთილი სია გრძელია და სავალდებულო.

ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ჩვენი საყვარელი მოხრილიც.

როგორ დაეძებს კორპუსის ძირში ჩამოვარდნილ სარეცხის სარჭებს –

დაავალეს უკან ატანა.

ისიც ასრულებს მორჩილებით – თითქოს ამით მტკიცდება ერთგულება.

ასე გადაღებავს ჩამოფხეკილ სიყვარულს.
ჩვენ შეგვიძლია, მეტად დავიტანჯოთ თავი და
წარმოვიდგინოთ:
როგორ დებს ჩვენი საყვარელი სხვის კალთაში თავს,
როგორი ნამდვილი და დაღლილია იქ, მოჩაჩული,
როგორ მოურიდებლად ამთქნარებს ჩვენი საყვარელი
თავის სახლში,
როგორი თავის სახლია ჩვენი საყვარელი.
დღეში ერთხელ ყველას სჭირდება სახლში ყოფნა.
იქიდან გაქცევა რომ მოუნდეს.
ის გამოცდილია გაქცევებშიც.
ჩვენ კი გამოცდილები ვართ დროებითი თავშესაფრების
მონყობაში –
დევნილი სიყვარულებისთვის.

დროა, ენა ვისწავლო, ლექსები დავიკიდო

მე რომ იაპონურს ვისწავლი,
ცნობილი ქართველი მწერალი გავხდები.
რა შუაშია, გაიფიქრებთ თქვენ – არადა, ეგრეთ.
იაპონიაში რომ მაღიარონ, მათი ენა უნდა ვიცოდე.
რა მნიშვნელობა აქვს, რას ვწერ, მთავარია, ვილაპარაკო,
ვთქვა, რაზეა ჩემი ლექსები. რაზეა ჩემი ამბები.
მთავარია, შეხვედრებზე უხერხული სიჩუმე არ
ჩამოვარდეს,
მთავარია, თავი მოვიწონო ჩემი იაპონურით –
იაპონური ბებიაჩემმა მასწავლა.
მეორე მსოფლიო ომში იაპონელი საყვარელი ჰყოლია,
თვითონ სწორედ მისგან აიღო გაკვეთილები –
ჯერ სექსის დროს იმეცადინეს, მერე, ეტყობა, უფრო
დახვეწა.
ესეც შედეგი – მეც გამომადგა. არც თუ ცნობილ ქართველ
მწერალს.
ეს ამბავიც ყველას იტაცებს, ლექსებზე მეტად,
როგორ ისწავლა ბებიაჩემმა იაპონური შუა ფრონტზე,
მე კი, სწორედ მისი წყალობით, გავხდი ცნობილი.
რა კარგია, რომ იაპონური ვიცი, რა კარგია.
რა მნიშვნელობა აქვს, რას და როგორ ვწერ ჩემს ენაზე.
არავითარი.

ერთხელ, ლაიფციგის წიგნის ბაზრობაზე

ერთი უცხო და ძლიერი ქვეყნის წიგნების დახლზე წიგნი დავტოვე.

განზე გავდექი და დავაკვირდი, რა მოხდებოდა.

უცხო სხეული ძალიან მალე აღმოაჩინეს –

ფურცლეს, ხელში ატრიალებს – ვერაფერი გაუგეს.

რა ენაა? რას უნდა ამბობდეს ეს უცნაური ნიშნები ყდაზე?

მარჯვნიდან მარცხნივ უნდა ვიკითხოთ თუ თავდაყირა –

ბევრი იმსჯელეს.

და ბოლოს ისევ თაროზე დადეს.

ხან ვინ გახსნა ჩემი ამბები, ხან ვინ ააფრიალა ფურცლები.

ხან დედაჩემი ჩამოვარდა, ხან მამაჩემმა ისკუპა და

გავარდა,

ძალიან შორს წაგიყვანივარ ჩემი ქვეყნიდანო.

ის ძველმოდური კაცია.

მისი მოგზაურობა სახლიდან ვენახამდეა და

ვენახიდან მამამისის სასაფლაომდე.

ხან შენობიდან გადმოვარდნილმა მუშამ წამოწია თავი,

ხან ატომური ბომბი აფეთქდა.

ისინი კი ვერ ხედავდნენ.

მარადიული სიყვარულის ამბები უნდოდათ – ჩემთან კი

ყველაფერი უცებ მთავრდებოდა.

სამოთხე უნდოდათ – ჩემთან კი ყველა ჩიტი მკვდარი იყო.

მხოლოდ ხელში ატრიალებდნენ და მერე, თითქოს

ენვოდათ თითები,

სხვას გადაულოცავდნენ ხოლმე.

მე კი ვფიქრობდი ჩემთვის, წადი, ჩემო წიგნო,

ფეხი აიდგი, სული ჩაიდგი.

იქნებ ვინმე ისეთმა გიპოვოს, ვისაც შენი მრგვალი ასოები

მოეწონება.

იქნებ ამბები ეამოს, იქ ცხოვრება გადაწყვიტოს,
გამყიდეთ, ვფიქრობდი, გამყიდეთ, არ მიტყდება.
არც თავის მოკატუნებას ვაპირებ, თითქოს აღარ
მაინტერესებდე, რაკი დაგწერე.

არც თავმდაბლობით გამოვირჩევი, არ მყავხარ
შეჩურთული წიგნებს უკან,

მოუსავლეთში. წინა თაროზე კაშკაშებ:

როცა გწერდი, ყველა ამბავში ვკვდებოდი. შენ კი უკან
მაბრუნებდი –

გაგრძელება მჭირდებაო – როგორ არ უნდა მიყვარდე.
ახლა კი მზად ვარ, გაგვიდონ.

ხელში გვატრიალონ და გვკითხონ, აქ რა გვინდა, რა
დაგვრჩენია.

ჩვენ კი სევდიანად გავიღიმოთ და დავდუმდეთ.

დავინყებული მიწისძვრის გამო

მიწისძვრა. შეირხა პატარა ქალაქი. შეტორტმანდა.
მტვრიანი ქარი ამოვარდა, შავი ქარი.
ბადესავით შემოევლო შენობებს,
ურჩხულივით შემოყო კლანჭები კედლებში.
დააბზრიალა მძინარე ქვები, ასწლოვანი ლოდები ჭკუიდან
შეარყია,
განენა ტირიფები სანაპიროზე,
მიატრიალა მდინარე, გააგდო. ფანჯრებში შემოყარა ხეები.
ფანჯრის ჩარჩოები ებოებში გაფინა.
სახლები გამოყრუვდა, ჩამოიქცა. ხალხი გამოექცა –
ქუჩაში.
ქუჩამ შეიფარა გადარჩენილები.
მინდორში გაშალეს კარვები და შიშით ახედეს ცას –
თითქოს მიწისძვრა ციდან ჩამოვიდა.
ცა კი ელვისგან თრთოდა, მუდმივი მოკლე ჩართვა სჭირდა
ღამეს.
დროდადრო მიწა ურჩად იბურცებოდა, სკდებოდა,
გველი ნაპრალები უჩნდებოდა ზედაპირს.
მიხობავდა ებოდან ებოში.
გულიდან გვირტყამდა მუშტებს.
ხალხი კი ხტოდა – შიშისგან, მოთმენისგან, მოსმენისგან.
სახლები ჭრიალებდა.
დაუზეთავი საკეტები უხორცო ძვლებივით ხახუნობდა.
ზოგმა სახლმა საყრდენ ბოძზე ჩაიმუხლა,
ზოგი ფაიფურივით უცებ დაიმსხვრა,
ზოგი შექანდა და გაძლო – ასეთებში შევედით.
გავუბედეთ.
გათენდა. ნამიწისძვრალი ქალაქი ფანქრით მიჯღაბნილს
ჰგავდა.

საშლელით წაშლილს და თავიდან დახატულს.
ხალხი გაოგნებისგან ფხიზლდებოდა.
მიწისძვრას ზომავდა.
მესამე დღეს – საკუთარ ქონებას წონიდა.
ზარალს უმატებდა, დახმარების შარვლების რიგში
დგებოდა,
ვერტმფრენებიდან ჩამოყრილი კანფეტები უხაროდა.
ერთი კონსერვი და ერთი შეკვრა მაკარონი.
გოგებაშვილის ქუჩაზე მეზობლებმა ამოუცნობი მფრინავი
ობიექტები დაინახეს.
ამერიკელები იქნებიან, თქვა ყველაზე უფროსმა.
მფრინავი თეფშია, თქვა პატარამ და დახატა.
არავინ არასოდეს დაიჯერა, რა ნახეს.
მიწისძვრა ყველამ მოინელა და დაივიწყა,
როგორც ოდესღაც გადატანილი ბოტკინი.

ამონარიდები

(გიორგი ლობჯანიძე, პაატა შამუგია, შოთა იათაშვილი, ლელა კოდალაშვილი, შალვა ბაკურაძე)



«ყველაზე უფრო მეტად ეკას ლექსების კითხვისას გამახსენდა იოჰან ვოლფგანგ გოეთესა და ერთი, მის დროს აღიარებული, პოეტის ამბავი.

ეს პოეტი თანამედროვეობაში ძალიან დაფასებული იყო და ხალხი მის შემოქმედებას აღტაცებული ეგებებოდა. აღტაცებას იწვევდა ისიც, რომ პოეტს შეეძლო ნებისმიერ თემაზე ექსპრომტად შეექმნა

ლექსი – ფორმის თვალსაზრისით, თითქმის უნაკლო და წუნდაუდებელი. ერთხელაც თავისი მშობლიური ქალაქიდან მან გოეთეს ჩააკითხა. გოეთემ იცოდა მისი ამ უნარის შესახებ და პოეტს სთხოვა, იქვე დაეწერა ლექსი გაზაფხულზე. დაჯდა ეს პოეტიც და მართლაც შესანიშნავი ლექსი დაწერა, სადაც ზოგადად აღწერდა გაზაფხულს, კვირტების გაშლას, ხეების გაფოთვლას და ყველაფერს, რითაც ყველა ადამიანისათვის მნიშვნელოვანია გაზაფხული. გოეთემ წაიკითხა ლექსი და პოეტს უთხრა: «იცით რა, მე გთხოვთ, ლექსი დაგეწერათ თ ქ ვ ე ნ ს გაზაფხულზე, აქ კი, საერთოდ, ყველას გაზაფხულზე წერთ და ამიტომაც თქვენი ნამუშევარი ჩემთვის საინტერესო არ არისო».

ეკა ქევანიშვილი კი სწორედ იმით არის საინტერესო პოეტი, რომ ის ყოველთვის თავის «გაზაფხულზე» წერს, იმაზე, რაც თვითონ განუცდია, პიროვნული გამოცდილებით გაუვლია და რაზე ლაპარაკიც მის ლექსებს ლოზუნგურობის, დეკლარაციულობის საფრთხეს არიდებს, თორემ, საერთოდ, ისე ღრმად იჭრება მასთან სოციალური თემატიკა, რომ, ზემოთქმული «დამცავი მექანიზმის» გარეშე, მოსალოდნელი იყო ამ ლექსებიდან ჩვეულებრივი «ენჯეოშნიკური» დეკლარაციები ანდა ჟურნალისტური ოპუსები მიგველო. მძლავრი პიროვნული საწყისი კი ქევანიშვილის პოეზიას ნამდვილ ლიტერატურად აქცევს, სადაც ტონალობა მუდამ ბუსტად არის შერჩეული და გულწრფელობის ისეთი ხარისხია, რომ პოეტი მკითხველსაც ძალაუწებურად თავისი ამბის თანამონაწილედ ხდის. [...]

წიგნის წაკითხვის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ქევანიშვილი მეტისმეტად გულწრფელია – ზოგჯერ აგრესიულად გულწრფელიც კი – და არასოდეს ლაპარაკობს ევფემიზებულად, გადაკვრით იმაზე, რაზეც ხმამაღლა და პირდაპირ უნდა ისაუბროს.

პრინციპულად, შესაძლოა, სწორედ ეს იყოს ერთადერთი მხატვრული სამკაული, რასაც ის ლექსის წერისას გამოიყენებს, თორემ ეკა ქევანიშვილი საგანგებოდ გაურბის ყოველგვარ მხატვრულ ხერხს, რამაც, შესაძლოა, ლექსის ტონალობა დათაფლულობისაკენ გადააქანოს. საერთოდ, პოეტური ენა, რომელიც საგანგებოდ სადაა, მაგრამ არა პრიმიტიული, ძალზე საყურადღებოა ეკა ქევანიშვილის ამ კრებულში. [...]

ეკა ქევანიშვილის პოეტური კრებულის სათაურიც კი გარკვეული მეტაფორაა. სახლის გაყიდვაში აქ

იგულისხმება ყველაფერი იმისაგან თავის დაღწევა, იმ ყველაფრის თავიდან მოშორება, რაც პატრიარქალური გარემოს ოდინდელ ადათებს აკანონებს. სახლი, სადაც ადამიანი – და განსაკუთრებით ქალი – დადგენილი წესრიგის სივრცეს ემორჩილება და ამიტომაც ნელ-ნელა კარგავს პიროვნულობას, საკუთარ იერსახეს. ამიტომაც ყიდის ეკა ქევანიშვილი სახლს, რათა მერე ამით უფრო მნიშვნელოვანი, ღია სივრცეში სიცოცხლის უფლება შეიძინოს. ეს სივრცე პოეზიის სივრცეა და აქ ყველა ამბავი ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით კი ამბავი იმაზე, თუ როგორ და რატომ უნდა გავყიდოთ სახლი.»

გიორგი ლობჯანიძე

«თანამედროვე პოეზიაში ეს რეპორტიორული სტილი ნამდვილად ცოტა ჭარბობს, რაც, პრინციპში, დროის ამბავიც არის, როდესაც გინდა, მოკლედ გადმოსცე რაღაც მნიშვნელოვანი ამბები, ასე ვთქვათ, არ გამოტოვო პატარა დეტალიც კი. ამას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე. უარყოფითი შეიძლება ის იყოს, რომ რაღაც პოეტური ქარგა შეიძლება შევიწროვდეს და სწორედაც რომ ამბავმა შეავიწროოს პოეტური გამოხატვის ფორმები, თუნდაც მეტაფორები, ეპითეტები და ასე შემდეგ, მაგრამ ეს არის ის, რაც ძალიან კარგად ასახავს თანამედროვე ადამიანს და მე ვფიქრობ, რომ თუ პოეზიას უნდა იყოს ზედროული, ის, პირველ რიგში, უნდა იყოს დროული და, ამ თვალსაზრისით, ეკას პოეზია ძალიან დროულია. ვნახოთ, იქნება თუ არა ზედროული»

პაატა შამუგია

«ეკა ქევანიშვილის ლექსებიდან პასტორალური ფერები და არომატები სულ მოდიოდა, ბოლო წიგნში კი მეტი სიმძაფრე და სევდა სდევს ამ განწყობებს. თან. ეს სევდა

ძირითადად ორ ადამიანს შემოაქვს – დედას და მამას, რომლებიც უკვე მოხუცდნენ, ჯანი აღარ მოსდევთ, მაგრამ მიწის ერთგულები არიან ჯიუტად, ბოლომდე. ერთგულები არიან ცხოვრების ძველი, ჯანსაღი წესის... რეალურად, თუკი ევაკუაციაზე ვილაპარაკებთ, პოეტი ამ წიგნში მხოლოდ ერთი ტიპის ევაკუაციას ახორციელებს: აფეთქებების, უსამართლობების, სიყალბეების ეპიცენტრიდან დროდადრო თავისი მოხუცი მშობლების სამყაროში, თავის ბავშვობის მოგონებებში გარბის, იქ სულს ითქვამს და მერე ისევ უკან ბრუნდება, რათა ამ სიმახინჯეებთან განწირული ბრძოლა კვლავ გააგრძელოს. ზოგან პასტორალური სამყარო ცალკე არსებობს, თითქოს არანაირ შეხებაში არაა დღევანდელიობასთან, მაგრამ უფრო ხშირად ეს ორი სამყარო ერთმანეთში იჭრება, პასტორალი თუ პირადი ინტიმური სივრცე სისასტიკესა და აგრესიაში ილუფხება. და, ცხადია, არის მესამე ტიპის ლექსებიც, სადაც პოეტი პოლიტიკური თუ სოციალური დანაშაულებების ველს იკვლევს. მხატვრული შთამბეჭდაობის თვალსაზრისით, ზოგიერთი ლექსი განსაკუთრებით გამოირჩევა: «მემახტის ცოლის სიმღერა», «ღორის თავის საჩივარი», «ცივად და საქმიანად. უსისხლოდ»... ეს ლექსები სახეებით, ცვალებადი ინტონაციებით, ზუსტად დაჭერილი ენით ძლიერ ეფექტს ახდენენ. არის ძალიან მტკივნეულ თემატიკაზე დაწერილი ისეთი ლექსებიც, ეს მხატვრული ატრიბუტიკა რომ აკლია, ჩემი აზრით, მეტისმეტი პირდაპირობითაა დაწერილი. ანუ ცხელ გულზე თითქოს ავტორმა ზედმეტად ჩათვალა მეტაფორულ გაფორმებაზე და ტექსტის პოეტურად «გაკეთილშობილებაზე» ეზრუნა. შესაძლოა, ეს მისი პოზიციაცაა – თვლის, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სჯობს, მკითხველს სათქმელი შიშვლად, შუბლში აჯახოს. თუმცა ამ დროს, ჩემი აზრით, უკვე აღარ რჩება პოეტური

იდუმალემა, მიზანმიმართულად სადღაც განწყვეტილი, ბოლომდე არგაშიფრული სათქმელი, რომელსაც მკითხველმა თავად უნდა მისცეს დასრულებული სახე.»

შოთა იათაშვილი

«ეკა ქევანიშვილის პრევალირებულობის შინაარსი ისაა, რომ ის არავის ჰგავს მაშინ, როცა პოეტურ «მამებს» «შვილები» უნებლიეთ ირჩევენ ხოლმე. ის იმდენად სტიქიურია, ვერ ასწრებს გაიაზროს, ინტელექტუალურ შრეებში გაცრას, გამოფილტროს სიტყვები, სახეები, სტილი, რიტმი. ის გრძნობს და ფანტავს, თავიდან იცილებს. ამ დაყრილ-გაფანტულს, ცხადია, ჭუჭყიც ხშირად მოჰყვება. ამიტომ არაა რაფინირებული მისი ლექსი, მაგრამ პირველყოფილი და თვითკმარია თავისი ასოციაციურობით, კანტიკუნტი რემინისცენციებით წარსულიდან დღემდე, დღევანდლობიდან – წარსულამდე. ავტორი თითქოს საგანგებოდ უარყოფს ფორმალიზმს. მისი ინტრონიზაციის პროცესი პრაგმატული გარემოს თანხლებით და აქტიური ჩარევით მიმდინარეობს – მას არ უყვარს (როგორც ჩანს) ტვინის ჭყლეტვა, სათქმელის სხვასთან გადამონმება, საკუთარი თავის მოტანა-მორთვა. ის ჭიუტია, სიტყვებს პრეტენზიულად აპნევს და ამით თითქოს გეუბნება – ესაა ნამდვილი, დანარჩენი ყველაფერი შეფუთვის საქმეა. მოგწონვარ? მიმიღე ასეთი – სიშიშვლეს ახლავს თავისი წილი სიმახინჯე, სილამაზეც... [...]

ბოლო წლებია, ქართველ ქალ პოეტებს გაუჩნდათ სურვილი, აეხადათ რიდე, რომელიც მათ ფარულ ეროტიზმს მალავდა. ეკა ქევანიშვილი ამ მხრივ უბრალოდ თავზეხელაღებულია. ეს განცდა იმიტომ ჩნდება, რომ ერთი შეხედვით მისი პოეზია არ არის ე.წ. ქალური პოეზია,

რადგან უმეტესად მამაკაცური ენერგიით იბრძვის,
დაუნდობლად ამხელს, პირუთვნელად აღიარებს, უტევს
სხვას და საკუთარ თავს... და ასეთ ავტორთან ხანდახან,
მოულოდნელად, ყოველგვარი ლირიკული განწყობის
შექმნის გარეშე, როგორც უცებ მარცვლით სავსე გახსნილი
ტომარა, თავზე «გეპნევა»:

*«ასეთ დროს ჩემი ფეხები შენს
წელზეა შემოხვეული.
საშო სავსე.
ხელებით მიჭირავს შენი საფეთქლები
და თავი,
როგორც ცეცხლოვანი დისკო,
როცა მხრებზე გადმოვინაცვლებ –
ხორცი იწვის და კვამლისგან
ვახველებ.
მერე გაბერილ ფილტვებს განვდი,
როგორც იალქნებს,
ჩემში მინდა შეცურო. საჭე მარჯვნივ,
საჭე პირდაპირ. საჭე წრიულად.
სანაპიროს ნისლით გიფარავ,
მინა უცებ რომ გამოჩნდეს,
საინტერესო აღარ იქნება.
შენი ცურვა გამთენიამდეა.
მერე შენი ენა შტურმანია.
მკლავი სადავე.
ჩემი წელი უნაგირი.
მუხლები სახნისი
მინა სველია და ბნელი.
ჩვენ კი ვთესავთ».*

ის არაფერს არ ნიღბავს, არ კეკლუცობს, თვალს არ
გვარიდებს. მას ამ მომენტში უბრალოდ, არ

ვაინტერესებთ...»

ლელა კოდალაშვილი

«ეკამ აღზარდა მთელი თაობა არამართო პოეტების, არამედ ადამიანების. ასწავლის, ცხოვრებას ასწავლის, როგორ უნდა დააღწიოს თანამედროვე ქალმა ან, თუნდაც, კაცმა, რომელსაც აქვს თავისუფლების დიდი სურვილი გულში, ამ ცხოვრების ორღობეებს და როგორ გრძნობებს და ფიქრებს უნდა მოუხმოს საკუთარ გულში და გონებაში იმისათვის, რომ დაამარცხოს ჩვენი მახინჯი ყოფა.»

შალვა ბაკურაძე

რაიენ ვან უინელი

ბიოგრაფია



რაიენ ვან უინქლი თანამედროვე ამერიკელი პოეტი, პოდკასტერი, პერფორმერი

და კრიტიკოსია, რომელიც ცხოვრობს ედინბურგში. დაიბადა 1977 წელს. გამოცემული აქვს ორი პოეტური კრებული: «ხვალ ჩვენ უნდა ვიცხოვროთ აქ» (*Salt*, 2010) და «მშვენიერი სიბნელე» (*Penned in the Margins*, 2015). მისი ტექსტები შესულია 2010 წლის «თანამედროვე პოეტთა ოქსფორდის ანთოლოგიაში».

პუბლიკაციები: *The American Poetry Review*, *The Guardian*, *Poetry Scotland*, *AGNI* და სხვა. კურირებს ლიტერატურულ ფესტივალებსა და მთარგმნელობით ვორქშოფებს. მიღებული აქვს არაერთი ლიტერატურული პრემია.

ავტორია პოეტური პერფორმანსის: «წითელი, როგორც ჩვენი საძინებელი», რომელიც «გარდიანმა» შეაფასა, როგორ «ინტიმური და შთამბეჭდავი». მისი ტექსტები თარგმნილია ქართულ, სერბიულ, ბულგარულ, ლატვიურ, ფრანგულ, თურქულ, არაბულ, გერმანულ, რუსულ და სხვა ენებზე.

რაიენ ვან უინქლის ინტიმური ექსპერიმენტები

ესაუბრა ნენე გიორგაძე



ნენე გიორგაძე: რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი მოტივაცია, როცა შეერთებული შტატებიდან გაერთიანებულ სამეფოში გადახვედი?

რაიენ ვან უინქლი: ეს გადანაცვლები მნიშვნელოვანნილად ახალგაზრდული ასაკის გამო მივიღე. 1999 წელს 21 წლის ვიყავი, უნივერსიტეტი ახალი დამთავრებული მქონდა. გავიგე, რომ ედინბურგში ძალიან მაგარი საახალწლო წვეულება იმართებოდა.

მინდოდა, საუკუნის დასასრულს სადმე საინტერესო ადგილას ვყოფილიყავი. გადასვლა ადვილი იყო, თუმცა დამკვიდრება გაცილებით რთული. ედინბურგში დავრჩი, რადგან იქ ვიპოვე თანამოაზრე არტისტებისა და აქტივისტების ჯგუფი. ერთად ვაკეთებდით პერფორმანსებსა და ექსპერიმენტებს. სწორედ ამ სულისკვეთების გამო დღესაც ედინბურგში ვცხოვრობ.

ნ.გ. შენს პოდკასტში, რომელიც ატვირთულია შოტლანდიის პოეტური ბიბლიოთეკის ინტერნეტ-გვერდზე, მოწვეულ არტისტებს ხშირად უსვამ კითხვას დაუმთავრებელი პროექტების შესახებ, რომელიც ძალიან

მომწონს. რატომ ფიქრობ, რომ «დაუსრულებელი პროექტები» მნიშვნელოვანია?

რ.ვ.უ. როცა ჩვენი პოდკასტისათვის – «კულტურული ლაზერი» – ინტერვიუებს ვიწერდით, ბონუსად დავამატე მასალა, სადაც არტისტებს ვეკითხები დაუსრულებელი პროექტების შესახებ. გულახდილად რომ გითხრა, ეს იდეა ვისესხე ჰანს ულრიხ ობრისტისგან, რომელიც კურატორად მუშაობს ლონდონის «სერპენტინის გალერეაში». «ნიუ იორკერში» მისი შთამბეჭდავი პროფილი წავიკითხე, სადაც აღნიშნავდა, რომ ეს მისი საყვარელი შეკითხვა იყო. ავლელდი, რადგან მიმაჩნია, რომ შემოქმედებით ადამიანებს ერთი-ორი ამბიციური და განუხორციელებელი პროექტი მაინც აქვთ ჩაფიქრებული. საინტერესოა, როცა რესპონდენტი ასეთ აბსტრაქტულ პროექტზე გიყვება. პროფილის წაკითხვის შემდეგ ვიფიქრე, რომ დაუსრულებელმა პროექტებმა მომავალში იქნებ ფრთები შეისხას ოცნების ხმამალალი არტიკულაციის შედეგად.

Red Our Bedroom Used to Feel

პოეტური პერფორმანსი «წითელი, როგორც ჩვენი საძინებელი» (Red Our Bedroom Used to Feel) – ესაა ინტიმური სივრცე სპეციალურად შექმნილ საძინებელ ოთახში, სადაც ავტორი 20 წუთის განმავლობაში მხოლოდ ერთი მსმენელისათვის კითხულობს თავის ლექსებს. შოუს ტრაილერი შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე:
<https://www.youtube.com/watch?v=5Lnel9yQVRA>

ნ.გ. როგორ ფიქრობ, განსხვავებული შეგრძნებები გაქვს «ერთი ერთზე» კითხვისას აუდიტორიის წინაშე «კონვენციურ» კითხვასთან შედარებით?

რ.ვ.უ. «ერთი ერთზე» კითხვა ძალიან განსხვავებულია რამდენიმე მიზეზის გამო:

ასეთი ფორმატი პერფორმანსის საშუალებას მაძლევს, ლექსები ინარჩუნებენ ისეთსავე ტონალობას, როგორც წერის პროცესში, როცა ისინი გაცილებით ინტიმურად უღერენ. ამ ლექსების დიდი ნაწილი საკუთარ თავთან ან საყვარელ ადამიანებთან ჩურჩულივითაა და მყუდრო, ოდნავ განათებული ოთახი მათთვის საუკეთესო გარემოა – აუდიტორიის წინაშე ეს მუხტი შეიძლება დაიკარგოს. ამიტომაც შევქმენი ისეთი სივრცე, სადაც კარგად ისმის მათი ხმა, მათი ტონალობა.

როცა ასეთ გარემოში ვკითხულობ, უშუალოდ ვხედავ, როგორ მოქმედებენ ჩემი ლექსები ადამიანებზე. მქონია შემთხვევები, როცა ხალხი პერფორმანსის დროს ტიროდა. ეს იმედისმომცემი იყო, რადგან, «ერთი-ერთზე» კითხვა ნაწილობრივ იმისათვისაც დამჭირდა, რომ გარკვეული ლექსების შესახებ აზრი ჩამომეყალიბებინა, – მეგონა, რომ ისინი მხოლოდ ჩემთვის იყო გასაგები. პერფორმანსის დროს უშუალოდ ვხედავ, თუ როგორ მოქმედებენ ისინი მსმენელზე. აუდიტორიის წინაშე კი ასეთი განცდა არ მაქვს.

ნ.გ. რა იყო ამ პერფორმანსში შენთვის ყველაზე რთული და საინტერესო?

რ.ვ.უ. არ ვიცი, ვერ ვიხსენებ რაიმეს. ასეთ შედარებას გავაკეთებდი: თითქოს ზიხარ ძალიან მგრძნობიარე ნერვული დაბოლოების შიგნით.

ნ.გ. როგორც ვიცი, 20 წუთია გამოყოფილი თითოეულ მსმენელზე. ხომ არ იცვლება ეს დრო იმისდა მიხედვით, თუ ვინ გისმენს? თუ «ზარი ირეკება» სადმე?

რ.ვ.უ. ამ პერფორმანსს ჩემი მეგობრის, გარეტ უორნერის საუნდტრეკი მიჰყვება. თითოეული შოუ დაახლოებით 20

ნუთს გრძელდება და სულ ერთია, ვინ ზის ოთახში – ეს დრო იგივე რჩება. საუნდტრეკი იწყება ლექსით და შემდეგ ელექტრონული მუსიკა ისმის, რომლის ფონზეც მე ვკითხულობ. როცა კითხვას მოვრჩები, გავდივარ, მსმენელი კი ოთახში რჩება და შეუძლია დაათვალიეროს იქაურობა. აუდიოჩანაწერში ბოლოს ისევ ჩემი ხმა ისმის, ლექსს ვკითხულობ და ჩანაწერიც ამით სრულდება. პერფორმანსი დამთავრებულია, მსმენელი რეალურ სამყაროს უბრუნდება.

ViewMaster

«ვიუ მასტერი» ასევე «ერთი-ერთზე» პერფორმანსია სპეციალური დიზაინით შექმნილ სივრცეში, რომელიც მოგაგონებთ პატარა კარავს, სადაც ბავშვები თამაშობენ. დიასკოპის გამოყენებით რაიენსა და მის პარტნიორს, დენს, ვირტუალურად მიყავხართ დედამიწის სხვადასხვა ადგილას, იქნება ეს მექა, მდინარე ნილოსი თუ მსოფლიოს შვიდი საოცრება.



ნ.გ.
რატომ
გადა
წყვი
ტე
მეორ
ე
«ერთ
ი-
ერთზე
ე»

შოუს გაკეთება? რა მიზანი გქონდა?

რ.ვ.უ. «ვიუ მასტერი» გასართობად მოვიგონე ჩემს მეგობარს, დენ გორმანთან ერთად, რომელიც მუსიკას წერს და მას ჩემთან ერთად ასრულებს. დენმა აიღო თავისი დიაფილმები, მექას და სხვა ქალაქების სლაიდები. ვიფიქრეთ, რომ შეიძლებოდა, აქედან რაიმე გამომდინარეო.

მე და დენი ერთად ბევრს ვმუშაობდით და ვმოგზაურობდით. გაგვიმართლა და ფესტივალებსა და მთარგმნელობით პროექტებზე ვიყავით სირიაში, ლიბანში, პაკისტანში და ერაყში «ჰაილაით არტისა» და ბრიტანეთის საკონსულოს ეგიდით. იქიდან გამომდინარე, რომ ეს პროექტები მასშტაბური გახლდათ, ძალიან დაკავებულები ვიყავით – გამუდმებით ვპასუხობდით ტელეფონის ზარებსა თუ ელექტრონულ ფოსტაზე მოსულ წერილებს ბიუჯეტზე, ბიოგრაფიებზე, დედლაინებზე, ვიზებზე და ა.შ. მაგარ დროს ვატარებდით, ვხვდებოდით საინტერესო ადამიანებს, ვხედავდით, როგორი ახლო კომუნიკაცია მყარდებოდა არტისტებსა და აუდიტორიას შორის, ვაკეთებდით შთამბეჭდავ ივენთებს და ვწერდით წიგნებს, რომლებშიც გულწრფელად აღვწერდით სხვადასხვა კულტურისა და ბიოგრაფიის მქონე ადამიანების ერთად მუშაობის გამოცდილებას. საოცარი დრო იყო, ძალიან მოგვწონდა, რასაც ვაკეთებდით, მაგრამ სტრესულიც იყო, რადგან ძალიან ბევრ ორგანიზაციულ საქმეს მოიცავდა. არცერთ ჩვენგანს შემოქმედებითი ენერჯია არ გვაკლია და ამიტომაც დენის რეტრო-სათამაშოდან «ვიუ მასტერი» გამოვიგონეთ.

შოუს შექმნიდან გარკვეული დროის შემდეგ ვიფიქრე იმ იმპულსებზე, რასაც იგი მიტოვებდა. მთელი

პერფორმანსის განმავლობაში მხოლოდ მე და დენი ვსხედვართ კარავში, ტელეფონები გამორთული გვაქვს და ვსაუბრობთ, როგორც იატაკზე მჯდარი ორი ბავშვი, ხომ გესმის. ხალხი შემოდის და ჩვენ მათ ლექსებს ვუკითხავთ, სამოგზაუროდ მიგვყავს, სუვენირებს ვაძლევთ და უკან ვუშვებთ. «ვიუ მასტერი» ჩემთვის (და ალბათ დენისთვისაც) იყო განტვირთვისა და ფიქრის საშუალება. იქიდან გამომდინარე, რომ აუდიტორია აკონტროლებს «ვიუ მასტერის» რიტმს, ისინიც ერთვებიან თამაშში. მნიშვნელოვანია, საკუთარ თავს შევახსენოთ, რომ თამაში და წარმოსახვა სიცოცხლის აუცილებელი ნაწილია. პერფორმანსის იდეაც ამაში მდგომარეობს.


Commiserate

«თანაგანცდა» ყოველთვის პოეტური ექსპერიმენტია: რაიენი რომელიმე პოეტთან თუ არტისტთან ერთად წერს ლექსს, რომელსაც ხშირად აუდიტორიის წინაშე პარტნიორთან ერთად კითხულობს.

ნ.გ. როგორ არჩევ პოეტს/არტისტს, ვისთან ერთადაც წერ ლექსს. საიდან იწყება ეს პროცესი: ჯერ იდეა იბადება და მერე კონკრეტულ პოეტზე ფიქრობ, თუ პირიქით?

რ.ვ.უ. პერფორმანსი «თანაგანცდაც» თამაშის იდეას ატარებს. მას რაიმე კონკრეტული მიზეზი არ აქვს. ზოგჯერ იმ თემაზეა მორგებული, რომელზეც ამა თუ იმ პოეტთან მაქვს საუბარი, და ზოგჯერ – კონკრეტულ იდეაზე. ზოგჯერ კი ვიწყებთ წერას და მანამდე ვწერთ, სანამ ბოლოში არ გავალთ. მე მსურს, რომ მეორე არტისტი აბსოლუტურად თავისუფალი იყოს და ვცდილობ, ამისათვის ყველაფერი გავაკეთო. მაგალითად, ჯო მორგანს სურდა გრძელი ტექსტი დაეწერა, საერთოდ ასე წერს. «ზოდიაქოს ნიშნები» ჩვენ შორის დისკუსიას დაემსგავსა ზოდიაქოს თითოეული

ნიშნის შესახებ. სხვა პროექტებთან სხვაგვარადაა. მაგალითად, სტრიქონებს ვუგზავნით ერთმანეთს, სანამ ისინი კუპლეტად არ ჩამოყალიბდება ან ლექსი დასრულებულ სახეს არ მიიღებს. მე მომწონს ასეთი აღმოჩენები და განცდა, თუ როგორ თანამშრომლობს და ერწყმის ერთმანეთს ორი პროექტი.



ნ.გ. და თუკი არ მოგეწონა მეორე პროექტის მიერ დაწერილი მონაკვეთი?

რ.ვ.უ. არასოდეს მაქვს ასეთი განცდა. მაგრამ თუ ტექსტის რომელიმე ნაწილი სუსტია ან გაუგებარი, ანდა ლექსი ისეთი მიმართულებით მიდის, რომელიც უნდა შეიცვალოს, რაღაცას ვამატებ, რაღაცას ვშლი, მოკლედ, შეძლებისდაგვარად ვამუშავებ და ვაკვირდები, თუ რა გამოდის მისგან. ზოგჯერ სტრიქონს უკან ვაბრუნებ, მაგრამ კონტექსტია შეცვლილი და ამიტომაც ძველი

სტრიქონი ახალ კონტექსტში ჯდება.

მეორე არტისტის მიმართ პატივისცემით ვარ განმსჭვალული, როცა ტექსტს რედაქტირებას ვუკეთებ. ხოლო როცა ვერ ვხვდები, რაზეა საუბარი ტექსტში, რომელსაც მიგზავნიან, ვზივარ და ვფიქრობ, სიტყვებს ვაყურადებ და ჩემი პასუხი ამას ირეკლავს – ემპათიას იმ მასალის მიმართ, რომელსაც ვცდილობ, ჩავწვდე. რა თქმა უნდა, ყველა ლექსი, რომელიც ამ პროექტის ფარგლებში

იქმნება, არ ბრწყინავს. როგორც კი ახალ ტექსტს ჩემს პარტნიორს ვუგზავნი, ვიცი, რომ იგი სანდო ადამიანის ხელში ხვდება. თუ მათ არ მოსწონთ ის, რაც მე დავწერე, ვცდილობ, ვიფიქრო, რომ მიცავენ საკუთარი შეცდომებისგან.

კალამი

წერილი რომ დაგიწერო,
მილიონი რამ უნდა მოვიმოქმედო:
ცხელი წყლით მიწა დავასველო,
ცეცხლის დასანთებად ასანთს გავკრა,
ჩაიდანში წყალი ავადულო,
ყინული საკმარისად მოვიმარაგო,
რადგან სპირტიანი სასმელი დამჭირდება,
პირველი სიტყვა ფურცელზე რომ გამოვიყვანო.
ლოგინი უნდა გავასწორო, სახლი დავალაგო,
შხაპი მივიღო, თმა დავივარცხნო,
წარბები და საძაგელი პანანინა ბუნუნები
უნდა დავიქნა ცხვირის ნესტოებიდან;
უნდა გადავრჩე და ისეთი დღე უნდა იყოს –
ჩამომჭდარმა რომ არ ვიტყვო,
დღე, ათასი გამარჯვებით და დამარცხებით,
როცა გამარჯვება მეტია დამარცხებაზე,
როცა მელოტი თავის აღარ შემეშინდება,
როცა არავინ დააფურთხებს ჩემს ფეხებთან.
სწორედ მაშინ,
ზამბარას ალბათ ხელში მოვკუმშავ
და თეთრზე შავ ფერს გადავატარებ.

ბაბილონი



ჩვენი გიჟური სექსი ბაბილონის გოდოლს აშენებდა. ჩვენ ერთმანეთს ვტყნავდით და მივიწვევდით ზემოთ და როცა ვათავებდით, გვიმზერდა ღმერთი. მერე დადგა დრო, როცა ტყნაური აღარ შეგვეძლო.

ჩვენ გავიხსენეთ, რაც გოდოლის შესახებ ეწერა: და გაფანტა ხალხი უფალმა მთელ დედამიწაზე და აღრია ენები, რომ ერთმანეთის აღარ ესმოდეთ, როგორც მე და შენ, როცა ჭურჭლის რეცხვისას წუნუნებ, რომ არ მესმის შენი, ან როცა მე გეტყვი, რომ პური ცერადაა დაჭრილი, ან მაკარონი – ზედმეტად მარილიანი, ჩინურივით ჟღერს ჩემი სიტყვები, და მე ვიცი, რომ ღმერთმა სექსის დროს დაგვინახა და თქვა: «ნახეთ, ესენი ერთ ენაზე საუბრობენ, და ეს მხოლოდ დასაწყისია იმისა, რასაც მომავალში ჩაიდენენ.» ღამლამობით მოდიხარ ჩემთან და ათავებ საქმეს, ზოგჯერ კი მე გასწრებ გათავებას:

დამცხრალი სხეულითა
და განსხვავებული ენით.

მოხუცი ფოტოგრაფი თავს ანებებს გადაღებას

ჩემო ძვირფასო ფოტოაპარატო, დღეს ჩვენ ვართ
გლაუკომა.

ახლა დროა, სხვანაირად გამოგიყენო:

ტკივილისაგან გაგაფერადო,
კოჭლი ძალღივით გაგასეირნო,
მიგაჩუქო სლავ ჟურნალისტს.

გულთან ახლოს ველარ დაგიჭერ, ნახე, როგორ
ანაპნიან ფულს მხატვრები ზღვაზე გარუჯულ ლამაზმანებს:
ისე, როგორც ყულფს, სხვის კისერზე ჩამოგკიდებენ,
ჯიბეს კენჭებით აგივსებენ,
თვალეზივით ამოგთხრიან ლინზებს
და ბოლოს ჩაგტოვებენ აბაზანაში.

ჩვენ იმდენი შავ-თეთრი ვნახეთ,
ტონებსა და კონტრასტებზე ვიმუშავეთ,
რომ ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუკი ასე
ჩაბნელდებოდა.

ჩემთან ერთად წაგიყვანდი,
მაგრამ უკვე ვერაფერს ვხედავ, ვერაფერს ვიღებ,

არ შემიძლია ველოდო, როდის გამჟღავნდება რძესავით
ფირი,

გაუმჭვირვალი, ნახევრად თეთრი,
სანახევროდ ველარ ვუყურებ მოკლე ბილიკებს.

ზაფხულის ღამეები, სეირნობა

სამყარო — ჩუმი, როგორც
თეთრი და შავი და თბილი,
როგორც დაუთოვებული საყელო.
გთხოვ, მაპატიე,

რომ არ დავკიდე ჩემი პერანგი იქ,
სადაც იყო მისი ადგილი.
შეგიძლია თქვა, რომ რაღაცას მივხვდი

როცა დაინრიტა ეს წელიწადი,
როცა იდგა ყავისა და რეჰანის
სურნელი, როცა ამოხეთქა რადიოდან
ჩერნობილმა. ის ქალაქიც —

ზაფხულობით ჩუმი, კედლებზე დაპაუზებული
მოჩვენებებით... ღამის ქუჩაში წავაწყდი ფოტოს:
ხის ტანი, ძირში გადატეხილი ტოტებით —

შენი ხერხემალივით რელიეფური —
პირდაპირ ჩემზე ეცემოდა.
და გთხოვ, მაპატიე:

რომ დამავინყდა – სიყვარულს აქვს რაღაცის გემო,
რომ ხეები იდრიკებიან, როგორც მოქნილი ხერხემლები,
რომ გულები ხმაურით იმსხვრევიან, რომ ქარი, თოვლი,
ჩამოშლილი კლდეები და სრული ქაოსი...

ჩემი 100 წლის მოჩვენება

ზის ჩემთან ერთად, როცა დენი გამოირთვება,
მიამბობს ანქის ტბის კალმახებზე,
გორაზე დამწვარი ხის სახლის შესახებ.

ამბობს, რომ ნაზად, ინტიმურად ეხებოდა
ბალახის ღერებს. ერთი ქუდი გრისვოლდში
ეხურა, ხოლო მეორე — საკუთარ მამულში,
საუკუნის შესაძლებლობები,
ანკესის უსასრულო ძაფი.

მათ ვერ აჯობეს ჩემს მოჩვენებას —
ცხვრებივით სათითაოდ წაასხა ისინი,
ვინც არასოდეს აიმღვრევა კალმახის
ფერით შორეულ წყალში.

როცა ბოლი ავარდებოდა, მან იცოდა, რომ
მისტერ ჯონსონი ვახშმობისათვის ემზადებოდა,
მარტში სანთლები როცა დაინთო,
იცოდა, რომ ბობის ბიჭი გარდაიცვალა,

იცოდა მხოლოდ ერთი ბარი,
სადაც სასმელში წყალს არ ურევდნენ,

არ სჭირდებოდა დაემალა ფარვანას ქუდი
ან კარტოფილის ტანსაცმელი,

ჩემი მოჩვენება მიამბობს, რომ იყო დრო,
როცა ეძებდა და მაკდონალდსებს ვერ პოულობდა.

შენ შეგიძლია, აივანზე გაატარო მთელი სიცოცხლე
და არასოდეს იფიქრო ჩინეთზე. ზოგჯერ ვხედავ,

ცოლს როგორ ჩუქნის მზესუმზირის
ყვითელ ყვავილებს. რა სადააა ასეთი ჟესტი.

შელამებისას ჩემი მოჩვენება სამსახურიდან სახლში
ბრუნდება. გრისვოლდში მისთვის ხელფასის გაზრდას

არ აპირებენ. დიდი ხნის წინაც ასე იყო,
როცა დენი ირთვებოდა და ღამეები იწელებოდა.

ასეთ დროს ჩემი მოჩვენება ცდილობს, მაჩუქოს
ნაზი ბალახი,

მომღერალი ჭრიჭინებით სავსე
ბნელი და უსასრულო ღამეები.

როცა პირველად შევეხე მას

წვეულებაზე ნესტოებით ვიყნოსავთ და
ენის წვერით თევზს ვაგემოვნებთ.

მაგიდასთან თითოეული დაინახავს
ჩემი ცოლის იისფერ ლაქებს.

ორივე ხელზე ახლაც მატყვია
ანაბეჭდი სიღარიბის და შავი საქმის,

როცა ხერხემალს ვაცლიდი
თევზებს, ვაკონსერვებდი.

ზოგჯერ სუნამოს შევიზილავ
ხელისგულებში. ისინი კი ზანტი ბაასით

ოსტატურად შებავებულ თევზს მიირთმევენ,
პირიდან ნატიფ ფხებს იღებენ.

ყავის შემდეგ მზერა ბალახზე ჩამოისვენებს.
სანდალოზის ხის სურნელი აღწევს ჩემამდე.

ვსაუბრობ ცოტას და მარჯვენა ხელს
ღრმად ვყოფ ჯიბეში.

მახსენდება დაღვრილი ოფლი,
აბაზანის სარკეში – სახე

ჩემი ცოლის, თითქმის მღიმარე,
და სიმხურვალე მის სველ კისერზე,

როცა ყვირილი დააპირა,
და გამხმარი თაიგულის ნაზი სურნელი.

ოკეანის ლოდინი

ვიფარებ პლედს, მტვრისაგან ნაქსოვს.

ვიფარებ ნახმარ მოსასხამს,

რომელიც ვირჯინია ვულფს

შეეძლო ეტარებინა

ამოტრიალებული ჯიბეებითა და

ქსოვილის თხელი ენებით

კალიფორნიის მარილიან მზეს რომ ლოკავენ.

გავა დრო და

ის იტყვის, რომ

მოხიბლული იყო ჩემით.

ზოგჯერ ვიმალება

დროის სხვენში და ზოგჯერ

ვსეირნობთ ცარიელ პლაჟზე,

სადაც არასოდეს ცივა,

ვსტუმრობთ აბრდღვიალებულ სახლებს,

რომელთა ჩრდილი ვარდისფერ სანაპიროზე არ ირეკლება.

ვჩერდებით ნაპირთან, მისი ხელები ჭორფლიანი და

ყავისფერია, თმა კი – ოდნავ განათებული.

ყველა ამბობს, რომ კარგად

გამოიყურება. მე კი ვეუბნები, რომ

სკამები დაფრინავდნენ,

და მე ვიყავი მათი სამიზნე,

ვეუბნები, რომ სწორედ სკამებმა

დამსვეს მის გვერდით. მას ესმის ჩემი,

და არასოდეს ამბობს, რომ მოსაწყენი
ან მელოდრამატული ამინდია.

და ჩვენ ირგვლივ
ოკეანე შეუცნობელია და თანაზიარი.

ბინა

ჩვენი ახალი კედლები,
შებინდებისას შიშველი,
ზენრებივით კიდია
სინათლის სხივის მოხვედრამდე.

გაბეურის ზემოთ მორყეული
ლურსმანია, თუკი გაუძლებს,
შეიძლება ტაფა დაკიდო.
საძინებელში ძველი მდგმურების

დატოვებული სარკე ირეკლავს
მიციებულ მზერას კედლების,
ისეთი წვრილი ბზარებით,
როგორც მუზეუმის სარდაფში – ლარნაკს.

კაბინეტში ყავისფერი ლაქები —
შოკოლადი, სისხლი
ან განავალი, ჩვენ არ ვიცით
რა მოგველის აქ, ან რას

ჩამოვკიდებთ ამ ნაქირავებ კედლებზე,
და ჩამოვკიდებთ თუ არა საერთოდ რამეს.
ჩვენ სულ ახლახანს გადმოვედით

და ერთმანეთის ენაზე უკვე
მჟავე კენკრად გადავიქეცით,
ვერ მოვრიგდით, სად უნდა დავდგათ
მაგიდა, ფოტოები ანდა

საწოლი. ბინა არის მერიის თავზე,
ვერ ვიჩხუბებთ. ამიტომაც

ვექილებივით ერთმანეთს ვეკამათებით,
და კედლები უხმოდ მოგვჩერებიან. აქვე სარკეა

რომ ჩავიხედოთ, და ლურსმანი, რომ დავკიდოთ რამე.
გაუხსნელი ყუთები კუთხეებში იმალებიან,
და კარადები ნაცემი ბავშვებივით შემოგვყურებენ.
ჩვენ ჩამოვწმენდთ სისხლს

კედლებიდან და მტვერს — თაროებიდან.
ჩვენ ერთი წლით ვიქირავეთ ბინა,
რომელიც ცარიელია შებინდებისას,
თითქოს ნისლია

აქ ჩვენ შორის ჩამოწოლილი,
და, ღმერთო ჩემო, ხვალ
ჩვენ უნდა ვიცხოვროთ აქ.

ინგლისურიდან თარგმნა ნენე გიორგაძემ

ფილოსოფოსებმა მხოლოდ სხვადასხვაგვარად ახსნეს სამყარო, მთავარი კი მისი როგორღაც შეცვლაა

[1]

* * *

რაიენ,

შენი ლექსები არ არის ბომბები.

რაიენ,

რატომ არ არის შენი ლექსები ბომბები?

შენს ლექსებში კაცები არსად სხდებიან მანქანებში,

კურსდამთვრებულებივით ლაპარაკობენ.

რაიენ,

ნუ გაუგზავნი ლექსებს უნივერსიტეტებს, კედლებს ასხურე.

ნახე, გაძლებენ თუ არა.

მიაწერე ღია ბარათებს, გახსენი ნარკოტიკებში, ბოთლების
ფსკერზე.

* * *

რაიენ,

მე ვიცი, რომ შენ იცი, სად დაამზადეს შენი მაისური,

თვალით მანიშნე, საიდან მოგაქვს ეგ დროშები.

შენ იცი, როგორ მწიფდებიან ბანანები.

შენ იცი, რომ არსებობს მთები და მინდვრები,

შენ არ ძალგიდს ხეტიალი და ყვითელ ყვავილთა კრეფა.

შენ ნახე გოგო, რომელიც ნაღმს აძინებდა ხელებში,

ფისოსავით ნაზი იყო, მას ნაჩუქარი თაგვი მიჰქონდა

სახლში.

* * *

რაიენ,
შენ თორმეტამდე ლექსი დაწერე მარტივ რიცხვებზე.
დაწერე ლექსები ჩაის ფინჯნების ფორმებზე.
ლექსები, ლექსები, ლექსები
ჭუჭყიან თეთრეულზე.
ლექსები, ლექსები, ლექსები
სერენადა შენი ძველი მანქანისთვის,
ლექსები, ლექსები, ლექსები
უკაცრიელი ზღვის მონატრება.
ლექსები, ლექსები, ლექსები
კვადრატულ ფესვებზე, გასაყოფ რიცხვზე.
შენ კვირები მოანდომე ამ ჭანჭიკების ტრიალს.
სულ მცირე, მუშაობა მაინც შეგეძლო
სიგრილეში და სიბნელეში
სულ მცირე, შეგეძლო გემარხულა,
ისე, რომ შენი გაფლანგული დრო
მხოლოდ შენი ყოფილიყო.

რაიენ,
ესეც შენი ციფრები «ნიუს უიკიდან»: 123 ადამიანი
გაათავისუფლეს
სიკვდილით დასჯისგან, 1973 წლის შემდეგ.
ესეც შენი ციფრები «თაიმ მაგაზინიდან»:
47 440 მოქალაქე მოკვდა ერაყში. მინიმუმ.
არის თუ არა ეს საკმარისად მარტივი რიცხვი?
გენერალი ტომი ფრენკსი იფურთხება.
«ჩვენ არ ვითვლით გვამებს».
რატომ არცერთი პოეტი არ ითვლის, რაიენ?
47 440 ლექსია დასაწერი.

* * *

რაიენ,
რატომ არ კითხულობენ შენს ლექსებს ახალ ამბებში?



შეუძლიათ შენს ლექსებს არც
კი სცადონ, პენტაგონის ჰაერში
ანევა? შეუძლიათ მათ არც კი
სცადონ შაშხანების
ყვავილებად ქცევა?
შენ ნამდვილად გრცხვენია
ხოროსთან ქადაგების?
ნუთუ ამდენად ჯობია ამას
კოშკში ღიღინი?
ომი ყველგანაა, წვიმს
გადაუღებლად, ისინი კი წყალს
ასაღებენ ჩვენზე.

* * *

რაიენ,

შენ გინდა წაიკითხო წიგნი საკობე და ვანცეტიზე.
გახსენი ფანჯარა, ისინი ცოცხლები არიან და გარეთ
შენწყალებას ითხოვენ.
შენ არ გყავს თანამეკალმე სიკვდილმისჯილთა საკანში.
შენს ლექსებს გამართლება არ აქვს, დაიცავი ისინი.

* * *

რაიენ,

გინდა სირაკუზეში დაბრუნდე ჭიაყელებთან ერთად,
რომლებიც გაქცევაზე ოცნებობენ?
ასე ადვილია ეს, როცა თბილი და მატყლის სვითერი
გაცვია? შეგიძლია აღარ ჩაიხედო ნაცრისფერ წვიმის
ყუთებში,
შენი კანი არ ცახცახებდა
ჭუჭყიანი ტბების გამო,
უნესრიგობა GE-მ რომ ქნა,
ჯონსონ სითის გოგონები

მწვავე ლიმფომით,
კომპანიები გაქრნენ,
როგორც კაცები,
დატოვეს ნაღმები.

* * *

რაიენ, რაიენ, რაიენ,
რატომ ზიხარ მარტო ოთახში ტენისონზე სანერვიულოდ?
რატომ არ ხარ ახლა ქუჩებში კოქტეილებით და ფეხებთან
ჩვრით, შენი ლექსების კატაპულტებზე დასატვირთად?
რატომ გგვრის ამხელა თვითკმაყოფილებას, ქაღალდის
ნავეების ჭლაბნა, სანვიმარებში გაშვება?

რაიენ, რაიენ, რაიენ,
შენ დილას გაზეთებიდან მოსაწყენი ფრაგმენტების
კითხვაში ატარებდი
ასე რომ, ერთხელაც დანერ ლექსს, რომელიც მოხვდება
წიგნში, რომელსაც არავინ კითხულობს,
ლექსი, რომელიც იტყვის, ხალხო, ხალხო, გაიღვიძეთ
დადეთ თქვენი წვიმის ჩანთები და დაიწყეთ
ტყნაური ქუჩებში. გვაქციეთ თქვენს ულამაზეს მულატ
ბავშვებად.

ხალხო, ხალხო,
გაიღვიძეთ, გაიღვიძეთ,
დადგა ეს დღე.

ინგლისურიდან თარგმნა ზაზა კოშკაძემ

იქ, სადაც თავს ვიყრიით

(ინგლისურიდან თარგმნა ნენე გიორგაძემ)

პირველად პოეტ ლაქმენ დერქის 2010 წლის ნოემბერში, დამასკოში შევხვდი. ქალაქში, სადაც პოლიცია გველებივით ეკიდა ჭალებზე, შეკრება და საუბარი იშვიათი ხილი იყო და სიმამაცეს მოითხოვდა. დერქი დამასკოს კულტურულ სცენაზე ცნობილი იყო, როგორც პიროვნება, რომელიც ქმნიდა ანდერგრაუნდს, რადგან რეჟიმს ეშინოდა ადამიანთა შეკრებისა და რადიკალური მოთხოვნების. იგი კურირებდა «პოეზიის სახლს» ერთ-ერთი სასტუმროს სარდაფში. აქ, ამ ოდნავ განათებულ ბარში, დერქი ერთმანეთს აცნობდა არტისტებსა და პერფორმერებს. დაძაბულ დამასკოში, რომელიც ომის ზღვარზე იმყოფებოდა, დერქიმ მოახერხა, შეექმნა თავისუფალი სივრცე, – პოეტები, ინტელექტუალები, მუსიკოსები მთელი ღამეები თამამად საუბრობდნენ არაბულ და ინგლისურ ენებზე. არაფერი ითქმოდა რადიკალურად რევოლუციური, კითხულობენ ლექსებსა თუ მოთხრობებს ისე, როგორც ეს ხდება ნებისმიერ ბოჰემურ კაფეში ბრუკლინიდან ბერლინამდე.

როცა ვფიქრობ პოეზიისა და აქტივიზმის შერწყმაზე, მახსენდება დერქი და მისი მეგობრები, რომლებიც სირიაში გავიცანი, როცა «ჰაილაით არტზე» – მულტიკულტურულ ფესტივალზე ვიყავი კოორდინატორად. დამასკოში ფესტივალის დრამატული მოვლენების გამო დაიხურა, მაგრამ ჩვენ მოვახერხეთ ფესტივალის ჩატარება ბეირუთში, მიუხედავად იმისა, რომ არც იქ იყო მშვიდობა.

ამ კონტექსტში, როცა დიდი იყო სამოქალაქო ომის დაწყების ალბათობა, ინტერვიუ ჩავწერე გოლან ჰაჯისთან

2011 წლის გაზაფხულზე. ჰაჯი არის ნიჭიერი პოეტი და მთარგმნელი. მან პირველად, სრული სახით, არაბულ ენაზე თარგმნა რობერტ ლუი სტივენსონის კლასიკა, «დოქტორ ჯეკილისა და მისტერ ჰაიდის უცნაური ამბავი». ჰაჯი ამავედროულად ექიმიც. მე ვკითხე, თუ როგორ მოქმედებდა მის ტექსტებზე ომი და პოლიტიკა, გახდა თუ არა მისი ლექსები პოლიტიკურად უფრო აქტიური, გრძნობდა თუ არა ამ ტიპის პასუხისმგებლობას. მან მიპასუხა, რომ თავად წერის პროცესი უკვე არის პოლიტიკური აქტი. ეს ყველაზე მეტად დამამახსოვრდა. ჰაჯი ქვეყნის ყველაზე კრიტიკული პოლიტიკური და სოციალური პერიპეტიების დროს არ საუბრობდა პოეზიის მნიშვნელობაზე პოლიტიკაში, არამედ – ხაზს უსვამდა ემპათიასა და ურთიერთგაგებას.

დიდი ხანია, მშურს ალენ გინზბერგის, რომელსაც შეეძლო, პოეზიაში ესაუბრა პოლიტიკაზე («აწიე ტრაკი ატომური ბომბიდან»). ვცდილობდი, იგივე გამეკეთებინა, მაგრამ უშედეგოდ, ყველაფერი არეული კლიშეებით მთავრდებოდა. მაქვს «შავი» ლექსები, სადაც ვსაუბრობ ერაყში ომით გამოწვეულ იმედგაცრუებაზე, გარემოზე და კლიმატის ცვლაზე, გლობალური კაპიტალიზმისადმი უნდობლობაზე, მაგრამ უინტერესოა ისინი. ეს დიდი ხანია მაწუხებს, რადგან მიმაჩნია, რომ მწერლებს უნდა ჰქონდეთ პასუხისმგებლობის წილი, მონაწილეობა უნდა მიიღონ პოლიტიკის შექმნაში, რომ პოლიტიკის იგნორირება ფუფუნებაა. როგორც მოქალაქე, ვცდილობ, ვიყო ემპათიური, სამართლიანი, გამოვხატო თანაგრძნობა, დავიცვა თანასწორობა, მაგრამ როგორც პოეტი, ამ ყველაფერზე ლექსებში პირადაპირ არ ვსაუბრობ.

ალბათ, ამ მიზეზით, ჩემთვის რთულია კარგი «პოლიტიკური» ლექსის დაწერა, არც ლოზუნგების შემცველი ლექსები მომწონს. ჩემი ყურისთვის უცხოა

დიდაქტიკური ტონი, როგორ მნიშვნელოვან თემაზეც არ უნდა იყოს ლექსი. ძალიან რთულია, ეს ისე გააკეთო, მკითხველმა არ იგრძნოს, რომ ლექციას უკითხავ. მე მჭირდება ლექსი, რომელიც ემპათიის სამყაროში შემიყვანს და არ დამიყვირებს. ხანდახან მეც ვწერ ლექსებს «მწვავე თემებზე», მაგრამ ისინი ჩემს ნოუტბუქში რჩებიან. მაგალითად, როგორც ამერიკელს, მრცხვენოდა, რომ 11 სექტემბრის შემდეგ ჩემი ქვეყანა ხანგრძლივ ომებში ჩაება, ამერიკელთა უმრავლესობა კი გულგრილი რჩებოდა ამ ფაქტისადმი. ბოლოს და ბოლოს თანხმობაში მოვედი ჰაჯის აზრთან, რომ თავად წერა არის პოლიტიკური აქტი, ისევე, როგორც სხვა ადამიანთა მოსმენა შეიძლება იყოს პოლიტიკური აქტი.

დღე, როცა იგი წავიდა ომში

იყო თეთრი, სუფთა და ნათელი,

როგორც სარეცხი საშუალებების რეკლამა.

ჩვენ მას ვუყურებდით ჯოს გარაჟიდან, სადაც მუსიკას

ვაჟღარუნებდით. დისკები და კონსერვის ქილები
ცემენტზე დავყარეთ.

ვხედავდით, როგორ უყურებდა დედამისი მანქანას,

რომელმაც იგი წაიყვანა, როგორ უქნევდა ხელს
სიცარიელეს,

მერე მაღალი ნოტიდან დავინწყეთ:

ერ-თი, ო-რი, და – ერთი ორი, სამი, ოთხი...

ლაქმენ დერქის წლების შემდეგ კვლავ შევხვდი ერაყში
ყოფნისას. სირიის პოლიტიკურმა კრიზისმა ის და მისი
ახალგაზრდა ოჯახი აიძულა, დამასკოდან ერბილში

გადასულიყო, ერაყის ქურთისტანის დედაქალაქში. როცა გავიგე, რომ დერქი დამასკოში იყო, მის ოჯახს ვესტუმრე. ძალიან რთული იყო მათი ომისგან გატანჯული სახეების ყურება. დერქის ძალიან ენატრებოდა თავისი სამეგობრო, – არტისტები და მწერლები. მან მე და რამდენიმე ჩემი კოლეგა «ჰაილაით არტიდან» თავისთან სადილადა დაგვპატიჟა. მიუხედავად საერთო დამთრგუნავი ატმოსფეროსი, მისი ოჯახი შესაშური სტუმართმოყვარეობით შეგვხვდა.

საღამო ისევე დაიწყო, როგორც უმეტესობა ასეთი წვეულებებისა. ცოტაოდენი ლუდი, პური, ყველი, პამიდორი. თინეიჯერმა სანთლები აანთო. დანარჩენი სტუმრებიც მოვიდნენ. მათი უმეტესობა სირიელები იყვნენ, ორიოდე დღის წინ მშვიდობით ჩამოსულები. არაყი, ვისკი და ფორთოხლის წვენი მოიტანეს, დაირაზე დაუკრეს და იმღერეს. არ ვიცოდი, რაზე მღეროდნენ, მაგრამ ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მრავალჯერ მომესმინა ეს სიმღერა... მითარგმნეს, სიყვარულზე იყო... უსმენდი და სურვილი გქონდა, ყველა შენი ახლობელი იქ ყოფილიყო...

ვიცი, მოსაწყენია ისაუბრო მუსიკის ძალაზე, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ იმდენად ვიყავით ერაყში, რამდენადაც – სირიაში, და იმდენად ვიყავით სირიაში, რამდენადაც – ირლანდიაში, შოტლანდიაში ან ამერიკის გარაჟში. ვიყავით აივანზე, ან შუშაბანდში, ან კარავში ექსპედიციაზე, ან საყვარელ ბარში თუ პაბში. თუ შენთვის ნაცნობია ეს სურათი, მაშინ შენც იჯექი ამ სახეების გვერდით, სახეების, რომლებიც მნიშვნელოვანია არა ეროვნებით ან განსხვავებებით, არამედ ემპათიითა და ურთიერთგაგებით. ერთფეროვნება დეპრესიულია – სტარბაქსის უსასრულო პლანეტა. მაგრამ წვეულება, სადაც

ადამიანები უცხო ენაზე მღერიან ნაცნობ სიმღერებს,
უნივერსალურია, როგორც ლექსები ან მოთხრობები,
რომელთა მამოძრავებელი ძალა ყველგან მსგავსია:
სიყვარული, შიში, ოცნება, სიბერე, სიკვდილი, სექსი – the
stuff of living.



ინგლ
ისურ
იდან
თარგ
მნა
ნენე
გიორ
გაძემ

ამონარიდები

ამონარიდი «შოტლანდიის პოეტური ბიბლიოთეკის» პოდკასტიდან

პასუხი კითხვაზე, თუ რატომ არ აღწერს მოგზაური პოეტი თავის ლექსებში სხვადასხვა ქალაქებს.

რაიან ვან უინქლი:

«მე მშურს მწერლების, ვისაც შეუძლია წავიდეს, მაგალითად, ბულგარეთში და ამაზე რამე დაწეროს. ჩემი ლექსები უფრო დღიურებს ჰგავს. როცა შეერთებული შტატებიდან გაერთიანებულ სამეფოში, ედინბურგში საცხოვრებლად გადმოვედი, მივხვდი, რომ ვწერდი ბანალურ ტექსტებს. არ შემეძლო ასე სწრაფად რაიმე საინტერესო დამეწერა იმ ქვეყნის შესახებ, რომელსაც კარგად არ ვიცნობდი. როცა სხვაგან მივდივარ, ყოველთვის ვცდილობ, დავწერო ლექსი, რომელშიც, მაგალითად, აირეკლება ბერლინი, და ეს ყოველთვის წარუმატებელი ცდაა. მე ვფიქრობ, რომ ქალაქები, სადაც ვმოგზაურობ და ვცხოვრობ, ლექსებში აისახება როგორც «სხვად ყოფნის» შინაგანი გამოცდილება, იმაზე დაკვირვება, თუ რა არის განსხვავებული და რა გაკლია, ვისთანაც ან რასთანაც არ ხარ იმ მომენტში ახლოს. ყოველ ადგილს თავისი სუნი და ხმა აქვს, ჩიტების ჭიკჭიკის ან მანქანის სიგნალის და ეს ყველაფერი მეხსიერებაშია დალექილი. გახსენდება, მაგალითად, საცობში გაჭედდით, როგორ გაგვიანდებოდა სკოლაში, როცა შტატებში ცხოვრობდი, ან დგახარ სანაპიროზე და გაგონდება, როგორ სეირნობდი ოკეანესთან ან «ნიუ ინგლენდის» მთებში... ალბათ ამ კუთხით უფრო აისახება მოგზაურობა ჩემს ტექსტებში, სენტიმენტალურ ნოსტალგიაში... ჩემი

პირველი წიგნი ძალიან ამერიკული იყო. ლექსებში მოქმედება ხდება ნიუ იორკ სითიში 11 სექტემბრის მერე, ან პენსილვანიის ბარში, ან სხვა ადგილას, ან ხალხი მიდის კალიფორნიაში, – დასავლეთ სანაპიროს სამოთხის თავისებური იმიჯი, სადაც ადამიანები პირდაპირ ხეებზე კრეფენ ფორთოხლებს... მეორე წიგნი ნაკლებად «გეოგრაფიულია». მასში არის სახლები, ტყეები, ქუჩები, მაგრამ ეს ყველაფერი შეიძლება იყოს ნებისმიერ ადგილას. ეს გაუცნობიერებული პროცესია... ნოსტალგია ძალიან საშიში მენტალური ხაფანგია, თუ მასში გაები, თავი თუ ვერ დააღწიე... ვცხოვრობ ძალიან შორს იმ ადგილიდან, სადაც დავიბადე. ისე ხშირად ვერ ჩავდივარ შტატებში, სადაც არიან საყვარელი ადამიანები: ჩემი ძმები, რომლებიც შვილებს ელოდებიან და ჩემი მშობლები, რომლებიც ბებია და ბაბუა უნდა გახდნენ. რა თქმა უნდა, მაკლია ეს ყველაფერი... ჰო, ამ ბოლო დროს მანძილს უფრო მტკივნეულად განვიცდი»...

ამონარიდები ვან უინქლის პოეტური კრებულის «მშვენიერი სიბნელეს» რევიუებიდან

«თითოეულ მკითხველში არსებობს განსაკუთრებული «ღილაკი», რომელთან შეხებისას შესაძლებელია, წარმოიქმნას ძლიერი თანაგანცდა. რაიენ ვან უინქლის კრებულში «მშვენიერი სიბნელე» (The Good Dark) ტყე, თოვლის ქულები, წითელი კენკრა თუ ზღვის ხმაური, – ნოსტალგიური სიმბოლოებია ბავშვობისა თუ გარდასული სიყვარულების. წარსულის ამ სურათ-ხატებს ავტორი აწმყოს კედლებზე კიდებს და დღევანდელ დღეზე ფოკუსირდება. ძველისა და ახლის, კლასიკურად რომანტიკულისა და უაღრესად თანამედროვეს ასეთი ჰარმონიული თანაარსებობა დამახასიათებელია ვან უინქლის ლექსებისათვის. წიგნი თითქოს დაიწერა დიდი

გულგატეხილობის შემდგომ პერიოდში, როცა შეგიძლია, მომხდარზე მშვიდად იფიქრო. მისი ტექსტების მჭრელ ტკივილსა და ღრმა მელანქოლიას ფაქიზად ცვლის ფრთხილი ოპტიმიზმი.»

როს მაქინდოუ

«რას პოულობ, როცა კარგავ სიყვარულს? დაბადებით ამერიკელი და ედინბურგში მცხოვრები პოეტის, რაიენ ვან უინქლის მეორე პოეტური კრებული ამ კითხვაზე პასუხის ძიებაა. სხვისთვის, შეიძლება, წამგებიანი ყოფილიყო დამსხვრეული ურთიერთობების ახლად გააზრებასა და განცდაზე წერა, მაგრამ ვან უინქლი ახერხებს, იპოვოს იმედის შემცველი ტონალობა – საყვარელ ადამიანთან ყველაზე ტრაგიკულმა განშორებამაც კი შეიძლება განუმეორებელი გამოცდილება შეგძინოს და მიუხედავად ტკივილისა, პოზიტივის მომტანიც იყოს.

ვან უინქლის ტექსტები ხშირად მძაფრ ემოციებს იტევენ:

«იმ ღამეს მივხვდი,
იქაც კი ველარ გიპოვიდი,
ნატვრა რომ ჰქვია.»

მის მიერ დანახული კარი:

«ასე ხატავს უამრავ რამეს:
წითელი კამათი,
ყვითელი ოჯახი,
ყავისფერი განქორწინება».

როჯერ კოქსი

ინგლისურიდან თარგმნა ნენე გიორგაძემ

2. პოეზია

დავით ჩიხლაძე

ლექსი ქარვაზე

იყო დრო,
როდესაც ერთი ღმერთი შეყვარებული იყო
ერთ მტრედში, თეთრსა და პატარაში,
გამოედევნა მას,
მაგრამ მტრედი შეფრინდა
ერთ ტყეში ძალიან ღრმად.

ეს იყო ტყე, ძველი, კეთილი ტყე
და თავის სტუმარს არასოდეს ყიდიდა
და მოვიდა ღმერთი ჭექა-ქუხილით
და დაატეხა წვიმა მათ თავს.

მისამღერი: ო-ო-ო-ო ტყეო, საყვარელო ტყეო
მე ძალიან მცირა
ტყეო, საყვარელო, შენ
შენ დამიფარე მე

ლეგენდაა, რომ ტყე ზღვაში ჩაიძირა
მაგრამ მტრედი არ გამოფრენილა
ის მოკვდა უკანასკნელი მადლობით
და ტყემ ცრემლები გადმოაფრქვია

და როდესაც დღეს რომელიმე ზღვის პირას
ვხედავთ პატარა ყვითელ ქვას
ვიღებთ მონუსხულები ხელში
ის შეიძლება ტყის ცრემლი იყო

მისამღერი: ო-ო-ო-ო ტყეო, საყვარელო ტყეო,
მე ძალიან მცირა
ტყეო, საყვარელო, შენ
შენ დამიფარე მე

ლექსი მამაზე

«მამაო – თვითონ კოსმოსო, დიდო,
საით მიმართე ბიბილო შენი?»

ძვ. გრიმუარიდან

ასონარკვეთა ეშმის და

მზე მკვდრისა.

მიზოგამიური ეშმა

და მზე.

ნუთუ ამ ხანაგას პატრონი ეღირსა

ამ-

ავ მზის თილისმით მის მკერდზე?

თვალებში

ვიზუ-

ალური ნაგავი,

პირში

სიგარები «ჰავანა».

ახლა მთელ კოსმოსში

აქედან აქამომდე

პრეისტორიული ჰავაა.

იყო ჰარამხანა დიდი:

დედამინა.

ღამემოდებული ბირჟა ქალთა.

ეს ცა სხვა მიწებთან მერე შეაფიცა

ეშმამ

სხვა ვნებებით როცა გამოკვალთა.

ახლა მამაჩვენის დაცხრა დიდი ვნება,

ადრე დედამინას ზურგი რომ შეაქცია.

ახლა მამას ისე ძლიერ შეაცია,

უკან დაბრუნება მოენება.

დიდხანს ეკურკურა იგი სხვა პლანეტებს,
კრიახით და ნუგბარით ყველა მიეგება:
როგორ მობრუნდება მამა ჩვენსკენ, ნეტა,
დიდი

ზურგით სულნი ჩვენნი
მაგრა არ მიბეგვოს?!

ასონარკვეთა ეშმის და მზე მკვდრისა.

მიზოგამიური ეშმა და მზე.

ნუთუ ამ ხანაგას პატრონი ეღირსა

ამავ მზის თილისმით მის მკერდზე?

შავ-თეთრი ბაღი

მოედანთან რომელიც უკვე დიდი ხანია ფეხით სასიარულო ქუჩად გადაკეთდა რამდენიმე ადგილია სადაც კარგი ყავის მუსიკისა და კუკლაჯანების თავშეყრის კერად უფრო მიიჩნევა რადგან შემოდგომაზე როდესაც უკვე ცივა გარეთ განლაგებულ მაგიდებთან არავინაა სადაც ზღვის პროდუქტების არის პასტა და შაშლიკიც მე გადავწყვიტე გაზეთის დათვალიერებით თუმცა ის ზედმეტად ტკბილი მომეჩვენა რაც მას აზიურ ელფერს აძლევდა ირისის სიროფის გემო არ იგრძნობოდა რაც ღამის 12 საათის დადგომამდე გრძელდება კომფორტულია მაგრამ განათებას და მოჭიქულ მინებს დამცხრალ ტონებში რაც შემოდგომის რუხი საღამოების შესაძლოა ცოტა დისკომფორტულიც იყოს.

მსგავსი ელემენტარული გრადაციები ბიურგერულ სამყაროში

ტერასაზე ყველა მხარეს თავისუფალი დაკავებული შიდა დარბაზში ერთი მაგიდა გამოიყენოთ მთავარ კერძად ასეთი ტიპის ამერიკული რესტორნების მენიუში უკვე მთლიანად ადაპტირებული კერძია როგორც საქონლის, ასევე ინდაურის ხორცით ანდა ორაგულით არც ყველია და არც არანაირი ხორცი, მის შესაცვლელად სოიოს პროდუქტსაც არ იყენებენ. ფუნთუშა კარგი გამომცხვარი ხორცს როგორს ვისურვებდი – ნედლს, ზომიერს თუ მშრალად მომზადებულს ცალკე კალათით მიმტანი გოგონა სწრაფად ხმამაღალი მუსიკის ფონი განაპირობებს თუ გარეთ არ გაიხედავთ, შეიძლება იფიქროთ, რომ ეხლა შუადღეა, ღამით მას ოკეანის პირას აჟიოტაჟის ელფერი დაჰკრავს მინერალურ წყალთან ერთად 40 ლარი.

გააფთრებული მონოლოგი მეტროს რუკაზე

1. იმ ქალმა თქვა
დაძაბულობა
გამოხატვა
საშინელია
იზოლაცია
ო, ღმერთო ჩემო

2. მე მიმაჩნია
გამჭვირვალება
ეს გასაოცარია
კომუნალური ცხოვრება

3. განთავისუფლება
იმ ქალმა ხელი ჩაიქნია

4. საერთოდ არასოდეს
ფაქტიურად
გადასახლება
მე მეშინია
ინტეგრაცია
დაუჯერებელია
სინქრონიზაცია

5. კომუნიკაცია
საოცნებოა
უკვდავება
დამოკიდებულება
ის ქალი არის
სამღვდელოება
შესანიშნავი
ინტიმურობა

მისი ბოიფრენდი არის
ცრურწმენა

რამდენიმე ჰაიკუ



* * *

კომპ
იუტე
რი
მაცივ
არი
თქვი
ისევ
მთლ
იანო
ბა
ნატი
ფია
ბოლ
ო არ

არსებობს

* * *

გემზე როდესაც ვმუშაობდი, ერთი გოგო მომეწონა.
და როდესაც ვუთხარი, რომ მომეწონა,
გადახტა წყალში, გადაიქცა თევზად და გაცურა.

* * *

დღეს სამჯერ ვნახე შავი კაბა და შავი მუხლებამდე
წინდები. პირველი ქალი იყო და მანქანაში პარკებს
დებდა. მეორე გოგო იყო და დაძაბული იჭდა მანქანაში,
რომელიც ნელა დაიძრა. მესამეც გოგო იყო, მანქანაში
ჯდებოდა და უკვე ბარების რეკვა იწყებოდა.

* * *

დავით ჩიხლაძე: მიშველეთ, მირჩიეთ, როგორ დავიბრუნო
საყვარელი ქალი, სიცოცხლე აღარ მინდა, მინდა
გამოვთქვა და ყველაფერი მოვყვე.

ტატიანა ეჟოვა, «კოსმოპოლიტანის» რედაქტორი:
სიყვარული, პატივისცემა, მოთმინება, ყურადღების
ნიშნები, სინაზე და მხარდაჭერა – აი, რა სჭირდება გოგოს
კაცისაგან...

დავით ჩიხლაძე: დაე, ჩემი ტკივილი და ჩემი წერილი
მივიდეს ჩემს შეყვარებულამდე, იქნებ დაფიქრდეს და
დაბრუნდეს ჩემთან თქვენი დახმარებით, გმადლობთ.

ტატიანა ეჟოვა: დავით! და ძალიან აწყენინეთ მას?

* * *

სენსეიმ მკითხა, რას კითხულობ?

მე ვუთხარი, რომ დოგენს. არ ფიქრობ, რომ ეს ცოტა
რთული წიგნია?

ტელევიზია მოვიდა.

დათო ქარდავა

ყველა წვიმა

ყველა წვიმა შეიძლება გადაიზარდოს წარღვნაში,
განსაკუთრებით ივნისის თბილისში,
როცა ღრუბლებიდან ნიუტონის ვაშლებივით ცვივა მძიმე
წვეთები,
როცა ხევები და სანიაღვრე ჭები წყლით ივსებიან,
როცა ამღვრეული მტკვარი
ცეცხლზე შემოდგმულ რძესავით ვერ ეტევა ბეტონის
ქვაბში
და კაკაოსფრად იღვრება სანაპიროზე,
როცა ლაზარესავით საფლავიდან დგება მდინარე ვერე...
ამ დროს ძნელია იფიქრო იმაზე, რომ
წვიმამ გათხაპნა აკვარელით დახატული ჭრელი თბილისი,
რომ ბაფხულში მოსული თავსხმა წვიმა სანიტარია,
რომ რუსთაველზე მოფსმულს გადარეცხავს და მტკვარს
გაატანს.
ამ დროს წვიმა შურისმაძიებელი ღმერთის ხელი გგონია
და
შესაქმეთი დამძიმებული შენი გონება ეძებს კიდობანს,
როგორც ნებისმიერი სულიერი,
რომელსაც გალაკტიონის ხიდთან მოუსწრო წარღვნამ,
და თავს აფარებ გაჩერებაზე მოწყობილ ფარდულს –
დაუსრულებელ კიდობანს, ექვსის მაგივრად ხუთი
წახნაგით,
სადაც, ცხადია, სხვებიც არიან:
დაცვის პოლიციის თანამშრომელი შავი ხალათით და მზის
სათვალეთი,
აქვეა უწვერული ყმანვილი თეთრი პერანგით და
სმარტფონით ხელში.
ციდან კი ასხამს, ფეხად ჩამოდის წვიმა,

ვერის დაღმართზე მოთქრიალებს მდინარე და
ჩვენს კიდობანს უწყობს გამოცდას,
ქრის ცივი ქარი, მეხიც ვარდება,
და გეჩვენება, რომ «მოსკდნენ უფსკრულის წყაროები და
გაიხსნენ ცათა სარკმელები».
«წვიმა კი არა, წარღვნაა, წარღვნა!», – ამბობს პოლიციელი
და ნიშნად ამის
ჩვენს კიდობანში შემოდის დასველებული მანანწალა –
ქერა, მაღალი, გრძელი წვერით,
ადრეც მინახავს აქ, ბროსეს ბაღში,
ძელსკამზე სძინავს, იქვე სადილობს, ხშირად მთვრალია.
ზურგზე ჰკიდია მოზრდილი ჩანთა,
ახურავს შავი ნაქსოვი ქუდი.
ისეთი მშვიდია, როგორც ღმერთის მიერ გაფრთხილებული
ნოე.
ზამთარ-ზაფხულში გაუხდელად გრძელი ლაბადით,
მკერდამდე წვერით მართლა ჰგავს ნოეს – ნასვამიც კია –
თვალს არ აშორებს მცურავ ავტოებს,
არაფრად აგდებს წვიმის სქელ ფარდას
და თავისი დიდი სხეულით, როგორც მეექვსე ნახნაგით –
ხურავს კიდობანს.
არ ეშინია,
დგას მედიდურად,
წყლისაგან გვიცავს,
თან წვერს ივარცხნის სველი თითებით
და ჩვენც ვმშვიდდებით:
დაცვის თანამშრომელი სიგარეტს იღებს,
ბიჭი ტექსტსა კრეფს თავის სმარტფონში,
მე ცას ავყურებ და ცოტა ხანში წვიმაც ნელდება:
წყლის ფარდა უფრო თხელი და გამჭვირვალე ხდება,
ღრუბლებს შორის ატანს სინათლე,
ოზონით გაჯერებული ჰაერი სიხარულით გვავსებს და

ყველა ვხვდებით,
რომ წარღვნა დასრულდა!
პირველი გარბის დაცვის კაცი – შავი ყორანი,
სულ ცოტა ხანში მიფრინავს ბიჭი თეთრი მტრედით,
მერე ჩერდება ავტობუსი N91 და მას მივყვები.
ავტობუსში ბევრი ცარიელი ადგილია –
დაორთქლილი ფანჯრებიდან მოჩანს გაჩერება – კიდობანი
და მასში მანანნალა,
რომელიც აუღელვებლად ივარცხნის სველ წვერს ჭუჭყიანი
თითებით.
და მხოლოდ ავტობუსიდან ვამჩნევ, რომ
ფარდულის კედლები მინაში ჩასმული სარეკლამო
ბანერებია
ლონდონის, პარიზისა და სხვა დიდ ქალაქთა ხედებით.
«აღმოაჩინე მსოფლიო – თურქეთის ავიახაზებთან ერთად»
–
ანერია ამ ღია ფარდულს,
ამ ჩვენს სახელდახელო კიდობანს,
რომელშიც თავს ისე ვგრძნობდით,
როგორც ნოეს შვილები,
რომლებსაც წარღვნამ კიდობანის დასრულებამდე
მოუსწრო.

ინდმენარმე

ღრმა, ბნელ სარდაფში,
რომლის ძირამდე ვერ ატანს სხივი,
ინდ. მენარმემ დაიღო ბინა.
რკინის მძიმე და ცხაურიან კარს
გაუნაფავი ხელით აწერია:
«თუნუქის საამქრო. ინდ. მენარმე ს. ნოზაძე.»
გაუნაფავი საღებავის გაზავებაში,
ფუნჯის მოსმასში,
მაგრამ მარჯვე და მოხერხებული სულ სხვა საქმეში,
სხვა სამყაროში,
სადაც სხვა ნივთებს –
მძიმე ჩაქურჩებს და ბასრ მაკრატლებს – აქვთ მეუფება,
სადაც ლითონის თხელ ფურცლებისგან,
თვალს და ხელშუა,
საოცრად სწორი გეომეტრიით,
იჭედება ფეჩის მუხლები,
საწვიმარი ღარები,
აქანდაზები...
და ეს ნივთები,
ინდ. მენარმის ნახელავები,
ეხმარებიან ადამიანებს
რომ არ შესცივდეთ,
რომ არ დასველდნენ,
რომ სუფთად იყვნენ.
ამ ინდ. მენარმეს იცნობს უბანი,
ეს ინდ. მენარმე ყველას სჭირდება.
ჩუმი, უთქმელი კაცია,
ჩაფიქრებული, გულჩათხრობილი,
როგორც იყო ალბათ სკოლაშიც,

სადაც იარა მრავალი წელი და არ ისწავლა,
სადაც სულ ბოლოს, გამოცდების დროს
აღმოაჩინეს, რომ ნიჭი ჰქონდა,
რომ ზეპირად და ძალიან სწრაფად
ამრავლებდა დიდზე დიდ რიცხვებს,
იღებდა კვადრატულ და კუბურ ფესვებს,
«პის» მნიშვნელობა იცოდა გამოუთქმელად დიდი
სიზუსტით,
ფიზიკის მასწავლებელმა კალკულატორიც კი მოიტანა,
მოიტანა ლოგარითმული სახაზავი და ოთხნიშნა
მათემატიკური ცხრილი,
აკადემიკოსმა იოფემ რომ დაიბეპირა,
და მოუწყო სახელდახელო გამოცდა:
ბიჭი აჯობებდა თუ ჭკვიანი მანქანა?
ბიჭმა აჯობა,
მანამდე არაფრით გამორჩეულმა მოსწავლემ,
თავჩაღუნულმა, თავისთვის მჯდომმა უკან, კუთხეში.
და იქცა გმირად,
მისთვის გაიხსნა ყველა პედაგოგის პირეუში ბაგე,
ყველა სასწავლებლის კარი,
და ყველამ შეამჩნია –
ყველა მასწავლებელმა, ყველა მოსწავლემ, ყველა
მშობელმა,
რომ მათ წინ იდგა ნორჩი გენიოსი,
რომელიც ძალიან ჰგავდა
მათემატიკის სახელმძღვანელოში დახატულ
ევარისტ გალუას შავ-თეთრ პორტრეტს –
წვრილი ნიკაპით, ფართე შუბლით, სამკუთხა თავით –
დუელში მოკლულ ყმანვილ გენიოსს –
უმაღლესი ალგებრის უწვერულ მამას,
და ამ ბიჭისთვის განიხვნა მეცნიერების ოკეანე,
ისე როგორც წითელი ზღვა მოსეს წინაშე,

განიხვანა მათანალიზის უფსკერო სიღრმე,
მძლავრი ტალღები ანალიზურ გეომეტრიის,
მაგრამ სამყაროს კოშის, რიმანის,
ლაპლასის და თვით პითაგორასი,
ლობაჩევსკის გეომეტრიას,
ტოპოლოგიას,
უსასრულო მწკრივთა ლოგიკას,
ფიბონაჩის და სხვის ფინაჩობას,
მან ამჯობინა სულ სხვა სამყარო:
თუნუქის ფურცლები, ხის ჩაქუჩი და მაკრატელი,
ფეჩის მილები, სანვიმარი ღარები, აქანდაზები,
რომლებსაც ჭედავს,
ჭედავს ლამაზად, იუველირივით,
ზეპირად ახსოვს პროპორციები, სიგრძე, სიგანე,
ფურცლების სისქე, მათი სიმკვრივე,
ყველა შეკვეთა, ყველა ნისია,
ფუჭად არ ცდება მისი ხელები,
შრომობს სარდაფში,
ღრმასა და ბნელში,
ღროის დინებას საზღვრავს შეკვეთით:
ფეჩის მუხლები – თოვს, ზამთარია,
სანვიმარ ღარებს მოჰყავთ ზაფხული,
და ისე შრომობს შეუსვენებლად,
გულდასმითა და გულმოდგინებით,
თითქოს ეს იყოს დანიშნულება,
დაკისრებული მისთვის მისია,
არავინ იცის, რატომ უარყო მათემატიკის უსასრულო
სამყარო,
რატომ არჩია ქალაქს თუნუქი,
ნათელ ოთახებს სარდაფი ბნელი,
განა არ ვკითხე?
ან მან არ მითხრა ღიმილით და სხივით თვალებში?

მაგრამ ზრიალში,
ჩაქუჩის და გრდემლის წკარუნში,
თუნუქის ჭრაში,
ფეჩისა და აქანდაზის უსაშველოდ ხმაურიან ჭედვა-
რჩილვაში,
ვერ გავარჩიე მოკლე პასუხი,
ორ-სამ სიტყვაში დატეული,
ლაკონური და ისეთი ცხადი
როგორც ოქროს კვეთის პროპორციები,
როგორც პის მნიშვნელობა ან თეორემა პითაგორასი.

კაცი და ძაღლი

ხელიდან წასულმა კაცმა,
ბევრჯერ ნასამართლევმა,
ცოლის ცემაში შემჩნეულმა,
საფლავებიდან ლითონის ნაკეთობების ქურდობის გამო
ნაჯდომმა,

ყველაფერი რომ გაყიდა, რაც კი ებადა,
ყველამ რომ მიატოვა, მოხუცი დედის გარდა,
არავინ რომ არ ებრალებოდა – არც მკვდარი და არც
ცოცხალი,

ზამთრის ერთ მზიან დილით
მანანნალა ხეიბარ ძაღლს,
უჯიშოსა და სამფეხა ხვადს,
ძეხვის ნაჭერი გადაუგდო და თავზე ხელი გადაუსვა.

არ იყო გულჩვილი კაცი,
უფრო უგულო ეთქმოდა, ვიდრე გულგრილი.
ცრემლი მომადგა.

ძაღლს წინა მარჯვენა კიდური აკლდა,
ისე ღრმად ჰქონდა ძირში წაწყვეტილი,
რომ ნაწიბურიც კი არ უჩანდა.

ჩემმა ცოლმა ივარაუდა:

აღბათ ასეთი თუ დაიბადა.

ამ ამბავმა გამახსენა ერთი სამფეხა ცხენი,
ჩქარმა მატარებელმა რომ დაასახიჩრა,
მაგრამ პატრონს დაენანა და სასაკლაოში არ ჩააბარა.

ვერც ზედ ჯდებოდა, ვერც გუთანში აბამდა
და ცხენიც დადიოდა, უცნაურ ნაბიჯებს დგამდა,
დაბალახობდა.

პატრონის ჰუმანურობის წყალობით
ადამიანის სანატრელი სიცოცხლე ერგო:

ცოხნა და უსაქმურობა.

გამახსენდა ცალფეხა ბიჭი,

რომელსაც ლამის საზარდულთან ჰქონდა მოკვეთილი ფეხი,

მაგრამ, როგორც იტყვიან ხოლმე, ფეხს არასოდეს ითრევდა –

ჩვენთან ერთად დადიოდა მდინარეზე საბანაოდ და ისე მარჯვედ დახტოდა, როგორც კალია ივლისის თვეში.

გამაოცა მეზობლის ღმობიერებამ,

ვინ იცის, რამდენი ეზოდან გააგდეს ეს ძაღლი,

დაუცაცხანეს, ქვა ესროლეს, პურში ნემსი ჩაუდეს,

აქ, ჩვენს ეზოში კი შეიწყნარეს და შეიფარეს,

დააპურეს და მოეფერნენ.

მეც წამოვავლე სადილიდან მორჩენილ კერძს ხელი და ეზოში ჩავედი.

უფეხო ძაღლი იდგა მეზობლის წინ და მზერას არ აშორებდა,

ენა გადმოეგდო და უზომოდ მადლიერი ქასქასებდა.

კაცს მივესალმე,

მხარზე ხელი მოვუთათუნე,

კარგი ძაღლიაო, ვუთხარი,

რა საბრალოა, ხეიბარი რომ არის,

ალბათ როგორ უჭირს სხვა ძაღლებთან გამკლავება,

აბეზარი ბავშვების მოგერიება,

სასწაულია, ცოცხალი რომ არის-მეთქი.

და ისიც ვკითხე: «ნეტა რა ჰქვია? რა სახელი აქვს?»

არ იცოდა ძაღლის სახელი!

ალბათ არც ჰქონდა,

ისევე როგორც არ ჰქონდა ფეხი,

მაგრამ სიმართლე ყოფილა ნათქვამი:

თუ კაცმა არ გაიმეტა,

ძალლი კოჭლობით მართლა არ კვდება.
როდის მოფსამსო, დაიჩივლა ნაცნობმა კაცმა.
წონასწორობას როგორ დაიცავს მაინტერესებსო,
«რომელ ფეხს ასწევს?
იქნებ არც ასწევს?» –
ასეთ ფიქრებში დავტოვე კაცი
და უბოძოდ მაღლიერი სამფეხა ძალლი,
რომლისთვისაც უცნაურად შეიცვალა სამყარო,
შეიცვალა ზამთრის ერთ მზიან დილას,
როცა დააპურეს და მოეფერნენ,
როცა ქვები არ დაუშინეს,
პურში ნემსი არ შეაპარეს,
მაგრამ შეიცვალა სულ მცირე დროით,
პირველ მოფსმამდე.

3. პრობა

ზურაბ გოგიძე

ოინბაზი სულიერება

ტუფლებიც ჩვეულებრივად გაიხადა იმ საღამოს, შინ მისულმა, ბენვებიანი ხორცილებიც ჩვეულებრივად მოიფხანა აქა და იქ და ცივი ვახშამიც ჩვეულებრივად მოითოხლავა, როგორც ამას ყველაფერს უამრავი სხვა მოკვდავიც ადვილად ჩაიდენდა. მაგრამ უკვე გვიან, რაკი დაძინების საათმა ჩამოჰკრა და არაუშანგიმაც საძინებელ თავის კუთხეს მიაშურა, აი, მაშინ ჩაიდინა უცნაურობა, ყველა მისი თანამოძმისგან და უცხო მოკვდავთაგან განსხვავებული. უცნაურობა თითქმის წარმოუდგენელიც კი. რა და, როცა საღამურა ნიფხვისა და თავჩაჩის ამარა საბანში შეძვრა და გაიზმორა, სანამ მთელს სიგრძე-სიგანეში კაი ლაზათიანად გაიშოტებოდა, ბალიშის ქვეშიდან ტომარა გამოაძრო, პირით პირზე მიიღო, საძაგლად დაიჭინთა, მუცლიდან ამოდევნა მთლიანი თავისი სული და იმაში ჩაჰბერა. ტომარას თავი საგულდაგულოდ მოუკრა, ბოქლომიც დაადო, გასაღები ბალიშში შეინახა და მაშინლა გაიშოტა გულაღმა, მოკვდა და ისე დაიძინა.

იმისი სული კი დარჩა მარტო, ტომარაში ჩატენილი, დამწყვრეული, ნაწყენი, დაბოღმილი. მაღლა-მაღლა მიინევდა თვითონ უწონო სიმსუბუქით და საჰაერო ბურთსა ჰგავდა მისი აზიდულობით ყალყზე დამდგარი ტომარა, რომელს, თუმცალა, ბოქლომის სიმძიმე ფრენად მაინც არ უშვებდა და ძირით იატაკზე ამაგრებდა.

შესაშური სიმკვდარით ეძინა არაუშანგის. ფეხებზეც კი არ ეკიდა თავისი სულის წყენა და უსიამო ღამისთევა. ადვილად, უდარდელად ათევდა თვითონ მთლიანად ჩამქრალი და გაბრტყელებული თავისი ხორციით, აბა სადა სცხელოდა დარდებისთვის.

და კარგა გამოძინებულმა, მოსვენებულმა და ნაამებმა გაიღვიძა დილით. გაიზმორა, გახსნა ბოქლომი, ჩაყო ცხვირ-პირი ტომარაში, ამოწოვა, ჩაყლაპა, ჩაიცვა თავისი სული. თან კისრის, ტანის და კიდურების მოკლე მოძრაობებით გზა მისცა – გაუადვილოს, კარგად მოერგოს შიგნეულობას, ისევ სრულად მოიცვას სულიერებამ წელანდელი ნამკვდარევი ხორცი. ადვილად, ნაჩვევი, განაფული მოძრაობებით ჩაიცვა, გეგონება სული კი არა, ნიფხავი ყოფილიყო, ან გინდაც მაისურა.

რაკი გაცოცხლდა, მზადებასაც შეუდგა დღევანდელი მოღვაწეობისთვის: პირსაბანზე წარბები და ცხვირ-ულვაში დაისველა, წირპლები გამოირეცხა, განიერ, მელოტ თავზე საგულდაგულოდ შემოივარცხნა გარშემო შერჩენილი ბალანი, საკიდებზე ნახა სამოღვაწეო თავისი კაზმულობა: მოთეთრო-ბინძურისფერი ხალათი, მოშავო-ბინძურისფერი შარვალ-კოსტუმი, განიერი, ბრტყელი ქუდი, წინსაფრისებური ჰალსტუკი, გრძელცხვირაშვერილი ტუფლები. ძალიან გაცვეთილი. მარტო ტუფლები კი არა, მთლიანი კაზმულობა ძალიან გაცვეთილი.

მაშ გამოეწყო. და იღლიაში საქალაღდეც კი ამოიღო არაუშანგიმ ვიდრე სამოღვაწეოდ შინიდან გავიდოდა. აგებულებით მოკლე იყო, მაგრამ განიერი, და იმ სიგანით და ყოველი მოძრაობის სიღარბაისლით ადვილად გამოიცინობოდა მასში პასუხისმგებელი და პატივცემული მოღვაწე გვამი.

ნაწყენი სული ჯერ ჩუმად იყო იმის მუცელში, ხმას არ იღებდა გაბუტული. მაგრამ იცოდა არაუშანგიმ, ადრე თუ გვიან დაიწყებდა ჯაჯღანს, საყვედურებს. არა სურდა ამაზე ფიქრი, საქმეს მიაშურა: საქალაქო მიმოსვლის მატორიან

ვაგონში შეეტენა – საჭირო საათზე გამოცხადდეს
სამოღვაწეო სუფევაში.

კაი ნახევარი გზა ჩუმად იმგზავრეს არაუშანგიმ და იმისმა
სულმა და ბოლოს კი ამოიღო ხმა იმან:

– უსირცხვილო ხარ.

– გაჩუმდი-მეთქი! – სასწრაფოდ მოუჭრა არაუშანგიმ.

იჩუმა სულმა, მაგრამ მალე კიდევ აღმოხდა:

– აბა შენ დაგამწყვრიონ ტომარაში ყოველ ღამე, – და ცუდი
სიტყვაც მოაყოლა.

– ხმა ჩაიწყვიტე! – გაბრაზებულმა არაუშანგიმ მუშტი
ჩაირტყა მუცელში, სულს უთავაზა დამსახურებით.

სხვა მგზავრებმა აღმაცერად, ერთი წამის
ცნობისმოყვარეობით აათვალიერეს ეს უცნაური მოღვაწე,
თავის თავს რომ ლანძღავს და მუშტებს უბრახუნებს,
რამდენადმე იყო, კიდევ გადგნენ, მოერიდნენ იმ სავსე
ვაგონში და მალევე დაივიწყეს.

სული უჩუმრად დუღდა, მოკლედ, გაურკვევლად თუ
ჩაიბუზღუნებდა დროდადრო.

მიმოსვლის ვაგონიდან ისევ ქვეითად დაადგა აღმართ
ქუჩებს არაუშანგი თავისი სამოღვაწეო სუფევისაკენ.
გონებაში საამური ფიქრი მოსდიოდა: სუფევის
შესასვლელში გამოცხადებათა აღმწერელ ქალსა ნახავს,
ახლად დაქვრივებულ თამთამარას! ნეტავ დღეს როგორ
გუნებაზე შეხვდება? ნეტავ თუ გაუღიმებს? კიდევ თუ
მოაწვდის იმედის შორეულ ნაპერწკალს? აღტაცებული
მოლოდინით მიდის არაუშანგი, მიდის და მიიჩქარის, იმასა
ფიქრობს, საქმეების საქაღალდე რომელ ილღიაში უფრო

ლამაზად მოუხდება, ანაც ჰალსტუკი ქამარში ჩაიტანოს თუ ყვეყვებზე გარედან გადმოიფინოს?

– რა დაგიშავე? – ისევ სულმა ამოსძახა სიღრმეებიდან – არა, რა დამიშავებია ნეტავ?

– შენ რა დამიშავე?! – უცებ აფეთქდა არაუშანგი, მაგრამ მაშინვე გონს მოეგო, შედგა, მიმოიხედა, სხვანაირად ხომ არავინ მიყურებსო, მოღვანე ამხანაგი ხომ არავინ ჩანსო ახლომახლო, სიგიჟედ არავის ვეჩვენოო და უფრო დამშვიდებით განაგრძო – მაშ შენ არ იცი რაც დამიშავე? მაშ ეხლა გიკვირს, არა? შენი ხმა აღარ გავიგო იცოდე, საქმეები მაქვს მისახედი, მოღვანეობა!

– ეგრე უსირცხვილოდ რომ მაბრალე! შენი უსინდისობისა და კაიკაცობისა შენ თავს მოკითხე ხოლმე, – გაჩუმებას არ აპირებდა სული – და ტომარაშიც შენი თავი ჩატენე ხოლმე ღამლამობით. თუ კარგია!

ბევრჯერ ჰქონიათ ეს საუბარი, სულ ზეპირად იცოდა არაუშანგიმ სულის საყვედურები. აღარ გააგრძელა იმასთან კამათი: აკი მოღვანეობაში მიეჩქარებოდა, გამოცხადებათა აღმწერელი თამთამარას დანახვა და იმისი სახის გამოცნობა: აბა დღევანდელი მზერით იმედის მოცემას თუ უქადდეს. და აბა სადღა სცხელოდა, ერთი კაი მუშტიც ჩააზილა სულს, თვითონვე რომ დაიკლაკნა და ხრიალი აღმოხდა, ისეთი. წამით შედგა, სუნთქვა მოიბრუნა, გასწორდა, გაიმართა და განაგრძო გზა მოღვანეობაში.

სულს კი აღარ უსმენდა, არა პასუხობდა.

«ნეტავ წყეული ოყლაყიძე მაინც არ ეგდოს გამოცხადებათა დახლთან», ამასა ნატრობდა ახლა არაუშანგი, «ნეტავ ვინა ჰკითხავს ხოლმე იქ დაყუდებას?

რატომ თავის ბუდრუგანაში არ დაეტევა?» მართლაც, აბა რად უნდოდა უცხო მიმყურადებლის ყოფნა სასურველ ქალთან საიდუმლო გასაუბრების ადგილში? მაგრამ კარგი ამბავი დაუხვდა: შორიდანვე დაინახა არაუშანგიმ, ოყლაყიძე შესასვლელი კიბის თავზე, სწორედ თავის ბუდრუგანასთან ატუბულიყო.

– ქალო, თამთამარავ, – დაბალი ხმით, თითქმის ჩურჩულით დაუნყო თქმა, რაკი გამოცხადებათა დახლოთან მოღვაწე ამხანაგი სხვაც არავინ შეხვედრია და წუთით პირისპირ, მარტოდმარტო აღმოჩნდა სასურველთან – აკი ცხონებული შენი მოხუცი სამშვიდობოს გაგისტუმრებია, მაშ რაღა გვიშლის ხელსა, რად არ იქნება? წამო, ამაღამ მთლიან მთვარეში ღვინო გასვა დამკვრელების ჰანგზე. ჰა? ლექსები უნდა გითხრა ზეპირად, აკი განგებ შენთვის შემისწავლია!

შარვალში და ხელისგულებში შიოდა არაუშანგის, ღრმადა სუნთქავდა და დორბლი სდიოდა ამეების ზმუილში. იმისი ტურფა კი უხმოდ თვალებსა ხრიდა და ტყუილად კანრავდა საქმიანი ჩანანერების დავთარში. არც ხო, არც არა მისგან.

დიდხანსაც განა გაჩერდები ასე, ამ საიდუმლო საუბარში: შემოდინ უკვე სხვებიც, მოღვაწე ამხანაგები. ერთი მძიმედ ამოიოხრა არაუშანგიმ, სხვა რა გზაა, უნდა წავიდეს. და მაშინ მოეცა სიხარული: ერთი მოკლე გაღიმებით გამოაცილა ტურფა თამთამარამ!

აღტაცება მოეცა მაშ, იმედის ნათელი სხივი. ის გაღიმება დაებეჭდა გონების თვალში და თავისთან დაჰქონდა დღევანდელი მოღვაწეობის საათებში. მუცელში კი ხმაგაკმენდილი ეჯდა თავისივე სული, ისიც უკვე თავის

ფიქრებში გართული, ისიც თავისი, სულ სხვა საიდუმლო განზრახვით დაიმედებული და დამშვიდებული.

მაინც რანაირად გამოსვლიათ ერთმანეთში ეს კინკლაობა და უსიამოვნება სულსა და ამის არაუშანგის? რად ემძიმებოდა იმას ამისი სიმსუბუქე? რა და, სული მახრჩობსო ღამღამობით, ძილი აღარა მაქვსო და მოსვენება, დიდხანს ამასა ჯავრობდა მოღვაწე გვამი. საქმიანობის ყოველი დღე თუმცა ოდნავ სხვადასხვანაირად, მაგრამ მაინც ჩვეულებრივად ჩაუვლიდა ხოლმე, ხან მხიარულად, ხან უგუნებოდ, ხან ხელქვეითებს დაერეოდა საყვედურებით, ხან უფროსობა მოეფერებოდა, და გარეთა, გამოსაჩენი ნახევარი ყოფისა ჩვეულებრივად მიუდიოდა.

მაგრამ ღამე ვერ იძინებდა. თითქოს სული გამუდმებით რალაცას საყვედურობდა, ყელში წვდებოდა, ახრჩობდა. საათები სიფხიზლეში გაუდიოდა, წრიალი ქანცავდა და ძალასა სწოვდა, სიბნელეში ბოდიალი არა შველოდა და თამბაქოს წევა. გრძელდებოდა, იწელებოდა საათები, ვიდრე გათენდებოდა და თავი რომელ კედელზე ეხეთქებინა არ იცოდა.

გათენების საათზე თულა ჩათვლემდა და დილით გადაღლილი და განამებული იღვიძებდა. სულ უფრო უძნელდებოდა მოღვაწეობა. გახდა, გაშავდა, საქმეები აღარ ეყურებოდა. და მაშინ გასინჯა და წესად შემოიღო სულის გამოლება და ტომარაში დამალვა. და მშვენივრად მოეწყო საქმე.

სულს კი სწყინდა, არ უყვარდა ტომარაში ჩაკეტვა და სჯეროდა, სულ ტყუილად ბრალდებოდა სიმძიმე და მახრჩობელობა. მისთვის რომ გეკითხა, არაუშანგისავე ბრალი იყო უძილობა და მოუსვენრობა.

– მე რანაირად უნდა გახრჩობდე, – დაიჩივლებდა – ზომითა და წონით ერთი გაცუებისოდენა თუ ვიქნები. შენსავე კაიკაცობას დააბრალებ, რასაც ყოველდღე ტყუილსა და ბოროტებას თესავ, ეგ არის, რაც არ გასვენებს.

– ნუ გეშინია, კაიკაცობა ყველას ერთნაირი გვჭირს და სხვებს კი რატომღაც მაინც არხეინად სძინავთ ღამდამობით! – არაუშანგიც პასუხობდა – ტყუილი და ბოროტება თუ არა ვქენი, ლუკმა და გასამრჯელო საიდანა ვჭამო? შიმშილითა ვკვდე, ძილის ჯავრიღა მექნება?

ჯიუტად თავისაზე იდგა ორივე, მაგრამ არაუშანგი იმარჯვებდა, თავისი გაჰქონდა, ყოველღამ ტომარაში ამწყვრევდა. სულს კი სტკიოდა, სწყინდა, ძალა არა ჰქონდა და შველა არ მოუჩანდა.

შურს იძიებს, აი რა!

თანდათან გაუჩნდა სულს შურისძიების აზრი და სურვილი და მერე დღითიდღე უმტკიცდებოდა განზრახვა. აუტანელი წყენა მარტო ამისკენ უბიძგებდა ამიერიდან. ხმამაღლა კამათში არასდროს დამუქრებია, არასდროს მიუნიშნებია სამაგიეროს გადახდაზე. ილანძლებოდა, ნუნუნებდა, ჭეშმარიტების მტკიცებას ცდილობდა, შურისძიებაზე კი კრინტს არა ძრავდა. საიდუმლო და მტკიცე განზრახვა იყო მისი.

არაუშანგის საქმე და მოღვაწეობა ერთ ადგილში სუფევა როდი იყო, საკუთარი ფეხით დაუვლიდა, თვალყურს ადევნებდა თავისი გამგებლობის სამეზობლო ეზოებს, საქმიან ეზოებს, საცავ-სათავსოებს, ხელქვეითების ქურდობას და ყალბათბანდობას. დღესაც, რაკი გამოცხადებათა დავთარში თავისი მოსვლა უჩვენა, მხოლოდ ცოტა ხნით მიაშურა სამუშაო მაგიდას. ქუდი

მოიხადა, იღლიის საქალაქადე გახსნა, იქიდან ერთი ფურცელი ამოიღო, სხვა ჩადო. საქალაქადე ახლა მეორე იღლიაში მოირგო, ქუდი ისევ დაიხურა და გაეშურა დღევანდელი მოღვაწეობის სამოგზაუროდ.

პირველივე სამეთვალყურეო ეზოში ალიჯემალი დაინახა, ჭკუანაკლული მუშა. ქვაფენილსა გვიდა ჭკუანაკლული, ნელ-ნელა და, როგორც ყოველთვის, როგორღაც უცნაური მოძრაობებით: ქვაფენილს დაჟინებული აკვირდებოდა, თითქოს ეძებს რამესო და ცოცხით მოკლე-მოკლე და მოღუნული მონასმები გამოჰყავდა, გეგონება გზას უთმობს თუ გვერდს უქცევსო რამეს.

ახლოს მივიდა არაუშანგი, უყურა იმის წვალებას.

– ბიჭო, შენ რატომ თერთმეტ ნუმერში არა ხარ? – ვითომ მკაცრად ჰკითხა, ვითომ სახელიც არ ახსოვდა მუშისა.

– აკი ხუთშაბათია პატივცემულოთ, – მუშამ უპასუხა, გაჩერდა და ამას უყურა, აბა კიდევ რას მიბრძანებსო.

დაეზარა არაუშანგის საქალაქადეში შემოწმება დღევანდელი ხუთშაბათობისა.

– როგორც არის, ოღონდ იცოდე, ერთხელაც იქნება ცუდ გუნებაზე დაგიხვდები და ვერ გადამირჩები. გაგაგდებ იცოდე!

სიბრიყვით დაჭყეტილი მიაჩერდა ალიჯემალი, ვერ მიუხვდა, რას ერჩოდა.

– რადა ბრძანებ? კიდევ რომელი დავაშავე?

– რა და, ცოცხი კარგად გამოუსვი. რამდენი ჭიანჭველა გამოივლის, ყველას რომ გზა დაუთმო, საქმე როდისღა გაკეთდება?

– აა, მაგასა ბრძანებ? ეგ ჰო, როგორც მიბრძანებთ პატივცემულოთ.

დალუნა თავი ჭკუანაკლულმა, განაგრძო საქმე, მაგრამ ისევ ისე, სიფრთხილით: ცოცხით შემთხვევით ჭიანჭველა არაფერი გაიტანოს. გეგონება აღარც ახსოვდა შენიშვნა და საყვედური.

უყურა არაუშანგიმ. რა უნდა უქნა ამისთანას? რანაირად შეაგნებინო? ვერც ვერანაირად. ოღონდ სხვა დროს გააგდებს: დღეს კაი გუნებაზეა, დღეს აკი ტურფამ გაუღიმა.

– შენა და, – უკვე მოშორებით იყო, კიდევ დაუძახა ალიჯემალის – ღამლამობით როგორა გძინავს?

გაჩერდა ჭკუანაკლული, არ მოელოდა ამისთანა კითხვას. ცოცხის ტარს დაეყრდნო, დაჭყეტილი თვალებით უყურა არაუშანგის და რაკი ნახა, ის მართლა პასუხს მოელოდა, მოფიქრებაც დაიწყო.

– უჭმელი თუ ვარ, იმ ღამით სულ ვერ ვიძინებ პატივცემულოთ. აი, როგორ გამოდის ხოლმე ეს ამბავი, – მხრებიც აიჩეჩა, ემანდ ხომ ნამდვილად ამასა მკითხავდიო, არაფრით განგარისხეო?

ხელი ჩაიქნია არაუშანგიმ, წავიდა ეზოდან. რა უნდა ელაპარაკო, აბა უჭმელობა რა შუაშია? ეს კაიკაცობაზე ეკითხება, სულის სიმძიმე-სიმსუბუქეზე, ის კიდევ რეებსა პასუხობს! ამისმა სულმა კი ამეების გაგონებაზე განგებ ხმამაღლა, განგებ ბოროტად გაიცინა, რაზედაც სხარტი და მყრალი პასუხი მიიღო არაუშანგისგან.

სადილობამდე სულ შემოიარა თავისი გამგებლობა. გასინჯა, შეამოწმა ყველგან წესრიგი და გარემოება. დახედა სხვებსაც: მუშებს, ხელქვეითებს, ზოგი დალანძლა,

ზოგს ვერ გაუბედა, საწყობ-საცავებში იმათი ნაქურდალი აზომ-ანონა და გამოიცინო დაკვირვებული თვალით, თავისი მოსაპარიც შეიგულა თითო-ოროლა. და დარჩენილ საათებს უკვე სუფევაში მოღვანეობდა, სამუშაო მაგიდასთან. ფურცლებში შეჰქონდა სხვადასხვა საჭირბროტო ჩანაწერები. თან, რა თქმა უნდა, გულის სიღრმეში თამთამარასა ფიქრობდა, იმისი ღიმილის გამოცნობასა და მომავალ გაგრძელებას.

და ისევ, როგორც ძალიან ხშირად, იმ ოყლაყიძის ყოფნა აღიზიანებდა სუფევაში. ის ყოვლად ზედმეტი სულიერი გამოცხადებათა დახლთან ნახა ბოლოს, სადილის საათზე და ეს კი იმასა ნიშნავდა, რომ კარგა ხანს იქიდან ფეხს აღარ მოიცვლიდა. სუფევათა სადღელამისო მცველი ეწოდებოდა ოყლაყიძეს, წვრილი იყო, გრძელი, მუდამ გატანჯული სახე ეჭირა და მუდამ არაფრის კეთება იყო მისი მოღვანეობა. უცხვირპირო იყო, არავის უყვარდა. მოღვანე ამხანაგები იცნობდნენ და ჩვეულებრივ ხმას არა სცემდნენ, მაგრამ თუ ვინმე შეცდებოდა და იმის დანახვაზე სალამს იტყოდა, ოყლაყიძე არამც პასუხს არ მოსცემდა, ამის მაგივრად კი მხოლოდ ყურადღებით მოაკვირდებოდა თავისი გატანჯული სახით და მზერას აღარ მოაშორებდა, ვიდრე მიმსალმებელი თვითონ არ გაეცლებოდა.

და რაკი არაფრის კეთება ევალეობდა, შეეძლო მთელი დღე ერთ ადგილზე დაყუდებულს გაეძლო, თუმცა კი გატანჯული სახით. ამგვარად ატუბულა ახლაც გამოცხადებათა დახლთან.

უკვე შინ წასვლა-წამოსვლის საათი ახლოვდებოდა საწერმაგიდებიან სუფევაში. როგორცა ჩანდა, დღეს ველარაფერი გამოვიდოდა. არაუშანგის უკვე ერთი სული

ჰქონდა, ამაღამაც მალე გაეხადა სული, მალე ადვილად გაეთენებინა და დილით ისევ ეცადა ბედი.

მაგრამ დახე საოცრებას! თვითონ მოენვია ტურფა თამთამარა ამის სამოღვაწეო მაგიდას! ნეტავ რა ამბავი? რას მიაწეროს არაუშანგიმ ესოდენ იღბალი? კალამი ხელში გაუქვავდა, პირი დაღებული დარჩა, თვითონ მთლად ყურებად იქცა. თამთამარას სამუშაო წიგნი ეჭირა ხელში, ხმამაღლა გამოუცხადა არაუშანგის, სხვა ამხანაგების გასაგონად:

– გამოცხადებათა დავთარში შეცდომა გამოგსვლიათ, უნდა გავასწოროთ. აი, ნახეთ, გუშინდელი რიცხვით.

და გაშლილი დავთარი ცხვირწინ დაუდო. და სანამ არაუშანგი გონს მოვიდოდა, ტურფამ ჩურჩულით ჩაულაპარაკა:

– აგერ ფურცელზე უკანა კარის მისამართი დაგინერეთ, ხვალ საღამოს ხარჩო და არაყი მექნება. ოღონდ გვიან საათზე მოდით, ყველასგან უჩუმრად.

თან გაშლილი დავთრიდან შეუმჩნევლად გამოაცურა პატარა ფურცელი მისამართით.

– მმმ... – ჰასუხად აბლუყუნდა არაუშანგი – მე! როგორც მიბრძანებთ, პატივცემულოთ. აკი მე მუდამ კეთილსინდისიერად... მაშასადამე დავთარში.

– მომავალში უფრო ფხიზლად იყავით, – ისევ ხმამაღლა, ისევ სხვების გასაგონად დაუბარა ტურფა თამთამარამ და სულაც მოურიდებლად გაუღიმა ნათელი გაღიმებით.

გაზაფხულის მსუბუქ ნიავსა ჰგავდა იმისი გავლა, აყვავებული სურნელის ფრქვევას.

და განა რაღა კალმით აიწეროს არაუშანგის გაოგნება და სიხარული? ადგა, დაჯდა, ჰალსტუკი შეიხსნა. პირი დახურა, საქალაქდე გახსნა, შიგ საიდუმლო მისამართი ჩადო, ამოიღო, ორად გაკეცა და გულის ჯიბეში ჩაიღო. თანდათანა ხვდებოდა ფრთების ამოსვლას საკუთარ ბეჭებში.

«ცოლადაც მოვიყვან!» აღტაცებული ამბობდა თავის თავში, უკვე შინ მისული. არ უვახშმია, სასწრაფოდ სული გაიძრო – მალე გათენდეს, მალე დაღამდეს, მალე ასრულდეს!

ხვალ დილით საგანგებოდ ემზადებოდა არაუშანგი: დაბანილ თავზე სურნელოვანი წყალი დაისხა, ჰალსტუკის მაგივრად მეორე ჰალსტუკი გაიკეთა და შინიდან ჩვეულებრივზე ადრე გავიდა. სული ჩუმადა ჰყავდა ამ დილით, არაფერს ეკამათებოდა, არა ნუნუნებდა, მხოლოდ თავისთვის ჩუმჩუმად ეცინებოდა იმისი ცანცარის შემყურეს. «აბა უყურე რა ყოფით დაფარფატებს,» გულში ამბობდა, «ეხლა რა ველაპარაკო? გაუშვი, გაიხაროს სანამ ბედი უღიმის.»

დაგრძელდა და მაინც გაიღია მოღვაწეობის ის დღე. საღამოს გვიან საათამდე სუფევაში დარჩა არაუშანგი: აკი გვიან უნდა მიეწვიოს ტურფა თამთამარას. მარტო დარჩენილმა უყარაულა საათების დინებას და ბოლოს აუჩქარებლად დასტოვა საწერმაგიდის ოთახი, სამოღვაწეო სუფევა.

ახლა გასასვლელ კიბესთან დაუხვდა ის უცნაური ოყლაყიძე. არაუშანგის თითქოს გაუხარდა კიდეც ამხანაგი: აკი სულ მარტომ იყურყუტა სუფევაში ბოლო რამდენი საათი. არემარე გაფენილი ცოცხალი საღამო ფართოდ და

გემრიელად შეისუნთქა, ჯიბიდან პაპიროსის კოლოფი ამოიღო, ოყლაყიძესაც გაუნოდა.

– მაშ პარასკევიც გაიღია ოყლაყიძევ. შემოვრჩი, გესმის, ნარჩენი საქმეები იყო მოსამთავრებელი.

არა პასუხობდა თანამოსაუბრე, მხოლოდ გაკვირვებული და გატანჯული სახით აკვირდებოდა ახლაც. ცოტა ხანს თავისთვის ფიქრობდა არაუშანგი.

– ეგა და, მითხარი გეთაყვა, ღამლამობით როგორა გძინავს?

კი ჰკითხა, მაგრამ მაშინვე მიხვდა, არ უნდა ეკითხა: გაახსენდა, აკი იმისი საქმე დღე და ღამე სიფხიზლე და უძილობა იყო, ძილისა იმას რა უნდა სცოდნოდა? აღარაფერი უთქვამს, არც მშვიდობა დაუბარებია, დაეშვა და იარა დარჩენილი პაპიროსის ხრჩოლვით.

ცოტაოდენ უსიამო გრძნობა აჰყვა ამ საუბრიდან.

გული უძგერდა და სული კი უჩუმრავდა ჰყავდა ჩატრუნული ხორცის წიაღებში. უცნაურად მართოდა გრძნობდა არაუშანგი, თავისთავში სულგაბუტული, და იმის სიმართლევს აყურადებდა სული. ცალკე იყო, მხარს არ უბამდა იმის აღტაცებას, ვერ გაიგებდი, რასა ფიქრობდა და როგორ გუნებაზე იყო.

მაგრამ მართო გზა გამოდგა ძნელი და უსიამო. ბოლოს და ბოლოს კი გამხიარულდა, განათდა და გაფერადდა საღამო. სანადელი და სანატრელი სინამდვილედ გაუხდა არაუშანგის. ახლოს ხედავდა ტურფა თამთამარას და უკვირდა იმისი სიკარგის უკიდევანობა. დიდი კოვზითა ჭამდა ცხელ-ცხელ ხარჩოს, ლავაშს აყოლებდა, თვალს არ აშორებდა ქალს და ახალი თავისი თავის დანახვა უნდოდა ხვალიდან, დღეიდან, სულაც ამ საათიდან. ავხორცი

დაუფლების მაგივრად გაკარგება უნდოდა თავის თავში. არაყი დალია, დაპირებული ლექსები უთხრა ზეპირად. ქონიანი პირი ქალღმერთი მოიხოცა, კიდევ დალია არაყი, ფეხზე ადგა და სახეში ჩააკვირდა ტურფა არსებას. მეორე წუთში მკლავებში ჰყავდა და ზუსტად იცოდა: ყოფის ბოლომდე აღარც გაუშვებდა. «მაშინ ხომ სულის გახდაც აღარ დამჭირდება ხოლმე,» ესლა გაახსენდა სულ ბოლო წამში, გაიფიქრა და გაფიქრებაც კი ვერ მოასწრო, რომ სული თვითონ დაუსხლტა და ამოუფრინდა, გამოეძრო.

აკი შურისძიება ჰქონდა განზრახული და გადაწყვეტილი. უკეთესად გასამწარებლად საგანგებოდ შეურჩია ყველაზე მეტი ალტაცების საათი, როცა ყოფა და სულდგმულობა განსაკუთრებით ძვირფასი გაუხდა ცოდვილ და უბადრუკ არაუშანგის. ამაზე უკეთესს საათს ვერა ნახავდა სამაგიეროს გადასახდელად, დაჰკრა ფეხი სულმა და აღმოხდა, მიატოვა.

გაოგნებული თვალს აყოლებდა მომაკვდავი გვამი საკუთარ თავის სულიერებას, ვერაგ ოინბაზს, ჰაერზე მონავარდეს. მუხლებზე დაეშვა, დამრგვალებული თვალებით ევედრებოდა:

– ეხლა მკლავ შობელძაღლო? ეხლავა, როცა რომ ყოფაში სიკარგე გამომიჩნდა? ეგეთი უსულგულო რა მერგე მე რომ ჩემი ბედი მოვტყან აგრემც! რისთვის? ძილის საათებისთვის? რა მნიშვნელობა აქვს ტომარაში ცალკე დაიდინებ თუ მძღნერებთან და კუილებთან ერთად, ჩემ მყრალ მუცელში? მაგისთვის როგორა მწირავ, ბიჯო?!

მაგრამ ფეხებზე ეკიდა შობელძაღლს. ენას უყოფდა და ცხვირზე მიდებულ თითებს უფრიალებდა დაცივნად უკვე ბოლომდე გათავებულ და ჩამქრალ საკუთარ გვამს. დარდი არა ჰქონდა, უწონობაში მიუხაროდა, თავისუფლებაში.

ცირა ყურაშვილი

აბრეშუმის პეპელა

«კარგად მოუარე, – უთხრეს დედას, – ნორმას თუ არ გადაამეტებ, არც დააკლო, გრამზე ხუთი კილო პარკი მაინც უნდა ჩაგვაბარო, ჭიები არ დახოცო, თორემ სასჯელი არ აგცდება!» შემდეგ დავთარში რალაც ჩაწერეს, დედას ხელი მოაწერივნეს და წავიდნენ. ორი ქალი იყო – მეაბრეშუმეობის ლაბორატორიის თანამშრომლები. მაისის ბოლო იდგა, როცა მათ მუყაოს პატარა ყუთით რალაც დატოვეს.

– «აბრეშუმის მურია», – თქვა დედამ.

«მური» ან ჭინჭველასთან მსგავსების, ან სიშავის, ან სურნელის, ან ძვირფასეულობის გამო – იგი აბრეშუმის პანია, გამურულ, ჩვილის ასაკში მყოფ ჭიებს ნიშნავდა.

– «ცხოვრება წინ მიდის», – მუყაოს ყუთის გამო თქვა ბებიამ, – ჩემს ბავშვობაში მურის დასაჯენად პირუტყვის ფუნისგან ჯამს აკეთებდნენ – «ფუნია» ერქვა, «ტაბასკვერასაც» ვეძახდით... – შემდეგ მური შპალერის მორჩენილ ნახევზე გადმოსვა და მუყაოს პატარა ყუთი თავის საწოლქვეშ დიდ, გაზეთჩაფენილ ჩემოდანში საწვრილმანოდ შეინახა.

– სამი გრამია, – თქვა დედამ, – გრამზე ხუთი კილო პარკი უნდა ჩავაბაროთ, 75 მანეთს ავიღებთ.

«სამოცდათხუთმეტი მანეთი ხელწამოსაკრავი ფული არ არის, – გვითხრა ბებიამ – პური 30 კაპიკი ღირს ღირს, შაქარი – 70, ხანის სულუგუნი მანეთი და სამოცდაათი კაპიკი, ჩვენც ხომ ვყიდით ყველს მანეთნახევრად – ცხოვრება ანგარიშია!»

დედამ მიკროსკოპული ზომის ჭიებით შავად დაწინკლული ქალაღდი მაგიდაზე დადო. ეზოდან ბჟოლის რამდენიმე ფოთოლი შემოიტანა, მაკრატლით დაანაკუნა, ჭიების ირგვლივ მიმოფანტა და თქვა – «რაც კარგად ვაჭმევთ, პარკსაც დროზე აახვევენ და დროულად გადავსვამთ სახლიდან, დახუთული სუნი იცის აბრეშუმის ჭიამ, ძნელია მის გვერდით ცხოვრება, თან ბავშვებთან ერთად»...

აი, ასე იწყეს ჩვილმა ჭიებმა ჩვენ გვერდით, მაგიდაზე, თავიანთი თვენახევრიანი დროება... ჩვენ კი, მე და ჩემს პატარა და-ძმებს, წვიმით დალტობილ და წვიმის ხელით ჟანგისფრად მოხატულ კედელთან მიდგმული საწოლიდან მშვენივრად შეგვეძლო გვეთვალთვალა მათთვის, შპალერზე მონარჩენი მცირე ზომის ქალაღდი კიღით-კიღემდე როგორ დაისაკუთრეს და შემდეგ დედას «უბრძანეს», მათთვის ქალაღდი მაგიდის მთელ ზედაპირზე გაეშალა. ამ დროს მურის კანიდან ამოსული ჭიები სათეთრებელ კანში ჩაწვნენ, ანუ თეთრად შეიფერნენ და შუბლზე პანია კეხი გაუჩნდათ. ის დროა, ჩვენც, მე და ჩემი დედმამიშვილებიც ამოვდივართ მურის კანიდან, სათეთრებელში ჩასაწოლად ვემზადებით და იქნებ ბუნდოვნად კიდევ ვგრძნობთ – ყველაფერი, რაც ირგვლივ ხდება, რასაც ვაკვირდებით და ვიმახსოვრებთ – მომავალთან დაგვაკავშირებს სევდისა და ტკივილის გზით... აბრეშუმის ჭიები ხომ ჩვენი სიყმანვილის დარად მოიცვლიან «კეხის» კანსაც, შემდეგ «წარბისკანი» – ხანდაზმულობა ელით, ბოლოს დიდ კანში ჩაწვებიან – და აჰა, თვალისდახამხამებაში მოსულა სიბერეც, ახლა პარკი უნდა აახვიო, შიგ შეიყუჟო, გარს ჭაღარა, სპეტაკი აბრეშუმის თმები შემოიხვიო და როგორც ციხე-კოშკში, მასში ისე გამოიკეტო.

ჭია თეთრად შეიფერა თუ არა, მტერიც მაშინვე გამოუჩნდა. მაგიდის ფეხთან ჯერ თუ თითო ჭინჭველ-ბურჭყველა აწრიალდა – მაცნე-ინფორმატორად, ცოტა ხნის შემდეგ მასზე მთელი ჯარი ადი-ჩამოდის. აბრეშუმის დასაპყრობად მოდის ჭინჭველა, ჭინჭველის ჯარი, აბრეშუმის გზა ძალას ჰმატებთ, მუყაითად მოილტვიან, მოიჩქარიან, ცხრა მთის გადავლა შეუძლიათ, ოღონდ ამ ნედლ სითეთრეს შეესიონ, ჩაკბიჩ-ჩასრისონ, სისველე და სინოტივე გამოსწურონ, შაქრის ფხვნილივით დაანამცეცონ.

მტერი ახლოვდება და აბრეშუმის ჭიები კი უსუსურად იხლართებიან, არც კოშკებზე დგანან, არც გამოლრუებულ მორებს სცემენ, ან კოცონს ანთებენ – «მტერი მოდის, მტერი!...» ტყუილად კი არ ეშინიათ მეაბრეშუმეთ ამ წელში განყვეტილი მწერის, მიბმულ- მიკერებულებით რომ უჩანს წელქვემოთ კურტნად მიდგმული ნაწილი, მცირეოდენი უყურადღებობა და მთელი მონაგრის დავსება შეუძლია მათ შრომით წელმოწყვეტილ რაზმეულებს.

ისე დაანამცეცებენ აბრეშუმის ჭიას, ნაჭეჭყურას დაამსგავსებენ, აი, იმ ყველაზე უხარისხო პარკს, მხოლოდ რამდენიმე ძაფის გამობლანდვა რომ შეძლო ჭიამ და მჭიდრო, მყარი, კრისტალური, თოვლივით თეთრი და კვერცხისებური ნაჭუჭის ნაცვლად, ობობას მიერ მოქსოვილ ბანდლს დაამსგავსა უძალისხმოდ ნაშრომი, ცალყბად დაქსოვა პარკი, იდუმალად შიგ ვერ მოექცა, შიგნიდან გარეთ საცოდავად მოკუნტული გამოილანდა. ვერ ივარგა, ცხოვრების შუა გზაზე წაერთვა ძალა, ყბებში ჩაგუბებული ოქროსფერი ატლასი შუა გზაზე გამოელია...

მეაბრეშუმენი ჭინჭველის სახელს არც ახსენებენ, უსულოს უწოდებენ აბრეშუმის ჭიის ამ მტრებს, ჯალათებს, პირს მიიბრუნებენ და ტუტუნებენ: «ავითაო, მავითაო, შავი მოვა

შავითაო, შავი მისი ჯარითაო, შავსა პირი ავუხვიე შავი აბრეშუმითაო, უსულო, უგულო, წელით მოწყვეტილითაო – «თფუ იარე, თფუ იარე, ცხრა მთა გადაიარე!» მაგრამ დედამ ეს შელოცვა არ იცის, სამაგიეროდ იცის, მარტივად როგორ მიაყაროს ნაცარი ჯერ მაგიდის, შემდეგ კი ზამბარიანი საწოლის ფეხებთან ირგვლივ ისე, რომ კვალი აურიოს და ამ ჭინჭველ-ბურჭყველას აბრეშუმის ჭიისკენ სავალი გეზი დაუკარგოს...

აბრეშუმის ჭიებს სულ უფრო და უფრო მეტი ფოთოლი სჭირდებათ, უფრო მეტი სივრცეც და ჩვენც ვეძებთ ბჟოლის ფოთოლს ყანებში, გზისპირებზე, მდინარის პირას... მშობლების მიერ ჩამობედილ ტოტებს მონდომებით ვეზიდებით.

დედა ბჟოლის ტოტებს ტირიფის წნელებით ოთხკუთხად დალობავს, ჩელტებად კრავს, ზედ თეთრ ქალაღდს აფენს და სათეთრებლიდან, ანუ კეხის კანიდან ამოსულ ჭიას მასზე ათავსებს, «გადააჯენს». «კეხის კანში» მყოფი აბრეშუმის ჭია, მარადმშიერი და მოძრავი ჯერ გაშეშდება, შემდეგ კანს იცვლის და კეხის ნაცვლად პანია წარბები უჩნდება, ამით ის განცვიფრებულ ჭიას ემსგავსება და ეს ნიშნავს, რომ ის «წარბის კანში» ჩანვა.

აბრეშუმის ჭიების ეს წარბისკანიც სამომავლო სურათებს ინახავს ჩვენს წარბისკანზე, ჩვენი სიცოცხლის ახალგაზრდულ, მეცხრამეტე გაზაფხულებზე, სულში ფერადი აბრეშუმებით... მე – მკერავი და ჩემი მეგობარი – მოწინავე მეაბრეშუმე, მოკლედ თმაშემოკრეჭილი, შავთმიანი, შავთვალწარბა მზია გოგია, ქუთაისის მატარებლების სადგურში საღამოს 11 საათზე, თბილისისაკენ ბარბაცით მიმავალ რელსებსა და მაზუთიან შპალებს ზემოთ, ბაქანზე, ლამპიონებით

განათებულ, ორ ფილაქანს შუა მოყვავილე ველურ ყვავილებთან. ქუთაისის აბრეშუმკომბინატის სახარშავ, საძახავ, საქსოვ საამქროთა შორის მოფარფათე ჩემი მეგობარი, ამ საამქროთა შავგვრემანი ფარვანა... სად ჩაიკარგა იმ დაზგების მონოტონური ხმიანობა და რაძგარუძგი, ფაბრიკულად ნაქსოვი ქსელი, მჭიდროდ მიწნეხილი მისაქსელი, ამ კომბინატის ქსოვილთა გალერეა უთვალავ, წარმოუდგენლად ბევრნაირი, ფერადსახიან აბრეშუმთა ხვეულებით. სად შეეფარნენ ეს აჩრდილები?

სად არის ახლა შავთვალწარბა მზია გოგია?

სულ ერთი თვე ან თვენახევარი სჭირდება, აბრეშუმის ჭიები პარკს აახვევენ და გადავსვამთ ჩვენი სახლიდან.

ჯერ კი დახუთულ დიდ ოთახში, სადაც ფანჯარაც კი არ იღება, სახლის თავანი სიმხურვალეს გადასდებს ჩელტებს, წყნარი შრიალი, შვარშვალი გააქვთ ჭიებს, მოკბეჩილ და დანიკბულ ფოთლის მხოლოდ ყუნწი თულა დარჩება, ანდა ჭერზე დაკიდულ მტვრის ფანთხივით მოკონწიალე ძარღვი...

სანამ წარბის კანიდან ჭია დიდ კანში გადაწვება, ბჟოლის ფოთლების მარაგი ამონურული გვაქვს და ტოტების ჩამოსაბელავად ბებია კოლექტივის საბარგო მანქანას მერიკო აბულაძესთან, თინა ჭრელაშვილთან და სხვა ქალებთან ერთად ქუთაისში მიჰყვება, ეს ქალები მოწინავე მეაბრეშუმენი არიან, მთელ უბანში და იქნებ რაიონშიც ყველაზე მეტ აბრეშუმის ჭიას უვლიან, მათთვის გადაცემული მური 5 გრამზე ბევრად მეტიც იქნება... სხვა დროა, არც ბელელი და აღარც ხულა, ან ამგვარი სათავსოები ამ დროს უკვე აღარ იგება და მათი დიდი სახლების მეორე, გამოუწყობელი სართული მთლიანად

ჩელტებითაა მოფენილი, ჩვენი მწირი მონაგარი მას რას შეედრება, არც სათავსო გვაქვს ხეირიანი, ფოთოლიც ყოველ ჯერზე საძებნელია, მაგრამ შრომის ამ საყოველთაო ფერხულს რას ჩამოვრჩებით, ვინ ჩამოგარჩენს, უსაქმურად სახლში ვინ დაგსვამს, ქუდზე კაცს იხმობს კოლექტივი, ჯერ კოლექტივის დრო არის და ყველამ რაღაც უნდა აკეთოს ... ჩვენც ვშრომობთ, მშობლები შრომობენ და ჩვენ ვეხმარებით...

ქუთაისში ბევრი ბჟოლაა, ერთ ყველაზე საყვარელ უბანს ახლაც ხომ «ბჟოლებს» ეძახიან. და როცა ფოთოლი სულ განყდება ჩვენს არეზე, მიჰყვებიან ქალები და ჩამობელავენ ქუთაისში ბჟოლის ხეების ფართო, პრიალა და ნაზფოთლება ტოტებს. ეს სინაზით განედლებული ფოთლები ხომ აბრეშუმის ჭიის მეშვეობით გადასცემენ ქსოვილებს ზედაპირის სიპრიალეს, სიღბოს, სიცინცხლეს... ქალები ისე დაჭრიან ტოტებს, ზოგ ახალ ნერგზე მხოლოდ ბენძოს თუ დატოვებენ. ტოტებს ბჟოლაკაკალაც გამოჰყვება უმწიფარი – წითელ-მწვანე, მკვახე და მუხლუხებივით დახორკლილი, მხოლოდ რამდენიმე ცალი თუ გამოერევა შეთვალული და პირველად შემოსული ხილის კვალობაზე – ნუგბარი.. ამ დროს ქუჩებიც სუფთაა, ავტომანქანები და გამონაბოლქვი ძალიან ცოტა. თუმც არც მტვრიან ფოთოლს იწუნებენ აბრეშუმის ჭიები.

ჭიამ წარბის კანიდან ამოსვლა დაიწყო, ეს იმით შეეცყო, რომ ერთხანს გაშეშდა, ცოტა ხანში ამოძრავდა, ანუ დიდ კანში ჩაწვა, თავის ქნევა-ქიანი დაიწყო, საკვები მომიტანეთო და იქნებ დედასაც კი სცნობს, ისე გაირინდება, როცა ის უხვად უყრის ბჟოლის დასხეპილ ტოტებს... ჭიამ სწრაფად იმატა ზომაში და ეს პანია, ცვილისფერი არსება დიდ, თეთრ, ფაფუკ მუხლუხოდ

გარდაიქმნა, ახლა შეიძლება ხელშიც აიყვანო და მოეფერო კიდეც, ის ხომ უფუნთუღესი, უბოროტო, მშრომელი არსებაა, თეთრ ზამბარასავით იკუმშება და იწელება, ყალყზე დგება, პატარა ფეთუნებით სწრაფ-სწრაფად გადაადგილდება და მჭიდროდ ეკვრის ტოტებს. ტყემლის ფერად მუხლუხოსავით შემაშინებელი სულაც არ არის, განგებას ზურმუხტისფერი ბრჭყვიალა თვლებით რომ გაუნყვია მისი კანის ზედაპირი.

აბრეშუმის მუხლუხო უკვე გაიზარდა და ბუნების ზეიმიც დაიწყო, როცა მის მთელ სიგრძეზე, ბროლივით გამჭვირვალე კანქვეშ თხევადი აბრეშუმი გამდნარ სანთელივით, მდნარ ოქროსავით გამობრწყინდა. ამ ოქროს ღელვა შემდეგ არაერთხელ გამახსენდება, ძარღვებშიც ვიგრძნობ მის ტორტმანს და მის მდინარებას. სხვა სასწაული ან რა იქნება, შენ კი ჩქარობ, სულ სხვა რაღაც სასწაულს ელი და სული ყელში გებჯინება, ჩემო მკითხველო.

დადგა დიდ კანში ჩანოლიდან მეცხრე დღე და თეთრმა მუხლუხებმა ბოდიალი დაიწყეს, ისინი ახლა პარკის ამოსახვევად ემზადებიან, თავს აქიანებენ, აქიცინებენ და ბებია მეზობლის ქალზე, რომლის ენაჭარტალობის გამო გაბრაზებული იყო და ახლა ვხვდები, რომ მას პარკისონის დაავადება სჭირდა – იტყვის; «ნეტა მახვიერი აბრეშუმით არ აქიცინებდეს თავსო»... ის ქალი მერე მართლაც გამოიქსოვება თავის აბრეშუმის პარკში და სულ მალე სულის პეპელაც სადღაც გაფრინდება.

თვენახევარი უკვე გადის და ჩვენც ჭალისპირის იმ გვიმრებით, რომლითაც ჩემთვის საკუთრად ქოხის აშენება მიზნოდა, მოჭრილი და გამზადებული გვაქვს. ახლა ჭია გვიმრის ჩელტებზე პარკს აახვევს, მთვარით ნაქსელ

აბლაბუდაში გალაქტიკის კვერცხებივით გაახვევს პარკებს, ის იქნება მკვიდრად ნაგები, და როგორც მთვარის მოვანება ვერცხლის ჰამაკში, გამოკრთებიან თეთრ, აბრეშუმის ბადეებში აბრეშუმის სარკოფაგები...

მკვრივი, ქათქათა, ხარისხიანი პარკი მხოლოდ მარტოობით მოიქსოვება, უხარისხოა მსხვილი პარკი – ორი ჭიისგან გვერდიგვერდ მოქსოვილი, ერთ ბუდედ შეზრდილი, თუ ორ აკლდამად გაერთებული, დომფალებს რომ უწოდებენ მეაბრეშუმენი.

ჩემი სიბერის ნავთსაყუდელს ამ დომფალობით ვერ მოვიქსოვდი... და მასზე მხოლოდ ერთი მოგონება დავიტოვე- მუხლუხებივით გვერდიგვერდ ვქსოვდით საერთო პარკს, ის გაირინდა და ჩუმად თქვა, (არ ვაჭარბებ, ზუსტად ასე თქვა) – ჩემს სულში ახლა ვარდებივით იშლებიან მენამული აბრეშუმები...

მალე გვიმრათა გამხმარ-გაჩიჩინებულ ტოტებზე ბამბის ფთილასავით გაბმულ აბრეშუმს ქათქათა პარკებს ავართმევთ, გოდორს ავაგსებთ... და გაფრინდება აბრეშუმის ჭიის პეპელა, თუკი სარკმლის გამოჭრა დასცალდა და ქვაბში მდულარემ არ დაფუფქა, რომ მერე ერთი შტოლა, იგივე ლანდი, (ასე ჰქვია) რაც ერთი ჩაყრა პარკისაგან ამოიღება – აბრეშუმის ძაფად იქცეს, ქათმის ერთ კვერცხად შეფასდეს- ერთი ჩაყრა პარკი ხომ ერთი კვერცხი ღირს და რვა კვერცხი – ერთი გირვანქა შტოლა და ეს უნაზესი ძაფები ეკლესიაში ღმერთს მიერთვას შემწირველის ნაჯაფი ხელით.

მე, კი ვინც მთელი სიყმაწვილე ვაგროვებდი ამონაჭრებს ფერადი ჟურნალებიდან, ნაირნაირ კაბების თარგებს, ახლა ვიშორებ სულის სიმძიმეს, უცნაურად ვმსუბუქდები ღამეული ფრენის სიამით და დილაობით მხრები მეწვის...

შიშით შევყურებ, ნუთისოფლის მოთუხთუხე ქვაბში
წვალებით როგორ ამოსდით სული დაღლილ ადამიანებს.
მე ხომ საკუთრად სულ სხვაგვარი გარდასახვა მსურს –
მზის ბილიკზე აბრეშუმის პეპელას მსგავსად
ცისფერშერთული ატლასის კაბით, თეთრი ფრთებით
გავფარფატდე, თეთრით ვეჩვენო პირსა ღვთისასა.

ქათო იქა...

გამწყვარია ქათო, თითქოს ცისქვეშეთში არ არსებობს.
ზრუტუნებს ძროხა-ბალახ-კალამა არ ჰყოფნის და ერთ
დღეს რაიონის ცენტრში წასული დედა აჩქარებით
შემოაღებს კარს. ნარბენს ლოყები დასწითლებია,
გახარებული სულს ძლივს ითქვამს – ბაბანაურის საწყობში
ქათო «გამოჩენილა».

ყოფილა კი, ოდესმე? დაცოტავებულზე- მარაგი შეივსო, თუ
საიდან გაჩნდა ეს გამწყვარი ქათო, ვითარც იდუმალი
ნათელი?!

ქათო – ხორბლის ეს პატარა, გარეთა ანაკვეთი, ცეხვა-
ცემით მარცვალზე ქერქშემოდრობილი, განაცერი, უხეში
და მსუბუქი ჩენჩო, ქარქუეტი, ქარი რომ ჰაერში განაბნევს
და მიმოფანტავს, ნუთუ თავისთავში ამხელა სიხარულის
მიზეზს ატარებს?

დედა რაღაცას ეძებს, ხან აქეთ მივარდება, ხან იქით...
იცინის, ბრაზობს, ჩქარობს, ხელისგულზე ნაშალ ფულს
ითვლის – კილო ქათო ოცი კაპიკი მაინც ღირს, ოცდაათ
კილოს ექვსი მანეთი ეჭირვება, მეტს საწყობიდან
გამოსატანად ვერც მოვერევიტ და იქნებ არც ნორმის
ზემთ მოგვცეს ვინმემ; ამიტომ იმდენი უნდა მოაგროვო,
რამდენსაც პირუტყვს ცოტა ხნით მაინც ამყოფინებ.

დედა ნაცრისფერ ჯვალოს ტომრებს გაშლის, დაბერტყავს, ააფრიალებს, ნაჩქარევად დახედავს; ერთზე ნესტით ბუნდოვნად რაღაც არის გამოსახული, მეორე დაჩვრეტილია ნატყვიარებივით, შემდეგ ამ ტომრებს დააწყვილებს და ორივეს ერთად შეახვევს, გადაგრაგნის...

თქმაც არ მჭირდება, არც საშინაო – ორმტკაველა სიგრძის ქვედა ბოლოსა და მოკლემკლავიანი პერანგის შეცვლა, დედას დასახმარებლად ასე უნდა გავყვე. მაგრამ ჯერ «რქას» ვერ ვატევთ შინიდან, წასვლა გვიგვიანდება... საბარგო მანქანისთვის აუცილებელი სამი მანეთიც მოსაძებნია. მთლად უკეთესი, თუ ჩვენი ქატოს ტომრებით სხვის ქატოს გამოვყვებით და მძლოლი უფულოდ ზედ ქუჩის პირზე ჩამოგვსვამს, მაგრამ სხვის იმედად წასვლა ძნელია.

დედა ახლა იმ მაგიდის საფარქვეშ ეძებს ფულს, სადაც მამა უბრალო ფანქრით საკუთარ ლექსებს, კორესპონდენციებს, ან გარდაცვლილთა ქვებისთვის შეკვეთილ ლექსებს წერს და იქედან ჭაობისფერ, ნამგლითა და უროთი დადაღულ სამმანეთიანს გამოაცურებს.

მამის ფულს ვიღებთ, მამა კი არ ჩანს ამ სურათში, ნეტა სად არის?

აქ კვლავ ვიპოვით შემდეგ არაერთხელ, ამ მაგიდის საფარქვეშ, მის წიგნებსა და ჟურნალებში, ბზუილა ხოჭოსავით გარინდულს, წყნარად მიყუჟულს, უმნიშვნელო, თავის დროზე მეტად საჭირო, თუმცა დროებით მივიწყებულსა და უკვე გაბონებულ საფასურს. ხომ ყველაფერი ბონდება ცისქვეშ?! თვით დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პირველი ბონიც-გულისამათროთოლებელი ემბლემით დამშვენებული-

კამარაშეკრულ, გაფრენილ ცხენზე
მოსასხამაფრიალებული წმიდა გიორგით... მაინც ძლეული,
საკუთარი ძალმოსილების ურწმუნოებით მახვეწარი: ჩემი
«მიღება სავალდებულოა, თანაბრად რუსეთის
სახელმწიფო-საკრედიტო ბილეთისა»-ო...

«ბაბანაური» ჩვენგან თითქმის ორ კილომეტრშია,
თავდაღმართში, მდინარის პირას. აბანოს გვერდს
ჩავუვლით, რომლის ებოშიც რკინის ბოძებზე შეკოშკებული
ოთხკუთხა, ზამთრობით ორთქლადენილი, უზარმაზარი
რკინის ავზებია, ჩვენი შთამფვლელნი და განმბანელნი
სოფლის მწვირისგან... და იქნებ ეს «ბაბანაური» –
«აბანოურია», ან კიდევ «ბაბანება» – მდინარის პირის სუსხი
კაცს რომ სიცივით ააბაბანებს...

გახურებულ ასფალტზე გუდრონი დუღს, ჯერ სიგარეტის
მაგვარი, პრიალა და ნაზ ფურცლებში გახვეული
ვარდისფერი კევები გადამყიდველთან არ გამოჩენილა და
მოპრიანებაზე, ამგვარი გუდრონის პანია, ცვილად ქცეული
და პატარაკბილებდამჩნეული ნატეხები შავი
მარგალიტებივით გვიბრჭყვინავენ გაცინებისას. უცნაურია,
პატარებსაც, კი, ამ ნახევრადანგელოზებრივებს, რარიგ
გვითაცებს კუპრი... გზადაგზა, ფეხშიშველა, ცხელი
«გუდრონით» ქუსლებგაშავებული ბიჭებიც გვხვდებიან,
ისინი ანკესებს და წკირით ბოლოგამოსკვნილ ძუაზე
ახინცლულ თევზებს შინ ხალისიანად მიაქანებენ.

საწყობი მდინარის პირას მდგარი წაგრძელებული
შენობაა, ორკარიანი, ფართო შესასვლელით. მის წინ,
შარაგზიდან მარჯვნივ ბონდის ხიდია, შორიდან ის ბენვის
ხიდივით მოსჩანს... დადგები, ამ ხიდზე, საქანელასებრ
შექანდები, გრეხილ მავთულთა «მოაჭირებს» ჩაეჭიდები,
თვალს გაადევნებ – ერთდროულად, ზემოთაც და

ქვემოთაც მდინარე მიდის, ზემოთ-სილურჯეში ჩაფენილ ურწყულ ღრუბელთა, ქვემოთ – მზის შუქით მწვანედ დარწყულ ტალღათა...

აქ, კი, საწყობში, თითქოს მიღეთის ხალხი შეკრებილა, ზოგი ნიჩბით, ზოგი აკალთავეებით ისეთი სასოებით აგროვებენ ამ ქერქეტა ქატოს, თითქოს ციდან ნაწვიმი ზეციური ბურღული იყოს... საწყობში ცხელა, გნუსხავს ძირს დაყრილ, ქატოს ცხელი და მოტკბო ფშვინვა. ჩვენც ტომარას პირს გავუხსნით, ავარდნილ ბდღვირში საწყობის ფილაქანზე ორივე ხელით წამოვაფორთხებით და ტომრებიც მუცელს აივსებენ ჩახურებულ ქატოთი. ეს სუნი, სიტკბო, როგორც ხორბლის სული – ნათელი, ამ სურათს აჯადოვებს, დროს აჩერებს, ამ წამისთვის ინახავს, რადგან... სანამ დავტოვებთ ამ შენობას, ეს სურათი მეხსიერების ვეება გრაგნილს, სადღაც კუთხეში ბეჭდად დაესმის...

გარეთ, კი ხვატში, მოჭერილ მზისას, ცხელი ქარი ხელს ამოურევს საწყობიდან წვალეებით და სიხარულით გამოთრეულ ტომრების სტომაქს, განაბნევს თავზე მოყრილ ქატოს... როგორც იმ ხალხს, ვინც იქ იყო, თავდახრილი, ჩამუხლული აგროვებდა, იკალთავებდა, სიხარულით ისაკუთრებდა; დედაჩემივით ტიროდა და უხაროდა ქატოს ნათელი... იმ ხალხივით ცალკე წავა ეს ქერქებუდე, ხმელი მომყოლი, მარცვლის გულზე მიწყვეტილი ჭიპლარით, სულ პანანა, სულ მუნუნა... ვით ხორბლის სული, ქარს გაჰყვება, შავ ხნულებში სამარადჟამოდ ჩაიფარცხება...

მისი გული კი, ფქვილი – ცხობილი, ოხშივარადენილი, ჩვენს ტაბლაზე დაეგება, შოთიპურებად დაიტეხება ყველა თაობის პატარების, მშვივრების თვალწინ, ვითარც პური

პათოსანი – ტარიგივით განტეხილი; და ეს სიცოცხლეს –
ერთ წუთში ტანჯვა-წამებით გასათრევი, მეორე წუთში,
როგორც ღმერთი, მშვენიერებით შეიმოსება...

4. ესეისტიკა, კრიტიკა

დავით თინიკაშვილი

როცა მონაზვნობა ირყვნება



რეცენზია წიგნზე: Мария Кикоть.
Исповедь Бывшей Послушницы
(Полная Версия). М., Эксмо 2017, 288
с.

არ იქნება სწორი, თუკი მარია
კიკოტის წიგნს იმ სახით,
როგორადაც ის არის
დანერილი, ვინმე მონაზვნობის

კრიტიკად აღიქვამს, რადგან ავტორი იმ მახინჯ
მონასტრულ ცხოვრებას, რომლის გავლაც მას მოუწია,
უმეტესწილად, ტრადიციული მონაზვნობის
გულშემატკივრის პოზიციიდან აკრიტიკებს. მარიას
გამოცდილება ერთგვარი გაფრთხილებაა მომავალში
მონასტერში ცხოვრების მსურველთათვის.

მონაზვნობა ღრმად ქრისტიანული მოვლენაა, თუმცა მას
ვერ მივიჩნევთ საერო ცხოვრების წესზე აღმატებულად
თავისთავად და ყველა შემთხვევაში. მონაზვნობა დიდ
საშიშროებასაც გულისხმობს, რადგან მაქსიმალურ
სულიერ წონასწორობას ითხოვს, რომლის ოდნავმა
დარღვევამაც შეიძლება ადამიანის შეუქცევადი სულიერი
და ზნეობრივი დეგრადაცია გამოიწვიოს. ეს კი, როგორც
წესი, მაშინ ხდება, როცა მონაზვნობის არსი მცდარად
გაიგება შესაბამისი მგრძნობელობის არმქონე პირთაგან.
ამგვარი მონაზვნობა აცდენილია ქრისტიანობას და
ხშირად ანტიქრისტიანულ ხასიათს იძენს.

წიგნზე გამოხმაურებანი

2017 წელს გამოცემული მარია კიკოტის წიგნი
ქრისტიანობის საფუძველმდებარე პრინციპების

უგულვებელყოფაზე დაფუძნებულ მონაზვნობაზე მოგვითხრობს. ავტორის მითითებით, არც საკუთარი და არც წიგნის პერსონაჟთა სახელები არაა შეცვლილი და მასში აღწერილი ყველა მოვლენა სინამდვილეში მოხდა. წიგნი საკმაოდ რეზონანსული აღმოჩნდა არამხოლოდ საეკლესიო წრეებში და არამხოლოდ რუსეთში. მას ყოფილი სამონაზვნეებიც გამოეხმაურნენ, რომლებიც რუსეთის სხვადასხვა მონასტერში გარკვეული პერიოდით ცხოვრობდნენ. მათ დაადასტურეს მარიას სიმართლე, აღნიშნავდნენ რა, რომ ამგვარი შემთხვევა ტიპიური უფროა, ვიდრე გამონაკლისი. მარიამ ეს ჩანაწერები ჯერ საკუთარ ბლოგზე^[2] გამოაქვეყნა. ამ დროიდან ის მკითხველებისგან დღეში ასზე მეტ წერილს ღებულობს.

სამწუხაროდ, ნაცვლად პრობლემის აღიარებისა და სათანადო ზომების მიღებაზე ფიქრისა, სასულიერო პირთა და მორწმუნეთა უმრავლესობა იაფფასიანი დიდების მოპოვების მცდელობაზე ალაპარაკდა. მარიას აბრალებენ, რომ ამ წიგნის გამოცემით მას სახელის მოხვეჭა სურს, მაგრამ განა ამისთვის აუცილებელია რამდენიმე წლის მანძილზე არაადამიანური ცხოვრება? საკუთარი ჯანმრთელობის ფასად მონური შრომა, შიმშილი, უძილობა და ყოველდღიური დამცირების ატანა, ვგონებ, ძალიან დიდი ფასია ასეთი წიგნის დაწერისთვის (მაგ. მარია ერთგან წერს: «ფიზიკური შრომისგან მუცელი დავიზიანე, რამაც სისხლდენა გამოიწვია», იხ. წიგნი, გვ. 129). კრიტიკოსთა აზრით, მონასტერში არსებული პრობლემები ავტორს საჯაროდ არ უნდა გამოეტანა. მარიას მამათა მონასტრის წინამძღვარიც კი გამოეხმაურა, რომელმაც ის მონაზვნობის არსის – მორჩილების ვერგაგებაში დაადანაშაულა^[3].

მოპასუხეთა რეაქციებს შორის ყველაზე გამოკვეთილი მართლმადიდებლურ ტელეარხ «ცარგრად»-ის გადაცემა იყო. კრიტიკის მთავარი ობიექტის, მალოიაროსლავეცში მდებარე დედათა მონასტრის წინამძღვრის, ილუმენია ნიკოლაია ილინას დაცვას წარსულში ამავე მონასტერში მის მიერ გამოზრდილი მონაზვნები შეეცადნენ, რომლებიც ამჟამად რუსეთის სხვა მონასტრების ხელმძღვანელები ანუ ილუმენიები არიან (ამის შესახებ გადაცემაშივეა აღნიშნული, კერძოდ, რომ მან «16 ილუმენია აღბარდა»^[4], მათ შორის, ამ გადაცემაში მგზნებარედ მოსაუბრე დედა ანასტასია მორდმილოვიჩი).

«ცარგრადის» ეთერით მონაზვნები აღტკინებით იცავდნენ დედა ნიკოლაიას, რომლის საარაკო გულმონყალება და სისათუთე ყველასთვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რადგან მას შეეძლო მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფის გამო მარია კიკოტისთვის სასამართლოში ეჩივლა, მაგრამ დიდსულოვნად შეიკავა თავი^[5]. როგორც წინამდებარე რეცენზიის ავტორს თავად მარია კიკოტმა აუწყა (კონტაქტზე გამოსვლისთვის მას მადლობას მოვახსენებ), სასამართლოში საქმის აღძვრა უფრო მეტ ნეგატიურ შედეგს სწორედ დედა ნიკოლაიას მონასტერს მოუტანდა, რადგან «დაიწყებდნენ ყოველივე იმის შემოწმებას ამ მონასტერში, რაზეც მე ვწერ და აღმოჩნდებოდა, რომ ყველაფერი სიმართლეა, იქნება ეს ბავშვთა სახლთან, წამლებთან, ვადაგასულ საკვებთან თუ სხვა დარღვევებთან დაკავშირებით. ამიტომაც ისინი მხოლოდ პუბლიკაციებით დაკმაყოფილდნენ, რომლებშიც გაიძახიან, რომ თავად ვარ დამნაშავე და ცილს ვწამებ მათ... გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხსენებული მონასტრის მდგომარეობაზე მხოლოდ მე არ ვწერ.

არსებობს ამავე მონასტრის ყოფილი სამონაზვნის, რეგინა შამსის ინტერვიუც»^[6].

წიგნს სხვაგვარი გამოხმაურებებიც მოჰყვა, რომლებიც ამ პრობლემაზე უფრო ღრმა დაფიქრების საშუალებას იძლევა და არ ამოიწურება მხოლოდ მარიას დაცვით ან დედა ნიკოლაიას გაკიცხვით. ინტერნეტში ჩემ მიერ აღმოჩენილ ასეთ წერილებსა თუ ჩანაწერებს შორის ორ მათგანს გამოვარჩევდი: პირველი ეკუთვნის მონაზონ კასია სენინას^[7], მეორე კი იღუმენ ნექტარი მოროზოვს^[8].

მარიამ ეს წიგნი ბრაზილიაში დაწერა (თუმცა ამჟამად, როგორც თავად მომახსენა, კვლავ რუსეთში ცხოვრობს). მარიას აზრით, შესაძლოა მას ამგვარი ტერიტორიული სიშორის გამო არ უგრძვნია არანაირი ზეწოლა.

სამაგიეროდ, გამომცემლობა «ეკსმო»-ს მფლობელს მოსკოვის საპატრიარქოდან დაურეკეს და სთხოვეს «შეეწყვიტათ წიგნის ტირაჟირება». ამის შესახებ რუსმა მოდისიდენტო თეოლოგმა, ანდრეი კურაევმა აუწყა საზოგადოებას და მარიაც ადასტურებს^[9]. როგორც ჩანს, გამომცემლობა იძულებული შეიქნა, ეს მოთხოვნა გაეთვალისწინებინა, რადგან წიგნის მეორე ტირაჟს ახლა სხვა გამომცემლობა გეგმავს.

მარია კიკოტის პიროვნება

რაც შეეხება თავად ავტორის პიროვნებას და მისი წიგნის შინაარსს: ქვემოთ ქართულ მკითხველს ამ მემუარებში გადმოცემულ ძირითად იდეებსა და დაკვირვებებს შევთავაზებ, რათა მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა შეექმნას იმ ვითარებაზე, რომელსაც ავტორი ხსენებულ მონასტერში გადააწყდა (როგორც მარია წერს, ამ მონასტერში აღზრდილმა მონაზვნებმა სხვა მონასტრები დააფუძნეს, რომლებშიც მმართველობის იგივე სტილია

დამკვიდრებული და რომ ფაქტიურად ამ მონასტრებს თავად დედა ნიკოლაია ილინა განაგებს).

მარია კიკოტი მოსკოვში მცხოვრები ერთი ჩვეულებრივი გოგო იყო სამედიცინო განათლებით, თუმცა პროფესიით არ მუშაობდა. მას საკუთარი ფოტოსტუდია გაეხსნა და ეს საქმიანობა მას კმაყოფილების გარდა, საკმაოდ ნორმალურ შემოსავალსაც აძლევდა. გარდა სხვადასხვა შემოქმედებით პროექტებზე მუშაობისა, ის ბევრს მოგზაურობდა სხვადასხვა ქვეყანაში.

ზემოთ ვახსენე, რომ მარია ერთი ჩვეულებრივი გოგო იყო, მაგრამ მგონი მისი ამგვარი შეფასება მთლად სწორი არ უნდა იყოს. წიგნში ის ერთ ადგილას შემდეგს წერს: «პრობლემა ის იყო, რომ ბავშვობიდან ძალიან ბევრს ვკითხულობდი» (გვ. 98). მაგრამ მხოლოდ წიგნების კითხვის სიყვარული არ გამოარჩევდა მას სხვა ჩვეულებრივი გოგონებისგან. რატომღაც მას ყოველთვის აინტერესებდა ცხოვრების საზრისი და მარადიულ კითხვებზე პასუხების ძებნას ყველგან ცდილობდა. ამ მიზნით რეგულარულად კითხულობდა რელიგიურ და ფილოსოფიურ ლიტერატურას. რამდენიმეჯერ ინდოეთშიც იმოგზაურა. ასევე ცხოვრობდა შაოლინის ბუდისტურ მონასტერში, სადაც ოთხივე საფეხური გაიარა და ოსტატის მონაფე გახდა. სხვადასხვა აღმოსავლური სულიერი ვარჯიშებით სამი-ოთხი წელი იყო გატაცებული და ეს მის ყოველდღიურ ცხოვრებასაც დაემჩნა. მაგალითად, შეეძლო რამდენიმე საათის მანძილზე მედიტირება... თუმცა, საბოლოოდ, ეს ყოველივე არ აღმოჩნდა მისთვის «დამაჯერებელი». როგორც თავად წერს, აღმოსავლურ რელიგიებში მარადიული კითხვებისგან თავის არიდების მცდელობას უფრო ხედავდა, ვიდრე პასუხებს. მისთვის

მიმზიდველი არც «ნირვანას» განსაზღვრება აღმოჩნდა, რომელიც ფაქტიურად არარსებობას გულისხმობდა (გვ. 99).

ერთხელაც მარია წმინდა იოანე სინელის მიერ მეშვიდე საუკუნეში დაწერილ წიგნს გადააწყდება, რომელსაც «კიბე» ეწოდება და რომელიც მისი დაწერის დროიდან ბერმონაზვნობის სახელმძღვანელოდ ითვლება. ამ წიგნში მან აღმოაჩინა, რომ მონაზვნური ცხოვრების წესი სულის ხსნისკენ მიმავალ საუკეთესო გზად ისახებოდა. მსგავსი სახის ტექსტების გაცნობის კვალობაზე მარიასთვის სულ უფრო ძლიერდებოდა ინტერესი ქრისტიანული მონაზვნობის ინსტიტუტისადმი. მას მონასტერში ცხოვრების სურვილი გაუჩნდა, მაგრამ მაინც ბოლომდე არ იყო დარწმუნებული ამგვარ მოწოდებაში – გამხდარიყო მონაზონი.

მონასტრების კარიბჭეების მიღმა

ერთხელაც მეგობარი მას ბერი ნაუმის მონახულებას შესთავაზებს, რომელიც მაშინ მრავალ მორწმუნეს წინასწარმეტყველად მიაჩნდა. ორივეს თავისი კითხვა ჰქონდა ბერთან: მარიას მონაზვნობის, მის მეგობარს კი მომავალი საქმროს შესახებ. ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ დანიშნულების ადგილას მიაღწიეს. ბერმა მარიას სურვილი მოუწონა და ციმბირისკენ დაარსებულ დედათა მონასტერში წასვლა ურჩია. მარიაც ე.წ. სტარეცის «კურთხევით» აღფრთოვანებული ამ მონასტრისკენ მიემგზავრება. მაგრამ იქ მცირე ხნის ცხოვრების შემდეგ მისი «სულიერ-რომანტიკული» განწყობა იმედგაცრუებით იცვლება, რადგან ამ მონასტერში არსებულ რეალურ ვითარებასა და მონაზვნური ცხოვრების შესახებ მისეულ წარმოდგენებს შორის სრულ შეუსაბამობას ხედავს. მაგალითად, მონაზვნებსა და სამონაზვნებს შორის

მრავალი დრტვინავდა და აცხადებდა, რომ იძულებულნი იყვნენ მონასტერში წამოსულიყვნენ, რადგან ერში ცხოვრება ვერ მოიწყეს. ზოგი მათგანი მამა ნაუმის «კურთხევის» მსხვერპლადაც მიიჩნევდა თავს. ასევე აღმოჩნდა, რომ ამ მონასტრის მკვიდრთ უფლება არ ჰქონდათ ახალი პირადობის მოწმობების აღებისა, რადგან მათ ამას მამა ნაუმი უკრძალავდა რელიგიური მოსაზრებებით. ასევე გამოირკვა, რომ მონაზვნები ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი სამყაროს მოახლოებულ აღსრულებაში (კერძოდ, ორ წელიწადში), რადგან სწორედ ამგვარი იყო მამა ნაუმის წინასწარმეტყველება (გვ. 123). მარია მალე ხვდება, რომ ეს რაღაც სექტანტურ თემი უფროა, ვიდრე ჯანსაღი ქრისტიანული იდეალებისა და ღირებულებების მქონე მონასტერი.

აქ ორი წლის ცხოვრების შემდეგ, მარიას მამა გარდაეცვლება, მაგრამ ბერი ნაუმი მას მონასტრიდან გასვლის ნებას არ აძლევს. გარკვეული ხნის შემდეგ მარია ავადდება. გრძნობს ძლიერ სისუსტეს, თავბრუსხვევას... ბოლოს ანემიაც აღმოაჩნდება. როცა იმ დონემდე დასუსტდა, რომ ლოგინიდან დამოუკიდებლად ვეღარ დგებოდა, მას სახლში დაბრუნების ნება დართეს, სადაც ის რამდენიმე თვის მანძილზე ცდილობდა გამოჯანმრთელებას.

სახლში ყოფნისას მარია ხშირად დადის ოპტინის უდაბნოში, მოძღვარ ათანასესთან, რომელიც თავის დროზე მარიას მამამისმა გააცნო. მამის თხოვნის შესაბამისად, ბერი ათანასე პირობას დებს, რომ «რელიგიაში გადავარდნილ» ახალგაზრდა გოგოს საერო ცხოვრებას დაუბრუნებს და მონაზვნობის სურვილს გაუნელებს, თუმცა ამ პირობას არ ასრულებს. ამის ნაცვლად, ის მარიას მალოიაროსლავეცის მონასტერში

დასახლებას ურჩევს (როგორც მოგვიანებით აღმოჩნდება, მამა ათანასე და სხვა რამდენიმე მოძღვარი დედა ნიკოლაიასთან დაახლოებული პირები იყვნენ და მისი მონასტრის სამონაზვნეებით «მომარაგებას» ცდილობდნენ).

ასე აღმოჩნდა მარია მალოიაროსლავეცში მდებარე წმინდა ნიკოლოზის ჩიორნოსტროვსკის მონასტერში, სადაც მას ჩამოართვეს პასპორტი, ფული და მობილური ტელეფონი. მარია წერს, «უცნაური ტრადიციაა, მაგრამ ასე იქცევიან ჩვენს ყველა მონასტერში» (გვ. 39). მარიამ მორიგი შოკი მიიღო, როცა აღმოაჩინა, რომ აქ მონაზვნები, სულიერი ცხოვრების გარდა, ყველაფრით იყვნენ დაკავებულნი. ისინი უფასო მუშებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე სულიერ მოსაგრეებს: მათ დილის შვიდი საათიდან ღამის თორმეტ საათამდეც კი უწევდათ მუშაობა და «ლოცვითი წესიც კი ჩანაცვლებული ჰქონდათ მორჩილებით (ანუ სამუშაოთი)» (გვ. 22). ფიზიკური შრომა კი გულისხმობდა ბოსელში ძროხის წველას, ბალახის თიბვას, ნეხვის მოყრას მიწაზე მისი განოყიერებისთვის და ა.შ. მარია წერს, რომ ამგვარი უნორმო ფიზიკური დატვირთვით ადამიანს, როგორც წესი, «გონება ამღვრეული» აქვს (გვ. 54). ალბათ, ამიტომაც ითვლებოდა ამ მონასტერში «ნებისმიერი გონებრივი აქტივობა, იესოს ლოცვის წარმოთქმის გარდა, მიუღებლად და ცოდვადაც კი» (გვ. 71). მარია ასევე წერს ყოველ დილით, 5:30-ზე დაწყებულ ღვთისმსახურებაზე, რომლის მანძილზეც «თითქმის ყველას ეძინა» (გვ. 53).

წიგნში აღწერილია მონასტერში დედა ნიკოლაიას მიერ დამკვიდრებული ე.წ. «მეცადინეობის» პრაქტიკა, რომელიც ერთგვარ სულიერ წვრთნად მიიჩნეოდა და რომელსაც მარია გარჩევას (разборка) უწოდებს. ამ დროს ერთ

რომელიმე მონაზონს გამოყოფდნენ ხოლმე ჯგუფური მორალური წნეხისთვის. მას რომელიღაც ცოდვაში ადანაშაულებდნენ და თუკი ეს უკანასკნელი თავის გამართლებას ეცდებოდა, ეს ავტომატურად სასჯელის დამძიმებას ნიშნავდა, რადგან ეს დედა ნიკოლაიას წინაშე გამოვლენილ კადნიერებად ფასდებოდა, რაც მას «უფრო მეტად ანრისხებდა» (გვ. 32). ამგვარი პრაქტიკით გაოცებული მარია წერს, რომ წმინდა მამების რჩევების მიხედვით, თუკი ვინმე ამგვარ მხილებას მიმართავს, ეს აუცილებლად სიყვარულით უნდა გააკეთოს. დედა ნიკოლაია კი დამნაშავე მონაზონს «დასცინოდა და აბუჩად იგდებდა» (გვ. 33). წმინდა მოღვაწენი კი არასდროს აყენებდნენ შეურაცხყოფას რომელიმე კონკრეტულ ადამიანს, რადგან სხვათა «დამდაბლებას» ამ გზით არასდროს ცდილობდნენ. ისინი მხოლოდ პირადი ცხოვრებით იძლეოდნენ «მორჩილების მაგალითს» (გვ. 34). «დედაო არასდროს ცდილობდა გამოერკვია, ვინაა მართალი და ვინ დამნაშავე. დამნაშავე იყო ის, ვისაც თავად თვლიდა ამგვარად» (გვ. 63).

მარია ამ მონასტერში სხვა უცნაურობასაც ამჩნევს: «მონაზვნებს ეშინოდათ ერთმანეთთან საუბრისა, რადგან შესაძლებელი იყო ისინი დედაოსთან დაესმინათ» (გვ. 45). მათ «საუბარი მხოლოდ დედა ნიკოლაიასთან შეეძლოთ. ერთმანეთში ნებისმიერი ურთიერთობა მონაზვნებს მრუშობად ეთვლებოდათ, მართალია ე.წ. სულიერ მრუშობად, მაგრამ მაინც მრუშობად» (გვ. 52). ეს წესი ილუმენია ნიკოლაიას მას შემდეგ დაადგინა, რაც 15 სამონაზვნე ერთდროულად გაექცა მონასტრიდან. ამიტომაც გადაწყვიტა მან მონასტრის ყველა მკვიდრისთვის ერთმანეთთან საუბარი აეკრძალა, რადგან ყოველ ასეთ ურთიერთობაში შეთქმულების მომზადების

მცდელობას ხედავდა. ეს ძალიან ჰგავდა «დაყავი და იბატონეს» პრინციპის რუსულ ვარიანტს. ამგვარ შიშზე დაფუძნებული სისტემის ტყვე კი, პირველ რიგში, თავად დედა ნიკოლაია იყო, რადგან ის რეგულარულად იღებდა სერიოზულ მედიკამენტებს. ზოგადად, მონასტერში «ტრანკვილიზატორები, ანტიდეპრესანტები და იმგვარი წამლებიც კი, რომლითაც პარანოიასა და შიზოფრენიას მკურნალობენ, არ მიიჩნეოდა რამე განსაკუთრებულად» (გვ. 76).

მონაზვნები აღსარების მისაღებად მონასტერში ხანგამოშვებით მოსულ (მამაკაც) სასულიერო პირებსაც კი არ ენდობოდნენ, რადგან ყველამ იცოდა, რომ მათი ნებისმიერი სიტყვა დედა ნიკოლაიას აუცილებლად ეცოდინებოდა (გვ. 55). მონასტრის წინამძღვარს შეეძლო ნებისმიერი მონაზონი თავის «ჯაშუშად» ექცია, რომელიც მას ყველაფერს მოახსენებდა: რას აკეთებდნენ, რაზე საუბრობდნენ და ფიქრობდნენ მონასტრის მკვიდრნი. ასეთებს, ბუნებრივია, გარკვეული პრივილეგიებიც ჰქონდათ. ამიტომ, წინამძღვრის «კეთილგანწყობის მოპოვებას მონაზვნები პირფერობით, ქლესაობით, მაბეზღრობით... ცდილობდნენ. სწორედ ეს თვისებები განსაზღვრავდა მონასტრის მკვიდრის 'ერთგულებასა' და 'სანდოობას'» (გვ. 77). დედა ნიკოლაია არც იმას ერიდებოდა, რომ მონასტრის მკვიდრთ ერთმანეთი შესძულებოდათ. მაგალითად, როცა ის ვინმეს სჯიდა სხვა მონაზვნის დასმენის საფუძველზე, მას «ყოველთვის ეუბნებოდა იმ მონაზვნის სახელს, რომელმაც დაასმინა» (გვ. 225).

დედა ნიკოლაიამ შეძლო იმგვარი სისტემის დამყარება, რომელშიც ყველა ყველას აკონტროლებდა. ერთადერთი უკონტროლო პირი კი თავად უნდა ყოფილიყო. მან

მონასტერში ე.წ. «აზრთა განდობის» წესი დაამკვიდრა, რაც იმას გულისხმობდა, რომ მონასტრის ყველა მკვიდრს მისთვის წერილობითად უნდა გაეწოდო საკუთარი ყველა ფიქრი. ამგვარი წერილობითი აღსარებანი კი არა მხოლოდ მათ შინაგან ანუ სულიერ განვითარებას, არამედ ყოველდღიურ ყოფით წვრილმანებსაც უნდა შეხებოდა. ასეთი წერილების წერა ყველასთვის სავალდებულო იყო (გვ. 179).

გარედან ისე ჩანდა, რომ წინამძღვარს «ხელში ეჭირა» მონაზონთა მთელი კრებული, საათივით ჰქონდა აწყობილი მონასტრის ცხოვრება, მაგრამ მარია აქ თავის შემდეგ დაკვირვებას გვთავაზობს: «დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მას (დედა ნიკოლაიას) თავად ეშინოდა საკუთარი მონაზვნების. ამაზე მიანიშნებდა მისი განუწყვეტელი პარანოია შეთქმულებასთან დაკავშირებით, რომელსაც თითქოს მის წინააღმდეგ ამზადებდნენ. ასევე ისიც, თუ როგორ ცდილობდა იგი ჩვენს დაშინებასა და დათრგუნვას თავის ე.წ. მეცადინეობებზე. მას ყველა მონაზონში შეჰქონდა რაღაც ეჭვი, თავის ყველაზე ერთგულ მონაზვნებშიც კი» (გვ. 176).

მარია მონასტრის წინამძღვრის სხვა ეგოცენტრულ გამოვლინებებზეც საუბრობს. კერძოდ, ე.წ. «დედაოს დღესასწაულებზე», რომლებიც თავისი ბრწყინვალეობით ყველა საეკლესიო დღესასწაულს აღემატებოდა. ამგვარი დღეობები კი არ იყო ცოტა: მაგალითად, ასეთი იყო მისი დაბადების დღე, მონაზვნად აღკვეცის დღე, ილუმენის ხარისხში აყვანის დღე, წელიწადში სამი ანგელოზის დღე (წმინდა ნიკოლოზთან დაკავშირებული დღეებიც მის დღესასწაულებად ითვლებოდა) და სხვა» (გვ. 40). ამას ემატებოდა საზღვარგარეთ მოგზაურობებიდან მონასტერში დაბრუნებანი. დაბრუნების ეს პროცესი რაღაც

განსაკუთრებულ მოვლენად მიიჩნეოდა: აუცილებელი იყო მონასტრის ყველა მკვიდრი მთავარ კარიბჭესთან მომღიმარი სახეებით დახვედროდა მას, რის შემდეგაც კომპეზური ჰურობანი იმართებოდა.

მარია განდიდების მანიით შეპყრობილი მონასტრის წინამძღვრის სხვა თვისებაზეც მოგვითხრობს: «ხშირად საეკლესიო დღესასწაულებზე მონაზვნებს დედა ნიკოლაიას ფოტოებს გვირიგებდნენ, თუმცა გაუგებარი იყო, რატომ, მას ხომ ყოველდღე ვხედავდით. ზოგი მონაზონი მის ფოტოს თავისი ხატების კუთხეშიც კიდებდა, სადაც ისინი ლოცულობდნენ» (გვ. 49). უფრო მეტიც, მონაზვნები დედა ნიკოლაიას მიერ შედგენილი ლოცვის ტექსტებითაც ლოცულობდნენ. ამგვარი სულიერი მდგომარეობის კრიტიკისას მარია წმინდა თეოფანე დაყუდებულის სიტყვებს იმონებს: «საჭიროა სულიერი ხელმძღვანელი, იოანე ნათლისმცემლის მსგავსად, გვერდზე გადგეს, საკუთარ თავს არარაობად მიიჩნევდეს და მოხარული იყოს მონაფეთა წინაშე საკუთარი დაკნინებისა. სწორედ ეს ყოველი მოწმობს სულიერ განვითარებაზე» (გვ. 51). ამიტომაც, მარიასთვის სულაც არ იყო გასაკვირი, თუ რატომ კრძალავდა დედა ნიკოლაია თავის მონასტერში წმინდა თეოფანეს და მსგავსი ცნობილი და აღიარებული მოღვაწეების ნაწერების კითხვას. ამის ნაცვლად, ის «უპირატესობას თანამედროვე ათონელი მამების ბროშურებს ანიჭებდა, რომლებშიც ამგვარ ნატიფ რჩევებს ვერ შეხვდებით» (გვ. 51).

მონასტრის ცხოვრებაში ფრიად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ე.წ. ობოლ ბავშვთა თავშესაფარი. სინამდვილეში აქ მცხოვრები ბავშვების უმეტესობა სულაც არ იყო ობოლი. მათ უმრავლესობას დედები ჰყავდათ, რომლებსაც წარუმატებელი ქორწინების ან დაქვრივების

შემდეგ, დედა ნიკოლაიას უგზავნიდნენ მეგობარი მოძღვრები. მღვდლები ასეთ დედებს არწმუნებდნენ, რომ მათთვის და მათი შვილებისთვის უკეთესი იქნებოდა, სწორედ მონასტრულ გარემოში ეცხოვრათ. მონასტრის წინამძღვარი ამგვარი დედებითა და ბავშვებით ეფექტურად მანიპულირებდა. გარდა ამ იძულებითი და უზნეო «რეკრუტირებისა», კიდევ ერთი დანაშაული ის იყო, რომ ბავშვებიც, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, მონასტრულ ტიპიკონს (წეს-განგებას) უნდა დამორჩილებოდნენ, რაც მონაზვნებთან ერთად სისხამ დილით ადგომას, ღვთისმსახურებაზე დასწრებას და სხვა მსგავს აქტივობებს ითვალისწინებდა: «ამას დამატებული, მათ უნდა ესწავლათ კიდევც» (გვ. 88).

დედა ნიკოლაიას მონასტერში ბავშვთა სახლის დაარსება თანხების მოსაზიდად სჭირდებოდა. ის თავად ამბობდა, რომ მისი მონასტერი ამ ბავშვთა სახლის წყალობით არსებობდა, რადგან სწორედ მის გამო ურიცხავდნენ მონასტერს სპონსორები შესაწირის სახით დიდძალ ფულს. მარია შენიშნავს: «ნუთუ შეუძლებელი იყო ამ თანხიდან რაღაც ნაწილის გამოყოფა, რომლითაც ბავშვებისთვის შესაბამისი განათლების მქონე აღმზრდელებს დაიქირავებდნენ, როგორც ეს მიღებულია მსგავს დაწესებულებებში? რატომ უნდა ყოფილიყვნენ ამით დაკავებულნი ამ საქმისთვის სრულიად შეუსაბამო ადამიანები – მონაზვნები, რომლებიც მონასტერში ბავშვების აღზრდისთვის არ მიდიან?» (გვ. 90).

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, საბოლოოდ, მარია «ამ დაწყევლილი» მონასტრისგან თავის დაღწევას დიდი ძალისხმევით ახერხებს. ის დროებით ოპტინის უდაბნოში მიემგზავრება მამა ათანასესთან. მარია ცდილობს მას აუხსნას წამოსვლის მიზეზები, თუ როგორი გაუსაძლისი

მდგომარეობაა მალოიაროსლავეცის მონასტერში. მამა ათანასე ცდილობს, მარიას შეაგონოს, რომ ილუმენიას ასეთი მმართველობის სტილი მისივე სასარგებლოდ იყო, რომ მას თავი უნდა დაემდაბლებინა და ყველაფერში საკუთარი თავი დაედანაშაულებინა და ა.შ. (გვ. 267). მამა ათანასე იქვე დედა ნიკოლაიას დანაბარებსაც გადასცემს მარიას, რომ თუ მას არ სურს იმავე მონასტერში დაბრუნება, შეუძლია კიროვის ოლქში მდებარე ერთ მონასტერში გააგრძელოს ცხოვრება. მარიას ეცინება ამგვარ შემოთავაზებაზე, რადგან კარგად იცის, რომ ეს მონასტერი დედა ნიკოლაიას მონასტრის ერთ-ერთი «ასლია» და ფაქტობრივად მის მიერვე იმართება (გვ. 260). ამ საუბრის შემდეგ მარია ხვდება, რომ მამა ათანასეს ნაკლებად ადარდებს კონკრეტული ადამიანის დახმარება და რომ მისთვის «გავლენიან ილუმენიასთან თანამშრომლობა უფრო მომგებიანი იყო» (გვ. 268). წიგნში სხვა ადგილას ავტორი წერს, რომ არც ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი ცდილობდა მალოიაროსლავეცის მონასტრის შიდა საქმეებში ჩარევას, რადგან, როგორც ჩანდა, მთავარი მისთვის ეპარქიაში ასეთი აყვავებული და მზარდი მონასტრის არსებობა იყო (გვ. 180).

მარია სახლში 2016 წლის 8 იანვარს დაბრუნდა.

დასკვნის მაგიერ

აბსოლუტური მორჩილების რელიგიური პრაქტიკა გაუმართლებელია არა მხოლოდ ჩვენი ეპოქისთვის, არამედ წარსულშიც მას მხოლოდ გამონაკლისური ხასიათი ჰქონდა. მთლიან სამონასტრო წესდებათა დაფუძნება ამგვარი მორჩილების ცალკეულ შემთხვევებზე ძველ დროშიც მიუღებლად მიიჩნეოდა, რადგან აბსოლუტური მორჩილება ყველა ქრისტიანისთვის

თანაბრად სავალდებულო ვერ იქნება. თუკი დღეს რომელიმე სასულიერო პირი სწორედ ამ გამონაკლისური შემთხვევების საფუძველზე ითხოვს აბსოლუტურ (ბრმა) მორჩილებას, შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ მისი მსახურება დანაშაულებრივია.

მარიას აზრით, იოანე სინელის ასკეტური ტრაქტატი «კიბე» თანამედროვე მონასტრების მკვიდრთათვის რელევანტური არაა (გვ. 72), რადგან სწორედ აბსოლუტური მორჩილების საჭიროებაზე საუბრობს. ამის დასტურად, მას ამ წიგნიდან აბსოლუტური მორჩილების მაგალითი მოჰყავს (აკაკის შემთხვევა) და აღნიშნავს, რომ ბრმა მორჩილება სახარებისეულ პრინციპებს ეწინააღმდეგება, რომელიც აცხადებს, რომ თუ ბრმა ბრმას მიჰყვება, ორივე ორმოში ჩაცვივდება. მარია ასევე იმონებს მეთერთმეტე საუკუნეში მოღვაწე წმინდა სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველის სიტყვებს: «ნუ დაექვემდებარები გამოუცდელ და ვნებების მონა მასწავლებელს, რათა სახარებისეული ცხოვრების ნაცვლად დემონურ ცხოვრებაში არ განისწავლო...» (გვ. 74-5). მაგრამ თავად მარიას მიერ დაწუნებული იოანე სინელიც ხომ ცალსახად წერს იმავე ნაშრომში, რომ საჭიროა «წინამძღვრის გამოცდა», სანამ მას მორჩილად დავუდგებით, რათა «მკურნალის ნაცვლად სნეულთან არ მივიდეთ»?^[10] შესაძლებელია სხვა ციტატების მოყვანაც წმინდა მამების ნაშრომებიდან, რომელთაც იგივე შინაარსი აქვს.

სამწუხაროა, რომ მარიამ, ასეთი მძიმე გამოცდილების შემდეგ, ღვთისადმი რწმენა დაკარგა. როგორც ის ერთ ინტერვიუში^[11] აცხადებს, მას აღარ სჯერა ღმერთის, სამოთხისა თუ ჯოჯოხეთის არსებობისა, რადგან მათ ადამიანური ფანტაზიის ნაყოფად მიიჩნევს. შინაარსგამოცლილი და წამხდარი ბერმონაზვნობის

ყველაზე დიდი ნეგატიური შედეგი, ალბათ, სწორედ ეს არის: იმ ღმერთისადმი რწმენა, რომელსაც არანაირი კავშირი არ შეიძლება ჰქონდეს არამდგრადი ფსიქიკის მქონე პირთა რელიგიურ ფსიქოზთან. სამწუხაროდ, მსგავსი კატასტროფებიდან უვნებლად თავის დაღწევის უნარი ყველას როდი აქვს. მაგრამ ნათელია, რომ მათ, რომელნიც ადამიანებს ღვთისკენ მიმავალი გზიდან აცდენენ, ქრისტეს სიტყვით, ურჩევნიათ კისერზე ლოდი დაიკიდონ და წყალში გადავარდნენ.

დედა სიდონიას შეფასება

მარია კიკოტის წიგნის კითხვისას და შემდეგ ამ რეცენზიის წერისას, ერთგვარი პარალელისთვის, საქართველოს დედათა მონასტრებში არსებულ მდგომარეობაზე სანდო ინფორმაციის მიღების სურვილი გამიჩნდა, რადგან ქართული და რუსული რელიგიურობა მაინც ერთიანი სივრცის ნაწილებად მოიაზრება და ეს არა მხოლოდ ბერმონაზვნობის მიმართულებით გამოიხატება. ამიტომ, ქართული მონასტრული ცხოვრების შეფასება დედა სიდონიას (ერში: ნატალია ყაჭიაშვილი) ვთხოვე. სქემმონოზონი სიდონია ნამდვილად ვერ ჩაითვლება ამ სივრცის ე.წ. გარე შემფასებლად, რადგან რამდენიმე მონასტრის მკვიდრი იყო, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს მიღმა. უფრო მეტიც, ორი მათგანი (აბასთუმნისა და სადგერის მონასტრები) მისი დაფუძნებულია.

გთავაზობთ მის კომენტარს: «ქართულ სამონასტრო ცხოვრებაზე წინამდებარე მოკლე შეფასების გამოთქმა, მარია კიკოტის წიგნზე თავისი რეცენზიისთვის თეოლოგმა დავით თინიკაშვილმა მთხოვა, რომელსაც ჩემს მეგობრად მივიჩნევ. როგორც ჩანს, ამ საკითხზე მეტ-ნაკლებად

ობიექტური მსჯელობის მოლოდინი მას სწორედ ჩემგან აქვს, რისთვისაც მადლობელი ვარ. რა შემძლია ვთქვა? საქართველოში სამონასტრო ცხოვრებას ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დაუბრუნდნენ. მათ იქ სულიერად გამოცდილი მოძღვრები არ დახვედრიათ, რომლებიც საკუთარ გამოცდილებას გადასცემდნენ. პირველი ხანები (დაახლ. 1990-1996 წლები) სიწრფელითა და ენთუზიაზმით გამოირჩეოდა. იმ დროისთვის სასულიერო დასი საზოგადოებაში არ იყო პრივილეგირებული და, შესაბამისად, ვერვინ წარმოიდგენდა, რომ სასულიერო პირად ხელდასხმა რაიმე მიწიერ კეთილდღეობასთან შეიძლებოდა ასოცირებულიყო. საქართველოში მონასტრების თანდათანობითმა გამრავლებამ ერი და ბერი მეტად დააკავშირა ერთმანეთს, რასაც ღირებულებების აღრევაც მოჰყვა! ამაოებამ მოიცვა შედარებით სულმოკლენი. მაგრამ ამავდროულად არიან გულწრფელი მაძიებლებიც, რომლებიც ამსოფლიურმა ცდუნებამ ვერ შეარყია. მათთვის ღირებულია წმინდა მამების სწავლება და ცხოვრების წესიც შესაბამისი აქვთ. სამწუხაროდ, წინამძღვრების უმრავლესობა ერთპიროვნულად მართავს მონასტრებს. მათ შორის მორჩილებისა და ე.წ. ნების მოკვეთის მცდარი აღქმა წარმოიშვა, რაც მონასტრის წევრთა არასწორ სულიერ განვითარებას იწვევს. ადამიანი რომელ გზასაც არ უნდა ირჩევდეს, იქ მისი შინაგანი ზრდა მოიაზრება და როცა არ ვითარდება, ის სიხარულის განცდის უუნარობამდე მიდის. საქართველოს მონასტრების უმრავლესობაში პრაქტიკულად ნაკლებად აინტერესებთ ადამიანის სული, ქრისტეს მცნებები და სიყვარული (ამიტომ არ მიკვირს, თუკი იგივე სიტუაციაა რუსულ მონასტრებშიც, როგორც ამას მარია კიკოტი წერს). ხშირად წმინდა მამათა ნამდვილი სწავლება აღარ არის მონასტრის ცხოვრების

ქვაკუთხედი. სამაგიეროდ, უხვადაა შური, განკითხვა, ჭორობა, რაც ასე განაშორებს არჩეული გზის არსს. სასულიერო პირებში ასევე თვალშისაცემია ის, რომ უფრო მეტ იმედს ადამიანებზე ამყარებენ და არა ღმერთზე. საბედნიეროდ, მონაზონთა ნაწილი, აცნობიერებს რა ამგვარ სავალალო ვითარებას, ტრადიციული სამონასტრო ცხოვრების შესწავლასა და გაძლიერებას ცდილობს. მონასტერი არც საპყრობილეა და არც განცხრომის ადგილი. ეს არის ღმერთთან მიახლოების ერთ-ერთი გზა!»

თვა თოფურია

როცა შვილი მონსტრია

«ძვირფასო ფრანკლინ» – ასე იწყება ლაიონელ შრაივერის წიგნი «კევინზე უნდა დაგელაპარაკო», რომელიც 2003 წელს გამოიცა და მალევე მოიპოვა პოპულარობა. წიგნის დასაწყისში გგონია, რომ ქალი, რომელიც ძვირფას ფრანკლინს წერს, სამოგზაუროდ არის წასული და ქმარს წერილებს რომელიმე ეგზოტიკური ქვეყნიდან უგზავნის. სადღაც, შუაგულში ეჭვობ, რომ გაყრილები არიან, ბოლოსკენ კი უკვე ხვდები, ფრანკლინი დიდი ხნის მკვდარია, საყვარელმა შვილმა მოკლა.

თემა, რომელსაც შრაივერი ამ წიგნში შეეხო ამერიკული თემაა, მოზარდი ერთ მშვენიერ დღეს გადანყვეტს, თანაკლასელები ამოხოცოს. ასეთი რამ ერთხელ და ორჯერ არ მომხდარა, წიგნის ერთ-ერთ თავში კონკრეტული ფაქტებიც კი არის ჩამოთვლილი. აქ ის კითხვებია დასმული, რომელსაც, როგორც წესი, მსგავსი ფაქტის შემდეგ ჟურნალისტები და ფსიქოლოგები სვამენ: «რატომ მოხდა ასე, რამ შეიძლებოდა თუ არა ტრაგედიის თავიდან აცილება და ასე შემდეგ».

მოკლე შინაარსი ასეთია, საკამოდ კარგ ოჯახში საშინლად უხასიათო და ეგოისტი ბავშვი იბადება. უკვე ზრდასრულ ასაკში მისი უხასიათობა ბოროტებაში გადადის.

ერთხელაც ის სპორტდარბაზში თანაკლასელებს ჩაკეტავს და მშვილდ-ისრით დახოცავს, მანამდე მოკლავს მამას და პატარა დასაც. შემდეგ ჟურნალისტებთან იტყვის, რომ უბრალოდ უნდოდა, მასზე დიდხანს ელაპარაკათ.

მაგრამ წიგნის მათავრი გმირი კევინი არ არის, მთვარი გმირი ევაა, რომელიც უკვე გარდაცვლილ ქმარს წერილებს წერს. ევამ ყოველთვის და თან ყველაზე კარგად იცოდა,

რომ მისი შვილი სახიფათო იყო, მაგრამ მომხდარმა მის მოლოდინსაც გადააჭარბა.

და აჰა, ვიღებთ სურათს, როდესაც ადამიანის წინაშე მთელი ჯოჯოხეთი ერთბაშად გადაიშლება და ის სვამს კითხვას როგორც საკუთარი თავის, ასევე საზოგადოების წინაშე – რატომ მოხდა ეს? მე ეს რატომ დამემართა?

ევა ერთ დროს წარმატებული და ბედნიერი ადამიანი იყო. ჰყავდა ქმარი, რომელსაც უყვარდა (აი, სწორედ ის ფრანკლინი) და ორი შვილი. მართალია, ერთი ნამდვილი ურჩხული გამოდგა და ბავშვობიდან ვერაფერს უხერხებდა, მაგრამ მეორე, გოგონა, პირიქით, ღვთის საჩუქარი იყო. ერთ დილასაც ევა სამსახურში წავიდა, მისმა შვილმა კი ჯერ და მოკლა, მერე – მამა, მერე თანაკლასელები და მასწავლებელი. საღამოს ევამ უკვე აღარ იცოდა, როგორ უნდა ეცხოვრა, ბანალურია, მაგრამ ზუსტად ასე იყო, აღარ იცოდა.

ამის შემდეგ ქმრისთვის მიწერილ წერილებში ევა დეტალურად იხსენებს მისი და შვილის ურთიერთობას და ცდილობს, გაარკვიოს, შესაძლებელი იყო თუ არა მომხარის თავიდან აცილება. მართლაცდა, არის კი შესაძლებელი ყველა ბავშვი კეთილშობილ ადამიანად გაზარდო? თუ კი, მაშინ რატომ იზრდება ზოგიერთი მათგანი სერიულ მკვლელად? უშუალოდ მთავარი გმირი ამ კითხვაზე პასუხს არ სცემს, მაგრამ წიგნში ნათლად არის ნაჩვენები, რომ ხშირად მშობლებზეც არ არის დამოკიდებული, როგორი გაიზრდება მათი შვილი. თუმცა, ეს ძალიან რთლი გასაგებია საზოგადოებისთვის, რომელიც მომხდარზე პასუხისმგებლობას არა მხოლოდ მკვლელს აკისრებს, არამედ მის ახლობლებსაც.

და კიდევ ერთი თემა, რომელიც ამ წიგნში ჩანს, გაუცხოებაა. თავიდან ოჯახში სულ სამი სულია: ცოლ-ქმარი და პატარა ბავშვი. ბავშვი საკუთარი ასაკის კვალობაზე მოულოდნელად ჭკვიანია და მალევე ახერხებს მშობლებს ორგვარი სტანდარტებით ეურთიერთოს. დედასთან ის საკუთარ ცუდ ხასიათს არ მაღავეს, თითქოსტიბრშიც უდგას და იმისთვის, რომ არ დაისაჯოს, მოკავშირედ მამა ჰყავას, რომელთანაც კარგი ბიჭის როლი აქვს მორგებული. ეს როლი კევინმა თხუთმეტი წლის განმავლობაში იმდენად ოსტატურად ითამაშა, რომ ფრანკლინმა სიმართლეს და მისკენ დამიზნებულ ისარს ფაქტოვრივად ერთდროულად გაუსწორად თვალი.

«კევინზე უნდა დაგელაპარაკო» – წიგნს ეს ფრაზა სათაურად სწორედ ამიტომ აქვს. სანამ ცოცხალი იყო ევას კევინზე დალაპარაკება ქმართან არ გამოუვიდა. კაცი უბრალოდ, ფიქრობდა, რომ დედა აჭარბებს და მათი შვილი ასეთი ცუდი ნამდვილად არაა, უბრალოდ მას ვერ უგებენ, ცოტას ცელქობს და ასე შემდეგ. «თითქოს ყოველი გახდილი მაისურის ქვეშ კიდევ ერთი გეცვა», – წერს ევა ქმარს, მათ შორის გაჩენილი ბზარის აღსაწერად. თუმცა, არც ის ჩანს ბოლომდე რომც დაელაპარაკათ და შეთანხმებულიყვნენ, რომ რაღაც უცნაურობის გამო, კაცმა არ იცის რატომ და როგორ, მაგრამ მათი შვილი ნამდვილად დიდი საფრთხეა ადამიანებისთვის, რას შეცვლიდნენ? ერთია, შინაგანად გრძნობდე, რომ ჰაერში სისხლის სუნი ტრიალებს და მეორეა, ეს სისხლისღვრა შეაჩერო.

ამ წიგნში ბევრი კითხვაა და არც თუ ისე ბევრი პასუხი.

2011 წელს წიგნის მიხედვით ფილმიც გადაიღეს.

ქართულად მხოლოდ ახლა, 2017 წელს გამმოიცა ბაკურ

სულაკაურის გამომცემლობის მიერ. წიგნი ღაშა
გველესიანმა თარგმნა.

ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ, შეიძლება, საკუთარი
შვილების შეგეშინდეთ, ან, უბრალოდ, სხვა თვალით
შეხედოთ და თქვათ, რამე ხომ არ ხდება ისეთი, რაზეც
უნდა დავილაპარაკოთ.

5. ფესტივალი

ღელა კოდალაშვილი

ოცდაცხრა ქართველი მწერლის თავგადასავალი ცენტრალურ ევროპაში

4 აგვისტოს, უკრაინის ქალაქ ლვივში^[12] დასრულდა დიდი საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი – «ავტორთა კითხვის თვე», სადაც წელს მთავარი ქვეყანა საქართველო იყო. ჩეხ, სლოვაკ, პოლონელ და უკრაინელ ავტორებთან ერთად ოცდაცხრა ქართველმა ავტორმა მიიღო მონაწილეობა და თავისი ნაწარმოებები იკითხა ჩეხეთში (ბრნო, ოსტრავა), პოლონეთში (ვროცლავი), სლოვაკეთში (კოშიცე) და უკრაინაში (ლვივი).

ამ წერილის წერა ჯერ კიდევ ფესტივალის გახსნამდე დავიწყე, რადგან მინდოდა, ერთგვარი ანონსი შემეთავაზებინა ლიტერატურის მოყვარულებისთვის. მაგრამ ბოლოს გადავიფიქრე, რადგან შედეგებსა და შთაბეჭდილებებზე საუბარი გაცილებით საინტერესოა ხოლმე. მით უფრო, რომ დღემდე საქართველოს ამ მასშტაბის პროექტში მონაწილეობა არასოდეს მიუღია და ერთბაშად ამდენი სხვადასხვა თაობის, ჟანრის, მიმართულების ხელოვანი არ წარუდგენია ერთდროულად რამდენიმე ქვეყნისთვის.

ვინ იყო ეს 31 მწერალი, რის მიხედვით შეირჩა; მაინცდამაინც ეს შემადგენლობა უნდა წასულიყო თუ – სხვა... ამაზე, ცხადია, აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. რამდენადაც რთულია, უპასუხო კითხვაზე – რა არის ნამდვილი ლიტერატურა, ამდენადვე ძნელია, გამოარჩიო ნამდვილი მწერალი. მასობრივი კომუნიკაციების სამყაროში, თანამედროვე ტემპსა და გლობალური ბაზრის პირობებში, თითქმის შეუძლებელია, იპოვო ათვლის ის საწყისი წერტილი, საიდანაც ჩანს ნამდვილი

ლიტერატურა. აი, მეც ვფიქრობ, ოცდათერთმეტიდან ათი ავტორი სხვა ათით უნდა ჩანაცვლებულიყო – სანყენი სულაც არ არის ის, რომ ყველას თავისი მიდგომა აქვს და იმ ხალხს გულშემატკივრობს, ვინც მის «სიაშია». ჩემთვის კიდევ უფრო ძნელია, ვისაუბრო შერჩევის კრიტერიუმებზე, რადგან ფესტივალის ერთ-ერთი მონაწილე მეც ვარ და ამ პოზიციიდან ნებისმიერი კრიტიკული აზრი სუბიექტურად გაიჟღერებს. ცხადია, გარდა უკმაყოფილო გულშემატკივრებისა, დარჩა ბევრი უკმაყოფილო ავტორიც, რომელთა შორის რამდენიმე, ჩემი აზრით, ნამდვილად იმსახურებდა ღონისძიებაზე მოხვედრას. მით უფრო, რომ 31-დან ორმა (ანა კორძაია-სამადაშვილმა და ნიკა ჯორჯანელმა) წასვლა ვერ შეძლო და მათი ადგილები, ასე ვთქვათ, ტყუილად მოცდა.

თავიდან იყო ტენდენცია, რომ ქართველი ავტორების შემადგენლობა ნაკლებად ცნობილი სახეებით ყოფილიყო დაკომპლექტებული, მაგრამ საბოლოოდ ძალიან ეკლექტური სია შედგა. თუნდაც ის, რომ ფესტივალში მონაწილეობდა აკა მორჩილაძე, ეს უკვე მნიშვნელოვნად წევს მაღლა ქართული ლიტერატურის რეპუტაციას და ვფიქრობ, ასეთ ღონისძიებაზე სწორედ საუკეთესო ავტორების წარმოჩენა უნდა იყოს მნიშვნელოვანი და არა სხვა ფაქტორებისთვის ანგარიშის განწევა. არიან მწერლები, რომლებიც მუდმივად მონაწილეობენ სხვადასხვა ფესტივალებში არა იმიტომ, რომ მათ გარდა კარგად არავინ წერს, არამედ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სხვებს არა აქვთ შესაბამისი კონტაქტები, მათ არ იცნობენ და არც მიწვევა მოუვა ვინმეს თავში აზრად. ამ კატეგორიის მწერლებს მშვენიერი სამსახური გაუწია ფესტივალმა. რომელმა რამდენად დააინტერესა ცენტრალური ევროპის ეს ქვეყნები და რამდენად

გამოადგებათ მათ ეს ფესტივალი სამომავლო ურთიერთობებისთვის, ამაზე ჯერ საუბარი ნაადრევია. თითოეულ ქალაქში ქართველი მწერლის პარალელურად მონაწილეობოდა ჩეხი, პოლონელი, სლოვაკი ან უკრაინელი ავტორიც, რომელთა უმრავლესობას ქართველი მკითხველი კი არა, ლიტერატორებიც ძლივს იცნობენ. ალბათ კარგი იქნება, მათ შორის გამორჩეულების თარგმნა და გაცნობა თუ მოხერხდება ქართველი მკითხველისთვის სამომავლოდ.



რაც შეეხება ქართველებს: გამოვიფიქროვო რამდენიმე მათგანს – ფესტივალმა გაიცნო აკა

მორჩილაძე – თავისი სტილისტური თამაშებით და ენის ტექნიკის განსაკუთრებული ფლობით. და იმით, რაც მის მიერ მოთხრობილ ნებისმიერ, თუნდაც უინტერესო ისტორიას საინტერესოს ხდის. გაიცნეს პაატა შამუგიას ე.წ.

პროვოკაციული პოეზია, სადაც მუდამ იპოვნის მკითხველი სიღრმეს და პოეტურ ხმას, გაიცნეს ზვიად რატიანი, რომელსაც ერთნაირი ინტერესით უსმენენ აკადემიურ სივრცეშიც და კლუბურ ტუსოვკებზეც, ერთადერთი ავტორი, რომლის საღამოზე დასწრების საშუალებაც მომეცა ფესტივალის გრაფიკის მეშვეობით და რომელსაც მოდერატორობას უწევდა სერგეი ლაზო, უკრაინელი პოეტი და ბარდი, შესანიშნავი მცოდნე ქართული თანამედროვე პოეზიის. გაიცნეს გიორგი ლობჯანიძე, პოეტი, რომლის მეტაფორებით მსუყე ლექსები ჟღერად ხმას ჰმატებენ თანამედროვე ქართულ პოეზიას. შოთა იათაშვილი, რომელიც მუდამ იმაზე წერს, რასაც სხვებმა ყურადღება ვერ მიაქციეს და ახლა გონებაგახსნილებივით სხედან და თითქოს სინდისის ქენჯნით უსმენენ. ბათუ დანელია, რომლის ლექსები ნიმუშია იმისა, როგორ შეიძლება წერო ტრადიციული, მაგრამ თანამედროვე ლექსი, ნატიფი პოეტური ენით. თამთა მელაშვილი, რომლის პროზაში თავს იყრიან ქალები, რომლებიც სხვადასხვა ხმით მოგვითხრობენ თავიანთ ამბებს. გაიცნეს ეკა ქევანიშვილის ამბები ცხელი წერტილებიდან, გიორგი კეკელიძის გურული ფსიქოტიკები და ღმერთისადმი მიწერილი წერილი მამის შესახებ, თეა თოფურია, რომლის ხელში ისეთი გაცვეთილი პერსონაჟიც კი, როგორც სევდაა, სრულიად ახალ ძალას იძენს, ბესო ხვედელიძე თავისი ფანტასმაგორიული სიუჟეტებით და შავი იუმორით, ერეკლე დეისაძე, რომელიც ყველას ეპატაჟის ოსტატი ჰგონია, არადა, უბრალოდ, შეულამაზებელ სიმართლეს აღწერს, ზაზა კოშკაძე, რომელიც ამხელს ბნელი ქუჩების ყოფას, ნენე კვინიკაძე, რომლის სხვადასხვანაირი გმირები ექსცენტრულ ამბებში არიან გახვეულნი, ზურაბ რთველიაშვილი, რომლის რამდენიმეგანზომილებიანი პერფორმანსები მხოლოდ ავტორის შესრულებით უნდა

ნახო და მოისმინო, ლელა სამნიაშვილის მეტაფორულ-სიურეალისტური ლირიკა ინტელექტუალური ნარატივით, დათო გაბუნიას ირონიულ-სარკასტული ტექსტები, ალაგ-ალაგ შავი იუმორით გაზავებული...

საბოლოოდ შეიძლება ვთქვათ, რომ თანამედროვე ქართული ლიტერატურა ღიაა მსოფლიო პროცესებისთვის და ევროპული ლიტერატურული ტედენციებისთვის. მართალია, პროზასა და დრამატურგიაში, პოეზიისგან განსხვავებით, არც თუ ისე ბევრი კაშკაშა ავტორი გვყავს, და, შესაბამისად, ლიტერატურის ეს მხარე თემატურად, სტილურად თუ მიმართულებების მხრივ არ არის იმდენად მრავალფეროვანი, რამდენადაც ლექსი. ასეა თუ ისე, წელს ამ 29 ავტორის ტექსტები სამ სხვადასხვა ენაზე ითარგმნა და ეს უკვე ბევრს ნიშნავს. ამ ქართველი ავტორების ნაწილი კი, ნამდვილად ღირსია, ჩაენეროს საერთო ლიტერატურულ სამყაროში და გაიფართოოს ჰორიზონტი საერთაშორისო პროცესებზე.

რაღაც შეფასებასავით წერილი გამომდის და ამიტომ, ბარემ, ამდენი ქების მერე იმასაც ვიტყვი, რა აკლდა ამ ფესტივალს – ეს იყო ლიტერატურული საზოგადოების, ანუ ჩვენი იქაური კოლეგების სიმცირე. უფრო სწორად, ზოგიერთ ქალაქში მათი საერთოდ არყოფნა. ბაფხულია და, როგორც ვროცლავში ჩემმა მოდერატორმა, ამიხსნა, უმეტესობა შვებულებაში იყო. ფესტივალის ყველაზე ერთგული კატეგორია მკითხველი აღმოჩნდა. ზოგმა ქართულადაც კი ისწავლა რამდენიმე წინადადება. ეს ხალხი, მთელი თვის მანძილზე, ყოველდღე, თითოეულ დარბაზში ინტერესით ელოდა მომდევნო მწერლის გამოჩენას. შემდეგ ავტოგრაფებსა და ერთად ფოტოების გადაღებას გვთხოვდა. ცოტაც და, შეიძლება, ვიღაცას თავი მეგავარსკვლავადაც კი წარმოედგინა ამდენი ყურადღების

პირობებში. ვიტყვი იმასაც, რომ ყველა იმ ქვეყანამ, რომელიც ჩართული იყო ამ ფესტივალში, შესანიშნავი პრომოუშენი გაუკეთა ღონისძიებას. რადიო, პრესა, ქუჩები, კლუბები, თეატრები – მთელი თვის მანძილზე აქტიურად აშუქებდნენ ყველაფერს. იქაურებს გული დასწყდათ, რომ ქართული მედია საშუალებები, თუ არ ჩავთვლით რადიო თავისუფლებას (და ერთ-ორ სხვას), რომელმაც მთელი მსვლელობის მანძილზე არაერთი სიუჟეტი და ჩანაწერი მიუძღვნა ამ თემას, ასე აქტიურად არ იყვნენ ჩართული ამ პროცესში. რას ვიზამთ, მათ ხომ არ იციან, რომ ჩვენთან კულტურა არ არის კომერციული. აქ ძირითადად პოლიტიკურ სკანდალებზე, ქმრების მიერ ცოლების მკვლელობებზე, ავარიებზე, ხანძრებზე, სხვისი საძინებელი ოთახის ფარულ ჩანაწერებზე ნადირობენ ჟურნალისტები და ასეთი მასშტაბის, უპრეცედენტო კულტურული მოვლენა საინტერესო არ არის.



დავუბრუნდეთ კვლავ დადებით მხარეს. მთელ ამ ვოიაჟს თან ერთვოდა თითოეული ქალაქის თავისებური ხიბლი, რომლის დანახვასა და აღქმას ვერ ასწრებდი, უბრალოდ, თვალს შეავლებდი და მორჩა. სწორედ ამიტომ გამოგვყვა ყველას

გულნაკლულობის შეგრძნება და «მუქარა» – აუცილებლად კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ იქ, იმ ქალაქების გემრიელად დასათვალიერებლად.

ბრნო. ესაა ჩეხეთის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი, ქვეყნის იმ ნაწილში, რომელიც ისტორიული მორავიის ტერიტორიაზეა. მორავია ითვლება ერთ-ერთ პირველ სლავურ სახელმწიფოდ, რომელმაც, თავის დროზე,

უდიდესი გავლენა მოახდინა საერთო სლავური რეგიონის კულტურულ განვითარებაზე. აქ შეიქმნა პირველი სლავური დამწერლობა და ა.შ. სწორედ მისი ბედით დაინტერესებული ადამიანია ისტორიკოსი რობერტ კეპრტი, რომელიც ყველა ლიტერატურულ საღამოს ესწრებოდა და ინტერესდებოდა, რამდენად იცნობდნენ ქართველები ამ რეგიონის ისტორიას ან აქაურ ავტორებს. ბევრმა, შეიძლება, არც კი ვიცოდით, რომ ჩვენთვის კარგად ნაცნობი მილან კუნდერა და ბოჰუმისლ ჰრაბალი სწორედ მორავიაში, კერძოდ კი ჩვენს მასპინძელ ქალაქ ბრნოში არიან დაბადებული. როგორც სხვებმაც თქვეს, და მეც ვადასტურებ, ამ ქალაქში ყველაზე დიდი აუდიტორია შეიკრიბა. შეკითხვები, მოულოდნელი ლირიკული გადახვევები თუ ხუმრობა ბლომად იყო დარბაზიდან. ბრნოული საღამოების დაუღალავი მოდერატორი, სანდრო ჭელიძე მყისიერად ართმევდა თავს ნებისმიერ პრობლემას. ეგ კი არა, პიესების კითხვისას როლებსაც კი აძლევდნენ სახელდახელოდ. ასე მოხდა ჩემს შემთხვევაშიც. სანდროსთან პარალელურ რეჟიმში მუშაობდა ირინა ჩინჩალაძე და, ცხადია, ფესტივალის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი, რენატა ობადალკოვა – ქალი-მეტეორი, როგორც მას სანდრო ჭელიძემ უწოდა.

ოსტრავაში პოეტ იაკობ ჩრობაკის მიერ შემოთავაზებული საფირმო ჩეხური სასმელიც, რომელიც პირადად მე ვერ გავსინჯე, რადგან ბავშვობისდროინდელი პეპტუსინის არომატი ჰქონდა, იმ ადგილის განსაკუთრებულ სუნს, ხიბლს, განწყობას უსვამდა ხაზს.

განსაკუთრებული იყო ლვივი. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მეორე დღეს ყველას დასვენება ელოდა. მერე იმიტომ, რომ იქ ლიტერატორებიც მრავლად იყვნენ. პირადად მე ჩემი მოდერატორის, ლიტერატურის კრიტიკოსის, განნა

ულიურას პროფესიონალიზმმა გამოაცა, როცა აღმოვაჩინე, რომ მან ყველაფერი იცოდა ჩემ შესახებ, ზოგიერთი ძველისძველი პოპულარული სტატუსიც კი წაკითხული ჰქონდა.

ცალკე სასაუბრო თემაა ფესტივალის გრაფიკი. თითოეული მწერალი მიფრინავს მარტო, ჩადის პირველ ქალაქში, იმავე დღეს ატარებს საღამოს და შემდეგ ყოველ მომდევნო დილას მიემგზავრება სხვა ქვეყანაში. ამ ტემპის გაძლება ბევრს გაუჭირდა. თუმცა შესანიშნავი ორგანიზებულობის წყალობით ყველაფერი კარგად დასრულდა. ამ გრაფიკის გადამკიდეს, გაგა ნახუცრიშვილს უთქვამს შოთა იათაშვილისთვის – სადაც მანქანას, მატარებელს ან, თუნდაც, ურიკას დავინახავ, ასე მგონია, სასწრაფოდ უნდა ჩავჯდე, გავემგზავრო სადღაც და ლექსები წავიკითხოო.

ოცდაცხრა აბნეულ-დაბნეული, პუნქტუალური თუ ზოზინა, მშვიდი თუ ფიცხი ქართველი მწერლის მწყემსვა ალბათ არ იყო იოლი საქმე და, მიუხედავად ამისა, თითოეული მარშრუტი საოცრად დაძაბულ, ფორსმაჟორულ რეჟიმში ყველამ უშეცდომოდ გაიარა და თავისი მისია შეასრულა – ოთხ ქვეყანასა და ხუთ ქალაქში საღამო ჩაატარა. მართალია, ზოგს მატარებელმა გაასწრო (მაგალითად, მე), ზოგი, პირიქით, ჩაჯდა და აღარ ჩამოვიდა, შესაბამისად, მან სხვა ქალაქსა თუ ქვეყანაში ამოჰყო თავი, ზოგმა მეორე დღეს სასტუმროს ვერ მიაგნო და სკვერში ეძინა, ზოგს დილით ჩაეძინა და თვითმფრინავი მის გარეშე აფრინდა... მოკლედ, კურიოზები ბლომად იყო და ამაზე, შეიძლება, მომავალ წერილში ვიხალისოთ.

6. ახალი თარგმანები

ერნსტ იუნგერი

ტყედმავლობა

(გერმანულიდან თარგმნა დათო ბარბაქაძემ)

XX საუკუნის უდიდესი გერმანელი მწერლის, ერნსტ იუნგერის (1895-1998) ესსეისტური შემოქმედება – გერმანიის ფილოსოფიურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ზეგავლენის მასშტაბებით – არათუ არ ჩამოუვარდება ავტორის ბელეტრისტულ წიგნებს, არამედ აღემატება კიდევ მათ. დაბეჭდვით შეიძლება ითქვას ისიც, რომ უშუალოდ მწერლებს შორის XX საუკუნის გერმანიაში იუნგერს ვერავინ შეედრება ეპოქალური ტენდენციების სისტემური გააზრების სიღრმით, წინასწარმეტყველების სიზუსტითა და სოციალური ანალიზის ყოვლისმომცველობით. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ავტორი იყო და რჩება მთელ მსოფლიოში ერთმანეთისგან სრულიად გამომრიცხავ ფილოსოფიურ და პოლიტიკურ პლატფორმაზე მდგომ მოაზროვნეთა და პოლიტიკოსთა საკულტო ფიგურად. მწერლის თეორიულ განაზრებათა ხერხემალია მისი სამი ნაშრომი:

«ტოტალური მობილიზაცია» (1930), «მუშა. ძალაუფლება და გეშტალტი» (1932) და «ტყედმავლობა» (1951). ამ ნაშრომებს კი წინ უძღოდა ახალგაზრდა ნიცშეანელის ერთგვარი მოსამზადებელი სამუშაო 1926 წელს გამოცემული წიგნით «ომი, როგორც შინაგანი განცდა». «ტყედმავლობის» («Der Waldgang») მთავარი თემა, რომლის ცალკეული ასპექტები იუნგერმა 40-იან და 50-იან წლებში დანერგა არაერთ სხვა ესსეში დაამუშავა, ნიჰილიზმის დაძლევა და ახალი ინდივიდუალიზმის დაფუძნებაა. ჰობსის, შტირნერის, ნიცშეს, შპენგლერის, ჰაიდეგერის, ორტეგა-ი-გასეტის თეორიულ კონცეპტებთან დაუსახელებელ დიალოგში

იუნგერი შემოქმედებითი ავტონომიის, პიროვნული ერთადერთობის შენარჩუნების ახალ სტრატეგიებს ეძებს და პოულობს, აგებს შესატყვისი კონცეპტუალური მეტაფორების ულამაზეს შენობას.

ვიდრე ცალკე წიგნად გამოიცემოდეს, გთავაზობთ ამ ვრცელი ტექსტიდან რამდენიმე ამონარიდს. «ახალი საუნჯის» მკითხველი აუცილებლად გაიხსენებს «ტყედმავლობის» კონცეპტს ნორბერტ ბოლცის ესსედან «ვის ეშინია ფილოსოფიის?» (#1, 2016), რომელიც, ყველა თვალსაზრისით, იუნგერის ფილოსოფიის ერთგული ტექსტია. მსგავსად ბოლცის ნარკვევისა, ერნსტ იუნგერის წინამდებარე ესსეც თავის დროზე თარგმნილია, როგორც საილუსტრაციო მასალა აკადემიური სალექციო კურსისთვის «ხელოვნების ფილოსოფია და სოციოლოგია მე-20 საუკუნის გერმანიაში», რომელსაც, უკვე რამდენიმე წელია, ვუძღვები თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში.

ტექსტი თარგმნილია შემდეგი გამოცემიდან: Ernst Jünger. *Sämtliche Werke. Zweite Abteilung. Essays. Band 7. Essays I.* Klett-Cotta, Stuttgart 1980, გვ. 281-374.

მთარგმნელი

*

ტყედმავლობაში ჩვენ ვგულისხმობთ ამქვეყნად ცალკეულის თავისუფლებას. ამას ემატება სწორედ იმ დამსახურების აღწერის სირთულე, რომელიც ამქვეყნად ცალკეულად ყოფნაში მდგომარეობს. ქვეყანა რომ, დიასაც აუცილებლობის ძალით, შეიცვალა და კვლავაც იცვლება, საკამათო არ არის, მაგრამ ამითვე იცვლება თავისუფლებაც, თუმცა არა – თავისი არსით, არამედ – ფორმით. ჩვენ მუშის ეპოქაში ვცხოვრობთ; ეს თეზისი



ამასობაში კიდევ უფრო მკაფიო ხდება. ტყედმავლობა, ამ წესრიგის შიგნით, უზრუნველყოფს მოძრაობას, რომელიც მას ბოლოლოგიურ წარმონაქმნთაგან მიჯნავს. ის არც ლიბერალური აქტია და არც – რომანტიკული, არამედ სათამაშო სივრცეა მცირე ელიტებისა, რომლებმაც ისიც იციან, თუ დრო რას მოითხოვს, და – რაღაც უფრო მეტიც.

*

კერძო ხმის მფლობელი ჯერაც არ არის ტყედმავალი. ისტორიულად დანახული, იგი სულაც დაგვიანებულია. ამის მაუწყებელია ისიც, რომ იგი უარყოფს. მხოლოდ მაშინ, როცა პარტიას თვალს მოავლებს, შეძლებს იგი საკუთარი და, შესაძლოა, საკვირველი სვლების შემოთავაზებას.

მან საამისოდ, პირველ ყოვლისა, უმრავლესობის იმ ძველ წარმოდგენათა საზღვრებიდან უნდა გააღწიოს, რომლებიც ჯერაც ზემოქმედებენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ უკვე ბურკემ და რივაროლმა მოჰფინეს ნათელი. ამ საზღვრებში ერთპროცენტიანი უმცირესობა სავსებით უმნიშვნელო იქნება. ჩვენ ვნახეთ, რომ ეს უმცირესობა გადამწყვეტი უმრავლესობის დასტურყოფას უფრო ემსახურება.

ვითარება უმაღლესი იცვლება, როცა, ღირებულებით მოსაზრებათა სასარგებლოდ, სტატისტიკაზე ამბობენ უარს. ამ მხრივ კერძო ხმა სხვა დანარჩენთაგან ისე განსხვავდება, რომ ის მათ მიმართულებასაც კი აძლევს. ჩვენ ამ ხმის მფლობელისგან უნდა მოველოდეთ, რომ იგი

არა მხოლოდ შეიქმნის საკუთარ თვალსაზრისს, არამედ დაიცავს კიდევ მას. აქედან გამომდინარე, ამ კაცის გაბედულებაც უნდა ვაღიაროთ. თუ აშკარა ძალადობის გამოყენების იქნებ სულაც ხანგრძლივ ეპოქებში მოიპოვებიან ცალკეულნი, რომელნიც სამართლის შეგნებას თვითშენიშვნის ფასადაც კი იცავენ, ისინი სწორედ აქ არიან საძიებელნი. იქაც კი, სადაც ისინი სდუმან, ყოველთვის იქნება მათ ირგვლივ მღელვარება, როგორც – უხილავი რიფების თავზე. მათი წყალობით მტკიცდება, რომ ძალისმიერი უპირატესობა, მაშინაც კი, როცა ის ისტორიული ცვლილებების გამომწვევია, სამართალს ვერ ქმნის.

უხარისხო მასებით გარემოცული ცალკეულის ძლიერება, ხედვის ამ კუთხით განხილული, არც ისე მცირეა. უნდა გავიაზროთ, რომ ეს ცალკეული, თითქმის ყოველთვის, გარემოცულია ახლობლებით, რომლებზეც იგი ზემოქმედებს და რომლებიც მის ბედს იზიარებენ, როცა ის კვდება. ეს ახლობლებიც განსხვავდებიან ბიურგერული ოჯახის წევრებისგან ან წარსულიდან ცნობილი კარგი ნაცნობებისგან. აქ საქმე უფრო მტკიცე კავშირებს ეხება.

*

ჩვენი დროის თავისებურება მნიშვნელოვან სასცენო გამოსვლათა და უმნიშვნელო შემსრულებელთა შესატყვისობაა. ეს, უპირველეს ყოვლისა, ამ დროის დიად კაცთა მაგალითით ნათელიყოფა; იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქმე ეხება პერსონაჟებს, რომლებიც მრავლად მოიპოვებიან ჟენევისა თუ ვენის ყავის კაფეებში, ოფიცერთა პროვინციულ თავყრილობებსა თუ საეჭვო ქარვასლებში. იქ, სადაც, ნების შიშველ ძალასთან ერთად, სულიერი ნაბიჯებიც წარმოჩნდება, შეგვიძლია

დავასკვნათ, რომ სახეზეა უკვე ყავლგასული მასალა, როგორსაც თუნდაც კლემენსოსთან ვხვდებით, ნამდვილს მინამსგავსი რომ შეიძლება ეწოდოს.

ამ სპექტაკლში თუ რამ უსიამოვნოა, სწორედ – ესოდენ უმნიშვნელო სიმაღლეთა დაკავშირება ვეებერთელა ფუნქციურ ძალაუფლებასთან. ესენი ის კაცები არიან, რომელთა წინაშე მილიონები ცახცახებენ, რომელთა გადაწყვეტილებებზე მილიონები არიან დამოკიდებული. და მაინც, ესენი ხომ დიახაც ისინი არიან, ვისთან დაკავშირებითაც უნდა ვაღიაროთ, რომ ისინი დროის სულმა უშეცდომო ხელით გამოარჩია, თუ ვისურვებთ და ამ სულს მისი ერთ-ერთი შესაძლო ასპექტით, კერძოდ, დამაქცევარ მენარმედ, განვიხილავთ. მთელი ეს ექსპროპრიაციები, დევალვაციები, უნიფიკაციები, ლიკვიდაციები, რაციონალიზაციები, სოციალიზაციები, ელექტროფიკაციები, მიწის კონსოლიდაციები, განაწილებები და პულვერიზაციები არც განათლებას მოითხოვს და არც – ხასიათს, პირიქით, ერთიც და მეორეც ვნებენ ავტომატიზმს. ამიტომაც, იქ, სადაც სახელოსნოთა წარმომადგენლობებში ძალაუფლება დემონსტრირდება, წანამატს ის ღებულობს, ვისშიც არარაობრივს წინ უსწრებს ძლიერი ნება. ამ თემას, განსაკუთრებით კი მის მორალურ ხლართს, ჩვენ ისევ დავუბრუნდებით.

მაგრამ იმ ზომით, რა ზომითაც მოქმედება ფსიქოლოგიურად ღარიბდება, იგი ტიპოლოგიურად უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ადამიანი ჩართული აღმოჩნდება ისეთ კავშირებში, რომლებსაც ის ცნობიერებით მაშინვე ვერ სწვდება, რომ აღარაფერი ითქვას გამოსახულებაზე – მხოლოდ დროთა განმავლობაში მოიპოვება ხილვადობა, რომელიც სპექტაკლს გასაგებს გახდის. მხოლოდ ამის მერე იქნება ბატონობა შესაძლებელი. ვიდრე პროცესზე

ზემოქმედება მოხერხდებოდა, ჯერ მისი გააზრება უნდა მოხდეს.

ჩვენ ვხედავთ, რომ კატასტროფებთან ერთად ჩნდებიან გეშტალტები, რომლებიც მათ აღემატებიან და რომლებიც მას მერეც გააგრძელებენ არსებობას, როცა შემთხვევითი სახელები დიდი ხნის დავინწყებული იქნებიან. უპირველეს ყოვლისა, მათ განეკუთვნება მუშის გეშტალტი, რომელიც თავისი მიზნებისკენ მტკიცედ და უდრეკად მიაბიჯებს. დაისის ცეცხლი მას კიდევ უფრო მეტ ელვარებას ანიჭებს. კვლავაც ანათებს იგი ტიტანთა გაურკვეველ ნათელში; ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენთ, რომელ სამეფო ქალაქებში, რომელ კოსმიურ მეტროპოლისებში დაიდგამს ის ტახტს. მსოფლიოს მისი უნიფორმა აცვია და მისი შეიარაღებით არის აღჭურვილი, და, ჩანს, მის საბეიმო მუნდირსაც მოირგებს. რაკი ის ჯერ მხოლოდ თავისი გზის დასაწყისში დგას, მის დასასრულზე ვერაფერს ვიტყვით.

მის კვალად სხვა გეშტალტები ჩნდებიან – ისეთები, რომლებშიც ტანჯვა სუბლიმირდება. მათ განეკუთვნება უცნობი ჯარისკაცი, უსახელო, რომელიც, სწორედ ამის გამო, არა მარტო ნებისმიერ დედაქალაქში, არამედ ნებისმიერ სოფელშიც, ნებისმიერ ოჯახშიც ცოცხლობს. ბრძოლის ქალაქები, მისი დროითი მიზნები და თავად ხალხები, რომლებსაც ისინი იცავდნენ, გაურკვევლობაში ინთქმებიან. ხანძრები ცხრება, და სხვა რამ რჩება, საყოველთაო, რომლისკენაც ნება და ვნებები აღარ, მაგრამ ხელოვნება და განდიდება კი დიახაც მიიქცევიან.

მაგრამ რით უნდა აიხსნას, რომ ეს გეშტალტი მკაფიოდ უკავშირდება პირველ, და არა მეორე, მსოფლიო ომზე მოგონებას? ამის მიზეზი ის არის, რომ ამიერიდან ნათლად იკვეთება მსოფლიო სამოქალაქო ომის ფორმები და

მიზნები. ამასთან ერთად კი ჯარისკაცური მეორეხარისხოვანი ხდება. უცნობი ჯარისკაცი ჯერ ისევ გმირია, ცეცხლოვან სამყაროთა მძლეველი, რომელმაც დიდი ტვირთი იტვირთა მექანიკურ ნადგურისცემათა შუაგულში. ამით ის დასავლური რაინდობის ჭეშმარიტი შთამომავალია.

მეორე მსოფლიო ომი პირველისგან მხოლოდ იმით კი არ განსხვავდება, რომ ნაციონალური საკითხები ღიად ერწყმიან სამოქალაქო ომისას და მათ ექვემდებარებიან, არამედ, ამავე დროს, იმითაც, რომ მექანიკური განვითარება მატულობს და მისი უკიდურესი საზღვრები ავტომატურს უახლოვდება. ამას თან მოაქვს ნომოსზე და ეთოსზე გამძაფრებული თავდასხმები. ასეთ კონტექსტში კი მიიღება ძალების დიდი უპირატესობის მიერ შექმნილი სავსებით გამოუვალი ალყა. რესურსებით ბრძოლა გადაიზრდება საალყო ბრძოლაში, კანე-ში, რომელიც ანტიკურ სიდიადეს მოკლებულია. ეს სენი იმგვარად ძლიერდება, რომ აუცილებლობით გამოირიცხება ის, რაც გმირულია.

როგორც ყველა სტრატეგიული ფიგურა, ეს უკანასკნელიც ზუსტი სურათ-ხატია დროისა, რომელიც ცეცხლით ცდილობს თავისი შეკითხვების ნათელყოფას. ადამიანის გამოუვალი მდგომარეობა დიდი ხნის წინ შემზადდა, კერძოდ – იმ თეორიებით, რომლებიც სამყაროს ლოგიკურ და უხარვეზო ახსნას ესწრაფვიან და ტექნიკურ განვითარებას ფეხს უწყობენ. ეს ჯერ მონინააღმდეგის რაციონალურ, მერე კი მის საზოგადოებრივ შემოსაღტვას იწვევს; ხოლო ამის მერე განადგურების ჟამი დგება. არ არსებობს იმაზე უფრო უიმედო ხვედრი, ვიდრე ისეთ დინებაში მოხვედრაა, რომელშიც სამართალი იარაღად გადაქცეულა.

*

მუშას და უცნობ ჯარისკაცს ჩვენი დროის ორი დიდი გეშტალტი ვუნოდეთ. ტყედმავალს კი მესამე გეშტალტად მოვიაზრებთ, რომელიც უფრო და უფრო საჩინოვდება.

მუშაში გამოვლინდება ქმედითი პრინციპი მცდელობისა – ახლებურად განმსჭვალოს და მართოს სამყარო, სწვდეს თვალისთვის ჯერაც უხილავ ახლობელს და შორებელს, დაეუფლოს ისეთ ძალებს, როგორებიც ჯერ არავის გამოუთავისუფლებია. უცნობი ჯარისკაცი ქმედებათა ჩრდილში დგას, როგორც სამსხვერპლო მოლაშქრე, რომელიც ცეცხლის დიდ უდაბნოთა ტვირთმზიდველია და რომელიც განდიდდება, როგორც კეთილი, გამამთლიანებელი სული, არა მხოლოდ ხალხთა შიგნით, არამედ – მათ შორისაც. ის უშუალოდ მიწის შვილია.

ტყედმავალს კი იმას ვუნოდებთ, ვინც, დიდი პროცესების ძალით განკერძოებული და უსამშობლოდ გადაქცეული, საკუთარ თავს, ბოლოს და ბოლოს, განადგურებისთვის განწირულს ხედავს. შეიძლებოდა, მსგავსი ბედი რგებოდა მრავალს, ყველასაც კი – ოღონდ აქ კიდევ ერთი განსაზღვრულობა უნდა არსებობდეს. ის კი იმაში მდგომარეობს, რომ ტყედმავალს წინააღმდეგობის გაწევა გადაუწყვეტია და ბრძოლა განუზრახავს – შესაძლოა სულაც უიმედო. მაშასადამე, ტყედმავალი ის არის, ვინც თავისუფლებასთან თავდაპირველ კავშირს ფლობს, რაც, დროითობიდან დანახული, იმაში მჟღავნდება, რომ ის არ ფიქრობს, დაემორჩილოს ავტომატიზმს და ამ უკანასკნელის ეთიკურ შედეგს, ფატალიზმს.

ჩვენ თუ მას ამგვარად განვიხილავთ, იმასაც მკაფიოდ დავინახავთ, თუ რა როლს თამაშობს ტყედმავალი ჩვენი დროის არა მხოლოდ აზროვნებაში, არამედ –

სინამდვილეშიც. დღეს ხომ იძულების მდგომარეობაში იმყოფება ნებისმიერი, და ამ იძულების გადალახვის მცდელობები ემსგავსება გაბედულ ექსპერიმენტებს, რომლებზეც კიდევ უფრო დიდი ბედია დამოკიდებული, ვიდრე – იმათი, ვისაც გარისკვა გადაუწყვეტია.

ასეთი გაბედულების წარმატება მხოლოდ მაშინ არის მოსალოდნელი, როცა მას დახმარების ხელს გაუწვდის ხელოვნების, ფილოსოფიის და თეოლოგიის სამი დიდი ძალა და გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსასვლელი გზაც გაიჭრება. ჩვენ მათ სათითაოდ განვიხილავთ. წინდანინვე აღვნიშნოთ, რომ ალყაშემორტყმული ცალკეულის თემა ხელოვნებაში მართლაც სულ უფრო მეტად იმკვიდრებს ადგილს. ბუნებრივია, რომ ეს განსაკუთრებით სცენაზე და ფილმებში, უწინარესად კი რომანში, ადამიანის აღწერისას აშკარავდება. და მართლაც, ჩვენ ვხედავთ პერსპექტივის ცვალებადობას იმის შესაბამისად, თუ როგორ ჩაენაცვლება განვითარებადი ან ნგრევადი საზოგადოების აღწერებს ტექნიკურ კოლექტივთან და მის სამყაროსთან ცალკეულის დაპირისპირება. მაშინ, როცა ავტორი ამ სამყაროს სიღმეებს სწვდება, იგი თავადვე იქცევა ტყეღმავლად, ვინაიდან ავტორობა სხვა არაფერია, თუ არა – დამოუკიდებლობის სახელწოდება.

ამ აღწერების უშუალო თავწყაროა ედგარ ალან პო. ამ სულის განსაკუთრებულობა მომჭირნეობაა. ლაიტმოტივი ჯერ კიდევ ფარდის ახდამდე ჩაგვესმის, და ჩვენთვის პირველი ტაქტებიდანვე ნათელი ხდება, რომ სპექტაკლი საშიში იქნება. მწირი მათემატიკური ფიგურები, იმავდროულად, საბედისწერო ფიგურები არიან; ამასვე ეფუძნება მათი უჩვეულო ხიბლი. მორევი ის ძაბრია, ის გადაულახავი შემსრუტავი ენერგიაა, რომლითაც

სიცარიელე, არარა ისრუტავს. წყლის ქვაბული წრებრუნვის, უფრო და უფრო მჭიდრო შემოწერის სურათ-ხატს გვთავაზობს, სივრცე ვიწროვდება და ვირთხებს ამრავლებს. ქანქარა მკვდარი, გაბომვადი დროის სიმბოლოა. ეს ქრონოსის ბასრი ნამგალია, რომელიც ქანაობს და მისაბლულს ემუქრება, მაგრამ იმავდროულად ათავისუფლებს კიდევ, თუ ამ უკანასკნელს მისი გამოყენება ხელეწიფება.

ამასობაში კი მჭიდრო კარტოგრაფიული ბადე ზღვებით და ქვეყნებით ივსებოდა, რასაც თან ერთვოდა ისტორიული გამოცდილება. უფრო და უფრო ხელოვნური ქალაქები, ავტომატური ურთიერთობები, ქვეყნებსშორისი ომები და სამოქალაქო ომები, მანქანური ჯოჯოხეთები, რუხი დესპოტიები, საპყრობილები და დახვეწილი თვალთვალი – ეს ყველაფერი ის არის, რაც სახელდებულ იქნა და რითაც ადამიანები დღენიადაგ დაკავებულან. ჩვენ თვალს ვადევნებთ მას, როგორც განვითარებისა და გამოსავლის მაძიებელ და გაბედული გეგმებით ატაცებულ მოაზროვნეს; ვხედავთ მას მოქმედებაში, როგორც მანქანის მესაჭეს, მეომარს, ტყვეს, პარტიზანს მისივე ქალაქთა შუაგულში, რომლებიც ხანად იწვიან, ხანად კი მოზეიმედ განათებულან. ვხედავთ მას, როგორც ფასეულობათა მოძულეს, როგორც ცივ გამომთვლელს, მაგრამ ასევე – სასონარკვეთილს, როცა ლაბირინთის შუაგულში მოქცეული მისი მზერა ვარსკვლავებს ეძებს.

პროცესს ორი პოლუსი აქვს – ერთია მთლიანობის, ის, რომელიც უფრო და უფრო მძლავრად ყალიბდება და, ნებისმიერი წინააღმდეგობის გადამლახავი, წინ მიიწევს. ეს დასრულებული მოძრაობაა, იმპერიული ფრთაშესხმულობა, სრული უსაფრთხოება. საპირისპირო პოლუსზე კი ცალკეულს ვხედავთ, ტანჯულს და დაუცველს,

ასეთივე სრულ საფრთხეში მყოფს. ორივე ერთმანეთით არის გაპირობებული, ვინაიდან ფრთაშესხმული ძალაუფლება შიშით საზრდოობს, იძულება კი განსაკუთრებით ქმედითია იქ, სადაც მგრძნობელობა გამძაფრებულია.

როცა ხელოვნება, თავისი ურიცხვი მცდელობით, იმაზე მეტად ხდება ამ ახალი ადამიანური ვითარებით დაკავებული, ვიდრე – მისივე საკუთარი თემით, ეს უკვე აღწერაზე მეტია. აქ საქმე იმ უმაღლესი მიზნით მართულ ექსპერიმენტებს უფრო ეხება, რომელიც ახალი ჰარმონიით თავისუფლებისა და სამყაროს გაერთიანებაში მდგომარეობს. როცა ეს ხელოვნების ნაწარმოებში აშკარავდება, დაგროვილი შიში ისევე უნდა გაიფანტოს, როგორც – ნისლი მზის პირველ სხივებში.

*

შიში ჩვენი დროის სიმპტომთაგანია. ის მით უფრო დამთრგუნველად ზემოქმედებს, რომ დიდი ინდივიდუალური თავისუფლების იმ ეპოქას ერწყმის, რომელშიც გაჭირვებაც კი – როგორსაც, ვთქვათ, დიკენსი აღწერს – თითქმის უცნობი გახდა.

როგორ მოხდა ასეთი ცვლილება? თუ მავანი მაინც და მაინც ზუსტი თარიღის დასახელებას მოისურვებდა, არც ერთი დღე იმაზე შესატყვისი არ იქნებოდა, ვიდრე «ტიტანიკის» ჩაძირვის დღეა. აქ ერთურთს მკვეთრად ეხლებიან შუქი და ჩრდილი: პროგრესის ყოყოჩობა და პანიკა, უმაღლესი კომფორტი და ნადგურისცემა, ავტომატიზმი და კატასტროფა, რომელიც უბედურ სატრანსპორტო შემთხვევად გამოიყურება.

ზრდადი ავტომატიზმი და შიში, სინამდვილეში, ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება, სახელდობრ იმდენად, რამდენადაც ადამიანი, ტექნიკური ხეირის სასარგებლოდ, გადაწყვეტილების მიღებაში იზღუდება. ამას ის მრავალგვარ კომფორტამდე მიჰყავს. აუცილებლობის ძალით უნდა გაიზარდოს თავისუფლების დანაკარგიც. ცალკეული აღარ გამოსჩანს საზოგადოებაში ისე, როგორც – ტყეში ხე, არამედ ის ემსგავსება მგზავრს სწრაფად მოძრავი სატრანსპორტო საშუალებისა, რომელსაც «ტიტანიკიც» შეიძლება ერქვას და – ლევიათანიც. ვიდრე ამინდი კარგია და ხედიც – საამური, ის ვერ შენიშნავს ნაკლები თავისუფლების მდგომარეობას, რომელშიც აღმოჩნდა. პირიქით, ისახება ოპტიმიზმი, ძალაუფლების შეგრძნება, რომელსაც სისწრაფე ბადებს. ვითარება მაშინ იცვლება, როცა ცეცხლისმფრქვეველი კუნძულები და აისბერგები ჩნდება. აი, მაშინ კი ტექნიკა არა მარტო კომფორტიდან უმაღლეს სხვა სფეროებში ინაცვლებს, არამედ იმავდროულად ცხადი ხდება თავისუფლების ნაკლებობა – დაუმორჩილებელ ძალებზე გამარჯვება მხოლოდ იმის წყალობით იქნებოდა ამ დროს შესაძლებელი, მართვის სადავეებს თუ სრულიად აიღებდნენ ხელში ცალკეულები, რომლებსაც ძალა არ დაუკარგავთ.

ეს დეტალური გარემოებანი ცნობილიც არის და – მრავალჯერ აღწერილიც; ისინი ჩვენივე უძირითადეს გამოცდილებას მიეკუთვნებიან. აქ არც საწინააღმდეგო არგუმენტი დააყოვნებს: ხომ არსებულან შიშის, აპოკალიფსური პანიკის დროებანი, არა მაინც და მაინც ამ ავტომატური ხასიათის მიერ შემზადებულნი და თანხლებულნი. ჩვენ გვსურს, ეს საკითხი ღიად დავტოვოთ, რადგან ავტომატური მხოლოდ მაშინ გადაიქცევა

საშინელებად, როცა ის ბედისწერის ერთ-ერთ ფორმად, სტილად გაცხადდება, რაც ჯერ კიდევ ჰიერონიმუს ბოშმა უბადლოდ აღწერა. უახლესი ეპოქის სრულიად განსაკუთრებულ შიშს ეხება საქმე თუ – მხოლოდ დროით სტილს მსოფლიო ძრწოლისა, რომელიც დაგვიბრუნდა – ჩვენ ამ საკითხზე შეჩერება არ გვსურს, არამედ მხოლოდ – იმ შემხვედრი შეკითხვის დასმა, რომელიც ჩვენს გულს უფრო აღელვებს: იქნებ შესაძლებელია შიშის შემცირება მაშინ, როცა ავტომატიზმი კვლავაც არსებობს ან, როგორც სავარაუდებელია, სრულყოფისკენ სწრაფვას განაგრძობს? მაშასადამე, არის თუ არა შესაძლებელი ერთდროულად გემზე დარჩენაც და საკუთარი გადაწყვეტილების დაცვაც, ანუ: იმ ფესვების არა მხოლოდ გაფრთხილება, რომლებიც თაურმიზებს ჯერ კიდევ არის მიმაგრებული, არამედ – მათი გაძლიერებაც? ეს ჩვენი არსებობის არსებითი საკითხია.

ეს არის აგრეთვე შეკითხვა, რომელიც დღეს ნებისმიერი ეპოქალური ძრწოლის უკან იმალება. ადამიანი სვამს შეკითხვას, თუ როგორ შეიძლება თავი დააღწიოს განადგურებას. თუ ვინმე ამჟამად, ევროპის ნებისმიერ წერტილში, ნაცნობს თუ უცნობს საუბარს გაუბამს, ლაპარაკი საყოველთაოსაც მალე მისწვდება, და უმალ გამჟღავნდება სავალალო ვითარება. გასაგები გახდება, რომ თითქმის ყველა ეს ქალი თუ მამაკაცი ისეთი ერთადერთი პანიკით არის მოცული, როგორიც ჩვენთან ადრეული შუასაუკუნეების მერე აღარ ახსოვდათ. საცნაური შეიქნება, რომ ისინი ერთგვარი შეპყრობილობით გადაშვებულან თავიანთსავე შიშში, რომლის სიმპტომები ღიად და მოურიდებლად გამოუფენიათ. შეჯიბრსაც კი შეესწრებით ამ სულთა შორის, რომლებიც იმაზე კამათობენ, გაქცევა სჯობს, დამალვა თუ – თვითმკვლელობა, და რომლებიც – სრული თავისუფლების

ვითარებაში – უკვე იმას გაიაზრებენ, თუ რარიგი მანქანებით და ხრიკებით არის შესაძლებელი არარაობათა კეთილგანწყობის მოპოვება, თუ ეს უკანასკნელნი ძალაუფლებას მოიპოვებენ. შეძრწუნებული ფიქრობ ამ დროს, რომ არ არსებობს სიმდაბლე, რომელზეც ისინი უარს იტყვიან, თუ ამას საჭიროება მოითხოვს. მათ შორის ჩანან ლონიერი, ჯანმრთელი მამაკაცები, რომლებიც ბავშვობიდან არიან ნაჩვევი შეჯიბრში მონაწილეობას. მათი შემხედვარე, საკუთარ თავს ეკითხები, თუ რისთვის დაკავებულან ისინი სპორტით.

იგივე ადამიანები ახლა უკვე არა მხოლოდ მშიშრები არიან, არამედ – იმავდროულად – საზარლებიც. მათი განწყობა ძრწოლიდან დაუფარავ ზიზღში გადადის, როცა დასუსტებულს ხედავენ იმას, ვისიც სულ ცოტა ხნის წინ ეშინოდათ. და არა მხოლოდ ევროპაში შეხვდებით ასეთ გაერთიანებებს. პანიკა კიდევ უფრო მეტად ნივთდება იქ, სადაც ავტომატიზმი ძლიერდება და სრულყოფილ ფორმებს იძენს, როგორც ეს ხდება ამერიკაში. იქ პანიკას საუკეთესო საზრდოსთვის მიუგნია; ის ქსელებით ისე ვრცელდება, რომ ტოლს არ უდებს ელვის სისწრაფეს. სხვა თუ არაფერი, დღეში რამდენჯერმე ახალი ამბების მოსმენის მოთხოვნილება უკვე ძრწოლის ნიშანია; წარმოსახვა ძლიერდება და აჩქარებულ ბრუნვაში პარალიზდება. ვებერთელა ქალაქთა ყველა ეს ანტენა ყალყზე დამდგარი თმის მსგავსია. ისინი დემონებს აღვიძებენ.

უდავოა, რომ არც აღმოსავლეთია გამონაკლისი. დასავლეთს აღმოსავლეთის ეშინია, აღმოსავლეთს კი – დასავლეთის. დედამიწის ყველა კუთხეში საშინელი

თავდასხმის მოლოდინით ცხოვრობენ. ბევრგან ამას თან ერთვის სამოქალაქო ომის შიში.

უხეში პოლიტიკური მექანიზმი ამ შიშის ერთადერთი მიზეზი როდია. უამისოდაც ურიცხვი ძრწოლა მოიპოვება. მათ თან მოაქვთ იმგვარი გაურკვევლობა, მიწყვიტე ქიმათა, მაშველთა, სასწაულმოქმედთა იმედს რომ აჩენს. შიშის საგნად ხომ ყველაფერი შეიძლება იქცეს. ეს კი იმაზე უფრო აშკარა წინასწარი უწყებაა დალუპვისა, ვიდრე – ნებისმიერი ფიზიკური საფრთხე.

*

ამ გრიგალურ ბრუნვა-ტრიალში არსებითი საკითხი ის არის, შესაძლებელია თუ არა შიშისგან ადამიანის გათავისუფლება. ეს იმაზე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე – მისი შეიარაღება ან მედიკამენტებით მისი მომარაგება. ძალაუფლება და ჯანმრთელობა უშიშრის განკარგულებაშია. ამის საპირისპიროდ, შიში კბილებამდე შეიარაღებულსაც კი ჩასაფრებია – სწორედაც რომ ამ უკანასკნელს. იგივე უნდა ითქვას იმაზე, ვინც ფუფუნებაში იხრჩობა. იარაღით და ძვირფასეულობით მუქარას ვერავინ განდევნის. ეს მხოლოდ დამხმარე საშუალებებია.

შიში და საფრთხე ერთურთს იმდენად მჭიდროდ უკავშირდებიან, რომ ვერც კი ითქმის, ამ ორი ძალიდან რომელი რომლის წარმომშობია. შიში უფრო მნიშვნელოვანია, ამიტომ, კვანძის გახსნა თუ გვსურს, სწორედ მისით უნდა დავიწყოთ.

პირუკუ კი ეს შემდეგს ნიშნავს: საფრთხით დაწყების მცდელობას უნდა ვერიდოთ. შიშისმომგვრელზე უფრო საშიშად გახდომის მარტივი მცდელობით გამოსავალი ვერ მოიძებნება. ეს წითელსა და თეთრს შორის, წითელსა და

წითელს შორის, ხვალ კი სულაც თეთრსა და ფერადს შორის, კლასიკური ურთიერთობაა. თავბარი იმ ცეცხლის მსგავსია, ქვეყნიერების დანთქმა რომ სურს. მასთან ერთად კი შიშიც მრავლდება. თავის თავს, როგორც მბრძანებლობისთვის მოწოდებულს, ის ლეგიტიმირებულყოფს, ვინც თავბარს წერტილს უსვამს. ეს სწორედ ის არის, ვინც მანამდე შიში დათრგუნა.

ამასთან, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ შიში თავს სრულად არასდროს გაგვაძევებინებს. ეს არც ავტომატიზმისგან დაგვალწევინებდა თავს, პირიქით, ეს ავტომატიზმს ადამიანის სულში შეიყვანდა. როცა ადამიანი რჩევის მისაღებად საკუთარ თავში ღრმავდება, შიში ყოველთვის იქნება ადამიანის დიალოგის საუკეთესო თანამოსაუბრე. ამასთან, შიში მონოლოგს ესწრაფის, და სწორედ ამ როლში იტოვებს იგი ბოლო სიტყვას.

თუ, ამის საპირისპიროდ, შიშს დიალოგში უკუაქცევს, მაშინ ადამიანს შეუძლია – მის თანამოსაუბრედ იქცეს. ამით გამოუვალ მდგომარეობაში ყოფნის ქიმერაც გაქრება. გარდა ავტომატურისა, სხვა გადაწყვეტაც თვალსაჩინო გახდება. ეს ნიშნავს, რომ ახლა უკვე ორი გზა არსებობს, ანუ, სხვა სიტყვებით, გადაწყვეტილების მიღების თავისუფლება აღდგენილია.

მაშინაც კი, როცა დაღუპვის უარესი შემთხვევის დაშვება სურთ, არსებობს განსხვავება, ისევე, როგორც – სინათლესა და სიბნელეს შორის. აქ კი გზა მაღალი საუფლოსკენ მიემართება, სამსხვერპლო სიკვდილისკენ ან იმის ბედისკენ, ვინც ხელში იარაღმომარჯვებული ეცემა; იქვე ეშვება გზა მონათა ბანაკის ქვეშეთისკენ და ცხოველთა სასაკლაოსკენ, რომლებშიც პრიმიტივები და ტექნიკა მოსაკვდინებლად გაერთიანებულან. იქ ბედი არ

არსებობს, მხოლოდ – რიცხვების სიმრავლე. მაგრამ თავისი ბედი ჰქონდეს თუ – მხოლოდ რიცხვითი ღირებულება: ეს ის გადაწყვეტილებაა, რომელიც დღეს თუმცა კი თითოეულს მოეთხოვება, მაგრამ ის თითოეულმა თავად უნდა მიიღოს. ცალკეული დღეს ისევია სუვერენული, როგორც – ისტორიის ნებისმიერ სხვა მონაკვეთზე, შესაძლოა – უფრო მეტადაც კი. სწორედ იმ ზომით, რა ზომითაც კოლექტიური ძალები იხვეჭენ სივრცეს, ცალკეული ძველი, დახავსებული კავშირებიდან გამოცალკევდება და განმარტოვდება. ამიერიდან ის ლევიათანის მოწინააღმდეგე, მისი დამორგუნველიც და მომთვინიერებელიც კი, ხდება.

გვსურს, კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ არჩევნების სურათ-ხატს. საარჩევნო პროცესი, როგორც ვნახეთ, ავტომატურ კონცეპტად იქცა, რომელსაც ორგანიზატორი განსაზღვრავს. ცალკეული შეიძლება აიძულონ, და აიძულებენ კიდევ, მასში მონაწილეობა მიიღოს. მან მხოლოდ ის უნდა იცოდეს, რომ ყველა პოზიცია, რომლის დაკავებაც მას ამ ველში შეუძლია, თანაბრად უბადრუკია. არავითარი განსხვავება არ არსებობს, თუ სად იმყოფება სანიშნე აღმებს შორის მომწყვდეული ნადირი.

თავისუფლების ადგილი სრულიად სხვაა, ვიდრე – უბრალო ოპოზიცია, და არც ის არის, სადაც შეიძლება თავს გაქცევით უშველონ. ჩვენ მას ტყე ვუწოდეთ. იქ სხვა საშუალებები არსებობს, ვიდრე – ის «არა», რომელსაც ამისთვის წინასწარ განსაზღვრულ წრეში აღნიშნავენ. თუმცა ჩვენ ვხედავთ, რომ იმ ვითარებაში, რომელიც უკვე შექმნილია, იქნებ სულაც ასში ერთს ძალუძს ტყედმავლობა. მაგრამ საქმე რიცხოობრივ თანაფარდობებს როდი ეხება. როცა თეატრი იწვის, ერთი ნათელი გონება, ერთი მამაცი გული საკმარისია, რომ მან ერთუროთის

გადათელვის საფრთხეში მყოფი და ცხოველურ ძრწოლას მიცემული ათასი ადამიანის პანიკა აღკვეთოს.

როცა ჩვენ ცალკეულზე ვლაპარაკობთ, ადამიანს ვგულისხმობთ, სახელდობრ იმ ელფერის გარეშე, რომელიც ამ სიტყვამ უკანასკნელი ორი ასწლეულის მანძილზე შეიძინა. ვგულისხმობთ თავისუფალ ადამიანს, ისეთს, როგორიც იგი ღმერთმა შექმნა. ეს ადამიანი გამონაკლისი როდია, ელიტას როდი განასახიერებს. იგი დიახაც ნებისმიერში იმალება, და განსხვავებები გამოვლინდება იმ ხარისხით, რა ხარისხითაც ცალკეულს მისთვის მინიჭებული თავისუფლების ხორცშესხმა ძალუძს. საამისოდ მას დახმარების ხელი უნდა გაუწოდონ – როგორც მოაზროვნემ, როგორც მცოდნემ, როგორც მეგობარმა, როგორც მოყვარემ.

ისეც შეიძლება ითქვას, რომ ადამიანს ტყეში სძინავს. და რაწამს ის, გამოფხიზლებული, თავის ძლიერებას შეიცნობს, წესრიგი აღდგენილია. ისტორიის აღზევებული რიტმი შეიძლება საერთოდაც განიმარტოს, როგორც – ადამიანის მიერ საკუთარი თავის პერიოდული კვლავ აღმოჩენა. ყოველთვის არსებობენ ძალები – კვალად ტოტემისტური, კვალად მაგიური, კვალად ტექნიკური – რომლებსაც მისი შენიღბვა სურთ. მაშინ კი მძლავრობს გაშეშება და, მასთან ერთად, შიში. ხელოვნებანი ქვავდებიან, დოგმა აბსოლუტური ხდება. მაგრამ ადრეულ დროთაგან მოყოლებული, მეორდება სპექტაკლი, – როცა ადამიანი ნიღაბს იხსნის, და ამას მოჰყვება სილაღე, როგორც თავისუფლების ანარეკლი.

ძლიერი ოპტიკური ილუზიების ტყვეობაში მოხვედრილნი მიეჩვივნენ, რომ ადამიანს, მისივე მანქანებთან და აპარატებთან შედარებულს, ისე უყურონ, როგორც ქვიშის

მარცვალს. არადა, აპარატები არის და იქნება მდაბალი წარმოსახვის კულისები. ისინი ადამიანმა დაამზადა და შეუძლია მათი აღკვეთა ან ახლებურად მათი განმარტება. ტექნიკის ბორკილები შეიძლება ნაკუნებად იქცეს, სწორედაც რომ ცალკეულის ხელით.

*

კიდევ ერთი შეცდომის შესაძლებლობაზე მითითება გვრჩება – იგულისხმება წმინდა წარმოსახვის მიმართ ნდობა. ამასთან ერთად, ნუ უარვყოფთ, რომ მსგავს შეცდომას სულიერ გამარჯვებამდე მიყვანა შეუძლია, რაც, უნდა ითქვას, იოგას სკოლების დაფუძნებას სულაც არ გულისხმობს. ასეთ შესაძლებლობაზე კი არა მარტო უამრავი სექტა ოცნებობს, არამედ – ქრისტიანული ნიჰილიზმის ერთი სახეობაც, ყველაფერს რომ აუფასურებს. არადა, ხომ შეუძლებელია, მაღალ სართულზე მოკალათებული, ჭეშმარიტებისა და სიკეთის ჭვრეტით იფარგლებოდე მაშინ, როცა სარდაფში შენს მოყვასს ტყავს აძრობენ. ეს მაშინაც შეუძლებელია, როცა სულიერად არა მხოლოდ უსაფრთხო, არამედ უპირატეს პოზიციაში იმყოფები, სახელდობრ იმიტომ, რომ მილიონობით დამონებული შეუსმენელი ტანჯვა ცას შეჰღალადებს. ტყავსახდელთა ოხშივარი ჯერაც ისევ ჰაერში ტრიალებს. როცა საქმე ასეთ საგნებს ეხება, თაღლითობა დაუშვებელია.

ამიტომაც არ გვინერია დახანება წარმოსახვაში, მიუხედავად იმისა, რომ იგი მოქმედებებს სასიცოცხლო ძალას ანიჭებს. ძალაუფლებისთვის ბრძოლას წინ უსწრებს სურათ-ხატთა გარანდვა და სურათ-ხატთა მოშთობა. ეს არის იმის საფუძველი, რომ ჩვენ პოეტებს ვსაჭიროებთ. დამხობას ისინი იწყებენ, ტიტანთა

დამხობასაც. წარმოსახვა და, მასთან ერთად, სიმღერა ტყედმავლობას განეკუთვნებიან.

გვსურს, ჩვენს მიერ გამოხმობილ სურათ-ხატთაგან მეორეს დავუბრუნდეთ. რაც შეეხება ისტორიულ სამყაროს, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, ის იმ სწრაფმავალ სატრანსპორტო საშუალებას ჰგავს, რომელიც ხანად კომფორტული, ხანად კი ძრწოლისმომგვრელი მგზავრობის თვითმხილველად გვაქცევს. ის ხანად «ტიტანიკია», ხოლო ხანად – ლევიათანი. რაკი ის, რაც მოძრავია, თვალს ატყუებს, გემის მგზავრთაგან უმრავლესთათვის დაფარული რჩება, რომ ისინი იმავდროულად სხვა სამფლობელოში სუფევენ, რომელშიც სრული სიმშვიდეა გამეფებული. ამ სამფლობელოებიდან მეორე იმგვარად უპირატესობს, თითქოს ის პირველს ისე ფლობდეს, როგორც სათამაშოს, როგორც ურიცხვი მანიფესტაციებიდან ერთ-ერთს. მეორე სამფლობელო არის ნავსადგური, არის სამშობლო, არის მშვიდობა და უსაფრთხოება, რომელსაც თითოეული თავის თავში ატარებს. ჩვენ მას ტყეს ვუწოდებთ.

ზღვაოსნობა და ტყე – რთული ჩანს ესოდენ ურთიერთშორებელთა შეერთება ერთ სურათ-ხატად. დაპირისპირებულობა მითისთვის უფროა დამახასიათებელი – ასე უბრძანა ტირინელ მენავეთა მიერ მოტაცებულმა დიონისემ ვაზს და სუროს, ნიჩბებს შემოხლართვოდნენ და ანძებს ახვეოდნენ. მათ მიერ წარმოქმნილი ბარდნარიდან კი ვეფხვმა ისკუპა და ყაჩაღები დაგლიჯა.

მითი წინარეისტორია სულაც არ არის; ის ზედროული სინამდვილეა, რომელიც ისტორიაში მეორდება. ჩვენი საუკუნე რომ მითებში ისევ საზრისს ჰპოვებს, ეს სასიკეთო

წინასწარმეტყველურ ნიშნებს უნდა მივათვალოთ. ადამიანი, ძლევამოსილ ძალთა მიზეზით, დღესაც შორს არის შესული ზღვაში, შორს არის შესული უდაბნოში და ამ უდაბნოს ნიღაბთა სამყაროში. თუ ის მისთვის ღმერთების მიერ ბოძებულ ძალას გაიხსენებს, მოგზაურობა უკვე საშიში აღარ იქნება.

*

ტყუდმავლის განაჩენი ასე ჟღერს: «ახლა და აქ» – ის თავისუფალი და დამოუკიდებელი ქმედების კაცია. ჩვენ ვნახეთ, რომ ამ ტიპად შეგვიძლია დიდძალი მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი მივიჩნიოთ, და მაინც, ასე ყალიბდება ავტომატიზმს დაუმორჩილებელი ელიტა, რომელთანაც წმინდა წყლის ძალადობა კრახს განიცდის. ეს არის ძველი თავისუფლება დროით სამოსელში: არსებითი, ძირითადი თავისუფლება, რომელიც ჯანმრთელ ხალხებში იღვიძებს, როცა პარტიათა ან უცხო დამპყრობელთა ტირანია ტანჯავს ქვეყანას. ის მხოლოდ პროტესტის გამომხატველი ან ემიგრირებადი თავისუფლება როდია, არამედ – თავისუფლება, რომელსაც ბრძოლაში ჩაბმა სურს.

ეს ის განსხვავებაა, რწმენის სფეროზე რომ ზემოქმედებს. ტყუდმავალი თავის თავს იმ ინდიფერენტობის უფლებას ვერ მისცემს, რომელიც უკვე ჩავლილი ეპოქისთვის იმგვარადვეა დამახასიათებელი, როგორც – ნეიტრალიტეტი პატარა სახელმწიფოებისთვის ან საპყრობილეში გამომწყვდევა პოლიტიკური სამართალდარღვევისას. ტყუდმავლობა უფრო რთულ გადაწყვეტილებათა გამომწვევია. ტყუდმავლის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მან მომავალი ეპოქისთვის მნიშვნელოვანი თავისუფლების ზომა მონიშნოს

ლევიათანის საპირისპიროდ. ამ მეტოქეს ის შიშველი ცნებებით არ ეგებება.

ტყუდმავლის წინააღმდეგობა აბსოლუტურია, ის არ ცნობს ნეიტრალიტეტს, შეწყალებას, დაპატიმრებას. ის არ მოელის, რომ მტერი არგუმენტებს გაიზიარებს, რაინდული საქციელის მოლოდინზე რომ აღარაფერი ითქვას. მან ისიც იცის, რომ, თავად მის მიმართ გამოტანილი სიკვდილის განაჩენი არ შეიცვლება. ტყუდმავლისთვის ცნობილია ახალი მარტოობა, რომელსაც, ყოვლის უწინარეს, სატანურად აღბეჭებული სიავე იწვევს – ამ უკანასკნელის კავშირი მეცნიერებასთან და მანქანურ არსთან. და ამ სიავეს ისტორიაში ახალი ელემენტი არა, მაგრამ ახალი გამოვლინებანი კი დიახაც მოაქვს.

ეს ყველაფერი ინდიფერენტობის შესატყვისი ვერ იქნება. ასეთ ვითარებაში ვერავინ დაელოდება ეკლესიებს ან – სულიერ წინამძღოლებს და წიგნებს, რომლებიც შესაძლოა გამოჩნდნენ კიდევ. მაგრამ აღნიშნული ვითარება წაკითხულიდან, ნაგრძნობიდან და ნარწმუნიდან მყარ მოხაზულობებში გამყვანის უპირატესობას ფლობს. ეს გავლენა საცნაურია თუნდაც ორივე მსოფლიო ომს შორის განსხვავებაში, სულ მცირე – გერმანელ ახალგაზრდობას რაც შეეხება. 1918 წლის მერე თვალსაჩინო იყო მტკიცე სულიერი მოძრაობა, რომელიც ყველა ბანაკში ნიჭს ამრავლებდა. ახლა კი, უპირველეს ყოვლისა, თვალშისაცემია დუმილი, განსაკუთრებით – დუმილი იმ ახალგაზრდობისა, რომელმაც, არადა, ალყებსა და სასიკვდილო ტყვეობებში მრავალი რამ უჩვეულო ნახა. და მაინც, ეს დუმილი უფრო მეტს იწონის, ვიდრე – იდეების აყვავება, თუნდაც თავად ხელოვნების ქმნილებანი. იქ ხომ არა მხოლოდ ეროვნული სახელმწიფოს დამხობა, არამედ ბევრი სხვა რამ იქნა ნანახი. ცხადია, შეხება არარასთან,

კერძოდ კი – ჩვენი საუკუნის სავსებით შეულამაზებელ არარასთან, მთელ რიგ კლინიკურ უწყებებში აღიწერა, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ის სხვა ნაყოფებსაც გამოიღებს.

*

ჩვენ იმ დროებაში ვცხოვრობთ, როცა ომი და მშვიდობა ერთურთისგან ძნელად განირჩევა. მსახურებასა და დანაშაულს შორის საზღვრები გამუქებული ჩრდილებით არის გადაშლილი. ეს თვით მახვილ თვალსაც ატყუებს, ვინაიდან ყოველ ცალკეულ შემთხვევას ხომ დროისმიერი გაურკვევლობა, საერთო დანაშაული ერთვის.

*

ტყუდმა ვალი კონკრეტული ცალკეულია, ის კონკრეტულ შემთხვევაში მოქმედებს. მას არც თეორიები და არც პარტიულ იურისტთა მიერ გამოგონილი კანონები სჭირდება იმის საცოდნელად, თუ რა არის სამართლიანობა. ის არ ეშვება ქვემოთ, ინსტიტუციათა არხებში ჯერაც გაუნაწილებელი ზნეობრიობის წყაროებისკენ. თუ მასში ჯერაც ცოცხლობს გაუყალბებელი, მაშინ აქ საგნები მარტივდებიან. ჩვენ ტყის დიად გამოცდილებად მივიჩნიეთ შეხვედრა საკუთარ მე-სთან, ურღვევ ბირთვთან, არსთან, რომლითაც დროითი და ინდივიდუალური გამოვლინება საზრდოობს. ეს შეხვედრა, რომელიც გამოჯანმრთელებაზეც და შიშის განდევნაზეც ესოდენ დიდ გავლევას ახდენს, მორალურადაც უმაღლეს რანგს ფლობს. ის მიმყვანია იმ შრემდე, რომელიც ყოველგვარი სოციალურის საფუძველი და თაურსაერთოა. ის იმ ადამიანთან გვაახლოებს, რომელიც ინდივიდუალურის ქვეშა ფუნდამენტს ქმნის და რომლიდანაც ინდივიდუალები გამოსხივდებიან. ამ

ზონაში არის არა მხოლოდ ერთობა; აქ არის იდენტობა. ეს არის ის, რასაც მოხვევა-გადაჭდობის სიმბოლო მიანიშნებს. «მე» საკუთარ თავს შეიცნობს სხვაში – რაც ერთგულებს უძველეს სიბრძნეს გამოთქმისა «ეს შენ ხარ». სხვა შეიძლება იყოს სატრფო, ის შეიძლება იყოს ძმა, მარტვილი, დაუცველი. როცა «მე» მას დახმარების ხელს უწვდის, იმავდროულად თავად წარუვალში მკვიდრდება. ამით დასტურდის სამყაროს ძირითადი წესრიგი.

*

სიტყვები გემთან ერთად მოძრაობენ; სიტყვის ადგილი ტყეა. სიტყვა სიტყვებს შორის ისე სუფევს, როგორც – ფურცლოვანი ოქრო ძველ ნახატქვეშ. ახლა, როცა უკვე სიტყვა სიტყვებს აღარ აცოცხლებს, მათ ნაკადქვეშ საშინელი დუმილი განივრცობა – თავდაპირველად ტაძრებში, რომლებიც მდიდრულ სამარის ძეგლებად გადაიქცევიან, მერე კი – გულებში.

უდიდეს მოვლენებს განეკუთვნება შემეცნებიდან ენისკენ ფილოსოფიის შემობრუნება; ის სულს მჭიდროდ აკავშირებს თაურფენომენტთან. ეს ფიზიკის ყველა აღმოჩენაზე უფრო მნიშვნელოვანია. მოაზროვნე იმ ველზე აღმოჩნდება, რომელზეც, ბოლოსდაბოლოს, ისევ არის შესაძლებელი კოალიცია არა მხოლოდ თეოლოგთან, არამედ – პოეტთანაც.

*

წყაროთა წვდომა რომ წარმომადგენელთა, შუამავალთა გზით ხდება შესაძლებელი: ეს ერთ-ერთი უდიდესი იმედია. ერთ წერტილში ყოფიერებასთან ნამდვილი შეხება რომ ხერხდება, ეს ყოველთვის უძლიერეს ზეგავლენათა მქონეა. ისტორია, სულაც დროის დათარიღების შესაძლებლობა, სწორედ ასეთ ხდომილებებს ეფუძნება.

ისინი განასახიერებენ ბოძება-ჩუქებას შემოქმედებითი თაურენერგისა, რომელიც დროითად ხილული ხდება.

ეს ენაშიც მჟღავნდება. ენა ადამიანის საკუთრებაა, თავისებურებაა, მემკვიდრული წილია, მამულია, რომელიც მას ისე მიეცემა, რომ მისთვის ენის სიუხვე და სიმდიდრე უცნობია. ენა არა მხოლოდ იმ ბალის მსგავსია, რომლის ყვავილებით და ნაყოფით მემკვიდრე თავის ღრმა სიბერემდე განცხრება; იგი საერთოდაც ყოველგვარი ქონების ერთ-ერთი უდიდესი ფორმაა. როგორც სინათლე ხდის სამყაროს და მის ფორმირებას ხილულს, ასევე ხდის ენა მათ სიღრმისეულად გასაგებს, და ენა მოუაზრებადია, თუ არა როგორც სამყაროს საგანძურთა და საიდუმლოთა გასაღები. კანონი და ძალაუფლება, ხილულ და თვით უხილავ სამეფოებშიც, სახელდებით იწყება. სიტყვა სულის მასალაა და ის სწორედ ასეთად ემსახურება ყველაზე უფრო გაბედულ ხიდმშენებლობებს; ის, ამავე დროს, ძალაუფლების უმაღლესი საშუალებაა. ყველა დაპყრობას, განხორციელებულს თუ ჩაფიქრებულს, ყველა ნაგებობას და სამხედრო გზას, ყველა შეტაკებას და ხელშეკრულებას, წინ უსწრებენ გამოცხადებანი, დაგეგმვანი და შეთქმულებანი სიტყვაში და ენაში, და წინ უსწრებს ლექსი. და მართლაც, შეიძლება ითქვას, რომ არსებობს ორგვარი ისტორია, ერთი – ნივთების სამყაროში, მეორე კი – ენისაში; და ეს მეორე ფლობს არა მარტო უმაღლეს თვალსაწიერს, არამედ – ზემოქმედ ძალასაც. თვით სულმდაბლობაც კვლავ და კვლავ ამ ძალით უნდა საზრდოობდეს, თუნდაც ის ამას ძალადობით აღწევდეს. მაგრამ ტკივილები ქრებიან და გარდაისახებიან ლექსად.

ძველი შეცდომაა, თითქოს ენის მდგომარეობიდან შეიძლებოდეს იმის გამოყვანა, მოსალოდნელია თუ არა პროექტი. ენა შეიძლება სრული დაცემის მდგომარეობაში

იმყოფებოდეს, და შეიძლება პოეტი მისგან ისე გამოვიდეს, როგორც – ლომი, რომელიც უდაბნოდან მოდის. ასევე შესაძლებელია, მზვობარი ყვავილობა უნაყოფო აღმოჩნდეს.

ენა არ ცხოვრობს საკუთარი კანონებით, თორემ ასე რომ იყოს, სამყაროს მბრძანებლებად გრამატიკოსები მოევიწყებოდნენ. სიტყვა ძირისძირში ფორმა როდია, მით უმეტეს არ არის იგი გასაღები. ის ყოფიერების იდენტური ხდება. ის შესაქმნის ძალმოსილებად იქცევა. და იქ არის მისი უშველებელი, ხეირს მოკლებული ძალა. აქ მხოლოდ დაახლოებები ხდება. ენა სიჩუმის ირგვლივ იქსოვება, როგორც ოაზისი შემოევლება ირგვლივ წყაროსთვის. და ლექსი დასტურყოფს, რომ ზედროულ ბალებში შესვლა მოხერხდა. დრო კი შემდგომ ამით საზრდოობს.

თვით იმ ეპოქებშიც, რომლებშიც ენა ტექნიკოსთა და ბიუროკრატთა მოხმარების საშუალებამდე მცირდება და როცა ის, სიხალასის გასათამაშებლად, უკეთურთა ჟარგონიდან სესხებას ცდილობს, მისი მსუფვევი ძალა სავსებით შეურყვნელი რჩება. მტვერი და ჭუჭყი მხოლოდ მის ზედაპირს ედება. ვინც ღრმად თხრის, ნებისმიერ უდაბნოში აგნებს წყარომდე მიმყვან შრეს. წყალთან ერთად კი ახალი ნაყოფიერება ამომზევდება.

კლასუდია როთ პიერპონტი

ელიზაბეთ ბიშოპის დაკარგვის ხელოვნება

(ინგლისურიდან თარგმნა მანანა მათიაშვილმა)



[ბიშოპი ფრთხილად იდგა, რომ ლექსებში პირადულ

ი არაფერი გაემჟღავნებინა, თუმცა ახალ ბიოგრაფიულ გამოცემაში ვრცლად არის მოთხრობილი მისი მღელვარე პირადი ცხოვრების შესახებ]

ელიზაბეთ ბიშოპისთვის პირველი დიდი დანაკარგი იყო მამა, რომელიც შვილის დაბადებიდან 8 თვეში გარდაიცვალა, მეორე მნიშვნელოვანი დანაკარგის ამბავი კი დროში გაიწელა: დედა, რომელსაც დიდი დარტყმა მიაყენა ქმრის სიკვდილმა, ნერვული აშლილობით იტანჯებოდა. მის ქცევაში ხან სიყვარული ჭარბობდა, ხან – მრისხანება, ხშირად ხვდებოდა ფსიქიატრიულში, ხოლო როცა ელიზაბეთი 5 წლის გახდა, დედა უკვე ამ საავადმყოფოს მუდმივი მკვიდრი იყო. იმხანად, 1916 წლის გაზაფხულზე, ბავშვი კანადაში, პატარა ქალაქ ნოვა სკოტიაში დედის მშობლებთან ცხოვრობდა. ეს იყო მისთვის კომფორტული გარემო, სადაც მანამდეც ხშირად

დარჩენილა. სხვა ობოლი ბავშვების მსგავსად მას იმ დროის მოგონებებიდან მკაფიო სურათები შემორჩა: ნახატები საოჯახო ბიბლიის გვერდებიდან; ლექსი, რომელიც დიდედამ შეთხზა მისი ფეხსაცმელების გაპრიალებისას და რომელშიც გამოყენებული იყო წარმოსახვითი «გაზოლინი» და «ვაზელინი»; ამბავი, 6 წლისა რომ წაიყვანეს (მისი შეფასებით, «გაიტაცეს») მამის მდიდარმა ნათესავებმა და საცხოვრებლად გადაიყვანეს მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ უორჩესტერში, მამისეულ უზარმაზარ, ცივ სახლში. მაშინ მას ისე ეჩვენებოდა, თითქოს მთელი სამყარო დაკარგა ნოვა სკოტიას სახით. მიუხედავად იმისა, რომ უორჩესტერში იყო დაბადებული, იქ ჰქონდა გატარებული ადრეული ბავშვობა და, ბოლოს და ბოლოს, მამისეულ სახლში ცხოვრობდა, შინ მაინც ვერ გრძნობდა თავს. მეტიც, თავს ამერიკელად ვერ აღიქვამდა: როცა სკოლაში სავალდებულო სიმღერებს ამღერებდნენ, ფიქრობდა, რომ სიტყვები: «ქვეყანა, სადაც მამები დაიხოცნენ», პირდაპირ მასზე იყო ნათქვამი.

მოგვიანებით, ერთი ფსიქიატრი ეტყვის ბიშოპს, რომ ილბლიანია, რაკი საერთოდ ცოცხალი გადაურჩა ასეთ მძიმე ბავშვობას. მართლაც, უორჩესტერში გადასვლის შემდეგ მალევე განუვითარდა ასთმა და ეგზემური წყლულები, რამაც გამწვავების გამო ლოგინს მიაჯაჭვა. ოჯახს ეშინოდა, არ მომკვდარიყო, ამიტომ ისევ ააბარგეს და ამჯერად, დეიდა მაუდთან გადაიყვანეს საცხოვრებლად. დეიდა მაუდი და მისი ქმარი, ძია ჯორჯი, ბოსტონთან ახლოს ერთ უღიმღამო საპორტო ქალაქში ცხოვრობდნენ. ფიქრობდნენ, რომ ბავშვს ზღვის ჰავა მოუხდებოდა და მართლაც ასე მოხდა. თუმცა, ალბათ, ის დეიდა მაუდისა და დეიდა გრეისის გულისხმიერმა მზრუნველობამ უფრო გამოაკეთა. დეიდა გრეისი

გამოცდილი ექთანი იყო და გოგონას გამოჯანმრთელებაში ეხმარებოდა. როცა ბავშვს ასთმა აწუხებდა და რამდენიმე კვირით სკოლის გაცდენაც მოუწია, დეიდები ტენისონის, ლონგფელოსა და ბრაუნინგის ლექსად დაწერილ გასართობ მოთხრობებს უკითხავდნენ, რომლებიც ისე შეინოვა ბავშვის გონებამ, რომ ეჩვენებოდა, თითქოს ეს ტექსტები მისი შემეცნების განუყრელი ნაწილი იყო. ელიზაბეთმა ლექსების წერა 8 წლისამ დაიწყო. თორმეტისამ კი, უკვე პატრიოტულად განწყობილმა, პირველი საავტორი პრემია მიიღო «ამერიკანიზმის» თემაზე დაწერილი ესესთვის.

ბავშვობაში მიცემულმა გადარჩენის მეორე შანსმა ისეთი მადლიერების გრძნობა გაუჩინა დეიდების მიმართ (შეიძლება ითქვას ასეც: ისეთი შიში გაუჩინა მოსალოდნელი დანაკარგების მიმართ), რომ არც მათთვის და არც არავისთვის გაუმხელია, რომ ერთხელ ძია ჯორჯმა ხელი მოჰკიდა აბაზანაში და დაჟინებით სთხოვდა, ნება დაერთო, დახმარებოდა დაბანაში. არც ის მოუყოლია არავისთვის, როგორ ცდილობდა ხოლმე, მკერდზე შეხებოდა; არც ის გაუთქვამს, ძია ჯორჯმა თმით რომ ითრია და მეორე სართულის აივნიდან გადაგდებას უპირებდა. ეს უსიამოვნო ფაქტები გადმოცემულია მეგან მარშალის ახალ ბიოგრაფიულ წიგნში «ელიზაბეთ ბიშოპი: სასწაული საუბრის დროს» (გამომც. Houghton Mifflin Harcourt, 2017), რომელიც სხვა ბიოგრაფებისათვის უცნობი განძის – 1947 წელს ელიზაბეთის მიერ თავისი ფსიქიატრისთვის მიწერილი წერილების საფუძველზე – დაიწერა. (მარშალი განმარტავს, რომ ამ წერილებს მან ვასარის კოლეჯში, ბიშოპის არქივში მარტივად მიაგნო მას შემდეგ, რაც ისინი ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა 2009 წელს, მანამდე კი ათწლეულების განმავლობაში ხელმიუწვდომელი იყო).

ბიშოპის მიერ მშრალად და ობიექტურად ასახული შეურაცხყოფის სცენები («ალბათ, ბევრი ადამიანი ერთი შეხედვით ვერც კი სცნობს ნამდვილ სადისტებს») საჭიროზე მეტ მტკიცებულებას აჩენს ჩვენს დასარწმუნებლად იმაში, რომ ელიზაბეთი მართლაც იღბლიანი აღმოჩნდა, ამ ყველაფერს რომ გადაურჩა.

მიუხედავად წიგნის ზოგიერთი ადგილის შემადრწუნებელი შინაარსისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე ალკოჰოლური თრობისაკენ ბიშოპის გამოუსწორებელი მიდრეკილების მუდმივი აფიშირებისა, მარშალის წერის მანერა ჩამთრევი და დინამიურია, დამუხტული გამამართლებელი ინტონაციებით.

ახლად აღმოჩენილი წერილების შეკვრა იმავე არქივიდან დოკუმენტურად ადასტურებს ვნებიანი სასიყვარულო ურთიერთობის არსებობას, რომელიც 60 წელს მიღწეულ ბიშოპს წამოუწყია გაცილებით უმცროს ქალთან და რომელიც 7 წლის განმავლობაში, პოეტის გარდაცვალებამდე გრძელდებოდა (ბიშოპის ჰომოსექსუალური ორიენტაცია მის სიცოცხლეში გასაიდუმლოებული ფაქტი იყო).

მარშალი, იმედისმომცემი პოეტი ახალგაზრდობაში, ბიოგრაფიის მთავარი გმირის მიმართ ღრმა თანაგანცდით წერს. 1976 წელს ჰარვარდში ის ბიშოპის სტუდენტი იყო, ამიტომაც წიგნში პოეტის ბიოგრაფიულ მონაკვეთებს ხშირად ენაცვლება ავტორისეული მოგონებები, რომელთა მთავარი თემებია ოჯახი, პოეზია და დანაკარგები. უცნაური, მაგრამ უდავოდ საინტერესო სტრუქტურაა, როცა მკითხველი თვალს ადევნებს, როგორ იკვეთება ორი ქალის ცხოვრება. ამავე დროს, ეს არის შესაძლებლობაც, ახლოდან დავინახოთ ბიშოპი, როგორც მასწავლებელი.

იგრძნობა, როგორ წუხს მარშალი, პოეზიას რომ ჩამოშორდა, რაც, მიუხედავად ამდენი დანაკარგისა, ბიშოპს არასდროს დაუშვია (რაც შესანიშნავია). ემოციური დამოკიდებულება იგრძნობა პოეტური ფორმებისადმი მარშალისეულ მიდგომაშიც კი (მაგალითად, თუ როგორ განიხილავს ბიშოპის ადრეულ სესტინას «სასწაული საუბმისას», ანდა წარმოუდგენელი სირთულის სალექსო საზომის – კატულუსის თერთმეტმარცვლედის, იგივე, ჰენდეკასილაბის ათვისების მცდელობას სტუდენტობაში) და, ასევე, პოეზიის ჯადოქრობის თავგამოდებულ ხოტბაში, რისი ახსნაც ლექსის ფორმას არ ძალუძს. საბოლოოდ, მარშალის წიგნი იმაზეა, თუ როგორ შეუძლია ფურცელზე თავმოყრილ სიტყვებს ნებისმიერ ადამიანს გარკვეული წესრიგი უკარნახოს საკუთარი ცხოვრების მოსაწყობად ანდა შეუმსუბუქოს და, სულაც, ჩაუნაცვლოს ტრაგედია.

ეს იმიტომ, რომ ბიშოპი არამარტო გადარჩა, არამედ იმ დროისთვის, როცა მის ლექციებს მარშალი ესწრებოდა, ის უკვე პულიცერის პრემიის, ეროვნული წიგნის ჯილდოსა და ბრაზილიის მთავრობის ჯილდოს მფლობელი იყო (პოეტი დიდხანს ცხოვრობდა ბრაზილიაში); ფართო ინტერესს იწვევდა მისი ბიოგრაფია; ნედ რორემსა და ელიოტ კარტერს დაწერილი ჰქონდათ მუსიკა მის ლექსებზე... თუმცა ბიშოპის ფენომენი ჯერ მხოლოდ იქმნებოდა. 1983 წელს, ბიშოპის სექსუალური ორიენტაციის გამჟღავნებამ ადრიან რიჩს, ამერიკის მონინავე ფემინისტ პოეტს, ბიძგი მისცა მის ლექსებში გამოეკვეთა «მარგინალობისა» და «აუტსაიდერობის» დამახასიათებელი ნიშნები; გამოჩნდა, რომ ბიშოპის ნაწარმოებები უბრალოდ კარგი კი არ ყოფილა, არამედ «უაღრესად გულწრფელი და გამამხნევებელიც», ხოლო თვითონ ბიშოპი იმ ეპოქის თანამედროვე გმირად იქცა. მას შემდეგ გასულ რამდენიმე

ათეულ წელიწადში მისი ნამუშევრების აშკარად მოკრძალებული რაოდენობა (ასამდე გამოქვეყნებული ლექსი და რამდენიმე მოთხრობა) გადასწონა მის შემოქმედებაზე დაწერილი წერილების ტომებმა, გამოუქვეყნებელმა ლექსებმა და ლექსების მონახაზებმა, ბიოგრაფიებმა და კრიტიკამ. 2008 წელს ბიშოპი გახდა პირველი ქალი პოეტი, რომელიც დაბეჭდა «ამერიკის ბიბლიოთეკამ», ხოლო 2012 წელს ის ამერიკის საფოსტო მარკაზე გამოსახეს. როგორც მარშალი მიუთითებს, ინტერნეტში მისი სახელით იძებნება მილიონობით საიტი, დაწყებული «ნოვა სკოტიის ელიზაბეთ ბიშოპის საზოგადოებიდან», დამთავრებული პოპულარული ლესბოსელი და ბისექსუალი პოეტების საიტით.

ეს რომ თვითონ ენახა, შეძრწუნდებოდა. ალბათ, მისი მენტორის – მერიენ მურის – გარდა, ძნელია დაასახელო სხვა პოეტი, რომლის ნაწერში სრულიად უგულვებელყოფილი იყოს პირადულს ჩაკირკიტებული თვალი. ბიშოპის ადრეული ნაწარმოებების მაქებარნი: მური, რობერტ ლოუელი, რენდალ ჯარელი, აქებდნენ მისი ლექსების მკაცრ ობიექტურობას, მშვიდ იმპერსონალურობას, რაც მურის თქმით, არის «თვისება, რომელიც რაციონალურად მიიჩნევა» (ლამის მუდმივად ეს იყო კარგი პოეზიის მისეული შეფასება). მური ბიშოპის ადრეული პოეზიის მოკრძალებულობასა და გამჭრიახობაზეც მიუთითებდა.

ის, რასაც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდა პოეტი, იყო პოეტური ფორმა და მანერულობისა და დახვეწილობის ძველმოდური შეგრძნება. ის ფრთხილობდა, რომ პირადი არაფერი გაემჟღავნებინა თავის ლექსებში.

«არ ვიცოდი, თუ შეიძლებოდა პოეზია ასეთი ყოფილიყო», – წერდა ბიშოპი მერიენ მურის ლექსებთან პირველი შეხების შემდეგ. 16 წლის ასაკში ბიშოპი უკვე ვარსკვლავი იყო ლიტერატურის სფეროში ელიტარულ გოგონათა სკოლა-პანსიონში, სადაც სასწავლებლად გაგზავნა მამის ოჯახმა. იმავე სტატუსით შეაბიჯა მან შემდგომ ვასარის კოლეჯშიც, სადაც მასავით პატივმოყვარე მეგობარ მერი მაკარტიზე ერთი წლით უკან სწავლობდა. როცა ვასარის ლიტერატურულმა ჟურნალმა, რომელიც არც ისე საინტერესოდ იკითხებოდა, მათი ნაწერები არ მიიღო დასაბეჭდად, ორი ახალგაზრდა ქალი გაერთიანდა საკუთარი ჟურნალის შესაქმნელად მეგობრებთან ერთად.

1933 წელს, როგორც კამპუსში სახელგანთქმული პოეტი, სწორედ ბიშოპი აირჩიეს თ. ს. ელიოტისთვის ინტერვიუს ჩამოსართმევად, როცა ეს უკანასკნელი წარმატებული პოეტის სახელით შეიმოსა, ხოლო ბიშოპი პირველ კურსზე იყო. იმ დროისათვის ბიშოპი თავის ლექსებში ჟერარ მანლი ჰოპკინსსა და ინგლისური ბაროკოს წარმომადგენლებს ბაძავდა. ეს იყო დეტალებამდე დამუშავებული, არქაული ტონალობის უაღრესად ხელოვნური ლექსები.

მომდევნო წელს მერიენ მურის გაცნობამ ყველაფერი შეცვალა. ის წერდა ერთმნიშვნელოვნად თანამედროვე და მკვეთრი კონტურების მქონე ლექსებს, პედანტურად დამუშავებული სტრუქტურითა და ლინგვისტური ბრწყინვალეებით. მის პოეზიაში ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, საგნების ახალი, ფართო სპექტრის წარმოჩენა იყო – რომანტიკული სიყვარულის, ღმერთისა და ბავშვობის თემების ნაცვლად მური წერდა ლექსებს ცხოველების (გველები, ქამელეონები, დიდყურა უდაბნოს ვირთხა) და ეგზოტიკური საგნების («თევზის ფორმის ეგვიპტური მინის

ბოთლი») შესახებ; ერთი ლექსი ქვიშიანი ზღვისპირა ამერიკული ქალაქის შესახებაც ჰქონდა დაწერილი – სწორედ ისეთ ქალაქზე, როგორშიც ბიშოპი ცხოვრობდა დეიდებთან ერთად. ეს ლექსები, ერთდროულად ღონიერი და იდუმალი, რეალურ სამყაროზე დაწერილი, აჩვენებდა წინსვლისა და განვითარების გზას. ბიშოპს რელიგიური რწმენა-წარმოდგენები არ ჰქონია, ვერ იტანდა ბავშვობაზე ფიქრს, არ შეეძლო გამოევლინა გრძნობები საყვარელი ადამიანების მიმართ. მაშ, რაზე უნდა ეწერა, როცა მტკიცედ გადაწყვიტა, რომ პოეტი ყოფილიყო?

კიდევ კარგი, ვასარის ბიბლიოთეკარის კეთილი ნებით მური დათანხმდა მის ახალგაზრდა თაყვანისმცემელს ნიუ იორკის საჯარო ბიბლიოთეკის მთავარი სამკითხველოს გარეთ, ძელსკამთან შეხვედროდა 1934 წლის აპრილში. 46 წლის ასაკში მური ჯერ კიდევ არ იყო ფართოდ ცნობილი პოეტი, მაგრამ კოლეგებს შორის ბევრი დამფასებელი ჰყავდა. მასზე ზრუნავდა ელიოტი, რომელიც, როგორც «ფაბერისა და ფაბერის» რედაქტორი, იმ პერიოდში გეგმავდა მისი ლექსების ბრიტანულ გამოცემას. ამის შესახებ მურს ეზრა პაუნდმა მისწერა წერილი, სადაც ლამის ემუდარებოდა, რომ ელიოტისთვის წიგნის გამოცემის ნება დაერთო, მური კი ერთობ თავდაჭერილი იყო ყველაფერში (ეს იყო მისი მთავარი სახასიათო შტრიხი). ლურჯი ტვიდის კოსტიუმში გამოწყობილსა და წელში გამართულს თმის ნაწნავი მუდამ კეფაზე ჰქონდა დახვეული (ეს ვარცხნილობა მას ბრინ მავრში გატარებული სტუდენტობის შემდეგ არ შეუცვლია). კონტრასტი მურის რადიკალურ პოეზიასა და მის ძველმოდურ გარეგნობას შორის ყოველთვის ყველას აოცებდა. ფაქტიურად, უშიშარი მოდერნისტი ჯერ კიდევ დედასთან ერთად ცხოვრობდა ბრუკლინის პატარა ბინაში.

მათ ურთიერთობაში იკითხებოდა შვილის ძლიერი სიყვარული დედის მიმართ. ახლოდან ვინც აკვირდებოდა, მხოლოდ მათ ესმოდათ, რომ მურს ვირტუალურად ჩამორთმეული ჰქონდა ყოველგვარი თავისუფლება და პირადი სივრცე. ლინდა ლიველის მიერ დაწერილი მურის ბიოგრაფია, რომელიც 2013 წელს გამოქვეყნდა, გვამცნობს, რომ დედა-შვილი ერთ სანოლში იწვა და მათი ურთიერთობა ფსიქიკურ მორჩილებას უფრო ჰგავდა.

ბიშოპი თავისი მრგვალი ანგელოსური სახითა და ხშირი ხვეული თმით 23 წლისაზე ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, მაგრამ მურივით მოწესრიგებული ჩანდა თეთრ ხელთათმანებსა და მარგალიტის საყურეებში გამონყობილი. ის ძელსკამთან დანიშნულ დროზე ადრე მივიდა, მაგრამ მურს მაინც დაესწრო თურმე მისვლა. სხვა თემებთან ერთად, მათ ისაუბრეს ჰოპკინსის პოეზიაზეც და ძნელია იმის თქმა, რომელმა უფრო ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მეორეზე ან რომელს უფრო სჭირდებოდა ის, რაც მეორეს შეეძლო მიეცა. მოგვიანებით ბიშოპი იხსენებდა, რომ დანახვისთანავე შეუყვარდა მური. მური კი თავის მხრივ ხალისით უწევდა რეკომენდაციას ბიშოპის პოეზიას რედაქტორების წინაშე, მათ შორის, პაუნდის წინაშეც, მანამდეც კი, ვიდრე გამორჩეულად მორცხვი ახალგაზრდა პოეტი მურს თავის ნაწერებს პირველად წააკითხებდა. იმ დროისათვის, როცა ბიშოპმა მურისათვის თავისი ნამუშევრების ჩვენება დაიწყო, – ანუ მომდევნო წელს, როცა დამეგობრდნენ და ერთად დადიოდნენ კინოთეატრებსა და ცირკში, – ბიშოპის ლექსები ისეთი გახდა, რასაც მათზე მური წინასწარ ამბობდა.

უსაუბრიათ თუ არა ოდესმე დედებზე, ოჯახებსა და პირად ცხოვრებაზე? ბიშოპის დედა პოეტების პირველი

შეხვედრიდან ერთ თვეში გარდაიცვალა იმ დაწესებულებაში, სადაც ის 1916 წლიდან გაამწესეს. ამ წლების შუალედში კი მას დედა არც ერთხელ არ უნახავს. იმ გაზაფხულზე მას ხშირად ჰქონდა ტირილის შეტევები, ძირითადად, ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული. სწორედ ამ წელს დაიწყო მან გადაბმულად სმა. გარდა დედის გარდაცვალებით მიღებული შოკისა, შეაძრწუნა იმაზე ფიქრმაც, ხომ არ იყო დედის ავადმყოფობა გენეტიკური. ამავე დროს, იტანჯებოდა ვასარელი ლამაზმანის მიმართ ახლად გაღვივებული უპასუხო სიყვარულით. აშკარად, ასეთ ამბებზე ვერაფერს მოუყვებოდა ბიშოპი თავშეკავებულ, მორალურად უმნიშვნელო მურს, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლებოდა მოსალოდნელზე მეტი თანაგრძნობა მიეღო მისგან.

თანაგრძნობა ან, სულ მცირე, გამოცდილების გაზიარება: მურს ხომ არასდროს უნახავს მამა, რომელიც ასევე ფსიქიატრიულში იყო გამწესებული ჯერ კიდევ შვილის დაბადებამდე, მერიენის პურიტან დედას კი სექსუალური ურთიერთობა ჰქონდა ქალთან (ამას ვინ წარმოიდგენდა?!) მას შემდეგ, რაც შვილი 12 წლის გაუხდა. ეს მაშინ გაიგო, როცა დედამისი საყვარელმა ქალმა მიატოვა და 23 წლის მერიენ, რომელსაც მოსწონდა საკუთარი შემოსავლით ცხოვრება, სამსახური და მეგობრები, დედამ სახლში გამოიძახა საყვარლისგან მიყენებული ტკივილის გადასატანად. ბიშოპის მსგავსად პოეზიას ისიც გადასარჩენად მიმართავდა, მაგრამ ამ ორ, ტკივილით სავსე და ექსტრავაგანტურ ქალს არასდროს დაუწყია სპეკულირება მათი მაცოცხლებელი მითების თეთრხელთათმანიანი წესიერებით. 4 წელი გავიდა, სანამ ერთმანეთისთვის სახელებით მიმართვას შეეჩვეოდნენ. მიუხედავად ამისა, მათი კავშირი მასტიმულირებელი

აღმოჩნდა ორივესთვის. მურმა არა მარტო მსგავსი იშვიათი მენტალური წყობის მეგობარი შეიძინა, არამედ გაბედული ახალგაზრდა, რომელმაც სინათლე და ჰაერი შეიტანა მის ასკეტურ სამყაროში. მოგვიანებით, ბიშოპი მურის ინიციალების შემადგენელ ორ ლათინურ ასობგერას (M. M) განავრცობს სიტყვებით «Manners» (მანერები), «Morals» (მორალი) და «Mother» (დედა). ცხადია, მსგავსი ინტიმური გრძნობები გამოუთქმელი რჩებოდა, თუმცა, როგორც ჩანს, ეს სიჩუმე თითოეულს იმას აძლევდა, რაც ყველაზე მეტად სურდა: პოეზიას, რომლის ზედაპირული მყუდროება – ისეთივე მყარი, როგორც მათი საკუთარი ზედაპირული მყუდროება იყო – ბრწყინავდა იმ სიღრმით, რომლის გამოთქმასაც ვერ ბედავდნენ.

«რუკა» პირველი ლექსია, რომელიც ბიშოპმა თავისი დამახასიათებელი, განუმეორებელი მანერით დაწერა. ეს თვითონაც შესანიშნავად იცოდა და ამიტომ ის თავისი პირველი წიგნის დასაწყისში მოათავსა. ეს წიგნი იყო 1946 წელს გამოცემული «ჩრდილოეთი და სამხრეთი». «რუკა» იმავე ადგილზეა 23 წლის შემდეგ გამოცემულ სრულ კრებულშიც. ლექსის თემა სწორედ ისაა, რაც მის სათაურშია გამოტანილი – რუკა, კერძოდ, ჩრდილოეთის რეგიონების ამსახველი («ნიუფაუნდლენდის ჩრდილი ბრტყელია და მშვიდი»), რომელიც გამოირჩევა დაბლობებითა და მშვიდი გარემოთი – თავისთავად ორგანზომილებიანი ფორმებით, რისი ცქერითაც თითქოს მშვიდდება პოეტი.

შესაძლოა, ეს ერთგვარი დამამშვიდებელი ვარჯიშიც იყო, რომელიც ბიშოპმა მოიფიქრა ამ ლექსის წერისას, ახალი 1935 წლის ღამეს, ავადმყოფმა და მარტოხელამ. იმ დროს ნიუ იორკში ცხოვრობდა, სადაც ლოგიკური იყო მისი გადასვლა კოლეჯის შემდეგ და სადაც მას ხშირად

აკითხავდა მარგარეტ მილერი, ვასარელი ლამაზმანი, რომელიც კვლავ უიმედოდ უყვარდა ელიზაბეთს. ფაქტიურად, პოეტი საშობაო სადილის სუფრას უჯდა მარგარეტსა და დედამისთან ერთად, როცა სუფრის მიტოვება მოუხდა ასთმური შეტევის გამო. გრიპი მისი ერთ-ერთი უბედურებათაგანი იყო იმ ავადმყოფობათა შორის, რამაც რამდენჯერმე საწოლს მიაჯაჭვა.

რუკებს ეფექტურად იყენებდა მურიც. მისი მოზრდილი ლექსი «რვაფეხა» დაიწერა 8 მთაგრეხილიანი მყინვარის შესახებ, რაც რაინიერის მთის სახითაა წარმოდგენილი რეალურ რუკაზე. ესაა ვრცელი აღწერა 200-ზე მეტ სტრიქონში, რაშიც წარმოუდგენელი ინტელექტუალური ძალისხმევაა დახარჯული. ბიშოპის ლექსი (სულ რაღაც 27 ტაეპი) ზომიერია, ფაქიზია და სავსეა შეკითხვებით იმ საგნების არსის შესახებ, რასაც ის ხედავს («ნეტავ ხმელეთზე ზღვა ბუქსირით ხომ არ არის ქვემოდან გამობმული?»). ერთგან კი იმის ხსენებით, თუ როგორ აჭარბებს რუკაზე ნაბეჭდი სახელები ზომით იმ ადგილებს, რომელსაც აღნიშნავს, ლექსში მინიშნებულია შეუსაბამობა ემოციასა და მის გამომწვევ მიზეზს შორის:

«სანაპირო დასახლებების სახელები ზღვისკენ იწევენ, ქალაქების სახელები კი მეზობელ მთებს კვეთს – აქ, როგორც ჩანს, მბეჭდავი იმ მღელვარებამ გაიტაცა, რომლის ძალითაც ხშირად ემოცია ბევრად აჭარბებს გამომწვევ მიზეზს.

ნახევარკუნძულები თითქოს წყალს ცერათითითა და საჩვენებლით სინჯავენ, როგორც ქალები ებოში გასაყიდად მოტანილი ქსოვილის ხარისხს.»

მოდის, ვიკითხოთ, რას ნიშნავს «მბეჭდავის მღელვარება» ჩვენთვის ან ამ გადაჭრით უემოციო ლექსის ავტორისთვის. ზოგიერთი მკითხველი აქ სულ ვერ ხედავდა ავტორის პოეტურ ვარჯიშს. ადრიანა რიჩის აზრით, ეს ლექსი ბიშოპის ადრეული ნამუშევრების მსგავსად «იყო შეუღწევადი: იმდენად ინტელექტუალური, რომ ნორმიდან გადახრილის შთაბეჭდილებას ტოვებდა». მეორე პატივსაცემი კრიტიკოსი, უილიამ ჰ. პრიჩარდი კი მასში პოეტის მიერ დასმულ შეკითხვებს, უბრალოდ, შეურაცხმყოფელად თვლიდა («ოჰ, თქვენ გადანყვიტეთ, თორემ მე სულაც არ მენადვლება»). მეგან მარშალი პოეტის ბიოგრაფიის თვალთახედვით მიმოიხილავს ამ ბავშვურ შეკითხვებს ჩრდილოეთის ბუნების ფონზე და ამ ყველაფრის მიღმა დამალულ ერთ უზარმაზარ უთქმელ შეკითხვას წარმოიდგენს: – «დედაჩემი თუ დაბრუნდება?» მაგრამ ეს შეკითხვა პოემის გასახსნელად არაფრისმაქნისია: ძნელია, ბიშოპის დედაზე ისეთი ემოციის წარმოდგენა, რომელიც მის მიზეზს გადააჭარბებდა. ბიშოპის წინა ბიოგრაფი, ბრეტ ს. მილიერი, უფრო დამაჯერებლად აკავშირებს ამ სტრიქონებს იმ ფიქრებთან, რომლებიც ბიშოპმა თავის რვეულს გაანდო რამდენიმე თვით ადრე მანამდე, სანამ მარგარეტ მილერის გამო თავს დაიტანჯავდა: «თუ გნებავთ, მეგობრობა დაარქვით... ეს იმას ჰგავს, როცა რუკაზე დაბეჭდილ ქალაქების სახელებში სიტყვა გაცილებით დიდია, მთელ იმ ადგილს ფარავს და არაფერს გვეუბნება იმ რეალურ ადგილზე, რომლის სახელადაც იქ წერია».

«მეგობრობა» შეუფერებელი სიტყვაა, რომელსაც ბიშოპი იყენებს იმ სიყვარულის აღსანიშნავად, რომელსაც მარგარეტის მიმართ გრძნობდა. ამ სიტყვას იყენებდა (მინიმუმ, ხმამაღლა) მისი ცხოვრების ყოველი მომდევნო



ლუიზა კრეინთან ერთად. 1940 წ.

ქალი
ს
მიმა
რთაც
.
ასთმ
ით
გამო
წვეუ
ღმა
მისმა
ემოც
იამ
ალბა
თ,
მართ
ლაც,
გადა
აჭარ
ბა

მიზეზს საშობაო სადილობე და გზა ლექსში გააგრძელა. სტრიქონები სავსეა მდედრობითი შინაარსის სახეებით (ეს ნახევარკუნძულები, მაგ.) და ჩახშობილი სენსუალობა – ნახევარკუნძულებში შეჭრილ ყურეებს შეიძლება ხელი გადაუსვა, «თითქოს მათგან აყვავებას ელოდებიანო» – ამოქმედებს ქვეცნობიერის სანინააღმდეგო ძალას ლექსის აშკარა ნეიტრალური ტონალობის გასაბათილებლად, მაშინაც კი, თუ ეს ძალა ბოლომდე ვერ იმარჯვებს. რა თქმა უნდა, ნებისმიერი ასეთი ბიოგრაფიული ახსნა ჭორაობის ფარგლებს ვერ გასცდება: არავინ ელის, რომ მკითხველს ეს ცხოვრებისეული ფაქტები ეცოდინება. ლექსი იმას ნიშნავს, რასაც ნიშნავს

დამოუკიდებლად, ცალკე აღებული. ბიშოპის თავშეკავება ნაკლებადაა მურისეული მოდერნისტული გადახრის მაჩვენებელი და უფრო გაჩუმებასა და მიჩქმალვას ჰგავს, რაც მისი მემკვიდრეობა და კონტროლის მექანიზმი იყო. ამის შედეგად მის პოეზიაში გაჩნდა უცნაურად დამუნჯებული ყველგანმყოფობის მომენტი, რაც მერი მაქართიმ – კიდევ ერთმა დაობლებულმა და შეურაცხყოფილმა ბავშვმა – ყველაზე ნათლად და ლამაზად აღწერა, როცა შენიშნა, რომ: «ეს სული, მის [ბიშოპის] ნამუშევრებში ჩამალული, ჰგავს «მე»-ს, რომელიც თითქოს ასამდე ითვლის და ელის, როდის იპოვნინან».

ბიშოპი მოგზაურობაში გადაეშვა – საფრანგეთი, მაროკო, ესპანეთი – დაახლოებით იმ დროს მოიარა, როცა თავისი ლექსების გამოქვეყნება დაიწყო, 30-იანების შუა წლებში. ნამდვილი სახლი ხომ არსად ეგულებოდა. სკოლაში სიარულის დროს დასვენების დღეები სძულდა ხოლმე ცარიელ საერთო საცხოვრებელში ყურყურის გამო. ზოგჯერ რომელიმე მეგობარს მიეკედლებოდა ან ბოსტონის იაფფასიან სასტუმროში ცხოვრობდა. მამის დატოვებული მემკვიდრეობა საკმარისად უზრუნველყოფდა ფულით, ასე რომ მუშაობა არ სჭირდებოდა.

საკმაოდ მდიდარი იყო მისი კლასელი, ლუიზ ქრეინი, რომელიც მისი სიყვარულის მიმართ საპასუხო გრძნობით იყო განმსჭვალული (სხვათა შორის, ქრეინების ოჯახი აწარმოებდა ქალაქის იმ სახეობას, რომელზეც დოლარის კუპიურები იბეჭდებოდა). ბიშოპი იზიდავდა ქალებსაც და კაცებსაც, ზოგჯერ, მეტისმეტადაც მისსავე სასარგებლოდ. მაგალითად, 1935 წელს მან უარყო საქორწინო წინადადება ახალგაზრდა მამაკაცისგან, რომელთანაც კოლეჯის პერიოდში არ გაუწყვეტია

კავშირი (ალბათ, ყოველშემთხვევისათვის არ წყვეტდა). ამ მამაკაცმა მომდევნო წელს თავი მოიკლა და მის მიერ გაგზავნილ ღია ბარათში, რომელიც ბიშოპმა რამდენიმე დღის შემდეგ მიიღო, ასე ეწერა: «ელიზაბეთ, ჯოჯოხეთამდე გზა გქონია!»

ამის შემდეგ ლუიზმა მალევე წაიყვანა ფლორიდაში, სადაც პოეტმა მალევე აღმოაჩინა ქი უესტი, მაშინ კუნძულის ერთი მივარდნილი და ჩამორჩენილი ადგილი, რომელიც მომდევნო ათი წლის განმავლობაში მისთვის მუდმივი ნავსაყუდელი გახდა და ლუიზზე დიდხანს დარჩა ბიშოპის ცხოვრებაში. ის ღრმა შინაგან კავშირში იყო კუნძულებთან – ეს ის ადგილებია, სადაც თავს ყველაზე მეტად იზოლირებულად, განმარტოებულად და უსაფრთხოდ გრძნობდა. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ დროს კვლავ ატარებს ნიუ იორკში, სძულს ამ ქალაქის წნეხი. «პარტიზან რევიუს» წარმომადგენლებთან (მათ შორის იყო მერი მაქართი) ლანჩიც კი მისი კომმარების მიზეზი ხდება. წერს ძალიან ნელა. ზოგჯერ ერთ ლექსზე წლები მუშაობს. იზრდება მოთხოვნილება მისი ლექსების პუბლიკაციებზე, რაც კიდევ უფრო ნათლად აჩვენებს, რა ცოტას წერდა. 30-იანების ბოლოს მისი ხელიდან გამოსული საუკეთესო ნამუშევრებია 2 მოთხრობა კაფკას სტილში, რომლებიც მის ემოციურ მდგომარეობას ასახავს. ესენია «ზღვა და მისი ნაპირი», რომელშიც კაცი დაუღალავად მუშაობს, რომ საერთო პლაჟი ნახმარი ქალაქებისგან გაათავისუფლოს. ის შრომობს ღამდამობით, ფარნით ხელში და ცდილობს, აზრი იპოვოს შეგროვებული ქალაქის ნაგლეჯებში. მეორე მოთხრობაა «საპატიმროში» – მდგომარეობა, რომელსაც შვებით ელის მთხრობელი.

ომის წლებში ბიშოპმა მოგზაურობა გადაწყვიტა: მექსიკაში გაიცნო პაბლო ნერუდა, მაგრამ გაუუარესდა

ჯანმრთელობა, რის გამოც 1942 წლის შემდეგ არაფერი დაუნერია. იმ დროიდან, როცა 1946 წელს 35 წლის ასაკში რეგულარულად დაიწყო ფსიქიატრთან სიარული, საკუთარი მცირე მოცულობის ლიტერატურული პროდუქცია პრობლემად ესახებოდა იმ ფონზე, როცა პარალელურად ბევრს სვამდა, სიმორცხვე უუნაროს ხდიდა და სტანჯავდა ასთმა, რომელსაც მედიცინა ფსიქოსომატურ დაავადებად განიხილავდა. გასაკვირი არ არის, რომ მერიენ მური ფსიქიატრიას არ სწყალობდა. ბიშოპმა ამ სახის მკურნალობა ადრეულ ეტაპზევე რამდენიმე სესიის შემდეგ შეწყვიტა სწორედ მურის რჩევით, თუმცა სასონარკვეთილებას ვერაფერი უშველა. ისწავლა, ასევე, როგორ უნდა დაეცვა საკუთარი აზრი მას შემდეგ, რაც მურმა და დედამისმა გადაუკეთ-გადმოუკეთეს ლექსი, რომელიც ბიშოპმა მურს გაუგზავნა (და არა მურის დედას). თავნება დედისა და ქალიშვილის გუნდმა ჩარჩოში მოაქცია საგანგებოდ დანაწევრებული რითმული სქემა, გამოტოვეს მათთვის მიუღებელი და მათი აზრით შეურაცხმყოფელი ტერმინები (მათ შორის, სიტყვა «უნიტაზი») და სათაურიც კი შეუცვალეს – ბიშოპისეული დამამცირებელი სიტყვა «Roosters» (მამლაყინნები) მამრობითი სქესის იმ წარმომადგენლების აღსანიშნავად, რომლებიც ომს უწევდნენ პროპაგანდას, შეცვალეს მისი კლასიკური სინონიმით «The Cock» (მამალი) და ამ ზრდილ მანდილოსნებს სულ არ უფიქრიათ, რომ მკითხველს ამ სიტყვაში ჟარგონული მნიშვნელობის ამოკითხვაც შეეძლო. ბიშოპმა ზრდილობიანად უკუაგდო მურების კორექტურის დიდი ნაწილი, რაშიც ყველა დაეთანხმა, როცა «მამლაყინნები» «ჩრდილოეთისა და სამხრეთის» მიმოხილვაში საგანგებოდ იქნა ნახსენები. გამოხმაურება თვით ამ წიგნზე საკმაოდ ჭრელი აღმოჩნდა, თუმცა ყველა

გავლენიანი ადამიანისგან მიღებული შეფასება იყო უაღრესად კეთილგანწყობილი.

მურმა ცალსახად გულითადი შეფასება დაწერა «ნეიშენში», ხოლო რენდალ ჯარელმა, თავისი დროის ბრწყინვალე კრიტიკოსმა, საფუძველი დაუდო მომავალ შეფასებებსაც, როცა შეაქო ბიშოპის «თავშეკავება, სიმშვიდე და წონასწორობა», რაც თითქოს ისეთი ეტაპის დადგომას მოასწავებდა პოეტის სიცოცხლეში, როცა ეცდებოდა, ბოლომდე ამოეწურა თავი.

ჯარელმა ბიშოპს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საჩუქარი გაუკეთა, როცა 1947 წლის იანვარში რობერტ ლოუელი გააცნო. მაღალმა, სიმპათიურად თმააჩეჩილმა და მასზე 6 წლით უმცროსმა ლოუელმა ბიშოპი ისე მოხიბლა, როგორც არავის მოუხიბლავს ის მურთან შეხვედრის შემდეგ. გასაკვირი არ არის, რომ ლოუელმა მალე ჩაანაცვლა მური ყველაზე ძვირფასი მეგობრის სტატუსით, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ლოუელის პირველი კომერციული წიგნის («ლორდ უეიერის ციხე-სიმაგრე», 1946) გამო ბიშოპის იმავე წელს გამოცემულმა «ჩრდილოეთმა და სამხრეთმა» პულიცერის პრემია ვერ მიიღო. მთელი მათი სიცოცხლის განმავლობაში ლოუელის ნაწარმოებები უფრო ცნობილი იყო, ვიდრე ბიშოპისა, თუმცა ნებისმიერ მეტოქეობას აზრს უკარგავდა ბიშოპის ნამუშევრებისადმი ლოუელის გულითადი დამოკიდებულება, მისი მონდომება და შესაძლებლობა დახმარებოდა მას მატერიალურად (გრანტებით, სამსახურით, რეცენზიებით) და რომანტიკული აურა, რომელსაც ის გამუდმებით თავს ახვევდა, ბიშოპი კი ამაში ხელს არ უშლიდა (ლოუელს, საერთოდ, ახასიათებდა ყველაფრის რომანტიკულ აურაში გახვევა). შეხვედრიდან ორი წლის შემდეგ ლოუელმა თითქმის საქორწინო წინადადება შესთავაზა. როგორც ის მოგვიანებით

იხსენებს, ბიშოპმა ასე უპასუხა: «როცა ჩემს ეპიტაფიას დაწერთ, არ დაგავინყდეთ იმის აღნიშვნა, რომ ყველაზე მარტოსული ადამიანი ვიყავი მათ შორის, ვისაც ოდესმე უცხოვრია».

ამ პერიოდში მან ფსიქიატრთან წელიწადზე ცოტა მეტის წინ დაწყებული ვიზიტები შეწყვიტა. ძნელია იმის დაბეჭითებით თქმა, თუ რა მიზეზით გააკეთა მან ეს: ალბათ, გადაწყვიტა, რომ საკმარისად განიკურნა, ან იფიქრა, რომ არასდროს განიკურნებოდა.

1949 წლის მაისში ალკოჰოლს უბოძო რაოდენობით იღებს. ამ დროს დაფიქსირდა მისი ორთვიანი ყოფნა კონექტიკუტის ფსიქიატრიულ ჰოსპიტალში. დეპრესია, ალკოჰოლიზმი, ასთმა, წერის შეწყვეტა. ვერაფერი უმსუბუქებდა პრობლემებს – ვერც ლოუელის მიერ მოპოვებული პრესტიჟული სამსახური პოეზიის კონსულტანტად კონგრესის ბიბლიოთეკაში და ვერც ხანგრძლივი ყოფნა იადოს მწერალთა რეზიდენციაში, სადაც იმას ჩიოდა, რომ რამე უნდა შეექმნა, მას კი არ შეეძლო («იადოში იმისთვის არიან, რომ რამე შექმნან», – წერდა ის). მას უკვე ძალები ჰქონდა ამოწურული, როცა 1951 წლის შემოდგომაზე გადაწყვიტა «გიჟური მოგზაურობის» მოწყობა ბრაზილიაში, სადაც სატვირთო გემით წავიდა. ჩაფიქრებული ჰქონდა მთელი სამხრეთ ამერიკის მოვლა, მაგრამ რიოში გაჩერდა ნიუ იორკელი ნაცნობების მოსანახულებლად და მაშინ მიხვდა, რომ იმ ორი ქალიდან ერთ-ერთი მისი ცხოვრების სიყვარული იყო. ლოტას სახელით ცნობილი მარია კარლოტა კოშტელატ დე მასედო სუარში მდიდარი მემამულე და ხელოვნების ნიმუშთა კოლექციონერი იყო. ეს იყო გადაჭარბებული რწმენისა და ძალის მქონე ქალი, რომელიც თავისი პროექტით იშენებდა ახლებური სტილის მინისა და

ფოლადის კონსტრუქციის სახლს რიოსთან ახლოს მდებარე მთებში. მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ შეძლებდა მშფოთვარე პოეტის განკურნებას, რომელიც მასთან თავისი ფეხით მივიდა. მალე სახლის უკანა მხარეს გაჩნდა სტუდიო ბიშოპისთვის, რომელსაც მან «ჰაერში ამაველი გზა» უწოდა, როცა იქ დასახლდა. მიუხედავად ამისა, მაინც არ წარმართულა ბედნიერად მისი ყოფა: მომჭობინებამდე ასთმა გაუმწვავდა, სმა შეამცირა, მაგრამ არ მიუტოვებია. თუმცა ლექსები, როგორც ყოველთვის, ნელი ტემპით იწერებოდა, მაინც ადრინდელივით მტანჯველი აღარ იყო მდუმარების პერიოდები. ბოლოს და ბოლოს, მან სახლს მიაგნო, სანაპიროდან 50 მილით დაშორებით კი – იდეალურ კუნძულს. ეს იყო უხვად ლამაზი, განმარტოებული ადგილი (სადაც პერიოდულად თარგმნიდა პროზასაც და პოეზიასაც პორტუგალიურიდან, მაგრამ გამართულად ვერ ლაპარაკობდა), ზუსტად ის, რაც სჭირდებოდა – თავისუფლების მიმნიჭებელი სატუსალო. ლამის კუნძულის აღმოჩენისთანავე დაიწყო მან მოთხრობების წერა დიდი ხნის წინ დავიწყებული ბავშვობისდროინდელი მოგონებების საფუძველზე. საუკეთესო მათ შორის – «სოფელში» მოგვითხრობს სუსტი ჯანმრთელობის ქალის მენტალური კოლაფსის შესახებ. ამის შესახებ ჰყვება მისი პატარა გოგონა, რომელსაც ერთმანეთში ერევა სიტყვები «გლოვა» და «დილა» და მთელი ცხოვრება აშინებს დედის კივილის გახსენება. იდეალური დაცულობის პირობებში, თვით ბრაზილიაში ყოფნის დროსაც კი ბიშოპმა ვერ შეძლო, დაესრულებინა მოთხრობა ბოსტონთან ახლოს გატარებული ბავშვობის გვიანდელი პერიოდის შესახებ, სადაც მოუხდებოდა ძია ჯორჯის ხსენებაც.

წლები გავიდა, სანამ შეძლებდა, დაეწერა თავისი ახალი სახლის შესახებ. ბრაზილიაზე არაფერია ნათქვამი მის

მეორე წიგნში «გრილი გაზაფხული», რომელიც 1955 წელს გამოიცა, თუ არ ჩავთვლით უჩვეულოდ თბილ პატარა ლექსს სათაურით, «შამპუნი», რომელიც იწყება მცენარე ხავსურას ხსენებით, რომელიც ნელა იზრდება, მაგრამ ასეთივე განუსაზღვრელ დროს ჰპირდება «ძვირფას მეგობარს». ლექსი მთავრდება ასე:

«ჩამოვარდნილი ვარსკვლავების თეთრი კვლებია შენს შავ თმაში.

კაშკაშებენ თავის სიმკვეთრით. სადღაც მიდიან ფარასავით

დანყობილი და გაჭიმულები, მიისწრაფიან ჩქარ-ჩქარა, მალ-მალ.

– მოდი, თავს დაგებან აქ, თუნუქის დიდ ნიჟარაში, გვერდებზეჭეჭყილ, მთვარესავით პრიალა ჯამში.»

იმ ფაქტმა, რომ შავი თმა ლოტას ჰქონდა (ჭალარა = «ჩამოვარდნილი ვარსკვლავების თეთრი კვლები») ბიოგრაფიებში განსწავლულ კრიტიკოსებს იმისკენ უბიძგა, რომ «შამპუნი» ეღიარებინათ ორ ქალს შორის არსებული ნაზი სიყვარულის ზეიმის გამოხატულებად, მიუხედავად იმისა, რომ ლექსში სქესზე არაფერია ნათქვამი. ის ფაქტი, რომ არც «ნიუ იორკერმა» და არც «ფოეთრიმ» ეს ლექსი არ დაბეჭდა, მაშინ როცა წლების განმავლობაში ისინი ბიშოპს განურჩევლად ყველაფერს უბეჭდავდნენ, მარშალს მიაჩნია იმის მტკიცებულებად, რომ ლექსის შინაარსი იმთავითვე ცხადი იყო ყველასთვის. როცა ის ბიშოპმა მურს გაუგზავნა, ამ უკანასკნელს პასუხი არ გაუცია. ამ შეცდომას ვერაფრით გაამართლებდა ბიშოპი: «ვშიშობ, მას არ აქვს ნაზი ვნების განცდის უნარი», – წერდა ის მეგობარ პოეტს, ყველასთვის ცნობილ ლესბოსელ მეი სვენსონს.

ბრაზილიის თემაზე დაწერილ ლექსებში, რომლებიც, როგორც იქნა, გამოჩნდა 50-იანი წლების ბოლოს, წინ არის წამოწეული იმ უბრალო ადამიანების შეწყნარების ვალდებულება, რომლებიც ბიშოპმა პერსონაჟებად გამოიყვანა. მაგალითად, «მანუელზინო» სიყვარულით სავსე, მაგრამ ნაწყენი ადამიანის ჩივილია მემამულის პირით გამოთქმული ერთი ჩერჩეტი მებაღის მიმართ – «ნახევრად ხიზანი, ნახევრად მდგმური (ქირის გარეშე)» – რომელსაც ყველა დავალების შესრულებისას რაღაც ეშლება. ლექსის მთხრობელს სრულად ესმის ბატონსა და მსახურს შორის ჩამოწოლილი უსამართლობა («ეს დამრეცი ბილიკები გაგიკვალათ – შენ თუ მამაშენს, არც კი ვიცი, თუ ბაბუაშენს – მთელ ჩემს სახლ-კარზე») და ასევე სრულად სარგებლობს სისტემის სიკეთეებით.

მარშალი საკამათო მოსაზრებას გვთავაზობს ბიშოპის სოციალური შეგნების წარმოსაჩენად და ამტკიცებს, რომ ბრაზილიაში პრივილიგიურებულ პირობებში მცხოვრები პოეტი აუტსაიდერი იყო, რადგან მხოლოდ გარედან აკვირდებოდა ცხოვრებას. ეს რაციონალური ახსნაა იმ ვითარებისა, რაც შეიძლება ყველაზე მეტად გამაღიზიანებელი იყოს ბიშოპის ლექსებში.

სვენსონისადმი მიწერილ მეორე წერილში რამდენიმე შემადრწუნებელ დებულებას აყალიბებს ბიშოპი (ისინი ციტირებულია მილიერის ბიოგრაფიაში, მაგრამ არა მარშალის მიერ. ის არც გამოქვეყნებულ «წერილებშია» შესული). ამ დებულებების აზრი ისაა, რომ ბიშოპი ახსენებს «ჩამორჩენილ ხალხს, რომელთაც არ ძალუძთ მაღალი და დახვეწილი ემოციების განცდა». მეორე მხრივ, ჩვენ თვალწინაა ცალსახად გამოკვეთილი თანაგრძნობა ლექსში, რომელსაც უბრალო სათაური აქვს «ხიზნის შვილები». ბიშოპისთვის ბრაზილია ყველაფერ წმინდაზე

მაღლა იდგა, ეს იყო მისთვის ის ადგილი, სადაც შეეძლო სუნთქვა და წერა. საუკეთესო ლექსი, რაც მან ბრაზილიაში დაწერა, არის ამაზონური ფოლკლორის ერთ-ერთი ამბის ვრცელი გადამუშავება – «მდინარის კაცი», რომელსაც თან ახლავს იეიტსისეული ენერგეტიკა მიწის აღქმისა ადამიანური დისკურსის მიღმა.

იმ დროისათვის, როცა მან ეს ლექსები ერთ წიგნად გააერთიანა («მოგზაურობის საკითხი», 1965), მისი ცხოვრება ბრაზილიაში, არსებითად დასრულებული იყო. პრობლემა გაჩნდა, როდესაც ლოტას მშენებლობის ხელმძღვანელობის უნარი შეამჩნია პოლიტიკურად აქტიურმა მეზობელმა, რომელიც მალე გახდა შტატის გუბერნატორი და დაიქირავა ლოტა რიოში, გუანაბარას ყურეს გასწვრივ უზარმაზარი პარკის ასაშენებლად. 60-იანების დასაწყისში ის ამ კომპლექსურმა პროექტმა ძლიერ გაიტაცა. ლოტა მთელ დროს რიოში ატარებდა, მუშაობდა, მოემატა დაძაბულობა, გამოიფიტა, მოკლედ, პარკზე იყო გადართული და თავიდან ვერ შენიშნა, როცა ბიშოპმა კვლავ უმატა სმას, წერა შეწყვიტა და შეყვარებული გაიჩინა (?) მოშორებით მდებარე წყნარ ქალაქში (ეს აქტი პროექტმა აღწერა, როგორც «დედობილისა და თავშესაფრის პოვნა»).

1966 წლის დასაწყისში ბიშოპი გადავიდა სიეტლში რამდენიმე თვით, სადაც მასწავლებლობას შეუდგა და სადაც გალაღებულმა მისი, როგორც ქალი პროექტისადმი ნატიფი დამოკიდებულებებით, სასიყვარულო ურთიერთობა წამოიწყო ადგილობრივი მხატვრის 23 წლის ორსულ მეუღლესთან, როქსანა ქამინგთან, რომელიც, როგორც ჩანს, თვითონაც არ გამოირჩეოდა ურთიერთობებში დიდი სტაბილურობით.

ურთიერთობა გაგრძელდა წერილით, რომლის საშუალებითაც შეიტყო სწორედ ლოტამ მათი ურთიერთობის შესახებ, როცა ბიშოპი უკვე ბრაზილიაში იყო დაბრუნებული. მაშინ ბიშოპი იხრჩობოდა ხოლმე ასთმის შეტევებისგან, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ბავშვობის შემდეგ არ ჰქონია ასეთი მძიმე შეტევები. ამ დროს პოლიტიკური ვითარება შეიცვალა და ლოტა მოულოდნელად ჩამოაშორეს პარკის მშენებლობას. თან ეჭვიანობის ნიადაგზე სასტიკად გაბრაზებული ავად გახდა და საავადმყოფოში მყოფი ისტერიკაშიც კი ჩავარდნილა, როცა მის ოთახში ბიშოპი შევიდა. განერის შემდეგ ექიმმა ბიშოპს ურჩია, ლოტასგან შორს დაეჭირა თავი, თუმცა შემდეგ ლოტამ დაარწმუნა ექიმი, რომ აზრი უნდა შეეცვალა და ქალებმა ისევ ერთად დაიწყეს ცხოვრება – ახლა უკვე ლოტა იყო ავადმყოფი, შეშინებული და სხვაზე დამოკიდებული.

როცა მომდევნო ზაფხულს ლოტას კვლავ გაუმეორდა ავადმყოფობა, ბიშოპმა თავს უშველა და ნიუ იორკს მიაშურა. ექიმმა ლოტას უთხრა, რომ გამოჯანმრთელებას თვეები დასჭირდებოდა, ამიტომ უკიდურესად ფრთხილობდა ბიშოპი, როცა 1967 წლის სექტემბერში ლოტამ განუცხადა, რომ კარგად გრძნობდა თავს და მასთან ვიზიტს გეგმავდა. ბიშოპი მას აეროპორტში დახვდა. მათ ერთად ისადილეს და დალილები დასაძინებლად დაწვინეს. გამთენიისას ბიშოპს გაეღვიძა და ნახა, რომ ლოტას დამამშვიდებლების გადაჭარბებული დოზა მიეღო. ლოტა მომდევნო კვირას წმ. ვინსენტის ჰოსპიტალში გარდაიცვალა. თვითგვემით ისედაც განადგურებული ბიშოპი ლოტას ბრაზილიელმა მეგობრებმა მის სიკვდილში დაადანაშაულეს, ის კი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ მათ შორის ხმამაღალი

სიტყვაც არ თქმულა, და რომ ლოტამ ავადმყოფობის გამო ვერ გადაიტანა მოგზაურობა. და თუმცა შობის შემდეგ ბიშოპი მალევე გადავიდა როქსანასა და მის წლინახევრის ვაჟთან ერთად საცხოვრებლად (ამ გამანადგურებელმა ურთიერთობამ ორი წელი ძლივს გასტანა), ბიშოპი მიხვდა, რომ რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო მეტად ენატრებოდა და უყვარდა ლოტა.

უსახელო კუნძული, დახუნძლული ნახევარსფეროზე მიყრილი ღრუბლებით (ბიშოპის ფრაზით თუ ვიტყვით, «ერთგვარი ღრუბელსაყარი») – ეს რობინზონ კრუზოს კომმარში ხდება, სადაც უამრავი სხვა კუნძულიცაა და ეშინია, რომ ერთიმეორის მიყოლებით, ცალ-ცალკე ყველა კუნძულზე მოუწევს ცხოვრება. ბიშოპს კრუზოს შესახებ ლექსის წერა 60-იანების შუა წლებში ჰქონდა დაწყებული და ლოტას სიკვდილიდან 3 წელიწადში ისევ მიუბრუნდა. («აი, როგორც იქნა, ისევ დავინყე წერა, სამი წელია ეს არ გამიკეთებია», – წერდა ის «ნიუ იორკერის» პოეზიის განყოფილების რედაქტორს, ჰოვარდ მოსს.) ლექსი კრუზოს მონოლოგს წარმოადგენს, კუნძულის დატოვებიდან და «ჩემი ძვირფასი პარასკევას» სიკვდილიდან კარგა ხნის შემდეგ. ეს არის იმ ადამიანის ერთგვარი ანგარიში, რომელიც დაბერდა და იგონებს იმ დროს, როცა მკაცრ მარტოობასა და გამოუთქმელ ტანჯვაში იმყოფებოდა და, ამავე დროს, სავსე იყო ენერგიით, კრეატიულობითა და სიცოცხლის აუცილებლობის უწყვეტი და გაუნელებელი შეგრძნებით: ყოველდღიური წვრილმანებისთვის გამოყენებული დანაც კი «ხრჩოლავდა მნიშვნელობით, როგორც ჯვარცმა». ბიშოპის კრუზომ, დეფოს კრუზოსგან განსხვავებით, კუნძულზე მოგროვებული კენკრიდან ალკოჰოლური სასმელის დამზადება მოახერხა (აქ საკუთარ თავზე ირონიული

მინიშნებაა ავტორისგან) და ტვინი იჭყლიტა შორს დარჩენილი, მისთვის ხელმიუწვდომელი წიგნებიდან ნაწყვეტების გახსენებით. ახლა, სახლში დაბრუნებულს შეუძლია (ისე, ჯერ კიდევ საკითხავია, მართლა თუ იპოვა ეს «სახლი»: ბიშოპმა ხომ ლექსს ჯერ «კრუზო სახლში» დაარქვა, მაგრამ მერე შეცვალა და დატოვა «კრუზო ინგლისში») ნამდვილი ჩაის დალევა და ინფორმაციის მიღება. მაგრამ ცხოვრობს «უინტერესო ხარახურით გარშემორტყმული». სულ სხვა რამეა მისი ძვირფასი დანა. საკვირველი არ არის, რომ ინგლისში დაბრუნებული ის კვლავაც კუნძულზე რჩება, თუმცა ეს იმ კუნძულს, ცხადია, არ ჰგავს («თუმცა, რა იცი?!»).

იმ წელს, როცა ამ ლექსის წერა განაახლა ბიშოპმა, ანუ 1970-ში, მან ჰარვარდში სწავლებაც დაიწყო. პრესტიჟული და საჭირო სამსახური მას ლოუელმა გადაულოცა, ჰარვარდის ვარსკვლავმა, პოეტმა და მასწავლებელმა, რომელიც ისევ ზრუნავდა მასზე ახლაც, თითქმის 25 წლის შემდეგ, თუმცა ამ წლებიდან ძალიან ცოტა დრო თუ ჰქონდათ ერთად გატარებული (მათი წიგნად გამოცემული მიწერ-მოწერა 800 გვერდს აღწევს). ის იყო პირველი ქალი, რომელსაც უნივერსიტეტში მიჰყავდა შემოქმედებითი წერის კურსი, მაგრამ არც ერთი კრიტერიუმით ბიშოპი არ იყო კარგი არჩევანი, რამდენადაც მისი ნაწარმოებები იმ პერიოდში სულ არ იყო მოდაში. იდგა აღსარებითი პოეზიის დიდების დღეები, და რაოდენ ირონიულია, რომ «აღმსარებლებს» შორის ყველაზე განდიდებული იყო ლოუელი, ვისაც არ ერიდებოდა ხმამაღლა ლაპარაკი თავისი საქორწინო პრობლემების პოეტურ გარდასახვაზე, ან თავის (მრავალთაგან ერთ-ერთ) ყოფნაზე ფსიქიატრიულში, ან თუნდაც სხვა ადამიანების პირად წერილებზე. იმ წელს ბიშოპისადმი მიძღვნილ ლექსების

ციკლში ლოუელმა მეგობრის განსაკუთრებულად ტკივილიანი წერილიდან ნაწყვეტი მოათავსა და რადგან ამით ხაზი გაესვა ბიშოპის იდენტობას, აწყენინა მას.

თუმცა ამ შემთხვევის გარდა, არავის ახსოვს, ბიშოპს ვინმესთვის მსგავსი წყენა ეპატიებინა. სრულიადაც არ უპატიებია მერი მაქართისთვის, რომელმაც მათი ძველი ვასარის დაჯგუფების ერთ-ერთი ლესბოსელი წევრის სახით მისი პორტრეტი დახატა თავის სკანდალურ რომანში «დაჯგუფება». ის პერსონაჟი არაფრით ჰგავს ბიშოპს, მაგრამ თვალშისაცემად მამაკაცური გარეგნობის პარტნიორი, რომელიც მას ევროპიდან ჩამოჰყავს («ეს ქალი მისი კაცი იყო», – ასკვნიან შოკირებული გოგოები), პირნავარდნილი ლოტა დე მასედო სოარშია, რომელიც მაქართის ერთხელ ჰყავდა ნანახი ნიუ იორკში. თუმცაღა, ლოუელს ასცდა ბიშოპის რისხვა «ტანჯვის სკოლის» წარმომადგენლების მიმართ (ასე დაცინვით მოიხსენიებდა პოეტებს ენ სექსტონსა და ჯონ ბერიმენს), რომელთათვისაც ლოუელის საქციელი მაგალითი გახდა (მათ მიმართ ის კიდევ ერთ, უფრო ბევრისმთქმელ ფრაზასაც იყენებდა – «საკუთარი თავის დამტირებელნი»). ლოუელის შესახებ «თაიმის» სატიტულო წერილისთვის ინტერვიუში 1967 წელს, ბიშოპი დელიკატურად მოიქცა და მხოლოდ ლოუელის მიმბაძველები იგულისხმა, როცა ჟურნალისტს განუცხადა: ხანდახან, უბრალოდ, ინატრებ, ნეტავ ზოგიერთი რამ თავისთვის შეინახონ და არ გათქვანო.

ბიშოპმა უნივერსიტეტშიც ერთი გადაჭარბებულად მოკრძალებული ადამიანი ამავე მიზეზით ჩამოიცილა. იმ დროს, როცა სექსტონი ლექსებს კითხულობდა როკ-ჯგუფის თანხლებით, ბიშოპი თავის სტუდენტებს იამბურ პენტამეტრში ავარჯიშებდა. მან 59 წლისამ დაიწყო ეს

ლექციები და 66 წლამდე ასწავლიდა. მისი სტუდენტები აღნიშნავენ, რომ ის ყველას რომელიმეს დეიდა ან ბებია ეგონა ხოლმე (თვითონაც აღიარებდა, რომ ეს იყო ერთადერთი კომენტარი მის შესახებ, რომელიც «წინა პლანზე აყენებდა მის ქალურ მხარეს»). ამ წლებში დაწერილი ლექსები მისი საქციელივით მოკრძალებული და დამაბნეველი იყო. სიტყვა, რომელიც გამოტოვებულია უორდსუორთის სტრიქონში, რომლის გახსენებასაც ცდილობს კრუზო კუნძულზე ყოფნის დროს, არის «მარტობა». როგორც ჩანს, ზოგ რამესთან თავით შეჯახება შეიძლება აგცდეს კიდევ ადამიანს.

ლექსში «ლოსი», რომელიც «სულ რაღაც» 25-წლიანი მუშაობის შემდეგ დასრულდა 1972 წელს, სიგიჟე, სნეულებები და ბნელი ოჯახური საიდუმლოებები წარმოადგენს ჩუმად მოყოლილი ამბების საგანს ხანგრძლივი ღამეული მგზავრობისას საგარეუბნო ავტობუსით, სანამ მგზავრებს არ დააფრთხობს ახლომდებარე ტყიდან, თითქოს სხვა სამყაროდან, უეცრად გამოსული ანოწილი, ნაზი ცხენირემის გამოჩენა. მიუხედავად იმისა, რომ მგზავრები შორს არიან მხატვრულ-ექსპრესიული ლექსიკისგან («მართლა რამხელები ყოფილან», «რა საშინელი დაბლობია»), მათ იპყრობს წამლეკავი, ყოვლისმომცველი სიხარული, წარმოქმნილი მათი ვიწრო პიროვნული არსიდან ხანმოკლე, მაგრამ ნათლისმომფენი დროით – სანამ ავტობუსი ლოსს ჩაუქროლებს. ბიშოპი, რომელსაც არ მოსწონდა აღსარებითი პოეზიის წარმომადგენლის, ენ სექსტონის მსგავსი პოეტების «ეგოცენტრულობა», ხსნას პოულობს მუდმივად გარეთ მიმართულ მზერაში. მისი გვიანდელი ლექსები სავსეა მშვიდი, იმპულსური მადლიერებით – ისევე, როგორც ავტობუსის მგზავრები უყურებენ ლოსს,

ოცნებაში ჩაძირულები, და ფიქრობენ ისეთ თემებზე, რასაც შეუძლია ისინი საკუთარი თავისგან იხსნას.

ბიშოპმა თავისი უმშვენიერესი ლექსები ერთიმეორის მიყოლებით დაწერა. თუმცა, წერდა ნელა. მისი უკანასკნელი წიგნი «გეოგრაფია მესამე კლასისთვის», 1976 წელს გამოცემული, მხოლოდ 9 ახალ ლექსსა და ერთ თარგმანს მოიცავს, რომლებიც მისი ცხოვრების რთულ ათწლიან მონაკვეთში დაიწერა. ეს წიგნი მიეძღვნა ელის მეთფესელს, ჰარვარდის «კირკლან ჰაუზის» ადმინისტრაციის 27 წლის მომხიბვლელ ქერა თანამშრომელს, რომელიც 1970 წელს ეხმარებოდა ბიშოპს საუნივერსიტეტო ცხოვრებასთან ადაპტირებაში. მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში ქალები უკიდურესი სიფრთხილით იქცეოდნენ და თუ გავითვალისწინებთ ბიშოპის გაუარესებულ ჯანმრთელობას (სიგარეტით გამწვავებული ასთმის ძველი პრობლემა, ახალი რევმატიზმი, დიზენტერია – პერიოდულად, მოტეხილი ძვლები, როცა ნასვამი იქცეოდა), შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ახალგაზრდა ქალი მისი მომვლელი უფრო იყო. თუმცა მათ გარშემო მყოფმა სტუდენტებმა და პოეტებმა მალე შეიტყვეს, რომ ისინი საყვარლები იყვნენ. მარშალსაც ჭორად გაუგია ეს ამბავი ჰარვარდში სწავლის დროს; 1993 წელს გამოქვეყნებული მილიერის ბიოგრაფია ამ ურთიერთობას ნათელს ჰფენს. მიუხედავად ამისა, სულ სხვაა, როცა კითხულობ ახლად აღმოჩენილ მგზნებარე წერილებს, რომლებიც ბიშოპს თავისი უკანასკნელი სიყვარულისთვის, იმ ახალგაზრდა ქალისთვის მიუწერია, რომლის დაკარგვასაც გრძნობდა, რადგან წარმოიდგინა, რომ ის სათხილამუროდ, საცურაოდ ან სასიყვარულოდ მიდიოდა რომელიმე ახალგაზრდა კაცთან ერთად. «იმედი მაქვს, ჯერ

მე მოვკვდები», – წერდა ბიშოპი. მას ეგონა, რომ ეს მართლაც მოხდებოდა 1975 წლის შემოდგომაზე.

ოქტომბერში ელისმა მართლაც აცნობა ახალი ამბავი – ამბავი, სახელად პიტერი. ბიშოპი ფლორიდაში წავიდა დეკემბერში (აეროპორტში ის ელისმა მიიყვანა), ხოლო იანვრის შუა რიცხვებში ალკოჰოლთან ერთად დამამშვიდებლების გადაჭარბებული დოზა მიიღო. მეზობლებმა მიუსწრეს და გადარჩა. მათ გულწრფელად მოუბოდიშა (ბოლო-ბოლო, ელიზაბეთ ბიშოპი იყო) შეძრწუნებულმა იმის გააზრებით, რომ მეზობლები ლამის იმავე ტკივილის მომსწრენი გახადა, რაც მისთვის კარგად ნაცნობი იყო. პოეზიამ ამჯერად უმტყუნა. დიდხანს იწვალა, რომ გადაელახა დანაკარგით მოგვრილი მდგომარეობა და ერთიმეორის მიყოლებით დაწერა უზადო სტრუქტურის მქონე ვილანელის 17 მონახაზი (ვილანელი – სალექსო ფორმა, რომლის წარმოშობა ფრანგულ ბაროკოს უკავშირდება). ამ მუშაობის შედეგია ელიზაბეთ ბიშოპის ყველაზე ცნობილი ლექსი – ცხოვრების დახვეწილი შეჯამება სათაურით «დაკარგვის ხელოვნება», სადაც იგრძნობა გვიანდელი დოროთი პარკერი (როცა ლექსის გმირი საკუთარი თავს გარეშე პირივით უბრძანებს, იწვალოს და დაწეროს, რის თქმაც უნდა) და ჟერარ მენლი ჰოპკინსი.

*«ძნელი არ არის დაკარგვაში დახელოვნება.
დაკარგვის ბედი თან დაჰყვება უამრავ საგანს,
რომელთა კლება ჯერ არ ნიშნავს უბედურებას.*

*თითქმის ყოველდღე ვკარგავთ რამეს და დაგვაქვს სევდა
დაკარგული გასაღების თუ უქმად ჩავლილი წუთების გამო.
ძნელი არ არის დაკარგვაში დახელოვნება.*

თანდათან ვიძენთ უფრო შორს და უფრო სწრაფად
დაკარგვის
ჩვევას.

ეს შეეხება სხვადასხვა ადგილს, სახელსა თუ
სამოგზაუროდ
მონიშნულ

სივრცეს. თუმცა ასეთებს არ მოჰყვება უბედურება.

დავკარგე დედის სახსოვარი მაჯის საათი და ამას მოჰყვა
უსაყვარლესი სამი სახლიდან ერთის დაკარგვა.
არ არის ძნელი დაკარგვაში დახელოვნება.

დავკარგე ორი მშვენიერი, მყუდრო ქალაქი და უფრო
მეტიც –

ჩემი კუთვნილი სამეფოები, ორი მდინარე და კონტინენტი.
მონატრება მკლავს, მაგრამ არ იყო ეს ყოველივე
უბედურება.

შენი დაკარგვაც მოვახერხე (ის ხუმარა ტონი შენს ხმაში
დღემდე მიყვარს). არ მოგატყუებ, დანაკარგი ცხადზე
ცხადია:

დაკარგვა სულაც არ ყოფილა ძნელი ხელობა,
თუმცა შეიძლება (აღიარე, რომ შეიძლება!) დაემსგავსოს
უბედურებას.»

19 ტაეპიანი მყარი საბომი: 5 ტერცეტი, მათ მერე
შემაჯამებელი კატრენი და გარითმვის ისეთი მჭიდრო
სქემა, რომელიც შეაკავებს ნებისმიერ გრძნობას, რომ
საზღვრებიდან არ გადმოიღვაროს. ესაა საკუთარი თავის
ფლობის, გაზვიადების არიდებისა და მახვილგონიერების
ტრიუმფი. აქ არის თვითირონია, რომელიც ჩანს
რითმისთვის შემოგდებულ და პოეტიკით გამართლებულ
სიტყვაში «უფრო მეტიც» (vaster) და ქალურსა და
გაპრანჭულში – «არ მოგატყუებ (shan't); აქვე ჩანს ძვირად

სადმე ნახსენები დედის სახეც ფრაზაში, რომელიც ეხება მაჯის საათის ადრინდელ მფლობელ ქალს და მთელი კონტინენტი, რომელიც ყველა დანაკარგს ამეტებს საკუთარი თავის ჩათვლით.



რობერტ ლოუელთან ერთად

თუმცა,
მაინც
არ
ყოფი
ლა
ეს
უბედ
ურებ
ა.
ელის
ი
ბამთ
რის
მიწუ
რულ
ს

დაბრუნდა და ბიშოპის სიკვდილამდე მასთან დარჩა. პოეტი წელიწადნახევრის შემდეგ გარდაიცვალა ტვინის ანევრიზმით. «დაკარგვის ხელოვნება» ისეთ დროს დასრულდა, რომ მოესწროთ მისი შეტანა კრებულში «გეოგრაფია მესამე კლასისთვის». აშკარაა, ბიშოპი ხალისობდა «მთელი იმ ფაციფუცით», რაც მის ბოლო «ძალიან თხელ წიგნთან» იყო დაკავშირებული, თუმცა ხმამაღლა აცხადებდა, რომ ეს ასე არ იყო. «დაკარგვის ხელოვნების» შემდეგ სულ რამდენიმე ლექსი და უამრავი წერილი დაწერა, რომლებშიც გადარჩენის დადებით

მხარეებზე მიუთითებდა: ეს იყო კარგ სტუდენტებთან ურთიერთობა, ბოსტონური სპუმონის (იტალიური ნაყინის ნაირსახეობა) ჭამა და მერი მაქართის იგნორირება. ყველაზე მეტი სიამოვნება კი იყო ელისთან ერთად გატარებული ზაფხულები ნორზ ჰავენში, მაინიზე (მის უკანასკნელ კუნძულზე) და მოგზაურობა – დაუსრულებელი გადაადგილება.

6 მარტი, 2017, «ნიუ იორკერი»

ჯეი კევინ შუშტარი

ლხინი აქა

(ინგლისურიდან თარგმნა ჰაატა შამუგიამ)

ჯეი კევინ შუშტარი არის პროზაიკოსი, ფიზიკოსი და მედიცინის დოქტორი. წარმოშობით არაბი, ცხოვრობს აშშ-ში, დაიბადა 1967 წელს. ლექციებს კითხულობს ბოსტონის უნივერსიტეტში და დორტმუნდის სამედიცინო სკოლაში. არის რამდენიმე პრემიის ლაურეატი.



აღის, როგორც იქნა, შუალამისკენ ჩაეძინა, მაგრამ სამზე გაეღვიძა. ყოველთვის ცუდად ეძინა, როცა მშობლებს სტუმრობდა, შეიძლება იმიტომ, რომ დიდხანს მართო ცხოვრობდა. ვიკეპაუგიდან პროვიდენსამდე ერთი საათი მანქანით იარა, მშობლები სასადილოდ რომ გამოეყვანა. მამამისი, მუჰამედი, რომელსაც

მოსწონდა, მუ-ს რომ ეძახდნენ, 88 წლის იყო და ბრაუნის სამედიცინო სკოლაში თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ასწავლიდა, შარშანდღამდე, პენსიაში გასვლამდე. დედამისი ელენი, ყოფილი მედდა, 85-ისა იყო. ისინი ერთმანეთს როდ-აილენდის ჰოსპიტალში შეხვდნენ, როცა მუ ირანიდან სამედიცინო ტრენინგებზე ჩამოვიდა, და მიუხედავად ელენის ირლანდიულ-კათოლიკური ოჯახის უარისა, ერთ წელიწადში დაქორწინდნენ. მენტალური სიმხნევის მიუხედავად, ფიზიკურად საკმაოდ დაჩიავდნენ. მუმ ერთი წლის წინ გულის სარქველის ოპერაცია გადაიტანა, ელენს კი ახლახან ჩაუდგეს მენჯის

ძვალი, მას შემდეგ რაც ფოსტის შენობაში ფეხი აუსხლტა და დაეცა. ახლა ინვალიდის ჭოჭინას დააგორებს.

რაც დედამისი დაეცა, იმის მერე ალი მასთან ყოველკვირა რჩებოდა, რომ შეშველებოდა. მისი სამი და-ძმა აქედან შორს ცხოვრობდა და ოჯახური ამბებით იყო დაკავებული. მათთვის ალის დაუქორწინებლობა აშკარად იმას ნიშნავდა, რომ მას მუდმივი არდადეგები ჰქონდა.

ყველა სტუმრობის წინ ალი კეთილი განზრახვებით სავსე იყო, მზად იყო შეემსუბუქებინა მშობლებისთვის მათი წინა ცხოვრებისთვის მახასიათებელი ენერგიულობიდან და სიცხადიდან ახალ, არადამოუკიდებელ და უმწეო ცხოვრებაში გადასვლა. ის ისე ნიღბავდა თავის სტუმრობას, თითქოს უცებ შემოსარბენად მოსახერხებელი დრო გამოსჩენოდა, ეუბნებოდა, რომ დანაზოგით პროვიდენსში ბოსტონიდან თუ ნიუ-იორკიდან დადიოდა. სინამდვილეში, დროის უმეტეს ნაწილს თავისი ფერმის ჭიხურის სიახლოვეში ატარებდა, მე-18 საუკუნისდროინდელი კონცხის მიმდებარედ და თვალს ადევნებდა წყალსატევში გარეული იხვების ტივტივს.

მარტოობა ალისთვის მოსახერხებელი იყო. მას მოსწონდა სიზუსტე და ლოგიკურობა თავისი სამუშაოსი – დაენერა კოდები, რომლებიც ანალოგიურ რენტგენულ სხივებს გააციფრულებდა. ელექტროინჟინრის ხარისხის მიღებისთანავე, სამედიცინო სკოლაში წავიდა, მაგრამ იქ არასდროს უსწავლია. ამის ნაცვლად, თავის გემოზე მუშაობდა, სპეციალისტებს ინტერნეტით უგზავნიდა კრიტიკულ მონაცემებს და მათ შეეძლოთ ამ ინფორმაციით პაციენტი გადაერჩინათ. ალის ცხოვრების წესი აძლევდა საშუალებას, დაემაყოფილებინა ვნება: დაენერა ლექსები სპარსულად. სპარსული მას შემდეგ შეუყვარდა, რაც

გაანალიზა, რომ ეს იყო მეოცნებეთა ენა, ლამაზად მთხრობელთა ენა. მუ ნახევრად ხუმრობით იტყოდა ხოლმე, ეს მატყუარების ენააო, არავის სმენია სპარსისგან პირდაპირი პასუხიო. პასუხის გაცემის მცდელობისას, სპარსს თავში ასზე მეტი ვერსია მოსდის ამბის გარდასათქმელად, და სანამ მარტივ კის ან არას იტყოდეს, მისი პასუხი იქცევა მოგზაურობად, რომელსაც ათასობით სიტყვა სჭირდებაო. ალი სწავლობდა საადის, ჰაფეზის, ხაიამის და რუმის ტექსტებს, და აღმოაჩინა, რომ მასაც ჰქონდა სპარსული ლექსის სინტაქსისა და მეტრის ფლობის ნიჭი.

ხუთის ნახევრისკენ ძილი თითქმის შეიბრუნა, როცა ბრახუნის ხმა გაისმა.

«ელენ!», – კიბის ბოლოდან გასძახოდა მუ, – «სადაა ჩემი ყავის მარცვლები?»

ელენს პასუხი არ გაუცია.

«ელენ!», – იძახის ის, – უფრო ხმამაღლა.

«აქ არაა დედა, მა».

«ელენ!» – მესამედაც შეჰყვირა.

«მარცვლები გუშინ დაამთავრე!» – დაუყვირა ელენმა სასტუმრო ოთახიდან, სადაც ოპერაციის შემდეგ ეძინა ხოლმე. «შეიძლება ახალი პარკი იყოს სარდაფის მაცივარში».

ალის უკვირდა, რატომ ეღვიძა მამამისს ამ საშინელ დროს. არ უნდოდა, მას მანევრები ეკეთებინა სარდაფის ციცაბო კიბეზე, ამიტომ დაუყვირა: «ახლავე მოვალ, მა!» ხალათში გაეხვია და სამზარეულოში ჩაირბინა.

«რამ აგაყენა ასე ადრე?» – შეეკითხა მამა.

«ვიფიქრე, დაგეხმარებოდით ყავის მოძებნაში».

«გგონია, მე ვერ მივაგნებ ყავას საკუთარ სახლში?»

ალიმ ხელი აჰკრა სარდაფში შუქის ჩამრთველს, კარი გააღო და კიბეზე ჩასვლა დააპირა.

«შეჩერდი!» – უბრძანა მუმ. თეთრი წარბების კონა თვალებს უფარავდა.

ალი ადგილზე გაშეშდა. «რა მოხდა?!»

«სიგნალიზაციის ახალი სისტემაა. კარის გაღებამდე კოდი უნდა აკრიფო, თუ არადა, დაცვის ხალხი დარეკავს.» ის მივიდა ღილაკიან დაფასთან ჩამრთველის მახლობლად, მისი მოძრაობა ვერცხლისფერ პიჟამაში ილანდებოდა, და ნომრები აკრიფა. «ეს საიდუმლოა».

ალიმ შეამჩნია, რომ ის მთელი თავით მაღალი იყო მამამისზე, არადა, ერთ დროს ერთი სიმაღლისანი იყვნენ. ალი ჩაუყვა საფეხურებს. მან მამამისს Keurig-ის ყავის მადულარა მიუტანა სააღდგომოდ, მაგრამ მუმ უარი თქვა მის გამოყენებაზე, დაფასოებული ყავა არ უყვარდა. ყოველ დილით ესპრესოს მარცვლებს ფქვავდა თავის ძველმოდურ ფრანგულ ყავის საფქვავში, რათა ერთი ჭიქა ყავა დაეგემოვნებინა.

«აი, ისიც», – ამბობს ალი, სარდაფიდან ძვრება და ხელებში უდებს პარკს სტარბაქსის მარცვლებით.

ელენი გამოჩნდა ვარდისფერ ხალათში, ვერცხლისფერი თმა სამაგრით შეეკრა.

«არ გინდა ისევ დაწვე, შვილო?»

«ვერ ვიძინებ», – თქვა ალიმ ყავის საფქვავის ხმაურის ფონზე.

«მუ, ასე დიდხანს რატომ ფქვავ?»

«არ ესმის, დე».

მან მიაჩოჩა თავისი ჭოჭინა ქმრისკენ. «უკვე საკმარისად დაფხვენი». ქმარს მხრებზე უბიძგა.

«რა? არ მცალია».

«უკვე დიდი ხანია ფქვავ, მუ».

მუმ ენა სასაზე მიიღო და ნიკაპი მაღლა ასწია. ალიმ იცოდა, რომ ეს ჟესტი დედამისს არ უყვარდა. «ესპრესო კარგი რომ გამოვიდეს, კარგადაც უნდა დაიფქვას», თქვა და ისევ აპარატს მიუბრუნდა.

«ისინი რა დროს მოვლენ?» – იკითხა ელენმა.

მუმ ისევ შეწყვიტა ყავის ფქვა. «რა?»

«რომელ საათზე მოვლენ-მეთქი».

«ვინ უნდა მოვიდეს?»

«ქსელის ხელოსნები».

მუმ, ტექსტურის შესაგრძნობად, დაფქული ყავა ცერა და საჩვენებელ თითებს შორის მოიქცია. ყავის აპარატი ცხვირთან მიიტანა, თვალები დახუჭა და ღრმად შეისუნთქა.

«გაგიჟდი?!» – თქვა ელენმა, – «შეიძლება ცხვირი მოიჭრა. გამორთე მაინც ეგ აპარატი.»

«რა დრო დასჭირდება?» – იკითხა ალიმ.

«სადღაც რვიდან თორმეტამდე», – უპასუხა ალიმ.

ალიმ მამამისს შეხედა. «ყავას?!»

«ქსელის ხელოსნებს», – თქვა მუმ, – «დაახლოებით რვიდან თორმეტამდე მოვლენ. ეგენი ზუსტ დროს არ ამბობენ ხოლმე».

აღიმ ორივე მშობელს ლეპტოპი უყიდა და ასწავლა, როგორ შესულიყვნენ ინტერნეტში და როგორ გამოეყენებინათ ელფოსტა. მან კომპანიას ქსელი სახლის გარეთ დაამონტაჟებინა. მშობლებს სმარტფონიც უყიდა, აჩვენა, როგორ გაეგზავნათ მესიჯი, დაერეკათ და მიელოთ ხმოვანი ფოსტა, და როგორ ჰქონოდათ წვდომა ინტერნეტზე ტელეფონებიდან. ორივე ტელეფონი ყუთში დარჩა, გამოუყენებლად. მერე ინტერნეტიც გაითიშა.

«მე ვიცი, რა პრობლემაცაა, – თქვა ჰელენმა, – «ორი კომპიუტერი ერთდროულად არ უნდა შეაერთო ინტერნეტზე, ხაზს ტვირთავს».

მუმ ყავა მოწრუპა. შემდეგ შაქრის სამი ნატეხი ჩააგდო ფინჯანში. ადამიანს როცა მტკიცებულება არ აქვს, რიხით არ უნდა ილაპარაკოსო, თქვა.

«მარიას ვუთხარი შაქარი წამოეყოლებინა მარკეტიდან», – თქვა ელენმა, – «ადამიანმა, რომელსაც დიაბეტი აქვს, შაქრის სამი ნატეხი არ უნდა ჩაიყაროს ყავაში.»

«მე ადამიანი ვარ», – თქვა მუმ, და ისე გაიღიმა, როგორც ხუმრობის წინ იცოდა ხოლმე, – «არ შემიძლია უარი ვთქვა იმაზე, რაც მიყვარს. რა გგონია, რატომ გიტან 65 წელია?»

ელენს არაფერი უთქვამს.

აღიმ სამზარეულოს მაგიდაზე გაშალა ერთ-ერთი ლეპტოპი. წარუმატებლად ეცადა ინტერნეტში შესვლას. «ქსელის გამანაწილებელზე შეიძლება უსასრულო რაოდენობის აპარატურის შეერთება», – თქვა მან

აბსოლუტური დამაჯერებლობით, იცოდა რა, რომ ეს შთაბეჭდილებას მოახდენდა მამამისზე.

«მოდით რა, დაველოდოთ ქსელის ხელოსნებს, ალი», – თქვა მუმ.

* * *

«რა გამოდის, დებილები ვართ?» – იკითხა მუმ, როცა ნახა ბუკლეტი «სპარტფონების ინსტრუქცია იდიოტებისთვის», რომელიც ალიმ მოიტანა მაღაზიიდან, როცა მამამისი უილგპრინსში რეცეპტის გამონერას ელოდებოდა.

«სულაც არა», – უთხრა ალიმ, – «ეს ამ გაჯეტებისთვისაა, რომლებიც უფრო რთული ჩანს, ვიდრე რეალურად არის. წიგნი უბრალოდ მარტივად ხსნის».

მუმ სმარტფონი ყუთიდან ამოიღო და სათვალესთან ახლოს დაიკავა. «ჩემთვის ძალიან პატარაა».

«იქნებ გეცადა და გენახა, როგორ მოგეწონებოდა», – უთხრა ელენმა, გაზეთ «ტაიმსის» ფურცვლის ფონზე.

«ძალიან პატარაა. ეს რაცხა როგორ უნდა ვატარო?» – სწორედ ეს სიტყვა გაისმა მუს აქცენტში. ეს უფრო და უფრო ხშირად ხდებოდა ასაკში შესვლის პარალელურად.

«გარსაკრავიც მოჰყვება, მამა. შეგიძლია ქამარზე მიიმაგრო.»

«სწორი სიტყვაა «რადაცა» და არა «რაცხა», – აღნიშნა ელენმა.

«დე, ნუ დაინწყებთ ახლა».

«რა?» – შეეპასუხა მუ, – «ჩემს ნათქვამს ვერ იგებ? შვილი გჭირდება, რომ გითარგმნოს?»

ალი ადგა და მუს ტელეფონი ჩამრთველში შეაერთა. «ჯერ არაა დატენილი, მაგრამ შეგიძლია იხმარო, როცა შეერთებულია.»

«უოლგრინს უნდა დავურეკო. არასწორი რეცეპტი მომცეს».

ელენმა ქმრის მისამართით თავი გაიქნია. «ამერიკის მოქალაქე ხარ და ისევ «რაცხას» გაიძახი».

მუმ დააჭირა თითი უოლგრინის სახელს ტელეფონში, რომელიც ალიმ დაუპროგრამა, როცა მამას უხსნიდა, როგორ გამოეყენებინა. მერე ელენს შეხედა: «და ამდენი ხანია, ჩემი აქცენტი გაუგებარია შენთვის?»

ალის ისეთი პერიოდის გახსენება არც შეეძლო, როცა დედამისი არ დასდევდა მამამისს აქცენტის გამოსასწორებლად. «რაცხა», – ალიმ თქვა, – «არის ნამდვილად უკეთესი სიტყვა პოეზიისთვის, რადგან უფრო მდიდარი ბგერწერა აქვს, ვიდრე «რალაცას». უფრო რეზონანსული სიტყვაა.»

დედამისმა ეჭვიანად შეხედა.

მამამისი ფარმაცევტს ელაპარაკებოდა ტელეფონზე. «რატომ მაძლევთ Nifedipine SR-ს და არა Nifedipine ER-ს?»

კარზე ზარი გაისმა.

მუმ ხმას აუწია. «ვიცი, რომ იგივე წამალია – ნელი მოქმედების, სწრაფი მოქმედების, სისულელეა ეს ყველაფერი. შლ არის ცხენის წამალივით. ვის შეუძლია გადაყლაპოს ასეთი რაცხა? ER არის ერთი მეათედი ზომაში.»

ალი ქსელის ხელოსანს შემოუძღვა, რომელსაც ბახილები ეცვა, სისუფთავისთვის. მან მუს ფოიედან გაუღიმა.

«უნდა წავიდე», უთხრა მუმ ტელეფონში ფარმაცევტს, – «მე მინდა ER. არავითარი SR. გაამზადეთ. ამ საღამოს ჩემი ბიჭი წამოიღებს.»

«ხომ მაგარია ტელეფონი, მა?»

«ხომ გითხარი, ძალიან პატარაა. და თან, სულ შეერთებული უნდა იყოს».

ალიმ იფიქრა, ისევ აეხსნა მამისთვის, რომ ტელეფონი მხოლოდ იმიტომ შეაერთა, რომ ახლა დასატენია, მაგრამ მიხვდა, რომ მამას აზრს ვერ შეაცვლევინებდა.

«გამარჯობა, დოქტორო ალავი», – მიესალმა ქსელის ხელოსანი ალის, რომელიც მას სამზარეულოში შეჰყვა.

მუ წამოდგა. «ვიცნობთ ერთმანეთს?»

«რამდენიმე წლის წინ შევხვდით», – თქვა კაცმა, «თქვენ მამაჩემი იხსენით სიკვდილისგან».

«რა სჭირდა?»

«აორტის ანევრიზმა. რეანიმაციის ოთახში ვერავინ ვერაფერს მიხვდა. თქვენ შემოხვედით და დაადგინეთ და ოპერაციაზე გაუშვიტო».

«სახელი?»

«ტოსელი. ანტონი ტოსელი არის მამაჩემი».

«ტოსელი. ჩვენ მას თექვსმეტი ერთეული სისხლი გადავუსხით საოპერაციო ოთახში. მახსოვს.» მეხსიერებაში ქექვის შემდეგ მუმ ქსელის ხელოსანს ყავა შესთავაზა.

«კარგი ესპრესოა».

«უარს ვერ გეტყვით», თქვა ქსელის ხელოსანმა, «თუ თქვენთვისაც აპირებთ მოდულებას».

«რა თქმა უნდა». თქვა მუმ.

ელენი მაგიდასთან ჩამოჯდა, სანამ ალი ქსელის ხელოსანს დაჰყვებოდა. აუხსნა, რომ თავიდან ქსელი შესანიშნავად მუშაობდა.

«როდის შეგინყდათ სიგნალი?» შეეკითხა ქსელის ხელოსანი.

«ეგ ჩემს მშობლებს უნდა ვკითხოთ».

სამზარეულოში მუ ისევ ყავას ფქვავდა და ისეთი ხმაური იდგა, რომ არც მუს და არც ელენს ესმოდა, ალი რას ეკითხებოდა. ბოლოს ალიმ შუქი გამორთო. მუმ ეგრევე შეწყვიტა დაფქვა. «წავიდა შუქი?»

«არა, მა. უბრალოდ, სხვანაირად ვერ მივიქციე შენი ყურადღება».

«რა სულელურ კითხვას სვამ?» – თქვა ელენმა, «როგორ დაფქვავდი, შუქი რომ წასულიყო?»

ალიმ წელზე შემოწყო ხელები და მამამისს შეჰხედა: «სიჩუმე არის ღმერთის ენა, სხვა ყველაფერი მისი უბადრუკი თარგმანია.» ეს რუმია!»

«რუმი ყოველთვის არაა ყველაზე ჭკვიანი ადამიანი ოთახში», თქვა მუმ.

«რუმი ვინაა?» იკითხა ქსელის ხელოსანმა.

მუმ მარჯვენა ხელის ზურგი მარცხენა ხელისგულზე გადაისვა და მამაკაცის მიმართულებით შეუბერა: «მკვდარია!»

ქსელის ხელოსანმა არაფრისმთქმელი თვალებით შეხედა. «უბრალოდ, მაინტერესებს, როდის დაკარგეთ ინტერნეტ-კავშირი».

«მარია სანამ მოვიდოდა, მშვენივრად მუშაობდა».

«რატომ დაფქულ ყავას?» ჩაეკითხა ელენი. «რატომ აგიკვიატებია ეს მარცვლები?»

«ქორფა უნდა იყოს.» უთხრა მუმ. «შენ არ გიყვარს ქორფა?»

«მარია ვინაა?» იკითხა ქსელის ხელოსანმა.

«დამლაგებელი. ოთხშაბათობით მოდის ხოლმე», – უპასუხა მუმ.

«მარია საყვარელი პოლონელი ქალია», – თქვა ელენმა, – «ის ჩვენთანაა უკვე ოც წელზე მეტია.»

მუმ ყავის დაფქვა განაახლა.

«ესე იგი, ხუთი დღეა, არ გაქვთ ინტერნეტი?»

«რა თქვით?» იკითხა ელენმა, თან მარჯვენა ყურზე ხელი მიიღო.

«მარიამ რამე გამოაერთა?» იკითხა კაცმა.

«დიახ. ტელევიზიაც, მგონი, იმიტომ არის გამორთული, რომ ინტერნეტმა გადატვირთა ქსელი.» თქვა ელენმა ხმამაღლა, რომ გადაეფარა საფქვავის ხმა.

«ყავა მზად იქნება რამდენიმე წუთში», – დაიყვირა მუმ ღიმილით.

ხელოსანმა ალის შეხედა. «ტელევიზორიც არ მუშაობს».

«პირველად მესმის».

«ინტერნეტის გამანაწილებელი სად გაქვთ?»

«მგონი, ზემოთ, მამაჩემის კაბინეტში უნდა იყოს.»

ორივე შედგა და მიაჩერდა ქსელის სადენს, რომელიც გამომძვრალი იყო კედლიდან.

ხელოსანმა მიაერთა. ქვემოთ ჩავიდნენ.

«ყავა მზადაა», – თქვა მუმ, – «ნალებით თუ შაქრით?»

«არა, ისე მირჩევნია. გმადლობთ», – თქვა ხელოსანმა, – «გაირკვა, რომ გამანაწილებელი ყოფილა გამომძვრალი».

«აბა, ვნახოთ, თუ შევალ ინტერნეტში შენი ლეპტოპით, დედა.»

«მამაშენმა გამოწმინდა იქაურობა წინა დღეს».

«მარიამ გამოწმინდა, მე კი არა».

«არა, შენ გამოწმინდე. მარია კარგად ვერ შვრებაო, თქვი».

«ის არასოდეს წმენდს ხოლმე ობობის ქსლებს კედლის კუთხეებიდან».

ელენმა თავი გადააქნია. «რამდენჯერ უნდა გითხრა, რომ სწორია «ქსელები» და არა «ქსლები!»

«შეიძლება მე გამოვადვრე რამდენიმე წამით, მაგრამ მერე ისევ მივაერთე.»

«ინტერნეტი მუშაობს», – თქვა ალიმ.

«და ტელევიზია?» – იკითხა ელენმა, – «მას შემდეგ, რაც ინტერნეტი გვაქვს, ყველა არხს არ უჩვენებს».

«სადაა მთავარი სადენი?» – იკითხა კაცმა.

«სარდაფში», – თქვა მუმ და ესპრესოს ჭიქა მაგიდაზე დადო. – «ესეც ყავა».

«დიდი მადლობა. ეგ თქვენ რომ დალიოთ? ამასობაში, მე შევამოწმებ სადენებს და მერე დავლევ, როგორც კი

მოვრჩები».

ალი და ხელოსანი სარდაფში ჩავიდნენ. იქ ორი შემომავალი სადენი იპოვეს, ერთი ინტერნეტის და ერთიც – საკაბელო ტელევიზიის, მაგრამ მხოლოდ ერთი იყო შეერთებული, მეორე სადენის ბოლო კი სპლიტერში იყო შეერთებული.

«ესეც თქვენი პრობლემა. თქვენ არ იყენებთ ორივე ხაზს, სიგნალიც ამიტომ არის სუსტი».

«ადვილია მაგის გამოსწორება?»

«ერთი წუთის საქმეა. სპლიტერს უნდა მოვაცილო».

მათ ისევ შემოესმათ მუს ყავის საფქვავის გუგუნი ზემოდან. ალის მშობლები აქეთ-იქით გაჰყვიროდნენ. სახლის ტელეფონზე რეკვა ატყდა და არავინ იღებდა. ალიმ კიბე ჩაირბინა...

«რატომ არ პასუხობთ, ხალხო, ტელეფონს?»

ვერცერთმა ვერ გაიგო. სირბილისგან გულისცემააჩქარებულმა ყურმილი აიღო.

«ჩვენ სახლის დაცვის სიტემიდან ვართ», გაისმა ტელეფონში კაცის ხმა, – «გვაქვს გონივრული ეჭვი, რომ მანდ თავდასხმას აქვს ადგილი».

მუ ისევ ფქვავდა. ალიმ ცალ ყურზე ხელი მიიღო და ყურმილი მეორეში გადაიტანა.

«არა, თავს არავინ დაგვსხმია. გმადლობთ, რომ დარეკეთ».

«რა მოხდა?» იკითხა ელენმა.

ყურმილს ხელი დააფარა და თქვა: «სიგნალიზაციის ხალხია».

«ბატონო, თქვენ დოქტორი მუჰამედ ალავი ხართ?»

«არა, მისი ვაჟი ვარ».

«თქვენ უნდა შეიყვანოთ პაროლი, თუ არადა, ჩვენ დაგვჭირდება დაცვის ჯგუფის გამოგზავნა».

«ჩემი ბრალია. კარი ისე გავხსენი, რომ კოდი არ შემეყვანია.»

«ბატონო, თქვენ თუ არ იცით პაროლი, მაშინ რაღაც კითხვებს უნდა უპასუხოთ».

«რა პრობლემაა», – თქვა ალიმ და თან ცდილობდა, მამამისისთვის ენიშნებინა, რომ ფქვა შეეწყვიტა.

«რატომ რეკავს სიგნალიზაციის ხალხი?» იკითხა ელენმა.

«გაკეთებულია», – თქვა ქსელის ხელოსანმა და სარდაფის კარი მოიხურა. ყავის ფქვა შეწყდა.

«რა არის დედათქვენის ქალიშვილობის გვარი?» იკითხა ხმამ ყურმილში.

«გოლანი».

«ეს არასწორი პასუხია, ბატონო. ვაგზავნით დაცვის მანქანას.»

«არა, ბოდიშს ვიხდი. ეს დედაჩემის ქალიშვილობის გვარია. მე სტუმრად ვარ მშობლებთან. თქვენ გჭირდებათ ბებიაჩემის ქალიშვილობის გვარი. მოიცათ, ვკითხო».

«დე, ბებიას ქალიშვილობის გვარი პეიჯია, ხო?»

«ეგრეა, შვილო. რატომ მეკითხები?»

«პეიჯი!» – ჩაჰყვირა ალიმ ყურმილს.

«ეს არასწორი პასუხია, ბატონო».

მუ მიუახლოვდა ხელში ყავის ორი ჭიქით. «ვის ელაპარაკები, შვილო?»

«მამა, რა იყო დედაშენის ქალიშვილობის გვარი?»

«რა?»

«ტელეფონზე უნდა ვუთხრა ხალხს».

«არა, ჩვენ არ გავცემთ პერსონალურ ინფორმაციას სარეკლამოებზე».

«ეს არაა სარეკლამო», – თქვა ალიმ, «დამავინყდა სიგნალიზაციის კოდი შემეყვანა, სანამ დაბლა ჩავიდოდით.»

«რა კარგი ყავაა, დოქტორ ალავი».

«უკეთესიც შეიძლებოდა ყოფილიყო», – თქვა ელენმა, – «თხუთმეტი წუთი მოანდომა ამის დაფქვას».

«მარტივი პროცესია. მანამ ფქვავ, სანამ ფქვილად არ იქცევა».

«მამა! რა იყო დედაშენის ქალიშვილობის გვარი?»

«ადრე ოჯახში ქალებს ბევრი გვარი ჰქონდათ».

«მა, გთხოვ».

«მე მგონი, დედაჩემი მარამბაშის გაჰყვა».

«მარამბაში?»

«არა, ბატონო, არასწორია. დაგვისახელეთ დედათქვენის დაბღვევის ბარათის ბოლო ოთხი ციფრი».

«დედა, რა დაბღვევა გაქვს?»

«სამოთხის», – გაიცინა ელენმა. – «არასდროს დამიმახსოვრებია».

«მამა?»

«რას გულისხმობ დაზღვევაში?»

«ბატონო, თქვენ შეშფოთებულის ხმა გაქვთ. ახლა დაგისვამთ კითხვას და გვიპასუხეთ კი ან არა. არის თუ არა თქვენი სიცოცხლე საფრთხეში?»

«რა სისულელეა», – თქვა ალიმ, გაცოფებულმა. «აქაა მამაჩემი, დოქტორი მუჰამედ ალავი». მან ყურმილი მამამისს გადასცა.

«დიახ, კოდია 7371007. პირველი შინაური ცხოველის სახელი იყო მამუში, მსუქანი სპარსული კატა იყო. მამის დაბადების ადგილი იყო ესტეფანი – ჩვენ მას ჩვენი ქვეყნის ნახევარ მსოფლიოს ვეძახდით».

«არ ვიცი, ასე დეტალებში რატომ ჩადის», – უთხრა ელენმა ალის და ქსელის ხელოსანს.

«ასეა ხოლმე საჭირო, დე, ხომ იცი.»

«კარგი, ბატონო», – თქვა მუმ. «დიახ, ჩვენ ყველანი უსაფრთხოდ ვართ». მან ყურმილი დაკიდა და ესპრესო აიღო. «ალი-ჯან, სტრესის დროს არ უნდა დაფრთხე, მითუმეტეს, როცა ყველანი კარგად ვართ. გინდა, ყავა დაგიფქვა?»


7. ანტი

ამირი კაკაბაძე

ყველა კედელს სჭირდება მხატვრის სურათი

(ნინო ისელიძის ინტერვიუ)

2017 წლის მარტში, ეროვნულ გალერეაში ჩატარდა მხატვარ ამირ კაკაბაძის რეტროსპექტიული გამოფენა, რომელიც მის 75 წლის იუბილეს მიეძღვნა. ამირ კაკაბაძე 2015 წელს 74 წლის ასაკში გარდაიცვალა, ეს ინტერვიუ კი 2011 წელს არის ჩანერილი, თუმცა დღემდე, მიზეზთა გამო, გამოუქვეყნებელი რჩებოდა.



ამირ
კაკაბა
ძის
თან
სტუმ
რობი
სას
სრუ
ლია
დ
განსხ
ვავებ
ულ,
ძალი
ან
შთამ

ბეჭდავ და მყუდრო გარემოში ხვდები. პირველ რიგში გიპყრობს მისი საოცრად გამორჩეული, მკაფიოდ ინდივიდუალური და მრავალფეროვანი მხატვრული შემოქმედება; აქ შეხვდები როგორც გრაფიკულ ნახატებს, ასევე ფერწერულ ტილოებსაც და ძველი ნივთებისაგან

შექმნილ ნატიფ კოლაჟებს, რომლებშიც საგნებმა თითქოს ახალი აზრი, არსებობის განსხვავებული ფორმა შეიძინეს;

ყოფილა შემთხვევა, როდესაც ამირისთვის ახალი ნამუშევრის შექმნის იდეა ჩარჩოს ფაქტურასაც კი შთაუგონებია. მაგალითად, მისი მეგობრის, სერგო ფარაჯანოვის მიერ მისთვის ნაჩუქარი ორი ჩარჩო იმდენად მოეწონა მხატვარს, რომ საკმარისი აღმოჩნდა ორი ახალი ნამუშევრის დაბადებისთვის...

ამირს ცალკე სახელოსნო არა აქვს ხატვისთვის. ხან ერთ ოთახში მუშაობს, ხან მეორეში; მას გააჩნია საკუთარი დამოკიდებულება როგორც ზოგადად ხელოვნებისადმი, ასევე თანამედროვე მსოფლიო ხელოვნებაში განვითარებული მოვლენებისადმი; ის პატივს სცემს იმ ნიჭს, გენს, რომელიც მას მამისაგან, დიდი ქართველი მხატვრის, დავით კაკაბაძისაგან გადმოეცა; თუმცა მამას არასდროს უსწავლებია მისთვის ხატვა, რადგანაც ამირი, ძალიან პატარა, 11 წლის იყო, როდესაც დავითი გარდაიცვალა...

ოთახში, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, თითოეულ ნივთს ერთგვარი დატვირთვა აქვს და მხატვრის და მისი მეუღლის, მუსიკოს ია კვირიკაძის ოჯახურ, პროფესიულ თუ შემოქმედებით მოგონებებსა და ინტერესებს უკავშირდება. მაგალითად, ერთ-ერთი ოთახის კედელზე თვალს მოკრავთ საინტერესო კომპოზიციას, შესრულებულს გუაშისა და აკვარელის ტექნიკით, რომელსაც ფონად უდევს დავითის მიერ საფრანგეთიდან ჩამოტანილი მუსიკალური კატალოგის ფურცლები; ამირი 20-იანი წლების ფრანგულმა შრიფტმა ისე მოხიბლა, რომ გადაწყვიტა, ეს ფურცლები მოეხატა და გაეფორმებინა.

ა. კ. – ეს არის ჩემი იას მამა, – მიჩვენებს ფოტოსურათს ამირი, – ეს არის რიხტერი; ეს – ჯუბეპე ვერდია; აი, შოპენის ხელის ასლი, რომელიც იამ ჩამოიტანა პოლონეთიდან; ეს კი – შოპენის ფოტოა;

მამაჩემი მუშაობდა სამეცნიერო ნაშრომზე «ქართული ორნამენტის გენეზისი» და აგროვებდა ფოტომასალას ილუსტრაციებისთვის მთელი საქართველოს მასშტაბით. მას ასევე აინტერესებდა საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნები, აღმოსავლური ხელოვნება. აგროვებდა ძველ ნივთებს, რომელთა შეძენაც შეიძლებოდა 30-იანი წლების თბილისში; დღეს ასეთ ნივთებს, ალბათ, ველარც ნახავ; აი, მაგალითად, ეს არაბული ქსოვილი, მამაჩემის სახლიდან წამოვიღე; იგი მე-19 საუკუნის შუა ხანებშია შესრულებული. იცით, როგორ აკეთებდნენ ამას? ჯერ ხეზე აკრავდნენ ნაჭერს, მას ზემოდან მოხატავდნენ და შემდეგ ჭრიდნენ დეკორს; მე მყავს მეგობარი, არაბული ენის მცოდნე; მან ომარ ხაიამის ლექსი ამოიკითხა ამ ქსოვილის ქვედა ნაწილში; ასეთი ნაჭრებით ადამიანები ლამაზად აფორმებდნენ თავიანთ ოთახებს; ეს არც ხალიჩაა, არც გობელენია...

ნ. ი. – ბატონო ამირ, გთხოვთ, გაიხსენოთ თქვენი ოჯახური ცხოვრების ეპიზოდები; როგორი იყო თქვენი ბავშვობა? როგორი ურთიერთობა გქონდათ მამასთან?

ა. კ. – იცით, ყველაზე ძვირფასი ჩემთვის არის მამაჩემთან დამოკიდებულება და, რასაკვირველია, დედაჩემთანაც; ჩემთვის მთავარი არის ისიც, რომ დავიბადე აქ, აი, ამ სახლში; ბაბუის, დედაჩემის მამის, ნიკოლოზ ანდრონიკაშვილის სახლში; თავისი სიცოცხლის ბოლო თვეები აქ გაატარა მამაჩემმა; ეს იყო 1950-51 წლები... მოგეხსნებათ, იგი სამხატვრო აკადემიის პროფესორი იყო;

1948 წელს მასზე, როგორც «ფორმალისტ» მხატვარზე, მოსკოვიდან მოვიდა გათავისუფლების ბრძანება; მათ თქვეს, რომ დავითი არ არის ის ადამიანი, რომელმაც უნდა ასწავლოს სტუდენტებს; იგი, როგორც პარიზში ნამუშევარი, ფორმალისტი, ვერ გაუძღვება თანამედროვე სტუდენტურ მოძრაობას, ჩვენს იდეოლოგიას; ამან ძლიერ იმოქმედა მასზე და გულმა უმტყუნა. მახსოვს, აი, იმ ოთახში იწვა... მე მაშინ 11 წლის ვიყავი, დედაჩემის მამა, ნიკოლოზი, ექიმი იყო და სახლში მკურნალობდა დავითს; 1952 წელს მამა საავადმყოფოში, გულის შეტევით გარდაიცვალა;

მამაჩემს უნდოდა, რომ მე მხატვარი ვყოფილიყავი; საერთოდ, ხელოვნებისადმი არაჩვეულებრივი დამოკიდებულება და დიდი სიყვარული ბავშვობიდანვე გამიჩნდა; მამისეულ სახლში, მოსკოვის ქუჩაზე (ახლა ძმები კაკაბაძეების ქუჩა), ისეთ გარემოში ვიზრდებოდი, რომ უბრალოდ არ შემეძლო, მხატვარი არ ვყოფილიყავი; დავითი იყო საქართველოს მოსიყვარულე ადამიანი, ისევე, როგორც მე!



ნ. ი. – ეს მის შემოქმედებაშიც ჩანს!

ა. კ. – აკადემიაში 1960 წელს ჩავაბარე; მაშინ რექტორი იყო აპოლონ ქუთათელაძე; როდესაც გადავწყვიტე აკადემიაში ჩაბარება, ჩემმა პედაგოგებმა მითხრეს: «რატომ აბარებ აკადემიაში? შენ ხომ დავითის შვილი ხარ? თუ გინდა, სხვაგან წადი...» «არა!» – ვუპასუხე მე; «რატომ?» –

მკითხეს; მე ვუთხარი: «ტვირთი!» «მამაშენის?» «კი ბატონო!.. მე დავხატავ! რაც შემეძლია, როგორც ეკუთვნის თბილისის აკადემიას! და თავად გადაწყვიტეთ...» აკადემიაში მიმიღეს...

ნ. ი. – როგორი ურთიერთობა ჰქონდათ ძმებს, კაკაბაძეებს, ერთმანეთთან?

ა. კ. – ძვირფასი, საუკეთესო! ისინი სამნი იყვნენ; ბიძაჩემი, სარგისი, უშესანიშნავესი ისტორიკოსი, პირველ სართულზე ცხოვრობდა; სულ ზევით-ქვევით დავრობდი, მახსოვს... იცით, რა არის საინტერესო? სამი ძმიდან პირველი გარდაიცვალა ყველაზე უმცროსი... შემდეგ საშუალო, არტემი, რომელიც ფილტვების სისუსტის გამო, სულ აბასთუმანში ცხოვრობდა; მას იშვიათად ვხვდებოდით; ხოლო უფროსი – სარგისი, გარდაიცვალა ყველაზე გვიან და ძია სერგო ჩემთვის იყო, როგორც მამაჩემი...

ნ. ი. – ცნობილია, რომ კაკაბაძეები წარმოშობით ზემო იმერეთის სოფელ კუხიდან ხართ?

ა. კ. – პატარა კუხიდან;

ნ. ი. – დღეს თუ არსებობს კიდევ თქვენი მამაპაპისეული სახლი ამ სოფელში?

ა. კ. – ბაბუაჩემმა, ნესტორმა, – მამაჩემის მამამ, გაყიდა სახლი პატარა კუხში და წავიდა ქუთაისში; იქ მან პატარა სახლი შეიძინა და დასახლდა; ნესტორს უნდა ეზრუნა როგორც მეუღლეზე, – სხვათა შორის, 10 ლარიანზე სწორედ ბებიაჩემი, დავითის დედა, ედუკი სანოძეა გამოსახული, – ისე თავის სამ ბიჭზე; ამის გამო მან რიონზე იყიდა ბორანი; იმ ბორნით გადაჰყავდა ადამიანები; სწორედ ამ საქმიანობით მოპოვებული თანხით და კიდევ ტყიბულის მადნეულის ასოციაციის დახმარებით გაამგზავრა დავითი

პარიზში, 1919 წელს; დავითთან ერთად ასოციაციამ პარიზში გაგზავნა ასევე ლადო გუდიაშვილი, ქეთევან მაღალაშვილი, ელენე ახვლედიანი; მანამდე დავითმა ქუთაისის გიმნაზია დაასრულა. ახლა, ქუთაისის სახლში კაკაბაძეების სახლ-მუზეუმია დაცული. ჩემი ქალიშვილი, მარიამი, აკადემიადამთავრებული, პროფესიით ხელოვნებათმცოდნე, ამას სწავლობს და ახლახან, ქუთაისობაზე, დავით კაკაბაძის სახელობის სამხატვრო გალერეაში ჩაიტანა და გამოფინა თავისი ბაბუის პარიზის პერიოდის ნამუშევრები; ამ გამოფენაზე კუხის სკოლიდან, ასევე ხონიდანაც, ბავშვები ჩამოიყვანეს, რომ დავითის სურათები ენახათ.

ნ. ი. – მამამ ერთ-ერთმა პირველმა გამოიგონა სტერეო კინოაპარატი; არსებობს ეს აპარატი?

ა. კ. – არა, სტერეოკინოს ისტორია არის ძალიან რთული და სტალინისა და ბერიას დროინდელ პოლიტიკურ ამბავს ეხება; დავითი სტერეოაპარატზე 1924-26 წლებში მუშაობდა; პარიზულ კაფეებში კი არ დარბოდა, არამედ ქარხნებში დადიოდა; მის მიერ გაკეთებულმა აპარატმა მიიღო გერმანიის, ამერიკის და სხვა ქვეყნების პატენტები. მასთან ერთად მუშაობდა ერთი ფრანგი მეცენატი, რომელმაც 1926 წელს შესთავაზა დავითს: «მოდი, წავიდეთ ამერიკაში, შენ გააკეთებ შენს გამოგონებას და მე ფულს ჩავდებ», მაგრამ დავითმა უარი უთხრა. მან თქვა: «მე საქართველო მჭირდება და მე ვჭირდები საქართველოს!» და ჩამოვიდა თბილისში; თუმცა მამა მაინც მეოცნებე ადამიანი იყო; 1927 წელს აქ დაბრუნებულმა არ იცოდა, თუ რა მდგომარეობა დახვდებოდა; იმ წლებში მთელი საქართველოს ბედი მოსკოვზე იყო დამოკიდებული... აქ გადაღებული ფილმის ფირი მოსკოვში უნდა გაგზავნილიყო და დამტკიცებულიყო; დავითმა დაწერა წერილი, სადაც

მიუთითა მის ხელთ არსებულ დოკუმენტურ მასალაზე სტერეოკინოს შესახებ, რომ ის იყო ერთ-ერთი აღმომჩენი ამისა; 20-30-იან წლებში მხოლოდ სათვალეებით იყო შესაძლებელი სტერეოგამოსახულების ყურება, დავითმა კი ისეთი რამ აღმოაჩინა, რომ სათვალეების გარეშეც შეიძლებოდა ნახვა, როგორც ახლა. მოსკოვმა უარი უთხრა დავითს; მან თავის მეგობარსაც, რეჟისორ მიხეილ ჭიაურელსაც სთხოვა დახმარებოდა ამ საქმეში, იმიტომ რომ ჭიაურელი სტალინთან იყო კარგად, მაგრამ მიხეილმა უთხრა: დათიკო, შეეშვი ამ საქმეს, არაფერი გამოგივა, შენც დაიღუპები და შენი ძმებიც დაიღუპებიანო (მაშინ დავითს ოჯახი ჯერ არ ჰყავდა); ჭიაურელმა თავიდანვე იცოდა, თუ რა შედეგით დასრულდებოდა ეს საქმე; აი, ეს არის სტერეოკინოაპარატის ისტორია; ჩვენ ამ აპარატის ფოტოები და გერმანიის, ამერიკის, ინგლისის პატენტები არქივში გვაქვს შენახული;

ნ. ი. – ბატონო ამირ, ცნობილია დავით კაკაბაძის მიერ შესრულებული ქანდაკება სახელწოდებით «ძ». გვიამბეთ ამის შესახებ.

ა. კ. – აი, (მაჩვენებს ქანდაკების ფოტოს), დავითის ქანდაკება «განგმირული თევზი» «ძ» არის ახლა მასაჩუსეტის შტატში, იელის უნივერსიტეტში, ქალაქ ნიუ-ჰეივანში.

ნ. ი. – როგორც ცნობილია, დავითი ზოგიერთ კოლაჟში ნათურებს ამაგრებდა, რომ შიგნიდან წამოსული შუქის ეფექტი მიეღო...

ა. კ. – აი, ეს არის ის სურათი (მაჩვენებს), აქ არის ნათურა. დავითი თავის პარიზის პერიოდის აბსტრაქციებს ეძახდა «ტაბლო, ობჯექტ».

ნ. ი. – ცნობილია 1942 წელს დავითის მიერ შესრულებული ტილო «მიტინგი იმერეთში». იქ არის ლენინის პორტრეტი. ადრე, ამავე ტილოზე ყოფილა თურმე ბერიასა და სტალინის პორტრეტებიც, რომლებიც დღეს წაშლილია, გვიამბეთ ამის შესახებ?

ა. კ. – 30-იანი წლებია; ხელოვნებაში, ამ პერიოდში, საბჭოთა იდეოლოგიაა და ისევე, როგორც ყველა ადამიანს, დავითსაც ხომ უნდა მოეგვარებინა რალაცნაირად საყოფაცხოვრებო საკითხები; მისცეს შეკვეთა: შენ რომ მხატვარი ხარ, შენი იმერეთებით რომ «გაგვიჭირე» საქმე, დაგვიხატეო «მიტინგი იმერეთში»; დავითმა დახატა უზარმაზარი ტილო, თავისი საყვარელი იმერეთი, შესანიშნავი ფერებით და იქ, სადღაც ქვევით არის ნაცრისფერ ტანსაცმელში გამოწყობილი მუშა, რომელიც არავითარ შთაბეჭდილებას არ ქმნის იმერეთის მთის იმ პეიზაჟის ფონზე; დახატა ასევე სამი პორტრეტი, – ლენინის, სტალინისა და ბერიასი; შემდეგ ხომ იცით, რა არის წლები? იმერეთი რჩება, დავითი რჩება; წლები კი მიდის... პოლიტიკოსებიც მიდიან... სტალინი წაშალეს ტილოზე, ცოტა ხანში ბერიაც წაშალეს, დარჩა ლენინი...

ნ. ი. – ელენე ახვლედიანი დავითზე ამბობდა: «ამ ძალიან თავმდაბალი და გულღია კაცის შუბლი ყოველთვის ფიქრით იყო დაღალული, მხიარული იშვიათად მინახავსო». თქვენ როგორი გახსოვთ მამა?

ა. კ. – მახსოვს ერთი-ორი ეპიზოდი... მამაჩემი დიდი ხანი, 23 წელიწადი გახლდათ აკადემიის პროფესორი; ასწავლიდა სტუდენტებს, რომელთაც ძალიან უყვარდათ და პატივს სცემდნენ; იმ პერიოდში დედაჩემიც სტუდენტი იყო; იგი იხსენებდა, როდესაც დავითი იძულებული ხდებოდა გაეძევებინა სტუდენტი ლექციიდან, მუშტს კი არ

ურტყამდა მაგიდაზე, არამედ დიდი ღიმილით ეუბნებოდა: «თქვენ, ჩემო საყვარელო, – მაგალითისთვის, «კუკულაძე» – გაძევებული ხართ, ბოდიშს ვიხდი». თავად მე მახსენდება ასეთი რამ: აკადემიიდან დათხოვილი და უკვე თითქოს რალაცნაირად გარიყული მამაჩემი სახლში იყო, თავის ოთახში, აი, იქ იჯდა და, რადიომიმღებს უსმენდა; ხან მოღუშული, ხანაც გაღიმებული სახით... და ასეთი რამ მინდა კიდევ გავიხსენო: როდესაც აკადემიიდან აძევებდნენ მამას, მისმა ორმა მეგობარმა, სერგო ქობულაძემ და აპოლონ ქუთათელაძემ ხელი არ აწიეს მის გაშვებაზე და მზად იყვნენ, თავიანთი საათებიც კი დაეთმოთ დავითისთვის, თუმცა არაო – უარი უთხრეს.

ნ. ი. – გვიამბეთ თქვენ შესახებ. როგორც ცნობილია, თქვენ აირჩიეთ სამხატვრო აკადემიის თეატრალურ-დეკორატიული ფაკულტეტი.

ა. კ. – დიახ, ფარნაოზ ლაპიაშვილი ხელმძღვანელობდა ჩვენს ფაკულტეტს; თუმცა თავდაპირველად, სამი წლის განმავლობაში, ფერწერის დარგით ვსწავლობდი და შემდეგ დამაინტერესა თეატრალურ-დეკორატიულმა ხელოვნებამ;

ნ. ი. – თქვენ ბრძანდებით ასევე კინომხატვარი. მაგალითად, ალექსანდრე რეხვიაშვილის ფილმებისა: «საფეხურები» და «XIX საუკუნის ქართული ქრონიკა»;

ა. კ. – დიახ, ალექსანდრე რეხვიაშვილი ჩემი მეგობარია, და საერთოდ – დიდი ხელოვანია; მას ძალიან დიდ პატივს ვცემ; თუკი მე დავიხვეწე, როგორც კინომხატვარი, თუკი ჩემთვის ძვირფასი გახდა კინო, სწორედ საშას დამსახურებაა; მისი ფილმები ძალიან კონკრეტული და არაჩვეულებრივად ფსიქოლოგიურია; საშას აქვს კიდევ ერთი სურათი: «გზა შინისაკენ». მასში ვმონაწილეობდი,

როგორც მსახიობი; თავდაპირველად რეხვიაშვილმა ფილმის მხატვრად მიმინვია და შემდეგ მეუბნება: «ჩაიცივის, გაიკეთე ეს» და დამინყეს გრიმის კეთება; ერთ ფილმში უნდა ვყოფილიყავი კოჭლი...

ნ. ი. – 2010 წელს მოეწყო თქვენი ნამუშევრების გამოფენა; და ის თემატურად უკავშირდებოდა მუსიკას. რა როლს თამაშობს მუსიკა თქვენს ცხოვრებაში?

ა. კ. – მე თქვენ გაჩვენებთ იმ გამოფენაზე, თქვენ რომ ახსენეთ, წარმოდგენილ ჩემს ერთ-ერთ ნამუშევარს; ამ კომპოზიციაში ასახულია მუსიკა და ქალი; ეშხი, სიყვარული... ჩემი მეუღლე, ია, მუსიკოსია; ის უკრავს, მე ვხატავ; მუსიკა მე მამშვიდებს, მჭირდება; ვუსმენ ჯაზსაც, კლასიკასაც, მაგრამ მე ის ბალიშებზე დავდე (ამირი ღიმილით მიჩვენებს თავის ერთ-ერთ სურათს, სადაც როიალი ბალიშებზეა შემოდებული), რომ წყნარად დაუკრან მუსიკა.

ნ. ი. – თქვენ ნამუშევრებში, კოლაჟებში იყენებთ ძველ ნივთებს; რა ნიშნით არჩევთ მათ? მამათქვენს საინტერესო მოსაზრება ჰქონდა სიძველესთან დაკავშირებით; იგი საუბრობდა ფაქტურაზე და ამბობდა: «სიძველის ნაშთებში ჩვენ ვკითხულობთ წარსულის ცხოვრებას.» როგორია თქვენი დამოკიდებულება ძველი ნივთების ამორჩევისას? თუ გაქვთ მსგავსი თვალსაზრისი, როდესაც ეძებთ მასალას თქვენი შემოქმედებისთვის?

ა. კ. – (პაუზა) ამირი მეჯია მე! თქვენ გქვიათ ნინო! რამდენი წელიწადია, რაც ამ სახელს ატარებთ? ვინ დაგარქვათ? როგორია თქვენი წარმოშობა? აი, ეგ არის მნიშვნელოვანი! იგივეა ჩემს შემთხვევაშიც – ამირი! საგნებსაც თავისი წარმომავლობა აქვთ; მამაჩემი ყველაფერს ეუბნებოდა დედაჩემს, დედა კი მე მიყვებოდა; ძველი საგნები

გარკვეულ ისტორიას გიამბობენ; ამ ნივთებს, მაგალითად, თეფშს, ან სკამს, მამა ჰკიდებდა ხელს, უმზერდა ბაბუის ნახელავ ბუხარს; რატომ უყვარდა მამას ეს ყველაფერი? იმიტომ, რომ მისი ბაბუის, წინაპრის ნაქონი, შეძენილი იყო... მას თავისი წინაპარი უყვარდა; ეს წინაპრების ხელშენახები, მათ მიერ დანატოვარი სიძველეები მისთვის ერთგვარი შთაგონების წყაროც გამხდარა; ასეთივე ძვირფასი იყო მისთვის მშობლიური ბუნებაც, ეზო, მთები, ხეები; სიძველე კი არ უყვარდა, – ისტორია, ხელოვნება უყვარდა; ჩემთვისაც მნიშვნელოვანია ეს ყველაფერი.

ნ. ი. – როგორია თქვენი დამოკიდებულება ზოგადად ხელოვნებისადმი?

ა. კ. – ხელოვნება ჩემთვის არის განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელიც არსებობს ადამიანთა შორის, და იცით რა არის მთავარი ხელოვნებაში? გინდ ქართულში და გინდაც ევროპულში? გრძნობა საკუთარი თავისა – თუ ვინ ხარ შენ და სურვილი გათავისუფლებისა; სურვილი სხვისთვის, ან მეგობრისთვის გულის გახსნისა; ასე ხდება ფილმთან, მხატვრობასთან ან თეატრთან მიმართებაში; მაგალითად, როდესაც ადამიანი დგას სცენაზე და დავუშვათ, შექსპირის ერთ-ერთ პერსონაჟს განასახიერებს, მას ჯერ, პირველ რიგში, საკუთარ მეზობელთან უნდა ჰქონდეს კარგი დამოკიდებულება და ის როლიც კარგად გამოუვა. ასეა მხატვრობაშიც; ჩემთვის უპირველესია, უძვირფასესია კეთილგანწყობილი ადამიანური ურთიერთობები, მეორე არის პროფესიონალიზმი, ხოლო მესამე, რომელიც პირველსა და მეორეს ეთანხმება, არის ის, რომ უნდა გიყვარდეს ბავშვები; ყოველთვის უნდა გახსოვდეს, რომ შენც იყავი ბავშვი! მხატვარი ყველა ადამიანს, ყველა პროფესიას აერთიანებს; იცით, რატომ? ცივი კედელი სახლში

არცერთი პროფესიის ადამიანს, – არც ექიმს, არც
ინჟინერს, არც ბუღალტერს, არც პოლიტიკოსს არ უნდა;
ყველა კედელს სჭირდება მხატვრის სურათი...



[1] კარლ მარქსი.

[2] მარია ვიკოტის ბლოგის მისამართია:

<http://visionfor.livejournal.com>

[3] Реплика архимандрита Георгия (Евдачёва), настоятеля Свято-Георгиевского Мещовского мужского монастыря на книгу Марии Кикоть «Исповедь бывшей послушницы» и на антицерковные отклики на неё в периодической печати и в Интернете,

<http://sgmmm.ortox.ru/news/guid/1184769>

[4] Образ от 21.02.2017: Духовник трех Патриархов, Кто организывает травлю «Женского Афона»? 21 Фев. 2017,

<https://www.youtube.com/watch?v=oQK-sNvz-gQ&feature=youtu.be>

(ფრაზა იხ. 10:40 წთ-ზე)

[5] ტელეარხი Царьград გადაცემა: Образ от 21.02.2017: Духовник трех Патриархов, Кто организывает травлю «Женского Афона»? 21 Фев. 2017,

<https://www.youtube.com/watch?v=oQK-sNvz-gQ&feature=youtu.be>

(ფრაზა იხ. 14:00 წთ-ზე).

[6] «Монахинь Обвиняли в Лесбийских Наклонностях»: Послушницам Устроили Ад в Монастыре, 2 Февраль 2017,

<http://www.mk.ru/social/2017/02/02/monakhin-obvinyali-v-lesbiyskikh-naklonnostyakh-poslushnicam-ustroili-ad-v-monastyre.html#loaded-13>

[7] Монахиня Кассия Сенина о книге «Исповедь бывшей послушницы», 20 Дек. 2016, <http://visionfor.livejournal.com/15233.html>

(თავდაპირველად ეს ტექსტი ფეისბუქ გვერდზე

გამოქვეყნდა. იხ. Kassia Senina-ის პროფილი:

<https://www.facebook.com/permalink.php?story-fbid=1729595904035461&id=100009552034800>).

[8] Игумен Нектарий (Морозов). «Эта книга – не повод для оправданий, есть вещи куда важней», 20 Окт. 2016, <http://www.pravmir.ru/eta-kniga-ne-povod-dlya-opravdaniy-est-veshhi-kuda-vazhney/>

[9] Андрей Кураев. Патриархия подтвердила достоверность рассказов Марии Кикоть, <http://diak-kuraev.livejournal.com/1542852.html>

[10] წმინდა იოანე სინელი. კლემაქსი ანუ კიბე. თავი 4, მუხლი 10. (ექვთიმე ათონელის თარგმანი). თანამედროვე ქართულ ენაზე ტექსტი გამართა ტ. ცომაიამ. თბ., 2008, გვ. 44.

[11] Мария Кикоть: Мне искренне жаль игуменью Николаю – она тоже жертва системы, Февраль 2017, <http://ahilla.ru/mariya-kikot-mne-iskrenne-zhal-igumenyu-nikolayu-ona-tozhe-zhertva-sistemy/>

[12] ეს გახლავთ ქალაქის ისტორიული სახელწოდება, რომელიც მისი დამაარსებელი მეფის, დანილას ვაჟის, ლვივის პატივსაცემად დაერქვა. ხოლო გავრცელებული სახელწოდება — ლვოვი მხოლოდ რუსული ინტერპრეტაციაა.